



# ბიბლიოთეკა

2/6



ოქტომბერი

1 9 6 5

ლიბერატურულ-  
მხატვრული და  
საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური  
შურნალი

საპარტევლოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა  
და მწერალთა კავშირის ორგანო

თბილისი





### რედაქტორი ხუტა ბერულავა

სარედაქციო კოლეგია: გურამ გვერდუთელი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯიკიძე (პ/მზ. მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჰაშვანიძე, ვახტანგ ჰელიძე, სერგი ჰილაია, თამაზ ჰილაძე, ლევა ჯანაშია.



# კრიტიკის ხალხი

ასე ვუწოდებთ მწერლისა და მკითხველის ტრიბუნას, რომელსაც ამიერიდან ხშირად ვიხილავთ ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

„ცისკარს“, როგორც ლიტერატურულ-მხატვრულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალს, ევალება უყურადღებოდ არ დატოვოს არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც კი აღელვებს და აინტერესებს ჩვენს ფართო საზოგადოებრიობას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას.

ჟურნალმა პირნათლად რომ შეასრულოს თავისი მოვალეობა, მშობლიური მწერლობის, მეცნიერების, ხელოვნების მოღვაწეებთან ერთად მასში უნდა მონაწილეობდნენ ჩვენი კეთილი მეგობრები — მკითხველები. დაე, ჩვენი ავტორების აზრებსა და შეხედულებებში ზოგი რამ საკამათო იყოს! ვინ არ იცის, რომ პატიოსან დავასა და კამათში იბადება ჭეშმარიტება.

მაშ, ვისაუბროთ გულახდილად და მეგობრულად, როგორც ამბობდნენ ძველად: ვიფიქროთ ხმამაღლა — ერთმანეთის გასაკონადა!

პოეზია,  
კრიტიკა  
და...

წიგნის  
გამყიდველი

## გიორგი ნატროშვილი

ერთ ჩვენს ცნობილ პოეტს ასეთი რამ შეემთხვა: თავისი ლექსების ახლადგამოსული წიგნის ეგზემპლარები, რაც ხელთ ჰქონდა, ნაცნობ-მეგობრებს დაუბრია და მაშინვე მაღაზიისაკენ გაეშურა. როგორც თვითონ ჰყვებოდა, უკანასკნელ ცალს მიუსწრო, მოითხოვა წიგნი. გამყიდველმა ქალიშვილმაც გადმოიღო თაროდან, მაგრამ არ იცოდა, რომ მის წინაშე ავტორი იდგა. ჩვეულებრივი მყიდველი ეგონა, თავისი ჰკუთხვით ვითომ შეიცოდა და უთხრა:

— რად გინდათ, ლექსებია!

პოეტი სახტად დარჩა, პასუხის სათქმელად ენა ვეღარ მოაბრუნა, ასეთი რამ მას პირველად ესმოდა და ისიც წიგნის მაღაზიაში. ეს მართლაც წარმოუდგენელია, მით უმეტეს ჩვენში, საქართველოში, რომელსაც პოეზიის ქვეყანას ეძახიან. ქალიშვილის სიტყვისათვის შეიძლებოდა სულაც არ მიგვექცია ყურადღება, რომ მას რაღაც საფუძველი არ ჰქონდეს. როცა გაიხსენებ წიგნის გამავრცელებელთა წუწუნს და მოთქმას თათბირებსა თუ კრებებზე, როცა გადაიკითხავ მათს მოხსენებით ბარათებს, დარწმუნდები, რომ იმ ქალიშვილს თა-

ნამოაზრენი საკმაოდ მრავლად ჰყავს. ისინი ხშირად ამტკიცებენ, პოეზიას მკითხველი ეგრერივად აღარ ეტანება და ლექსთა წიგნები დამტკვერიანებულ ებზე და ნესტიან სარდაფებში რჩებაო.

რა რჩება ნესტიან სარდაფებში და რა არა, ამას ზეპირად ნუ გადავწყვეტთ. მაგრამ ასეთი უცნაური დამოკიდებულება ლექსების წიგნებისადმი, დიდად აწუხებს არა მარტო ლექსის ოსტატებს, არამედ მთელს ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებრიობას. განსაკუთრებით მწვავედ დადგა ეს საკითხი ახლა, როცა ჩვენ მწერალთა რესპუბლიკური და საკავშირო ყრილობებისათვის ვემზადებით. გასაგებია, ამ საკითხმა მთავარი ყურადღება მიიქცია საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის ამასწინანდელ სხდომაზე, რომელიც ყრილობისათვის მზადებას მიეძღვნა. სწორედ იქ გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელის“ სარედაქციო საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა გვიამბო:

— მე ვესწრებოდი სარედაქციო საბჭოს ბოლო სხდომას. ვიხილავდით საგამომცემლო გეგმას. როცა ჯერი მიდგა ერთი გამოჩენილი საბჭოთა პოეტის ლექსების წიგნზე, მომხსენებელმა თქვა, რომ დაგეგმილია მისი 30.000 ტირაჟით გამოცემა. მაშინ წამოდგა წიგნის გამავრცელებელი ორგანიზაციის მუშაკი და მოითხოვა: მხოლოდ 3.000 ეგზემპლარი უნდა გამოიცეს, დანარჩენს ჩვენ არ წავიღებთო. გადაწყდა ისე, როგორც სავაჭრო დარგის წარმომადგენელი მოითხოვდა.

ეს მოხდა მოსკოვში, „სოვეტსკი პისატელის“ სარედაქციო საბჭოზე. ზუსტად ასე და, შეიძლება ითქვას, უფრო მწვავედაც დგას ეს საკითხი ჩვენში. მისი მნიშვნელობა სცილდება ბულალტერიისა და საგამომცემლობის დებეტ-კრედიტის სფეროს. აქ ლაპარაკია იმაზე, მიადწევს თუ არა წიგნი თვით ძალიან შორეულ სოფლებამდე, მიიტანენ თუ არა იალალზე, მწყემსებთან და მეჯოგებთან. ერთხელ წითელწყაროს რაიონში ასეთ ამბავს შევესწარი. სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარის — ნიკო ყოჩიაშვილის კაბინეტში კოლმეურნეებმა ტომრები შემოიტანეს, ეტყობოდა, წიგნებით იყო სავსე. ნიკომ შუბლი შეიჭმუნხნა, წამოდგა და თქვა:

— როდი იციან, სად რა გაგზავნონ! წინასწარვე ვიცი რა იქნება! — ტომარა გახსნა და ვეება წიგნი ვადმომავოდა, გაცეებით წავიკითხე სათაური — „ბანდექტები“.

რამდენადაც ვიცით, შირაქში სახელმწიფო უნივერსიტეტი ჯერ არ არსებობს და, მაშასადამე, არც იურიდიული ფაკულტეტი ეგულება იქ ვისმე. მაშ, ვის სჭირდება იქ ძველი რომის იურისპრუდენციის ძეგლები?!

იმ ტომრებში ლექსების წიგნები არ იყო, ან საიდან იქნებოდა — ვის გასწვდებოდა წიგნი, რომლის ტირაჟია 2.000 ან 1.000 ცალი.

მაგრამ ტყუილად კი არ ამბობს ბრძნული ქართული ანდაზა — ერთი მგლისკენ და ერთი თხისკენო. არ იქნება სწორი ყველაფერი სხვას გადავებრალოთ და მარტო წიგნის გამავრცელებლები გავამტყუნოთ. ამ არანორმალური ვითარების გამო პასუხისმგებელნი არიან ქართველი პოეტებიც, პროზაიკოსებიც და კრიტიკოსებიც. მათზე უკეთესად ვინ უნდა იცოდეს, რომ ლექსიც არის და ლექსიც, პოეტიც არის და პოეტიც. მათზე უკეთესად ვინ უნდა იცოდეს, რომ აქ განუკითხაობა არ შეიძლება. მაგრამ საქმე ისაა, წიგნის გამავრცელებელს ვერავინ მოსთხოვს გაატარე ის მიჯნა, რომელიც ნამდვილ პოეზიასა და პოეზიის სუროგატებს შორის არსებობსო. ეს მათი მოვალეობა როდია, ეს მწერლობისა და კრიტიკის ვალია. ჩვენ კი, დასამალი არ არის, კრიტიკიუმი დაგვარგეთ; დაგვკარგეთ და ახლა, ვიმეორებ, ამოა იქნება ყველაფერი წიგნის გამავრცელებელს გადავებრალოთ (მას თავისი ცოდვაც ეყოფა!). რა უნდა ქნას წიგნის გამავრცე-



ლებელმა, როცა გაზეთებში ერთი და იმავე ეპითეტებით არის შემკული პირ-  
ველი პოეტიკა და უკანასკნელიც; ჟურნალებსა და გაზეთებში დაბეჭდილი რე-  
ენზიების მიხედვით ყველა წიგნი ჩვენში „შესანიშნავია“, „შენაძენია“<sup>40</sup>, „საქმის-  
ფასი საჩუქარია“, „მართალი და წრფელია“, „მგზნებარე და ამაღლებელია“,  
„მაღალიდუური და მაღალხარისხოვანია“, ერთი ბეჭედი აზის ყველაფერს და  
ხშირად ხდება (ამ შემთხვევაში თავი დავანებოთ უკვე სახელმოხვეპილ ოსტა-  
ტებს, რომელთაც დამსახურებულად მიიპყრეს არა მარტო ქართველი მკით-  
ხველის ყურადღება), ახალგაზრდა პოეტს, ნამდვილად ნიჭიერს, ახლის მთქმელს,  
გამომჩენი არა ჰყავს. ჩვენს კრიტიკას თითქოს გაბედულება აკლია და ხმა-  
მაღლა ვერ ამბობს: — ესა და ეს წიგნი ახალია ქართულ პოეზიაში, ეს დღემ-  
დე არ იყო და ქართულ ლექსში გამოჩნდა ანა კალანდაძისა თუ მუხრან მაჭა-  
ვარიანის, შოთა ნიშინიანიძისა თუ ოთარ ჭილაძის შემდეგო. ეს ხმამაღლა ნათ-  
ქვამი, ყველას გასაგონად ნათქვამი, არ ისმის იმ სტატიებში, რომლებსაც ჩვენი  
ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გკითხულობთ. ამრიგად, კრიტიკა ვერ გაჰყვა  
მხარდამხარ ჩვენს პოეზიას, აქ მარტო ახალგაზრდა თაობაზე კი არა, პოეტე-  
ბის ყველა თაობაზე ვლაპარაკობთ.

შტამბისა და ტრაფარეტის დაძლევა კრიტიკის სფეროში აუცილებელია;  
სწორედ ამ ტრაფარეტული სტატიების ბრალია, რომ მკითხველს ერთგვარად  
გული ავუცრუეთ და ხანდახან მას ვეღარ გაურჩევია, სად არის კარგი და სად—  
ცუდი. გუნდრუკის კმევა, რა თქმა უნდა, არ არის საჭირო, მაგრამ კარგს რომ  
კარგის სახელი დაერქმევა, თავისთავად მას ცუდს ვეღარ დაუყენებ გვერდით.  
ეს იმასაც მიგვაჩვენებს, ცუდი აღარ მოვიწონოთ და მუდამ გვახსოვდეს დიდი  
პოეტის სიტყვები: „აწ რომ ავი არ ვაძგო, კარგი როგორ უნდა ვაქო, ავს თუ  
ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო“.

მაგრამ ტრაფარეტის სენი მარტო კრიტიკას კი არ სჭირს, არამედ პოე-  
ზიასაც, არა მთლიანად, მაგრამ საკმაოდ საგრძნობ ნაწილს. და ეს სენი ისეა  
ფეხმოდგმული, ხშირად ავადმყოფი ვერც გრძნობს, რომ ავად არის და თა-  
ვი სრულიად ჯანმრთელი ჰგონია. აი, ამიტომ ძალიან უჭირს ჩვენს კრიტიკას  
ავს ავი უწოდოს და კარგს კარგი. სწორი შეფასება გაოცებას და აღშფოთე-  
ბას გამოიწვევს; კრიტიკოსი კი ამას ერიდება და, რაკილა ასეა, ახლის ძიების  
სტიმულიც შესუსტებულია (აქ ყველაზე არ ვლაპარაკობ). ახლის ძიება და წინ-  
სვლა კი პოეზიისათვის სასიცოცხლო წყაროა, ჰაერია, ურომლისოდაც ის ჭკნება  
და ფერს კარგავს.

არისდა საჭირო იმის განმეორება, რომ პოეზიის თემა ადამიანის სუ-  
ლია? დიახ, საჭიროა; პოეტის თემა ადამიანია, მისი ტკივილი თუ სიხარუ-  
ლი, სიყვარული და სიცოცხლე. ვიმეორებ იმიტომ, რომ მინდა ვთქვა, — ეს ძა-  
ლიან ძველი და ძალიან ახალი თემებია, მარადიული თემები. ყოველი ჭაბუ-  
კი და ქალიშვილი ადამიანის ისტორიას ხომ თავიდან იწყებს, იმ ნაბიჯიდან  
იწყებს, როცა სიყვარული გაჩნდა ქვეყანაზე, თითქოს მანამდე მასავით არავის  
ჰყვარებოდეს, თითქოს არ არსებულან ლეილი და მეჯუნე, რომეო და ჯულიე-  
ტა, ავთანდილი და თინათინი.

ფოთლები, შარშან რომ ესხა ხეს და შრიალებდნენ ნიაგზე, აღარ არიან  
და წლებიანდელმა ფოთლებმა არც იციან, რომ ისინი არსებობდნენ. ფესვი კი  
იმ ხეს ერთი აქვს, ამიტომ სიცოცხლე იმეორებს და არ იმეორებს თავისთავს,  
იგი ძველი და მუდამ ახალია.

ასეა პოეზიაც და სწორედ ამიტომ არის აუტანელი გამეორება ტრაფარე-  
ტებისა, რომლებიც ლექსების მრავალ კრებულში გვხვდება და ხშირად ქებას  
„იმსახურებს“. არსებობს განსაზღვრული რაოდენობა სახეებისა, ეპითეტებისა,

მეტაფორებისა, რომლებიც გადადის ლექსიდან ლექსში, ერთი პოეტიდან მეორე-ზე, ერთი წიგნიდან მეორე წიგნში და ყოველივე ეს კლავს ნამდვილ პოეტებს.

მე ეს მაგონებს იმ ცდებს, ახლა დასავლეთში რომ ატარებენ. ერთ მშვენიერ დღეს, გამომთვლელ მანქანას კონსტრუქტორებმა გრამატიკის რამდენიმე წესი და 500 სიტყვა „შეასწავლეს“ — ამდენი და ამდენი არსებითი სახელი, ამდენი და ამდენი ზმნა, თანდებული და ა. შ. მერე დააჭირეს ღილაკს ხელი და ერთი წუთის შემდეგ ლექსიც მზად იყო. მერე ავტომატმა პოემაც დაწერა და ჭალა-რა სწავლულმა ეს პოემა ლოს-ანჯელოსის კაფეში მყოფთ რომ წაუკითხა, ისინი თურმე აღფრთოვანებულნი და აღლევებულნი უსმენდნენ. მათ ეჭვიც არ შეუტანიათ, რომ ლექსები მანქანამ დაწერა.

მე ხელთა მაქვს რამდენიმე ტექსტი ავტომატების მიერ დაწერილი ლექსებისა; მათი თარგმანი არ მინდა მოვიყვანო აქ, ვინაიდან ჯერ ერთი, მე მთარგმნელი არა ვარ და, მეორეც, რაკი-და ეს ლექსები მანქანებმა დაწერეს, თარგმნითაც ისევ მანქანებმა\* უნდა თარგმნონ. ასეთი მანქანა კი, მაღლობა ღმერთს, თბილისში ჯერ არ გაგვაჩნია, გვაქვს მხოლოდ ისეთი ავტომატები, რომლებიც იბარებენ მისაღებ გამოცდებს მათემატიკაში უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთაგან.

კაცობრიობის გენიამ მართლაც განსაცვიფრებელი სასწაულები მოახდინა. კიბერნეტიკამ ასჯგის, ათასჯგის შეუმსუსუტა ადამიანს შრომა და ვინ მოსთვლის, კიდევ რა მწვერვალებს დაიბყრობს. მაგრამ, როცა მანქანა ლექსის წერას იწყებს, ეს უკვე მოდერნიზმი კი აღარ არის, არამედ სრულიად უბრალო, ჩვეულებრივი კრეტინიზმია, რომელიც ისევე ძველია, როგორც დედამიწა. მანქანა, რაგინდ უსაზღვროდ არ განავითარონ იგი, „ღვთაებრივ კომედიას“ ვერ დაწერს; იგი უნდა დაწეროს ადამიანის ღვთაებრივმა გულმა და ხელმა, ტანჯვამ და სიხარულმა, ცრემლმა და ამოკვნესამ. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ საქვეყნოდ ცნობილი ფრთიანი გამოთქმა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლისა; აქილევისი და ჯოფის წამალი, იუპიტერი და მესამრიდი ერთი მეორის გვერდით ვერ იარსებებენო, ე. ი. პოეზია ტექნიკისეული კი არ არის, მიწისეულია, გულისეულია და, დაკარგავს თუ არა სინედლეს, კარგავს ფერსაც, სურნელსაც, სიცოცხლესაც და მომხიბვლელობასაც. ამრიგად, ტრაფარეტი არის შედეგი აზროვნებისა და შემოქმედების ავტომატიზმისა, რომელიც პოეზიისათვის მომაკვდინებელია.

ეს საყვედური ისევ და ისევ კრიტიკას ეხება — ჩვენში ახლა არაერთი პოეტური თუ ბელეტრისტული წიგნი გამოდის, რომელთაც ლიტერატურასთან ბევრი არაფერი აქვთ საერთო; ცხადია, ამას ვერ გაარკვევს წიგნის გამყიდველი ქალიშვილი, მაგრამ ეს უნდა გაარკვიოს ქართულმა კრიტიკამ; ამასთან, ქართული წიგნის ბედს „არშინისა“ და „ჩოთქის“ პრიზმიდან არ უნდა შეეხედოთ. გაიხსენეთ ვაჟას სტრიქონები:

ქვეყანა მხედავს მდებარეს

„არშინის“, „ჩოთქის“ გვერდითა.

ლიტერატურა ჩვენი ხალხის, ჩვენი პარტიის ბასრი საბრძოლო იარაღია. ამ იარაღს ჩვენ უნდა მოვუფრთხილდეთ და უკეთ მოვუაროთ.





## ალექსი ზინზარაული

ამ ბოლო ხანებში ბევრი იწერება ენის სიწმინდის თაობაზე. სპეციალისტები განიხილავენ ნათარგმნ თუ ორიგინალურ ლიტერატურას და მიუთითებენ ენობრივ შეცდომებზე, კალკებზე... ეს, რა თქმა უნდა, სასარგებლო და საჭირო საქმეა.

სამწუხაროდ, თითქმის არაფერს ან ძალიან ცოტას წერენ სამეცნიერო ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების ენის შესახებ. ჩვენი აზრით, ენის სიწმინდის დაცვის თვალსაზრისით უპირველესი ყურადღება სახელმძღვანელოებს უნდა მიექცეს.

ძალიან გაგვიკვირდა, როცა დაწყებითი სკოლის ერთ-ერთი სახელმძღვანელოს პირველსავე გვერდზე რამდენიმე ენობრივი შეცდომა („გავს“, „ფუნიკულერი“...) შეგვხვდა.

ნუთუ ასეთი ქართულით არის შედგენილი ჩვენი სასკოლო სახელმძღვანელოები? თუ ერთ გვერდზე ამდენი შეცდომაა, რამდენი იქნება მთელ წიგნში? ხომ მოსალოდნელია, სხვა სახელმძღვანელოებშიც ანალოგიური მდგომარეობა იყოს?

გადავიკითხეთ ხელში მოხვედრილი პირველივე სახელმძღვანელო — პ. ებიფანოვისა და ი. ფედოსოვის „სსრკ ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო საშუალო სკოლის IX—X კლასებისათვის“ (გამომცემლობა „განათლება“, 1965 წ.). ეს წიგნი ერთ-ერთ კარგ სახელმძღვანელოდ არის მიჩნეული და ისტორიის სახელმძღვანელოთა ღია კონკურსზე წამახალისებელი პრემიაც მიენიჭა. პირდაპირ ვიტყვი: ამ კარგი, გასაგები, გამართული რუსული ენით დაწერილი წიგნის ქართული თარგმანი (მთარგმნელები ნ. ცხაკია და ი. გოგილაშვილი) უვარგისია. წიგნი სავსეა ენობრივი შეცდომებით, კალკებით; არაერთხელ დამახინჯებულია დედნის აზრი და სხვ.

წიგნში უგულვებელყოფილია პირის ნიშანთა ხმარების არსებული ნორმები: ძალიან ხშირად ირიბი ობიექტის ნიშანი არის იქ, სადაც არ უნდა იყოს და არ არის იქ, სადაც უნდა იყოს. აი, მაგალითად: მოჰკლა, მოჰკლავდა, მოჰკლეს, დაჰკარგა, დაჰკარგეს, ჰკარგავდნენ, მოჰკურცხლა, შეჰკრა, ჰკრეფდნენ; გასტეხა, გასტეხეს, სტოვებდნენ, სტოვებდა, დასტოვა, შესცვალა, სცნეს, სცნობდნენ, განსჭვრიტა.

ყველა მოყვანილ ზმნაში ზედმეტია ირიბი ობიექტის ნიშანი ჰ და ს. ზოგიერთი ამათგან რამდენჯერმე მეორდება წიგნში. ცხადია, ყველა არც ამოგვიწერია. ხშირია აგრეთვე შემთხვევები, როცა ზმნას აკლია ირიბი ობიექტის ნიშანი. მაგალითად, ჰ აკლია შემდეგ ფორმებს: ყოლოდათ, ყოფნოდათ, მიყვნენ, ყავდა, გავდა, დაკაშკაშებდა, მოპარავს, დაპირდა, პირდებოდა... ს აკლია: ცოდნოდათ, ჩადგომოდა, (თვლები) დათხარეს, დაჯდომოდათ, ძულებოდა, შეძულებოდა და სხვ.

ხშირია ზმნის უმართებულო, დიალექტური ფორმების ხმარების შემთხვევები: დაეტოვებია, დაეზიანებია, გაეჩუქებია, დაეარსებია, დაემარცხებია, ეწარმოებია, განეხორციელებია, დაებრუნებიათ, დაეკავებიათ, შეეკავშირებია... უნდა: დაეტოვებინა, დაეზიანებინა...

„გამოდგა“, „განდა“-ს ნაცვლად ხშირად გვხვდება დიალექტური „**შეიქნა**“ / „არახელსაყრელი შეიქნა“ (გვ. 128); დიალექტურია აგრეთვე: „ბევრ<sup>მეტყველებს</sup> მთავარს“ (გვ. 46), „დაცხინკეებისა“ (გვ. 64); „როცა მოგეცემა შემთხვევა მაგიდას უსხდე, ყველაფერი წესრიგში უნდა გქონდეს“ (გვ. 205). რანაირად შეიძლება ერთი კაცი „**უსხდეს**“ მაგიდას?

ხშირია რიცხვში შეთანხმების დარღვევის შემთხვევები: „რუსეთის ჯარებმა შეძლეს კვლავ შეეჩერებინათ მტერი, არ მისცეს მას შესაძლებლობა გადაეპრათ უკანდასახევი გზა“ (გვ. 264); „**ორივენი** კარგი საქციელისაა“ (გვ. 231); „...**შეუერთდა** სევერსკის უკრაინის მცხოვრებლები“ (გვ. 138); „მისი გამოკვლევები მკიდროდ იყო დაკავშირებული სოფლის მეურნეობის პრაქტიკასთან და ხელს უწყობდნენ მის განვითარებას“ (გვ. 517); „**დაიღუპნენ** ტევტონთა ორდენის ყველა ხელმძღვანელი“ (გვ. 86).

ეს ისეთი შეცდომებია, მთარგმნელს კი არა, ვისთვისაც წიგნი ითარგმნება, იმასაც რომ არ ეპატიება.

უადგილოდ არის ნახმარი „**ეწევა**“, „**აწარმოებს**“ და ზოგი სხვა ზმნა: „ქვეყანაში **ეწეოდნენ** ნავთის ამოღებას, მარილის, გოგირდის, რკინის მადნის მოპოვებასა და ფერადი ლითონის წარმოებას“ (გვ. 68) (შდრ.: „В стране добывались нефть, соль...“); „...**ეწეოდნენ** პირუტყვისა და ფრინველების მოშენებას“ (გვ. 93) („разводили“); „...**მწიგნობარნი ეწეოდნენ**... ისტორიული მოთხრობების... გადაშუშავებას“ (გვ. 121) („подвергали переработке“). როგორც ვხედავთ, აქ თვითონ რუსული ტექსტიც კი არ იძლევა საბაზს ასეთი თარგმანისათვის. აი, კიდევ ამგვარი მაგალითები: „**აწარმოებდნენ**... მასობრივ დათხოვნებს“ (გვ. 505); „**ვაჭრები** ამ ბაზრებზე **აწარმოებდნენ**... პროდუქციის შესყიდვას შემდგომი გადაყიდვისათვის (გვ. 94); „**აწყობდა** დახმარებას გაფიცულებისადმი“ (გვ. 512); „**აწყობდნენ** ერეტიკოსების სიკვდილით დასჯას“ (გვ. 105); ფართო გავრცელება მიიღო „**შრომა-მიგებითმა**“ სისტემამ (გვ. 362)... სავალალო მდგომარეობა გვექნება, თუ ასეთმა არაქართულმა ფორმებმა „ფართო გავრცელება მიიღო“ ჩვენს ენაში...

მთარგმნელები ანგარიშს არ უწევენ ქართული ენის ბუნებას, ისინი ბრმად მიჰყვებიან დედანს და წინადადების რუსული წყობა გადმოაქვთ ქართულში: „**თავის ეკონომიურ განვითარებაში** დიდი ნახტომი გააკეთა“ (გვ. 360); „**მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა თავის განვითარებაში**“ (გვ. 365); „**რამ შეუწყო ხელი აღამიანს თავის განვითარებაში** წინ გაესწრო სხვა ცხოველებისათვის და **ბუნების მეფე**“ გამხდარიყო?“ (გვ. 10). სამივეგან რუსულში იკითხება: „в своем развитии“. „**ისინი თავიანთი აღმავლობის ხანას განიცდიდნენ**“ (გვ. 44) („своего подъема“); „**ეძლეოდათ თავისი გამდიდრების შესაძლებლობა**“ („для своего обогащения“); „**უფრო ხელსაყრელი შესაძლებლობა მიიღო თავისი პროგრესისათვის**“ (გვ. 173) („для своего прогресса“).

ქართული ენის ძარღვი ზმნაა. ქართულ ზმნას აქვს ისეთი კატეგორიები, რაც ბევრ სხვა ენას არ გააჩნია. ასეთებია, მაგალითად, ქცევის, კაუზატივისა და სხვა კატეგორიები. ეს კატეგორიები მოქნილსა და ელასტიურს ხდის ქართულ ენას. მთარგმნელი კარგად უნდა ერკვეოდეს მშობლიური ენის კანონებში, რომ საჭიროებისამებრ გამოიყენოს ისინი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დედნის ტყვეობაში აღმოჩნდება და თავის ენას სხვა ენის კონსტრუქციებით დაამძიმებს. დედნისადმი ბრმად მიყოლა და ქართულის უცოდინარობა თუ მისი ნორმების უგულვებელყოფა იმის მიზეზი, რომ სახელმძღვანელო საესეა სინტაქსურად დაღვლარქნილი წინადადებებით, ქართულისათვის უჩვეულო, არაბუნებრივი კონსტრუქციებით: „...როცა წრეში დგახარ... ან ურთიერთშო-

რის საუბრობ...“ (გვ. 205). როგორ შეიძლება ერთი კაცი „ურთიერთობით“  
საუბრობდეს? საერთოდ მთარგმნელები წარამარა ხმარობენ სიტყვა „ურთიერთობით“:  
ერთს“: „ურთიერთ ამდიდრებდა მათ კულტურას“ (გვ. 173) („взаимно обогащали“); „მუდმივი კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ ურთიერთთან“ (გვ. 89).

აი, კიდევ უვარგისი სინტაქსისა და სტილის ნიმუშები: „ქალაქი შეიძვერ გადავიდა ერთის ხელიდან მეორის ხელში“ (გვ. 270) („из рук в руки“, ე. ი. ხელიდან ხელში); „დამცველები სასიკვდილო განწირულებით იბრძოდნენ“ (გვ. 266) („насмерть“, ე. ი. თავგანწირვით); „დაიწყეს ფსკოვზე ალყის შემორტყმა“ (გვ. 116); „დაიწყო ყაზანზე ალყის შემორტყმა“ (გვ. 228); „ბორის გოდუნოვი მართავდა თავისი სურვილისამებრ („самовластно“) მომსახურე („служилое“) აზნაურობაზე დაყრდნობით“ (გვ. 127); მოდით და გაიგეთ: „გოდუნოვი მართავდა სურვილისამებრ“ თუ „სურვილისამებრ მომსახურე აზნაურობაზე დაყრდნობით მართავდა გოდუნოვი“? „სახელმწიფოს ცენტრალიზაციაში, შინაომების შეწყვეტაში, ომებისა, რაც აჩანაგებდა ქვეყანას, დაინტერესებული იყვნენ მოქალაქენიც“ (გვ. 94) (შდრ.: „В государственной централизации, в прекращении междоусобных войн, разорявших страну, были заинтересованы и горожане“). ქართულად ამ წინადადებას ასეთი სახე უნდა მიეღო: „სახელმწიფოს ცენტრალიზაცია და ქვეყნის გამაჩინაგებელი შინაომების შეწყვეტა ქალაქის მცხოვრებთაც აინტერესებდა“. „გლეხები საბოლოოდ ჰკარგავდნენ იმ მიწებზე განკარგულების უფლებას, რომლებსაც ისინი ამუშავებდნენ“ (გვ. 91); „გლეხის სიცოცხლე ორმაგად ნაკლებ ფასდებოდა, ვიდრე სანდირო ძაღლის ღირებულება“ (გვ. 87); „დაინტერესებული იყო... თათრების ყმობის მოსპობაში და ფეოდალთა შინა ბრძოლის შეწყვეტაში“ (გვ. 79); („в уничтожении“, „в прекращении“); მთავარსა და მის მსახურთ ვერძალეზობათ მიწის დარიგება... ან შეეძინათ (ჩუქებით ან შესყიდვით) სოფელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე“ (გვ. 60); „ისინი ფლობდნენ დიდ მამულებს (ვოტჩინებს) უამრავ ფეოდალურ დამოკიდებულებაში მყოფი გლეხებითურთ“ (გვ. 58).

„ნაკეთობას დასაწყისიდან დასრულებამდე თავიდან ბოლომდე მარტო თვითონ აკეთებდა“ (გვ. 54). („...сам изготовлял изделие от начала до конца“); საიდან გაჩნდა „сам“-ის ნაცვლად „მარტო თვითონ“? განა საკმარისი არ იქნებოდა, რომ „от начала до конца“-ს მაგიერ ეთქვა: „თავიდან ბოლომდე“? „კანისა და თმის ფერი მეტად მოთეთრო ან ოქროსფერი აქვთ“ (გვ. 32). არ ვარგა: „ფერი... ოქროსფერი აქვთ“; ამას ვარდა, „მოთეთრო“ ოდნაობას აღნიშნავს და „მეტად მოთეთრო“ უაზრობაა. თანაც დედანში იკითხება: „очень белый“ — „ძალიან თეთრი“; „შენობა, სადაც რთავდნენ, ქსოვდნენ“ (გვ. 28); უნდა: „ართავდნენ“. „შორეულ ნიშანში მოსახვედრად ისრის გამოგონებამ...“ (გვ. 11); დედანში ვკითხულობთ: „Изобретение лука (მშვილდი) для поражения отдаленной (დაშორებული) цели“. „აუცილებელ საჭიროდ მიაჩნდა“ (გვ. 181)...

ქართული სინტაქსისათვის უცხო წყობაა ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში: „როდის და როგორ აწყობს მას მოეწყოს შეკრება“ (გვ. 204); „შეურაცხყოფილი რწმენა („вера“ = „სარწმუნოება“), გაჩანაგებული ოლქები, წაბილწული საკურთხეველები და მამათა გვაშები, საფლავებში განაწყენებულნი, ხმამაღლა ღაღადებდნენ სამაგიეროს გადახდასა და მამაცობაზე“ (გვ. 273) (შდრ.: „Оскорбленная вера, разоренные области, поруганные алтари и прахи отцов, обыженные в могилах, громко вопияли о мщении и мужестве“); „ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ნე ნ ე ბ ი (სამოე-



დები) და ევკენკები (ტუნგუზები) — ენისეისა და ლენას შუა მათი მონაგოლები — ბურიატები — ლენასა და ანადირეს შუა, ბურიატები — ბაიკალისპირეთში და სხვა ხალხები“ (გვ. 173); „გზაზე, გაღანაცვლებისდა მიხედვით, ქმნიდნენ ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებს აგებდნენ“ (გვ. 117); (დედანი: „по пути своего продвижения“, ე. ი. „გზადაგზა“, „основывали города-крепости“ = „ციხე-ქალაქებს“); „თავისი გამდიდრებისდა მიხედვით ენა თანდათან იქცა აღამიანთა განვითარების მძლავრ საშუალებად“ (გვ. 11); „ფეოდალური საკუთრების განმტკიცებისდა მიხედვით ძლიერდებოდა განცალკევებულობა ძველი რუსეთის სახელმწიფოს ცალკეულ ოლქებს შორის“ (გვ. 57); „სლავებს... ეჭირათ ტერიტორია დაწყებული კარპატის მთებიდან დასავლეთით მდინარეების ოკისა და ვოლგის სათავეებამდე აღმოსავლეთში, ბალტიის ზღვიდან ჩრდილოეთ დნებრისა და დუნაის შესართავამდე, სამხრეთში“ (გვ. 25) და ა. შ. (პუნქტუაცია აქაც და სხვაგანაც მთარგმნელებისა, ა. ქ.).

ამ რიგის მაგალითები წიგნში აუარებელია, მაგრამ, ვფიქრობთ, მათი აქ მოტანა ძალიან შორს წაგვიყვანდა.

აქამდე ჩვენ განვიხილავდით ქართული ენის ბუნებისათვის შეუფერებელ ფაქტებს. ქვემოთ შევეხებით დედნისა და თარგმანის ტექსტს შინაარსის თვალსაზრისით. მოგვყავს ადგილები შესაბამის რუსულ ტექსტთან ერთად: „პოლონეთში ჩასვლისას მან განაცხადა, რომ იგი ბატონიშვილი დიმიტრია და გაიქცა რუსეთიდან, რათა თავი დაედნია სიკვდილისათვის“ (გვ. 129); „Убежав в Польшу, он объявил себя спасшимся от руки убийц царевичем Дмитрием“; „ეს საფეხური განვლეს შუა საუკუნის ეპოქაში ევროპისა და აზიის სხვა ხალხებმა“ (გვ. 57); რომელია „შუა საუკუნე?“ უნდა: „შუა საუკუნეების“ („средневековья“); „...თვითნებურად ხნავდნენ მიწებს, მიერეკებოდნენ („изгоняли“ = „აძევებდნენ“), ხოლო ზოგჯერ ჰკლავდნენ კიდევ მემამულეებს“ (გვ. 92); „ღებულობდნენ რკინის ნაკვეთს“ (кусок) (გვ. 27).

„თავზე იხურავდნენ რკინის ან ლითონის ფირფენილ მუზარადს“ (გვ. 39). წინადადების წყობის მიხედვით გამოდის, თითქოს მის მეორე ნაწილში საუბარია „ფირფენილ“ (რა არის „ფირფენილი“?) ლითონის მუზარადზე. გაუგებარია: „ან“ რაღა შუაშია? განა თვითონ რკინა ლითონი არ არის? დედნის აზრი დამახინჯებულია: „...надевали железный или матерчатый с металлическими пластинками шлем“, მაშასადამე, საუბარია რკინის ანდა ლითონისფირფიტებიანი ქსოვილის მუზარადზე... „ფართო გავრცელება ჰპოვა ხის ნაკეთობის — ფიალებისა და სახლში სახმარი სხვა საგნების საარქიტექტურო მორთულობის დეტალების მოჩუქურთმებამ“ (გვ. 54); წინადადება არ არის ქართული, დედნის შინაარსიც დამახინჯებულია, შდრ.: „Широкое распространение получила художественная резьба по дереву — на чашах и других предметах домашней утвари, на деталях архитектурных украшений“, ე. ი. დედანში საუბარია ფიალებისა და სხვა საოჯახო ჭურჭლეულის მოჩუქურთმებაზე და (ხის ნაგებობების) არქიტექტურული დეტალების მოჩუქურთმებაზე. თარგმანში კი „სახლში სახმარი სხვა საგნების საარქიტექტურო მორთულობის დეტალების მოჩუქურთმებაზე“ საუბარია... „საკმლად იყენებდნენ „ზღვისიქითა მხრიდან“, ე. ი. საზღვარგარეთიდან შემოზიდულ ღვინოებსა და ხილს“ (გვ. 54).

„ბრძოლას იწყებდნენ ყველაზე მამაცი და ძლიერი მეომრის ორთა შეტაკებით“ (გვ. 39). საინტერესოა, რანაირად შეიძლება ერთი მეომრის „ორთა შეტაკება“, თუნდაც იგი „ყველაზე ძლიერი და მამაცი“ იყოს? აი, რა წერია დედანში: „Бой начинали поединком богатырей — самых храбрых и силь-





შესატყვისი იქნებოდა მთის კილოებში დადასტურებული კაი ყმა (სხვათა შორის, ასეა რუსულად ნათარგმნი ვაჟა-ფშაველას ცნობილი ლექსი „კაიყმანა“). ზოგჯერ დედნის მიხედვითაც ვერ გაიგებს კაცი, საიდან გაჩნდა წერილი ტექსტში ესა თუ ის სიტყვა: რუსულში იკითხება: „Церковники предавали «анафеме» (проклятию) тех...“, ქართულშია: „ეკლესიის მსახურნი... ანათემას“ უზღავდნენ“ (გვ. 248); გადავლინენ „ანათემას“ უზღავდნენ. გადავლინენ. საიდან გაჩნდა წიგნში და რას ნიშნავს სიტყვა „უზღავდნენ“, გაუგებარია. რუსულშია: „назначен временный (наказной) гетман“, ქართულში: „დაინიშნა დროებითი გეტმანი (მითითებული)“ (გვ. 201) Временный гетман ანუ наказной гетман იყო გეტმანის მოვალეობის აღმსრულებელი, დროებითი გეტმანი. საიდან გაჩნდა ქართულ ტექსტში „მითითებული“ და რას ნიშნავს იგი? მოვიყვანთ კიდევ ორიოდ დამახასიათებელ მაგალითს: „«Прелестное письмо» атамана Н. Голого“... ასეთი წარწერა აქვს წიგნში გამოქვეყნებული ერთ-ერთი წერილის ფოტოს. ქართულად ეს სიტყვები ასე უთარგმნიათ; „ატამან ნ. გოლოგოს „მიმზიდველი წერილი“...“ (გვ. 190). „მიმზიდველ წერილს“ რომ თავი გავანებოთ, გაცეცხავს იწვევს ფორმა „გოლოგოს“. ატამანი იყო Никита Голый. Голый-ს ნათესაობითია Голого (გოლისა). მთარგმნელებს Голого სახელობითი ჰგონებიათ და „გოლის“ ნაცვლად მივიღეთ გვარი „გოლოგო“: „გოლოგოს მიმზიდველი წერილი“.

რუსულ წინადადებას «Рабочие находились в полной зависимости от местной администрации», ქართულში ასეთი სახე მიუღია: „მუშები იმყოფებოდნენ ადგილობრივი ადმინისტრაციის სრულ ჰქვემდებარებაში“ (გვ. 508). მკითხველი ალბათ ადვილად მიხვდება, თუ რა სიკეთე დაეყრება იმ მოსწავლეებს, რომელნიც წლების მანძილზე ასეთი ქართულის „ჰქვემდებარებასა“ და „შემასმენლობაში“ იქნებიან...

მთარგმნელებისა და რედაქტორის უყურადღებობაზე მეტყველებს ისიც, რომ ამ მეორე გამოცემაში დატოვებულია ძველი გამოცემის უხეში კორექტურული შეცდომებიც: „ანაურთა ბანაკი“ (გვ. 221), უნდა: „ბანაკი“, „გეოგრაფიული მდგომარეობა“ (გვ. 59), უნდა: „მდებარეობა“ და მისთ.

უდი ქართულით მხატვრული თუ პუბლიცისტური ლიტერატურაც ხშირად იწერება, მაგრამ მისმა მკითხველმა მცდარი ენობრივი ფორმები შეიძლება ვერ „ისწავლოს“: ასეთ ლიტერატურას, ჩვეულებრივ, ერთხელ წაიკითხავენ, ერთხელ წაკითხული მცდარი ფორმა კი ადვილად ვერ შერჩება მეხსიერებას. სხვა საქმეა სასწავლო წიგნი: მას რამდენჯერმე კითხულობენ, ზოგ ადვილს იზიარებენ კიდევაც. ბუნებრივია, რომ შინაარსთან ერთად მოსწავლე მცდარ ფორმებსაც „ითვისებს“. ეს კი ძალიან სახიფათოა.

ამ საკითხს აქვს კიდევ მეორე მხარე: დაუხვეწავი, გაუმართავი ენით ნაწერი გაცილებით ძნელი ასათვისებელია. ყოველი ფაქტი თუ მოვლენა სახელმძღვანელოში უნდა გადმოიცეს გასაგები, მკაფიო ენით. ეს ანბანური ჰუმბარტებაა, მაგრამ მას, შეიძლება სწორედ მისი ანბანურობის გამო, ძალიან ცოტა ყურადღება ეთმობა.

საჭიროა არა პათეტიკური ლაპარაკი და წერა ენის სიწმინდის შესახებ, არამედ საქმის პრაქტიკულად გადაწყვეტა: ჩვენი აზრით, სპეციალისტებმა ენობრივი; თვალსაზრისით გულისხმიერად უნდა გასინჯონ ყველა სახელმძღვანელო. მეტი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს გამომცემლობის რედაქტორებს. მათი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი სახელმძღვანელოს ენა უნდა იყოს.





წვანან სიკვდილის მომნუსხველები,  
აქ ერგოთ ძილი მარადიული...  
ოდნავ ირწვევა ომის ხელებით  
ზღვაში ჩადგმული აკვარიუმი.

გაოცებული ზღვის ბინადარნი  
სარკმლებში ცერად იჭვრიტებიან,  
ცივ თვალებს მოსჭრით მინის დადარი  
და უცებ განზე იჭვით ხტებიან.

აყრია ნავის კედლებს ჭორფლივით  
ნიჟარები და აქვამარინი,  
ცრემლადქცეული და გაოფლილი  
ზღვის ბალახებში კვენესის მარილი.

მარადი ბინდი შავ თვალებს ლულავს,  
ნავი მისი ფრთით დასალტულია.  
ცამეტნი წვანან. ორს — ცხელი ლულა,  
თერთმეტს მიწაზე გასვლა სწყურია.

რათ არ ვეძახით მიწას... ზღვის ფსკერიც  
ხომ მიწა არის ბოლოს და ბოლოს,  
ზღვის ზედაპირიც არის ცისფერი  
და იმ ცასავით სხივ-ნისლში ბოლავს.

მწვანე ბალახი ამოდის იქაც  
და ყვავილებიც თვალებს ახელენ,  
იქ ქვებიც არის, ლამიც და ქვიშაც  
და არ კი ჰქვია მიწის სახელი...

იქნებ იმიტომ, რომ იმის გულზე  
არ ხარობს ვაზი რქადაგრეხილი,  
არ ვთესავთ ყანას, არც ბადებს ვუმზერთ,  
არც ოქროსფერად ღვივის ხეხილი...

არ ითოვლება მუხა და ალვა,  
ძარღვიან ბელტით არ ვფერავთ სახნისს,  
არც წვიმა მოდის, არც იცის გვალვა,  
არა ვთლით აკვნებს, არ ვაგებთ სახლებს.

ვერ გადაუფრენ ველს ურა ცხენით,  
ქაფჩით, წურაქვით აქ ვერ იომებ...  
სდუმს ბალტიის ზღვა და ომის ხელით  
ზღვაში ჩადგმული აკვარიუმი.



ველარ დავილბე  
ცხელი მკერდი მზით და წვიმიტო, —  
წყალში სვეტივით აღმართული  
მისი ხმა იწვის,

წყალქვეშა ნავი  
მას უწოდეს ნუთუ იმიტომ,  
რომ მეოთხედი საუკუნე  
ზღვის ფსკერზე იწვეს...

უცებ წყალ-ქვიშა ახმაურდა,  
გაკრთა დუმილი.  
ადამიანის სახით მიწა  
შემოდის ზღვაში.  
გულმძიმედ მოდის  
დედა, მუდამ შეუცდომელი,  
და ცის ცვარნამი უციმციმებს  
ხორბლისფერ თმაში.

მძლავრი ხელებით აიტატა  
ნავი წყალქვეშა,  
ჩამოაცილა, ჩამოსწურა  
კედლებს წყალ-ქვიშა.  
ტორპედოები განმუხტული  
დატოვა ზღვაში,  
თან წარიტაცა დაღუპული  
თერთმეტი ვაჟი.

და ჰა გაიხსნა უცაბედად  
მძიმე და გრილი  
ზღვის ზედაპირი —  
ულაჟვარდო,  
უვარსკვლავო ცა...  
სამშობლოს მიწა გულში იკრავს  
საყვარელ შვილებს,  
როგორც საფიცარს,  
ვით ყველაზე წმინდა სალოცავს.

...დგანან ძეგლები  
დედამიწის მფეთქავ გულეზად,  
დადაფნულები მშობელ ხალხის  
უკვდავ დიდებით  
და იწერება ცაზე  
ზღვის და მიწის თქმულება  
მზისკენ ატყორცნილ კვიპაროსთა  
მწვანე თითებით.





სეფელ

ყვავილები

მოთხრობა-ლეგენდა

რამდენი ვარსკვლავიცაა ცაზე, იმდენივე ფერის ყვავილია დედამიწაზე. ისინი მუდამ ერთიმეორეს შესცივინებენ; ვარსკვლავები ციდან იღიმებიან, ყვავილები მიწიდან ესვრიან ცის გუმბათს ფერთა სიმშვენიერეს. სოფელ ხალდეშიც ასეა, ზევით ვარსკვლავებია, ქვემოთ — ყვავილები.

ამ სოფელში ერთი გლეხიკაცი ცხოვრობდა. ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა, სახელად სირინო. ცისკრის თვალის გახელის დროს დაიბადა თურმე, ამიტომ ცისკარივით თეთრი იყო მისი სხეული. ხალდეს ხეებში მუდამ უკუნი დგას. ქვეყნად რომ გაჩნდა, სირინომ პირველად მათკენ გაიხედა და ამიტომ თვალუბიც ღამესავით შავი გამოჰყვა.

ხალდეს გარშემო, მთის კალთებზე, გაუვალი ტყეებია, ხშირი ფოთლითა და წიწვით დაბურული. სირინოსაც ტყევივით დალაღები დაჰყოლია. გათენების უამს, მზე რომ მთის წვერზე შემოჯდება, დედამიწამ ჩაფიქრება იცის. ალბათ ფიქრობს, ქვეყნისათვის ღამე ჯო-

ბია თუ დღის სინათლეო. სირინოც, რადგან ცისკრის გახსნისას დაიბადა, ფიქრიანი, ჰკვიანი ქალიშვილი დადგა.

იზრდებოდა, დღითი დღე მშვენიდებოდა. შრომა ძალზე უყვარდა. დილით ძროხებს მოწველიდა, ყველს ამოიყვანდა, იატაკს დაგვიდა, საქონელს საბალახოზე გადენიდა. სანადიროდ წასულ მამას სადილ-ვახშამს დაუმზადებდა. მერე დგიმ-სავარცხელზე თავისი ხელით ნართავ შალს ქსოვდა საჩოხედ.

კავკასიონის ყინულოვანი მწვერვალების ახლოს, ყველაზე მაღალ კლდე-ფერდს არწივის ბუდესავით მიჰკვრია ხალდე. არწივიც ბევრი ბუდობს მის ბიტალოებზე. გაღმა-გამოდმა ათასწლოვანი მარადმწვანე ხეები ცამდე აწვდილან. ღამაში სოფელია ხალდე. ქვემოთ მდინარე ხალდეშურა ეხეთქება ტიტველ კლდეებს, ზემოთ საძოვრები იწყება. იქ მთის ყველა ბალახი ხარობს. ყველაზე მეტად კი სამყურა იყრის ტანს. მისი ღერო და ფოთოლი მზის შუქით, და მიწის რძით არის საგვს. სი-



რინოც სწორედ ამ იალაღებისაკენ მიდენიდა თავის ცხვარ-ძროხას. დილიდან დაღამებამდე უმწყემსოდ დაბალახობდნენ და საღამოს ჭიშკარს მოადგებოდნენ. ჯიქნები კოკებივით ეკიდათ, გავაზე ვეფხვი კბილს ვერ მოიკიდებდა.

ერთ დილით გაღმა საძოვარზე სირინომ სხვისი ნახირი დაინახა. ნახირს ახალგაზრდა ბიჭი ედგა, ხელში ჭუნირი ეკავა და უკრავდა. წარმტაცი ხმები მოდიოდა საძოვრიდან. ასეთი ხმები დღესასწაულის დროსაც არ გაეგონა სირინოს. ბიჭმაც დაინახა და მისკენ წამოვიდა.

— კარგი დაკვრა გცოდნია, — შესცინა სირინომ.

— ყვავილებმა მასწავლეს ეს სიმღერები.

— ყვავილებმა?!

— ჰო, ყვავილებმა, მათმა ფერმა და რჩევამ, ნიავი რომ დაუბერავს.

— განა ყვავილები მღერიან?

— თუ დაუკვირდები და მოუსმენ, ამქვეყნად ყველაფერი მღერის.

— მე კი არ მესმის, — სინანულით თქვა სირინომ.

— მე მესმის, — მშვიდად მიუგო ბიჭმა

— შენ რა გვქია?

— შერგილი.

— მე კი სირინოს მეძახიან. ნეტავ მე რატომ არ მესმის ეს სიმღერები?!

— მე ბაბუა მყავს, ჯოკია ბაბუა.

— მერე?!

— ბაბუამ მითხრა, ამ სიმღერებს მხოლოდ ის გაიგებს, ვისაც მზისქვეშეთი ძალიან უყვარსო. მშობელი ქვეყნის დიდი სიყვარული თუ გაქვს, ყველას სიმღერა გესმის და თვითონაც გემღერებაო.

— მე კი ბაბუა არ მყავს. არც დედა მყავს, არც და-ძმა.

— მაშინ რა გემღერება, ჩემო დაო!

— არც გემღერება, შერგილ, სიმღერა კი მაინც მიყვარს.

— ნათელი გული გქონია, მაშინ ყვავილებისაც უნდა გაიგონო!

— არ მესმის, ნეტავ რატომ არ მესმის?!

— ყოველი ფერი თავის სიმღერას ამბობს.

— ეს არ ვიცი, შერგილ, არ ვიცი.

— ჰოდა, უნდა მიხვდე.

— ყვავილები სულიერია?!

— ფერები უღგამენ სამყაროს სულსო, მითხრა ჯოკია ბაბუამ.

— ვითომ?!

— ასეა, ფერები თუ აირია, დაირღვა, გაქრა, ქვეყანაც წაიშლება, გაქრება, ერთფერი გახდება.

— უიმე!

— ასეა. ხეს თავისი ფერი აქვს, ქვას — თავისი. წყლის ფერი ხომ კლდისას არა ჰგავს, ცის ფერი — მიწისას. ცის სიმღერა სხვა არის, მიწისა კი სხვა. ყვავილებიც ასეა. კაცს იმ სიმღერის ეშხზე მოიყვანენ, რა ფერისაც თვითონ არიან.

— სიმღერის ეშხზე?!

— ჰო, ქვეყნად სიხარულს აფრქვევენ. ხომ ხედავ, მეც ამ ეშხით ვმღერი. — წყნარად თქვა შერგილ-ჭაბუკმა და ჭუნირი ააქურა.

სიმღერა ხალდეს მთის კალთებსა და მინდვრებზე გაიშალა, ხალდეშურას ნაპირებს მოედო, რძიან ბალახს და აშოლტილ ფიჭვებს მოეფერა. შეაქრულათ ყვავილებს, ათრთოლდნენ.

— ეს იის სიმღერაა...

სირინოს მართლა მოეჩვენა, თითქოს ხელში მთელი ბლუჯა ია ჰქონდა და მათი სურნელება აბრუებდა კიდევც.

— აბა გვირილების სიმღერას დაუგდე ყური!

ჭუნირმა ახლა სულ სხვანაირი ჰანგები მოჰფინა მიდამოს. სირინოს თვალი უნებლიეთ მინდვრისაკენ გაექცა. ბალახებში უეცრად თითქოს თეთრკაბიანი გოგონები გაჩნდნენ. ნელი რხევით ცეკვავდნენ, სწორედ ისე, როგორც გვირილებმა იციან ნიავზე. მერე თანდათან იმძლავრა ქარმა, თეთრ და ყვითელთავსაფრიანი გოგონებიც უფრო საამოდ აშრიალდნენ, მთელ მინდორს მოედვნენ.

შეშინებულმა გოგონამ ხელი მოჰკიდა ბიჭს, შერგილმა ათრთოლებული სი-

მები გააჩერა. ჭუნირიც დადუმდა. მი-  
დამო დაწყნარდა, აღრინდელი სახე  
დაუბრუნდა.

ღრო გავიდა. სირინო ყოველ დილას  
და საღამოს ხედებოდა შერგილს. ჭა-  
ბუკმა მასაც გადასდო ყვავილთა ფერე-  
ბის სიყვარული. ისხდნენ და გარინდე-  
ბულნი გასცქეროდნენ მიდამოს. საქო-  
ნელი დებალაზობდა, ხარბად გლეჯდა  
სამყურას ყვავილებს. გული სტკიოდა  
შერგილს:

— ნეტავ რატომ გააჩინა ქვეყნის შე-  
მქმნელმა ასე, ამ ფერთა სილამაზეს  
ხარ-ძროხა უნდა იწირავდეს?

ერთ საღამოს საქონელს სულ მოე-  
ტიტვლებინა ბატარა, ლამაზი მინდორი.  
ღერი ბალახი არ დაეტოვებინა. მხო-  
ლოდ ყვავილთა ფურცლები საცოდავად  
ეყარა აქა-იქ. შერგილს თვალი გაუშ-  
ტერდა: ერთ ადგილას ყვავილთა ფურ-  
ცლები ისე მოჰფენოდა მიწას, ხარის  
ვეება თვალს ჰგავდა, ნამდვილ თვალს.

შერგილი დაიხარა. ფურცელთა შო-  
რის, სწორედ თვალის გუგის ადგილას,  
შავი კენჭი ელვარებდა.

— ვინ ჩაავდო ეს შავი კენჭი ამ  
ფურცლებში? ალბათ უნებლიეთ მოხდა  
ასე, ხარის თვალი კი გამოვიდა, ეტყო-  
ბა კენჭებითაც შეიძლება ხატვა. ხალ-  
დეშურას ნაპირას ხომ ათასი ფერისა  
და ზომის კენჭია! რასაც მინდა, იმას  
დაეუხატავ სირინოს.

შერგილი თავქვე დაეშვა მდინარი-  
საკენ.

ერთ ადგილას წყალს გვერდი ექცია  
და მომცრო მალღობი დაეტოვებინა.  
ნაპირზე კენჭები იყო მისილული. ჭა-  
ბუკმაც ამ ნაპირს მიაშურა.

დაიხარა და კენჭების ამორჩევა დაი-  
წყო. რანაირი კენჭი არ შეხვდა: შავი  
და თეთრი, წითელი და ყვითელი, წაბ-  
ლისფერი და რუხი, აგურისა და  
წყლისფერი. ზოგი ცისარტყელსავით  
ელვარებდა, ზოგი სულ უფერო იყო.  
ზოგან თითქოს ორს ერთი ფერი დაჰ-

კრავდა და მაინც განსხვავდებოდა  
ერთმანეთისაგან.

— ყვავილებსაც კი არ აქვთ ამდენი  
ფერი! — გაოცდა შერგილი.

„იქნებ სირინოს სახე დავხატო?“ —  
გაიფიქრა უცებ და გაუხარდა.

„ეს თვალები იყოს“, — ერთი ზო-  
მის ორი შავი კენჭი ამოარჩია და სველ-  
სილაზე დააწყო. — „ეს წარბები,  
წამწამები“. მალე სახის ნაკეთებზე გა-  
დავიდა. ეს შედარებით ეძნელა. ოფლი  
წურწურით ჩამოსდიოდა. კარგად მო-  
საღამოვდა. გაბრუებულმა ყველაფერი  
რომ მოათავა, ნამუშევარს დახედა, შე-  
კრთა. ნამდვილი სირინო უყურებდა!  
ქალიშვილს ბრიალა. შავი თვალები და  
გრძელი შავი ნაწნავები ჰქონდა.

თვალები ბედნიერებით უბრწყინავ-  
და ბიჭს. კლდის ქიმზე ჩამოჯდა და გა-  
რემოს თვალი მოავლო. მერე ისევ რა-  
ღაც მოიფიქრა და წამოდგა. იქვე  
მდგარ თხმელას მკლავის სიმსხო ტო-  
ტები მოამტვრია, თავის ნამუშევარს  
შემოარაგვა, დილამდე ნადირს რომ არ  
გაეველო და არ წაეშალა; ზევიდანაც  
ტოტები გადააფარა და შინისკენ გაუ-  
ყვა.

მზე ჯერ კიდევ არ ამოწვერილიყო,  
რომ შერგილი სირინოს მამის კოშკს  
მიადგა.

სირინო ბაკში იყო, ძროხას წველი-  
და.

— ასე აღრე რამ მოგიყვანა, რა ამ-  
ბავია?!

— ხალდეშურაზე ჩამოდი, რაღაც  
უნდა გაჩვენო! — წყნარად უთხრა ჭა-  
ბუკმა.

— კარგი, შენ წადი და მეც მალე ჩა-  
მოვალ!

მივიდა თუ არა, შერგილმა თხმელის-  
ტოტები გადასწია.

სირინომ გაოცებისაგან ერთ ხანს ხმა  
ვერ ამოიღო.

— ეს რა გიქნია, შერგილ?! — აღ-  
მოხდა ბოლოს.

— შენ დავხატე, ფერად-ფერადი კენ-  
ჭები მოვქმენე და იმით დავხატე, არ  
მოგწონს?

— უიმე, როგორ მგავს, ნამდვილად მე ვარ, ნამდვილად ჩემი თვალბია, ჩემი ნაწნავები. შენი ჭირიმი, მამამ არ ნახოს, ჯადო კაცი ეგონები, შერგილ!

დიდი დავით მეფე გელათის ტაძრის შენებას შეუდგა. სამასიოდე ნაბიჯზე ქვის სატეხით ვეება კლდეებს გლეჯდნენ და ხის მორებზე აცურებდნენ. ქვის მთლელებს მოსვენება არ ჰქონდათ. კალატოზები მიწაყრილზე იდგნენ და ისე მუშაობდნენ. უზარმაზარ, გათლილ ქვებს აიტანდნენ, დაათარაზობდნენ, გაასწორებდნენ, დაკირავდნენ და ზევით მიიწევდნენ. ტაძარი ყოველდღე მთასავით მალღებოდა. გუმბათი დასრულდა და ახლა შიდა სამუშაოები გაჩაღდა. ტაძარს გარედან მიწა შემოაცალეს. სარკმლებიდან მზის შუქმა შეიხედა. კედლების მოხატვა დაიწყო, ფერწერის ოსტატები ერთმანეთს ეპაექრებოდნენ.

საკურობეგლის თავზე ამართულ ხარაჩოზე უწვერულვაშო ბიჭი შემდგარიყო, ხელში საზომი ეჭირა და გუმბათს აკვირდებოდა. ყველანი მას უყურებდნენ და ვერ მიმხვდარიყვნენ, რას აკეთებდა.

მხატვარი არ იყო, ფუნჯი არ ეჭირა. მღებავი რომ ყოფილიყო, საღებავებით ექნებოდა ხელები დასვრილი! არც მღესავი იყო, ხელში ქაფჩა არ უჩანდა, არც ქვის ოსტატი...

— ხომ არ თამაშობ, ბიძია, მანდ შენ, — ვერ მოითმინა ოკრიბელმა მღებავმა ლუკაია ლომთაძემ.

ბიჭმა ხმა არ გასცა. მხოლოდ ღიმილით ჩამოხედა.

ღიმილი მოეწონა ლუკაიას. შეეცოდა კიდევ ეს ბიჭი.

— არ ჩამოვარდე, ხომ იცი, მაგ სიმაღლიდან სული არ დაგყვება ძირს!

არც ახლა ათხოვა ყური ჭაბუკმა.

უცებ ჩოჩქოლი ატყდა. ტაძარში მეფე შემოსულიყო. ხუროთმოძღვარი ახლდა. ყველამ მოკრძალებით დახარა თავი. ჩოჩქოლმა ჭაბუკიც ჩამოახედა

ძირს. მეფე რომ შეიცნო, შეიშმუშა.

— მანდ რას აკეთებ, სვანო ჭაბუკო? — გაიკვირვა მეფემ.

— უამისოდ არ შეიძლება, მეფეო, ზომა უნდა ავილო, ზუსტი ზომა.

— ზომა? — ვერ მიხვდა მეფე.

— დიახ, მეფეო. ყოველი ფერის კენჭი თავის ადგილას უნდა იყოს. ადამიანის სხეულიც კი სხვადასხვა ფერითაა ნაქსოვი.

— მერე მანდ რას ზომავე, შერგილ ჩემო!

— აჰ, ბატონო, იმას ვითვალისწინებ, რომელი ფერის საროთი რომელ ადგილზე უნდა იქნას ჩამალული. თუ ეს დაირღვა, ყველაფერი წყალში გადაიყრება.

— დიდად ნიჭიერი ჭაბუკია, — ჩაიჩურჩულა ხუროთმოძღვარმა, — უსწავლელი და ასეთი გამჭვალავი გონება პირველად მხვდება ჩემს ცხოვრებაში.

— მასალა თუ მოიტანეს? — ისევ ხმამაღლა იკითხა დავითმა.

— მაგის მასალა ზღვის კენჭია, მეფევე ბატონო. მთხოვა, გამიშვიო, მე თვითონ შევარჩევ და მოვაგროვებო.

— შენ სად ფიქრობ გაუშვა?

— საბერძნეთში მინდოდა გამეგზავნა. შერგილს დაუყინია, გონიოს კენჭს მეტი სილამაზე აქვსო. იმასაც ამბობს, ჩვენი ხატი ჩვენივე მასალისა სჯობიანო.

დავითი მინდორში გავიდა. აკადემიის საფეხურებს ჩაუყვა. დიდი და მძიმე ხის კარი შეაღო. ოცდაათი ახალგაზრდა ბერი თავჩაქინდრული საქმიანობდა. არსენ მოძღვარი დასავლეთით ამაღლებულ ადგილას რაღაცას ჩაჰკირკიტებდა. არც ერთს მეფის მისვლა არ შეუტყვია. თავიანთი საქმით ძალზე გართულნი ჩანდნენ.

დავითს თვალბში სინათლე მოემატა. სახეზე სიამოვნება დაეტყო. ბატის ფრთის ყალმები ჩიტის ბარტყებოვით წრიბინებდნენ პერგამენტზე.

„უკვე შესდგომია იოანე ბერი თავის დიდ საქმეს“, — გაიფიქრა და დარბა-





შეწუხებულმა მეფეს შეხედა. დავითიც იმ წუთში მიხვდა მისახვედრს.

— მეფეს, შვილო, ქართველი კაცი არაფერს დაუმალავს, ისე, თუ მენდობი, საიდუმლოს შენახვაც ვიცი.

ახლა სირინოს მამის ნათქვამიც გაახსენდა, მეფეს არაფერი დამალვება, ყველაფერი გაემხილებათ.

— შერგილმა რომ გამიგოს, შეიძლება ეწყინოს. საიდუმლოდ გეტყვი, მეფეო, მან ყვავილთა სიმღერები იცის.

ხუროთმოძღვარს ავმა ფიქრმა გაუღვია და თვალეზი აუბრიალდა. გოგო შეშლილიაო, იფიქრა და შეწუხებულმა მეფეს შეხედა. დავითს თვალი არ დაუხამხამებია, დაკვირვებით უცქერდა სირინოს.

— ყვავილთა სიმღერა ვინ გაიგონა, გოგო?!

— ქვეყანაზე არავის არ გაუგონია, მეფე! მარტო მას ესმის. ჭუნირზეც გადააქვს. ყვავილთა ფერებით ისეთ რამეებს მოქარავებს, ყველა სულდგმული, ვინც კი შეხედავს, სიმღერის ხასიათზე მოვა.

დავითს გაეღიმა. ხუროთმოძღვარი ჯერ კიდევ ბურანში იყო.

— ჭუნირზე უკრავს თუ? — ისევ ღიმილით შეეკითხა დავითი.

— როცა ის გვირილების სიმღერას დაუკრავს, გეგონება, მთელი ხალდეს გვირილები ცეკვავენო. არა, კი არ გეგონება, მართლა დაინახავ!

— ხა, ხა, ხა, — ველარ მოითმინა ხუროთმოძღვარმა, — გრძნეული ბიჭი ყოფილა.

— კი მაგრამ, კენჭი რა შუაშია? — იკითხა მეფემ.

— კენჭები ხომ ფერადია. სხვადასხვა ფერის ყვავილთა ფურცლებს ჰგავს. მასაც ისე დაალაგებს შერგილი, გალობას გათქმევინებს.

— გესმის, ხუროთმოძღვარო, რას გვეუბნება ჩვენი სირინო?

ჩანდა, ახლა ხუროთმოძღვარიც მიხვდა მისახვედრს.

— ხუროთმოძღვარო, ხომ გაგიგონია

ნათქვამი რომაა, ადამიანი ეშვავს ქმნილიაო!

— გამიგონია, მეფეო!

— ტყუილია, ჭეშმარიტად მცდარი ნათქვამია. კაცის გონება მხოლოდ ღმერთს შეეძლო შეექმნა. ეშვავს რა ხელი ჰქონდა მასთან! მიხვდი, რა უნდა გითხრა, ხუროთმოძღვარო?!

— ვერ მივხვდი, დიდო მეფეო!

— ადამიანის გონება სიჭაბუქიდანვე ილტვის ჩასწვდეს ცხოვრების იღუმანებას და თუ მთლად ვერ ამოხსნის, რაღაც ბილიკს მაინც მონახავს მის შესაცნობად. მომწიფდება და, სიჭაბუქის ფიქრიც სიდარბაისლეში შედის, ისიც მასავით მწიფდება. ნაყოფიც სრულდება და რთველიც იწყება. სიჭაბუქის ფიქრი რას არ დალანდავს!

— უცილოდ ასეა, მეფეო, სიჭაბუქეში მეც მესიზმრებოდა ტაძართა დიდი კედლები და ცადაზიდული, შვიდ სვეტზე ამართული მისი ლაყვარლოვანი გუმბათები. ახლა, სიჭარმაგეში თუ მესადეს მაინც შევასხი ხორცი, ბედნიერი კაცი ვიქნები.

დავითს თითქოს არაფერი ესმოდა, გარინდებული მიაბიჯებდა ეზოში.

— მე კი სიჭაბუქიდან ჩვენი მამულის აღდგენა მქონდა ფიქრად და დარდად. ასი რომ გვაკეთო, ასჯერ ასი გასაკეთებელი დამრჩება. ბედნიერია ის ბიჭი; რაც უფიქრია—ასრულებს კიდევ.

უნებლიეთ უკან მიიხედა და ტაძრის კედლებს მიაჩერდა. ხარაჩოებიდან ჩამოსული შერგილი გაბადრული მიჰყვებოდა სირინოს. მეფე რომ დაინახა, სირბილით მისკენ წამოვიდა.

— ხალდეშურას კენჭი ჩამომიტანეს ხალდედან. ნახეთ, მეფეო, იქნებ ფერთა ელვარება არ მოგეწონოთ.

მეფემ ხუროთმოძღვარს შეხედა.

— აკი გონიოს კენჭი მინდაო! — გაიოცა ხუროთმოძღვარმა.

— მე, ბატონო, ხალდეშურას ხეინჯი მინდა გონიოსას შევადარო. თუ საჭირო იქნა, შევუროო კიდევ. მთის გიჟმაჟ წყალს სხვა ზომისა და ფერის კენ-



ქები აქვს, ზღვას კიდევ — სხვანაირი ჩვენ ორივე უნდა გავსინჯოთ.

— სიმონ გამდელს და თედორეს ჰკითხე, შერგილ. ეს საქმე მათ უკეთ იციან.

დავითმა წასვლა დააპირა.

— უმითოდ ნაბიჯს როგორ გადავდგამო, — თითქოს თავისთვის, მაგრამ მტკიცედ ჩაილაპარაკა შერგილმა და მეფეს გაჰყვა.

— მოძღვართ-მოძღვარ იოანეს უბრძანებია, მცხეთის ჯვარიც ნახოს, წრომის ტაძარშიც ავიდეს; ბიზანტიაშიც უნდა გავავაზავნოთ.

ეს კარგი უთქვამთ. იქ ბევრ რამეს ნახავ და ისწავლი. მაგრამ იცოდნე, შენი ნახელავი მათსას არ დაამგვანო; შენ შენებურად უნდა გააკეთო...

ხუროთმოძღვარმაც შეხედა შერგილს. ეტყობოდა, მის თვალბში უნდოდა ამოეკითხა. გაიგო თუ არა მეფის ნათქვამი ყმაწვილმა.

— სიმონ გამდელზე და თედორეზე უკეთ აკეთებენ ხატებს ბიზანტიაში?! — გულუბრყვილოდ შეეკითხა ხუროთმოძღვარს შერგილი, თან მეფეს შეხედა, რას იტყვისო.

— იმათ რაც იციან, შენი თვალით გედავ! შენ ახალგაზრდა ხარ და ყველაფერი უნდა ნახო.

ეზოს კარებში იოანე მოძღვართ-მოძღვარი გამოჩნდა. თვალი ჰკიდა თუ არა მეფეს, შეკმულხედილი შუბლი გაეხსნა.

ბიჭი უცებ შეაჩერდა დავითს და გაოცდა. მეფეც ისე იზრდიდა წვერულვამს, როგორც მოძღვართ-მოძღვარი.

„მე მაფრთხილებს, ხატები სხვასავით არ აკეთოთ, თვითონ კი გულით უნდა, იოანეს დაემგვანოს. თურმე მეფეებიც კი სხვას ბაძვენ! როგორც კი ავალ სვანეთში, ეს ამბავი ბაბუას უნდა ვუთხრა,“ — გაიფიქრა შერგილმა.

იოანეს მოწიწებით მიესალმნენ მეფეც და ხუროთმოძღვარიც.

— მოძღვართ-მოძღვარო, მცხეთის ჯვრის და წრომის კონქები თუ გინახავს

მოკენჭილ-მოხატული?! — იოანემ შერგილს გადახედა.

— ეს არის, მეფეო, ის სვანის ბიჭი, შენ რომ მიქე?!  
სვანული  
სიტყვა

— კი, ეს არის. აუცილებლად გავზავნოთ ბიზანტიაში, თუ ჩვენი ტაძრების ნახვაც საკმარისია?

იოანემ შერგილს თავზე ხელი დაადო, შემოაბრუნა და თვალბში ჩახედდა.

— ამ ბიჭს ეტყობა, რომ გვასახელებს. ბიზანტიაში კი ერთი ზამთრით მაინც უნდა წავიდეს... წერილს მივუწერ დიდ მოძღვართან. მეც გთხოვდით, მეფეო, რომ იქ ორი ყმაწვილიც გაგეშვათ, ეტრატები უნდა გადავწერინოთ, უამისოდ გაგვიჭირდება.

შერგილს ხმა არ ამოუღია. მხოლოდ ფიქრმა გაჰკრა. მაშინ სვანეთში უნდა ავიდე. ბაბუას ვნახავ, გამოვემშვიდობები. ვინ იცის, ცოცხალი დამხვდება თუ არაო.

— ორი ვითომ საკმარისი იქნება, იოანე მოძღვარო?

— გავსინჯე და ხელწერაში სხვები ჯერჯერობით მოიკოტლებენ. მოვამზადებთ და მომავალში მეტს გავგზავნით.

შერგილს თვალები გაუბრწყინდა.

— სირინო ისე ლამაზად წერს, მეფეო, თვალი ზედ დაგრჩებათ.

მეფეს და ხუროთმოძღვარს გაელიმათ.

— კი, მეფეო, — არ ცხრებოდა შერგილი, — ჩვენმა მოძღვარმა გადააწერინა საგალობლები და თქვა, ქვეყნად ასეთი ხელწერა არ მინახავსო.

— სირინო ვინ არის? — იკითხა იოანემ.

— ჩემი სოფლელია, ხალდედანაა, ჩემზე ორი წლით არის უმცროსი.

— სვანთა მშეთუნახავია, — დაუმატა დავითმა და ღიმილით გადახედა შერგილს.

— მერე შენ ვინდა, ყმაწვილო, ქალწული ქალი უცხო ქვეყანაში გადავკარგოთ? მშობლები ვითომ თანახმა იქნებიან?!

— მერედა, ასეთი მშვენიერება იქ რომ მოგვტაცონ? უცხო ქვეყანაში ვინ დაიცავს მას? — იეთხა მეფემ.

— მე იქ არ ვიქნები, მეფეო? — სიწითლემ გადაკრა შერგილს. — სირინო კი უჩემოდ ფეხსაც არ გადადგამს.

სწორედ ამ დროს სირინომ კენჭებით სავსე თხის თეთრი გუდა ჭიშკარში ქოშინით შემოათრია.

— ქალს ასეთ მძიმე ტვირთს ათრევენებ, ვაჟო? — კეთილი ღიმილით შეუტია შერგილს მეფემ.

— სირინო! — დაუძახა შერგილმა, — ხომ გითხარი, ცხენიდან საპალნე უჩემოდ არ ჩამოიღო-მეთქი?

— მინდოდა მეფეს ენახა ხალდეშურას ზვიწყის ნაირფერობა და სილამაზე.

— მოიტანე აგერ, აბა ერთი მუჰა მოლზე დაყარე, — გასძახა ხუროთმოდღარმა.

შერგილი გაიქცა და სირინოს მიეშველა. გუდა ხუროთმოდღარის ფეხებთან დააგდო, ყელი შეხსნა და გასწიგამოსწია, იქიდან წვრილ-წვრილი ყვავილებივით ნაირფერად ამოანათა კენჭებმა. ყველანი დაკვირვებით დააცქერდნენ. შერგილმა რამდენიმე პეშვი ამოიღო და მოლზე დაყარა. სხვადასხვა ფერის კენჭებმა სიმწვანეში თვალები უფრო დაუკვიტეს.

— აი ნამდვილი მშვენიერება, არ მეგონა, ხალდეშურას ნაპირზე ამდენი ფერის კენჭს თუ იპოვიდა კაცი! — გაიოცა მეფე დავითმა.

— ეს სირინოს შეურჩევი. ასე შევთანხმდით, — გაელიმა შერგილს და მადლობის თვალით გაიხედა ყმაწვილი ქალისაკენ.

— „ქვეყნის-სამზომლო“ ხომ არ გისწავლია, შვილო! — გოაცებით შეეკითხა იოანე ქალწულს.

— რა ბრძანეთ, მოძღვართ-მოძღვარო? — ვერ მიხვდა შერგილი და მერე უდარდელად დაუმატა, — სირინოს მართო მამამისი ასწავლიდა ანბანს.

მეფეს გაელიმა.

— მოძღვართ-მოძღვარო, სირინო

შერგილის თვალებით ზომავს ქვეყანას. მისი მეცნიერება ყველაზე დიდძალია ნიერებაა ამქვეყნად.

ხუროთმოდღარი დაკვირვებით ჩასცქეროდა პეშვზე დაყრილ კენჭებს.

— ღიახ, საოცრებაა! — თითქოს არც გაეგონოს მეფის სიტყვა, ისე განაგრძო მან. — დაუკვირდით, სუნიც კი თავისებური აქვს. მთის ყვავილის სურნელება შემოუნახავს. მე მეგონა სურნელება მარტო ზღვის კენჭსა ჰქონდა.

იოანემაც პეშვით აიღო კენჭები.

— წაბლის სურნელება აქვს, — თქვა წყნარად. მერე თვალებთან ახლო მიიტანა და დააჩერდა. — თითქმის სუყველა ბრტყელ-ბრტყელია. მართლაც მისწრებაა მოსახატად. „სოფიას კენჭი“ მაინც დაგვკვირდება. გამკვირვალეა, მინასავით ატარებს შუქს. ეტყობა, ერთმანეთში უნდა შეეღუროთ.

მეფემ არაფერი თქვა. წყნარად გაემართა ჭიშკრისაკენ, როცა უკან მოიხედა, დაინახა, იოანეს და ხუროთმოდღარს არსენ წინამძღვარი ესაუბრებოდა.

ნეტავი იოანე და არსენი თუ კიდევ ერთმანეთში დაობნო, — გაიფიქრა და ფიქრშივე დაუმატა: — ბრძენთა დავა ხალხისთვის სასარგებლოა. მეფეთა დავა სისხლიანი და კაცთსაძულველი, ხალხთა დოვლათის გამჩანავებელი, აღამიანთა გონიერების დამსუსტებელი. თუმცა უმეფოდაც არ შეიძლება გონიერებს უგნურები ჭარბობენ ამ სოფელში და უმეფოდ ისინი ყველაფერს წალეკავდნენ.

იმ წელს ზამთარი ადრე დადგა. გიორგობისთვეში ხალდეს კალთებზე სამი წყრთა თოვლი იდო. მონადირეები მთაში გაიკრიფნენ სანადიროდ. სირინო შერგილის გამოგზავნილ თბილ შალის ჩაბალახს ყვავილებს აქარავდა.

— უფრო რბილი და თხელი ღაზლის

ქსოვილი რომ იყოს, დარაიას ძაფი მოუხდებოდა. ეს თბილი კი იქნება, მაგრამ უხეში ჩანს, — თავისთვის ლაპარაკობდა იგი.

ძროხა და ხარი თივას ახრამუნებდნენ.

კერაზე ცეცხლი გიზგიზებდა. კოშკის თავზე ყინვის ლოლუები ეკიდა. ძელურში კვამლი ბრუნავდა.

უცებ ხმაური მოისმა. სირინომ ყურები ცქციტა. მალე ზღურბლზე ვიდაცამ ფეხი შემოდგა.

— რომელი ხარ? — შეეკითხა მოსულს.

— კარი გააღე, შვილო, მე ვარ, — გოგონა ისე წამოფრინდა, თითქოს ფრთები შესხმოდეს.

შეფიფქულ გულდედანს კისერზე ხარ-ჯიხვი მოეგდო. იგი ნელა მივიდა და ტვირთი რბილად დადო კერაისთან. ვეება ხარ-ჯიხვი იყო. სამ-სამი წყრთა რქები მოჭრილი მუხის ტოტებივით ეყარა მიწაზე.

— ჩვენს ძროხაზე დიდი! — გაიკვირვა სირინომ.

— დალის თვალი მწყალობს, შვილო. მეორეც მოგკალი, თოვლში ჩაფალი, გოგირდი ვუკმე, ნადირი რომ დააფრთხოს. დილით უნდა გაგბრუნდე.

— ნეტავი ერთხელ დალი მაჩვენა. ამბობენ, ქალს არ დაენახვება, ქალი ეკავრებაო. შერგილი რომ შეხვედროდა, თუ დაენახვებოდა ნეტავი?! კარგი ვაჟები უყვარს თურმე.

— რას ამბობ, გოგო, დალზე ასეთი ლაპარაკი გამიგონია? რომ გამიჯავრდეს, ხომ დამღუპავს.

— შენ როგორ ფიქრობ, მამა, შერგილს დაენახვებოდა დალი?

— რა ამოიჩემე, გოგო, ის გადაკარგული ბიჭი!

— გადაკარგული კი არა, მეფის წარგზავნილია.

— მერე ამდენ ხანს რად არ გაგვიხსენა. შეიძლება იქ დაცოლშვილდა კიდევ?

სირინო ელდანაცემი წამოვარდა.

— რას ამბობ, მამა! შერგილს ორი

გული არა აქვს, ყველა სვანივით ერთი გულის პატრონია!..

— ეჰ, რა ვიცი, შვილო, მამ ამდენ ხანს სიტყვა ვერ მოგვაწვდინა?! შენი შეხედვა გულს მიკლავს. ხანდახან დედაშენი მომელანდება, ალბათ მასაც აწუხებს შენი გულისტიკვილი!

— შერგილი მალე ჩამოვა, სულ მალე, დედას კი, თუ კიდევ დაგესიზმროს, უთხარი, სირინო ბედნიერია-თქო. მთელ სვანეთში ვისა ჰყავს შერგილისთანა საქმრო?

გარეთ თოვლი აჭრიალდა.

— ვილაცეებია, მამა! — გაფითრდა გოგო. მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ კოშკის ძირიდან ძახილი მოისმა.

— სირინო, სირინო, ძაძუ ვარ! სტუმრები მოგიყვანე, დიდი მეფის წარმოგზავნილებია!

— საპატიო სტუმრებია. ღმერთო, შერგილის კარგი ამბავი ათქმევინე მოსულებს, — პირჯვარი გადაიწერა ძველმა მონადირემ.

— გახედე, მამა, მე კი მანამ კაბას გამოვიცვლი. ასე ვერ დავხვდები სტუმრებს.

გულდედანმა კარი გამოაღო. მეზობლის ქალს ორი ნაბადშემოხვეული ვაჟკაცი შემოჰყვა.

— მშვიდობა ამ ოჯახს.

— გამარჯობა არ მოშლოდეს ამ კერას.

— მობრძანდით, მობრძანდით! მეფის მოგზავნილები — ღვთის მოგზავნილებია. რისთვის გავსარჯათ დიდმა მეფემ ასეთ ამინდში?

— მოგიკითხათ მეფეთ-მეფემ, საჩუქარიც მოგიძღვნათ. მათ შორის ერთი შერგილს გამოუგზავნია შორეული ზღვისპირეთიდან.

— ღმერთმა თქვენს მარჯვენას უშველოს. თუ შერგილი ავად არ არის, ჩვენც ბედნიერები ვართ მამინ, შვილებო!

— კარგად ყოფილა. ეს ზამთარიც და კვირიკობისთვეში მანდ ვიქნებო, შემოუთვლია. მეფემ თქვენი ქალიშვი-



ლისათვის ცალკე გამოგვატანა მოსაკითხი.

კაბულებმა ხურჯინის თავები ნელ-ნელა გახსნეს.

— ამ თოვლში როგორ მოაღწიეთ ჩვენამდე? — გაკვირვებით იკითხა მასპინძელმა.

— უშგულელები ვართ. ახლა მეფის კარზე ვიყავით და იქედან წამოვედით.

— კარგი ყმები ყოფილხართ, შვილებო, ღმერთმა და მეფემ გაკურთხოთ! დავით მეფე ხომ კარგადა გეყავს?

— შემოგითვალათ — კვიციის გამოგზავნისთვის მადლობა მომიხსენებიაო.

— ღმერთმა უშველოს, ჩემი კვიცია სახსენებელია, მაგრამ მაინც მეამაიმის გაგება, რომ დიდი მეფე კმაყოფილია!

— ისეთი მოუღლეელი მუხლი დუნიაზე ცხენს არ ექნება! დავით მეფეს არაბული ცხენების რემა ჰყავს. ვერც ერთმა ფეხი ვერ გაუსწორა შენს ნაჩუქარ კვიცს.

— მთის ცხენია, შვილო, ძლიერი წვივი აქვს. მერმე მე ჯიხვის რძითა ვზრდიდი სამეფო კვიცს. ნადირის რძეს კი სხვა ძარღვი აქვს, ცხელია, ცხენს სისხლს უთბობს, დაუღეგარს და მოუღლეოს ხდის.

სირინო კოშკის კიბიდან ჩამოვიდა და მოსულებს მიესალმა. ვაყებს თვალელებში სინათლე ჩაუღდათ.

— რად ირჯებოდა მეფე-ბატონი. განა ცოტა აქვს საზრუნავი? თქვენიც დიდი მადლობელი ვარ, რომ შერგილის სიკეთე მითხარით.

სტუმრებმა სირინოს მეფის ძღვენი მიაწოდეს. ძვირფასი ბეწვის ჯუბა იყო.

— უიმე, ამას ვინ ჩაიცვამს?

— ქორწინებამდე ეს იყოს და ქორწინებისათვის სხვა გვევალეობდესო, ბრძანა დავითმა.

— შერგილი კვირიკობისთვეში ჩამოვა. მწიფობისთვეში ქორწილი უნდა გადავიხადოთო, ასე ბრძანა მეფემ, — წყნარად დაუმატა მეორემ.

— თქვენ პირს შაქარი. ახლა ეს ჯიხ-

ვი გავატყავოთ და მწვადები შევწავთ! — შერგილის საჩუქარი არ მთავრდება თმეგია ჯერ.

პირველმა ვაჟმა ლამაზად ნაქსოვი ბოხჩა გახსნა. აბრეშუმის წითელ ქსოვილში რაღაც იყო შეხვეული. თვალელებაბრიალებულმა სირინომ მორცხვად ჩამოართვა და გაშალა. შიგ პატარა სახარება აღმოჩნდა. ვერცხლის ყდაზე მინასავით გამჭვივრვალე წვრილი კენჭებით დავითის სახე იყო ჩაქედილი. მეფე საოცრად ცოცხალი თვალეებით იყურებოდა.

— შერგილის ხელია! — აღმოხდა სირინოს. — იქ გაუქეთებია!

ფურცელი გადაშალა. ქართული ასოებით იყო ნაწერი.

— გელათშია თარგმნილი, ყდა კი უცხო ქვეყანაში გაუქეთებია. ბარაქალა, ბიჭო. სამწუხაროა, მეფეს არ უნახავს ეს წიგნი.

— რატომ არ უნახავს?!

— შეხვეული იყო და მეფე როგორ იკადრებდა მის გახსნას.

სირინო ჩაფიქრდა.

— მაშინ, როცა უკან წაბრძანდებით, თქვენ თვითონ წაუღეთ მეფე ბატონს. ნახოს და გაუხარდება: ახლა კი, მამა, ვახშამს მივხედოთ, შენც მოშიებული ხარ და სტუმრებსაც გამასპინძლება უნდა.

მან წიგნი ასწია, სახატეზე უნდოდა შემოედო. უეცრად იაბაკზე გვირილას ხმელი ფურცლები დაცვივდა.

— ხალდეს ყვავილებია. შერგილს შეუუნახავს ფურცლებზე! — სახე გაეზადრა სირინოს.

●  
რა ჯურის კაცს არ შეხვედებით ბერძენთა ქალაქში. ვის გაუგოს სვანმა ბიჭმა! ბერძენს თუ სპარსელს, ისრაელს თუ არაბს, პაჭანიკსა თუ ათას სხვა ვინმეს. დიდმა მოძღვართ-მოძღვარმა, სანამ მთვარე ათჯერ დაილეოდა და გაივსებოდა, ორი ღერი ბერძნული ასწავლა. ეს არის და ეს. ამ სიტყვებით პურს თუ იყიდის და წყალს დაღვეს.

ერთი რამ კი ძალიან მოსწონს ამ ქალქში: ბაღჩები ვარდებითა და ყვავილებით არის სავსე. ასეთი ვარდები ხალდეს მინდვრებს არც დაესიზმრება, ორი პეშვის ხელაა თითო კოკორი. სურნელებას არ იკითხავთ? ერთი ვარდას სურნელი მთელ ხალდეს გააბრუებდა! ნეტა ერთი სირინოს გაუგზავნოს ყვავილები ისე დაუტყვნობლად! იქნებ თესლი ჩაიგდოს ხელში. იქნებ კი არა, აუცილებლად უნდა იშოვოს. დავით მეფეს გაუხარდება. მერე როგორ დაამშვენებს უქიმეროინის ბაღებს!

ცაზე კი თითქმის ისეთივე ვარსკვლავები ჩანდა, როგორც ხალდეში. ოღონდ ესაა, სხივთა ციალი იყო სხვანაირი! თითქოს უფრო ნაზი და ხვეწილოვანი. იქ კი, მის ხალდეში, ვარსკვლავები კაშკაშა და აილამას მწვერვალივით მიუკარებლნი არიან; ეჰ, როდის გავა დავითის დათქმული დრო! შერგილმა საკუთარი თვალთა ნახა სანახავი. გასაკვირი არც არაფერია! იცის ხალდელმა ჭაბუკმა, ზღვის კენჭით როგორ მოხატოს ჩაფიქრებული სახე და ნივთი. ამ ქალქშიც რომ არ წამოსულიყო, ისედაც დაძლედა განზრახულს. დემეტრო, არ შეგცოდო და, სწავლით არცთუ ცოტა ისწავლა. ბევრი რამ ახალი ნახა და შეითვისა.

დიდი ოსტატები ჰყავთ ბერძნებს. ისეთი თვალი აქვთ, მზის ფერს ათასნაირად დაგინატავენ და მზის მზეობას კი მაინც ყველგან აგრძნობინებენ მნახველს. მალე გელათშიც ეყოლებათ ასეთი ჭაბუკები. დიდი იოანე და მოძღვარი არსენი კავკასიის მთებს გადადგამენ, თუკი მოინდომეს. ჰოი, იოანე, იოანე! მართალია, დავით მეფეს არც რაინდობა აკლია და არც სიბრძნე, მაგრამ შენი მსგავსი ადამიანები აღამალებენ ერის გონებას. მისი სიბრძნის სალაროს შენისთანა შეწირული ადამიანები ამდიდრებენ.

ამ ფიქრში გართული შერგილი ნელი ნაბიჯით მიდიოდა ბოლახისკენ. იქნებ ზომალდს ქართველი ვინმე ჩამოჰყვეს და სამშობლოს ამბები მითხრასო.

უზარმაზარი ბოლახი ათასი ჯურის ხალხით იყო სავსე. ზღვაზე აფრების თვალუწვდენი ტყე ირჩეოდა და მოლები, მღვდლები და ბერები ერთმანეთში იროდნენ. ქუჩები გლახაკებით იყო მოფენილი. სვანი კაცისათვის მაინც ყველაზე ლამაზი და საოცარი ზღვის ულამაზესი ლურჯი უბე იყო. სანაპიროზე დიდებულთა სასახლეები წამოეჭიმათ. ბაღებში ათასნაირი ვარდი, ფორთოხლის ხე და მისთვის უცნობი სურნელოვანი მცენარე ჰყვავოდა. სვანეთის წყლები და მდინარეები მაინც სხვა არის. ხალდეს ცაზე შეტოტებული მწვერვალები მთელ დუნიას ურჩვენია.

უცებ ორ უცხო კაცს მოჰკრა თვალი. აქაურებს არ ჰგავდნენ. მათი მიხვრამოხვრა, სიარული და სახის ნაკვთები ეცნაურა. ტანსაცმელი კი ნამდვილად ქართული ეცვათ.

— ქართველები ბრძანდებით? — მორიდანვე შეეკითხა.

— დიახ, საქართველოდან ვართ. შენ კი ვინა ხარ, ჭაბუკო?

ახლა კარგად შენიშნა შერგილმა, უბრალო აზნაურები რომ არ იყვნენ. ქამარ-ხანჯალი და ხმალი სულ ოქროთი ჰქონდათ მოჭედილი.

— შენ ის სვანი ჭაბუკი ხარ ალბათ, გელათის ტაძრის გუმბათის მოსახატად რომ გელიან!

— ვინ მელის?! — შეცბა შერგილი.

— თვითონ მეფე დავითი. სულ მალე ყველაფერი დასრულდება. შენ კი გუმბათის კედლის აღმოსავლეთ მხარეს გიტოვებენ. ასე უბრძანებია ხუროთმოძღვარს.

— თქვენ რისთვის გარჯილხართ?

— მეფეთ-მეფის დავითისაგან ბერძენთა მეფის კარზე ვართ წარმოგზავნილები.

— როდის წაბრძანდებით, იქნებ მეც გამოგყვეთ, ჩემიანებთან მგზავრობა გამიხარდება.

— ჯერ არ ვიცით, ჭაბუკო, თანაც მეფის დასტურის გარეშე ვერ წავიყვანთ. მან დაგვისაგზოა, ინახულეთ და ჩემი ბრძანება უთხარით: ბევრი ისწავ-

ლოს. ჩვენს მიწაზე სასახლეების და ტაძრების შენება უნდა დავიწყოთო.

— ნუთუ მეფეს ვახსოვარ, — გაწითლდა შერგილი.

— ახსოვხარ კი არა, გვიბრძანა მოინახულებო და ჩემი საჩუქარი გადაეცითო, — უთხრეს და ხელში ოქრო-ვერცხლით სავსე აბრეშუმის ყაითნით ნაქსოვი ქისა ჩაუდეს. — არაფერი მოიკლოსო, დავგაბარა.

გაოგნებული ჭაბუკი ქისას დასცქეროდა.

— იცოდე, ხვალ შემოგივლით, არსად წახვიდე. ნაბრძანებ ადგილზე უნდა მოგიყვანოთ, — უთხრა პირველმა.

შერგილი ამის მთქმელს დააკვირდა. მეტად ახალგაზრდა ჩანდა იგი. შავი, თხელი წვერ-ულვაში მის ნათელ სახეს გაქვაცურ იერს აძლევდა. „ვინ უნდა იყოს ნეტავი“, — გაიფიქრა შერგილმა. მერე უცებ მიხვდა, კინაღამ შუბლზე იტყვიან ხელი! ნამდვილად სახლთუხუცესი იდგა მის წინ.

„ესენი დიდ საქმეზე არიან ჩამოსული. მეფე სახლთუხუცესს ადვილად არ გამოუშვებდა“ — გაიფიქრა მან.

— თქვენს ბრძანებას ვინ გადაუვა, სახლთუხუცესო! — უცებ წამოცდა ეს სიტყვები.

— მიცანი! — გაცოცდა სახლთუხუცესი, — იცოდე, არსად დავცდეს! არ მინდა, ჩემი აქ ყოფნა ვინმემ იცოდეს. ხვალ კი გამოგივლით, ბინა ვიცით, პირველად როდი ვართ ამ ქალაქში. აბა თუ მიხვდები, სად უნდა წავიყვანოთ!

— ვერ მივმხდარვარ, სახლთუხუცესო!

— მეორედ არ წამოგცდეს ეს სიტყვა, აკი გაგაფრთხილე!

— ბოდიში, ბატონო, — შეწუხდა შერგილი.

— ხვალ მეფის სრა-სასახლე და ბაღები უნდა დავათვალიეროთ. დავითს უნდა, თვითონვე ნახო მათი სიმდიდრე და მხატვრობა.

შერგილს სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა.

— ჩემი ფიქრიც ეს იყო! — წაილულულა მან.

— ასეა, ძმაო, დავით მეფემ ყველა მისი ქვეშევრდომის ფიქრი იცხადებდა ტომაა დიდი მეფე.

— ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს.

— აბა, ჩვენ წავედით. მშვიდობით. ორი ნაბიჯიც არ გადაედგათ, რომ სახლთუხუცესი ისევ შემობრუნდა.

— შერგილი! — შემოსძახა ჭაბუკს. — ჭუნირი ხომ არ წამოგყოლია. დავით მეფე დაკვრას გიქვებს, ჭუნირის ხმა სამშობლოს გაგვახსენებს.

— აქა მაქვს, ბატონო, ჭუნირი ჩემი ხმალიც არის და ფარიც.

— მაშ ხვალ ადრე გამოგივლით, წასვლამდე ერთ-ორ სიმღერას მოგვასმენინებ.

— როგორც თქვენ ბრძანებთ, ისე იქნება, ბატონო!

ზღვა წყნარი იყო და ლურჯი. საღამოს გრილი ნიავი წელა არხევდა ხეთა ტოტებს. დიდი ხომალდები თეთრი ღრუბლებივით მოჩანდნენ შორიდან.

შერგილის სენაკის წინ სამინი ისხდნენ. ჭუნირის ხმა წყნარად დაირხა ზღვისპირეთში. გალობაც წყნარადვე წამოიწყო შერგილმა. ნელ-ნელა გაიღო მონასტრის სხვა სენაკთა კარი, თავა გამოჰყვეს ბერებმა და შევირდებმა. ერთმა ვერ მოითმინა და ბერძნულად დაიძახა:

— შერგილი უკრავს, გამოდით ბიჭებო, გამოდით!

— შენ, ჭაბუკო, ეტყობა, თავი გამოიჩინა კიდევ! — გაელიმა სახლთუხუცესს.

შერგილმა თანდათან აუწია ხმას.

ახალგაზრდა შევირდები გარს შემოესვივნენ.

— იცოდე, ტოლივით მელაპარაკე, გინდა ნათესავად გააცანი ჩემი თავი. — ხმადაბლა გადაულაპარაკა სახლთუხუცესმა შერგილს.

მოსულეებს ერთი ახოვანი, შავთმიანი ყმაწვილი გამოეყო.



— ლილე იმდერე, შერგილ, — შეეცეწა იგი სვან ჰაბუქს.

— განა ჩვენი სიმღერებიც ასწავლე ამათ?! — გაცოცდა სახლთუხუცესი.

— თვითონ ისწავლა. მეტად მოსწონს ჩვენი სიმღერები. ამ ბოლო დროს თვითონაც მეხმარება. ისეთი მოძახილი აქვს, მოგეწონებათ. ათენელი ბერძენია, ოქროს ხელი და გონება აქვს.

— შენი თანამემამულეები არიან?! — იკითხა ისევ ბერძენმა. — დიდი კაცები ჩანან, ის ერთი მაინც ბრძენი იქნება!

სახლთუხუცესს კინადამ სიცილი წასკდა. შევირდმა ის კი არა, მისი მხლებელი ჩათვალა ბრძენ კაცად. თავი შეიკავა, იცოდა, ბერძნულად დალაპარაკება საკუთარი თავის გაცემას ნიშნავდა. შერგილმა ლილე წამოიწყა. სახლთუხუცესმა და მისმა მხლებელმა ვეღარ მოითმინეს და ხმა ააყოლეს. მწყობრი სიმღერა საოცარი სიძლიერით ამაღლდა. უსმენდნენ და ეგონათ კავკასიონის მთები თანდათან გუგუნით შიშვლდებოდნენ და მალღვებოდნენ. კალთებს იშმუშინდნენ, მხრებს იბერტყავდნენ და ყინულეთიდან თოვლი ხევებში ცვიოდა, ქვესკნელში მიქშუოდა. სამი ქართველი კი არა, ასი მწვერვალი მღეროდა. არა, ეს ამირანი გუგუნებდა ადამიანთა სიმძლავრეზე, ვაჟკაცობაზე, შეუდრეკლობაზე. ეს ღმერთების სიმღერა კი არა, მათი სიძლიერის დამხობის საგალობელი, ადამიანის ნიჭისა და გონიერების, მისი უტეხი რაინდობის ამაღლებული ჰიმნი იყო.

უცებ მონასტრის წინამძღვარი გამოჩნდა, დინჯად მოდიოდა მათკენ. შერგილმა შეხედა და დაიბნა. არ იცოდა, რა ექნა. დაბნეულობა ხმაზეც დაეტყო ჰაბუქს. ეტყობა, წინამძღვარმა იგრძნო ეს და ანიშნა, ნუ გეშინია, იმდერეო! ერთი კიდევ შემოსძახეს და დაამთავრეს. ხმას არავინ იღებდა. მხოლოდ მომღერლებს შესწითლებოდათ სახე.

— დიდებული სიმღერა გქონიათ, შვილებო, დაილოცა თქვენი კუთხე.

„სიმღერა შენ ჩვენი მეფე დავითისა უნდა მოისმინო! — გაიფიქრა სახლთ-

უხუცესმა. — ის რომ დააგუგუნებს, თქვენს მონასტრის ქვის გუმბათს ახდის.“

— შერგილ! — მიუბრუნდა უცებ ჰაბუქს, — მეფემ მითხრა, ყვავილთა სიმღერა იცისო, ვაჟობას გაფიცებ, მომასმენინე.

შერგილი შეკრთა. „რა საჭიროა ახლა აქ ყვავილთა სიმღერა? ვაითუ ვერ გამიგონ, სირინო და მეფე სხვაა, ამათ კი, ვინ იცის, დამკინონ კიდევ უარს მაინც ვერ ეტყვის მეფის სახლთუხუცესს. მერე სად, ამ უცხო ქვეყანაში განა ქართველი კაცი ქართველს სიმღერის მოსმენის ეშს გაუმტყუნებს?!“

ჭუნირის სიმებს ჯერ იის ჩურჩული აღმოხდა. ბგერები წყნარად, ნელა დაიბნა მონასტრის ეზოში. მერე წყნარადვე მოეფინა ზღვის ნაპირს, ბაღებს, სასახლეებს. წინამძღვარი წინ წადგა, თითქოს ისედაც ლურჯი ფერები, ზღვას თხელი ნისლივით რომ გადაჰკვროდა, ახლა უფრო გამუქდა, იისფერი დაედო. თითქოს იის სურნელი გაჩნდა კიდევ მონასტრის ეზოში და გარემოს მოეფინა. თვითონ შერგილის ფიქრი კი ხალდეს მინდვრებზე დაჰქროდა. ახლა თვითონ მოუნდა გვირგვინის სიმღერა, ხალღელი გოგონების ცეკვა. სიმები მწყობრად ირხეოდნენ და ცის გუმბათს აჯანკალებდნენ.

— საოცარია პირდაპირ! — დამთავრებისთანავე თქვა წინამძღვარმა. აქ, ჩვენში, იოანე ქართველის მკრეხელობა უკვირდათ, ჩვენი ეკლესია მის ცოდვებს მისსავე მასწავლებელს, იოანე იტალოსს აბრალებდა. ვინც თქვენ სიმღერებს მოისმენს, მიხვდება, საიდან მოდიოდა მისი წარმართული ფიქრები. ბრძენთა-ბრძენია იოანე პეტრიწონელი, მაგრამ ერთარსება ღმერთი მას ჩვენსავით როდი სწამს!

— იოანეს მკრეხელობა ვინ თქვა, წინამძღვარო?! — წამოდგა შერგილი.

— დაჯექი, ბიჭო. — უბრძანა სახლთუხუცესმა, — შენ რა იცი, შვილო. ამათ თავიანთი პაექრობა და დავა აქეთ. ეს ჩვენი საქმე არ არის!



— მიწის პირზე ისეთი მტერი ახლა მართლმადიდებელ ეკლესიას არა ჰყავს. გონებით ძლიერია და მით არის საშიში. გავიგე, თქვენს მეფეს იოანე პეტრიწონიდან თავისთან მოუყვანია.

— არ ვიცი, წინამძღვარო, — იუარა შერგილმა, — ჩემსობას აქ იოანე არავის ერქვა.

სახლთუხუცესს უღვაშებში ჩაეცინა; მოეწონა სვანი ჭაბუკის ტყუილი.

— ჭკვიანი ყოფილხარ, ჭაბუკო! — ჩუმად ჩაულაპარაკა ქართულად, — ეტყობა, ამ ბერძენს იოანეს სიბრძნე ვერ მოუწვდებია. იტალისი დაღუპეს კიდევ. ახლა იოანეს ებრძვიან, რას მიზამენ, შვილო-დავითის კალთის ქვეშ ახლა ვინ რას გაუბედავს.

უკვე წასვლის დრო იყო.

შერგილი სენაქში შევიდა თმის დასავარცხნად. შევირდებმა და ბერებმა თავიანთ სამყოფელს მიაშურეს. მარტო წინამძღვარი არ იძროდა ადგილიდან.

სახლთუხუცესი და მისი მხლებელი მიხვდნენ, რომ წინამძღვარს რაღაც აწუხებდა. მან ერთხელ კიდევ მოავლო თვალი გარემოს და რაკი შენიშნა, რომ მათ გარდა არავინ იყო, მოულოდნელად ქართულად დაილაპარაკა.

— არ გაიკვიროთ, მე იოანეს ერთ-ერთი მოწაფე ვარ. ვიცი, იგი დავით მეფის სამსახურშია. მაბატიოს შეცოდებანი. მე რომ მის კვალს გავყოლოდი, დავიღუპებოდი. იტალისი ჩვენში სატანაზე უფრო საშიშრად არის გამოცხადებული.

— ქართული იოანემ შეგასწავლათ?!—არ დაიბნა სახლთუხუცესი.

— არა, ჩემით შევისწავლე, ჯერ კიდევ ათონში, მერე პეტრიწონში მოვხვდი, გრიგოლ ბაკურიანელის სემინარი-აში. იქ შევხვდი დიდ იოანეს.

— ორიოდე წუთის წინ მეგონა, იოანეს თქვენზე დიდი მტერი არ ჰყავდა, — გაეღიმა სახლთუხუცესს.

— რას იზამ, ადამიანმა ზოგჯერ თავისი ფიქრი უნდა დამალოს, აქ წედან ორი ბერი იყო. ვიცი, ისინი მე

მითვალთვალდებენ. კათალიკოსი იჭვირობს ჩემზე.

— წინამძღვარო, შერგილი უნდა წაიყვანოთ ცოტა ხნით. შინაური საქმეები გვაქვს მასთან, — სხვა საგანზე გადაიტანა საუბარი სახლთუხუცესმა.

— წაიყვანეთ, ვინ უშლის, თქვენი ქვეყნის შვილია, როგორც გენბავთ, ისე მოიქცით, — სწორედ ამ დროს შერგილი გაფითრებული გამოვიდა თავისი სენაკიდან და პირდაპირ წინამძღვარს მოაშურა.

— წინამძღვარო, ჩემი სასთუმლიდან ვილაც ხელცივს ჩემი სოფლის, კენჭით მოჭიქული ნახატი მოუპარავს. იგი სახეა ჩემი მეფეთა-მეფის. თუ არ დამიბრუნებენ, სისხლი დაიღვრება! ამას არავის შევარჩენ.

წინამძღვარს მუხლი მოეკვია.

— ეს იმ ორი ბერის სიკეთე იქნება, სხვების სასთუმლებში იბურჯგნებიან, გვამოწმებენ.

— ეტყობა დავითის სახე იოანეს მიამგვანეს, — წყნარად თქვა სახლთუხუცესმა და წინამძღვარს შეხედა.

— ნუთუ ისინი ერთმანეთს ჰგვანან?—კიდევ უფრო აკანკალდა წინამძღვარი.

— წვერულვაშით კი ჰგვანან... ისე, დავითის ერთი მაჯა იქნება იოანეს ყელკისრის სიმსხო.

— დავლუპულვარით და ეს არის. კათალიკოსი იოანეს იცნობდა, მკრეხელობას დაგვწამებს თქვენც და ჩვენც.

— ნუ შეწუხდებით, წინამძღვარო, დავით მეფის აუღს ახლა ვერავინ გაბედავს. მისი სიძლიერე ახლა თქვენს კათალიკოსს კარგად მოეხსენება.

მონასტრის ეზოში ბერძენთა მეფის ათი ცხენოსანი შემოჯირითდა. წინ კარისკაცი მოუძლოდა. ცხენებიდან ჩამოხტნენ და სახლთუხუცესისაკენ მოკრძალებით წამოვიდნენ.

— მეფე სასახლეში გელით მეფეთა-მეფის, დავითის წარმოგზავნილებს!

სახლთუხუცესს ფერმა გადაჰყარა, „ჯამუშებს დავუსმენივართ, მალვა აღარა ღირს“,—გაიფიქრა და წამოიღვა.

— მონასტრის სტუმრები ვართ, ერთი ჩვენი შეგირდი სწავლობს აქ და მისი წაყვანა გვიბრძანა მეფეთა-მეფემ.

— მეფემ უკვე გაიგო, თქვენს შეგირდს დავითის სახე დაუხატავს.

— საიდან მოხვდა დიდ მეფესთან ყრმის ნაცოდვილარი? — ვითომ გაიკვირვა სახლთუხუცესმა.

— კათალიკოსს უნახავს და მან უსაჩუქრა.

სახლთუხუცესმა წინამძღვარს გადახედა და ქართულად ჩაილაპარაკა.

— თუ თქვენ ჩვენს წამობრძანებას ინებებთ, გამოგივლით. იცოდეთ, მეფეთა-მეფე დავითმა იცის თქვენისთანა ბრძენი ადამიანების ფასი.

— უკვე მოხუცი ვარ. ხანგრძლივ მგზავრობას ველარც კი ავიტან. დავით მეფეს კი მოკრძალებით გადაეცით ჩემი კეთილი სურვილები.

— წინამძღვარო, ნუთუ თქვენ იცნობთ კოლხთა მეფეთა-მეფეს! — გაიოცა მეფის კარისკაცმა.

— ვიცნობ, შვილო, აი მისი თხოვნით ეს შევაგროვე.

ეს თქვა თუ არა, წინამძღვარი თავისი სენაკისაკენ წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ხბოს ტყავის მომცრო ტომარა გამოათრია და ბალახზე პირი მოუხსნა.

— მეფეს ზღვის კენჭები რად დასჭირდა? — კიდევ უფრო გაიოცა კარისკაცმა.

— ზომ ნახეთ დავითის სახე იმ საღვთო წიგნზე. ის ამ ბიჭმა მოჭედა. დავით მეფე დიდ ტაძარს აშენებს გელათში. იქ უნდა ღვთისმშობლის სახე კენჭებით მოხატოს ტაძრის აღსავლის გუმბათზე. წავა თუ არა ეს ბიჭი, მეც თან უნდა გავატანო ეს კენჭები.

ამ სიტყვებს არავინ ელოდა. შერგილი გაოგნებული იდგა.

სახლთუხუცესი კი გუნებაში ილიმბოდა.

— ბრძენთა-ბრძენია ჩვენი დავითი. ხედავთ, საიდან სად მოუწვდენია ხელი?

შერგილი მაინც ვერაფერს მიმხვდა-

რიყო. გაცემით შეჰყურებდა ყველას, განსაკუთრებით კი წინამძღვარს.

— აი თურმე რატომ მეფეთა-მეფეს! დროს არ იშურებდა ჩემი გაწვრთნისათვის! იოანეს ძმობილი ყოფილა. დავით მეფის პატივისცემელი.

ახლა კარგად გაახსენდა, ერთხელ, ღამით გააღვიძა წინამძღვარმა და საიდუმლოდ გადასცა არსენ წინამძღვრის ბარათი. ბარათთან ერთად აბრეშუმის მომცრო ქისაში ხუთი ბრტყელი, ფერადი კენჭი იდო.

— ეს რა არის? — გაოცდა წინამძღვარი.

— ჩემი სოფლის მდინარის კენჭები, — აუხსნა მაშინ წინამძღვარს შერგილმა. გულში კი ფიქრობდა: — სირინო ისევ გელათში იწვრთნება ხელსაქმეზე. ეტყობა, ხალღეშურას კენჭები ბარათთან ერთად შიკრიკს ნამალევედ გამოატანა...

თან გაიფიქრა: „ნეტავი ყვავილების სიმღერა თუ ესმის ახლა სირინოს?!“



მრავალმა წელმა განვლო. დავითი კარგა ხანია, გელათის ეზოში, უზარმაზარ ლოდქვეშ განისვენებდა. დემეტრეც გარდაიცვალა. არსენ წინამძღვარმა გელათიდან იყალთოში გადაინაცვლა. იქ იმოდღაწვეა და კახეთის მიწაზევე მიიძინა. სულმნათი იოანე, მუდამ ადამიანთა სიკეთეს რომ ქადაგებდა, მაინც დაუწყურვებელი და დაუოკებელი წავიდა ამ ქვეყნიდან.

შერგილს და სირინოს უკვე ათი შვილი და ოთხმოცამდე შვილთა შვილი ეხვიათ. სად არ იარა შერგილმა: გელათიდან ისევ საბერძნეთში მოუხდა წასვლა. იქიდან ახალგაქრისტიანებულ ჩრდილოეთში იმოგზაურა. იქაურ ტაძრებს თავისი ხელი დაატყო, ნახეტიანლები და მოღლილი დაბრუნდა სამშობლოში. სირინომ იუარა სხვა ქვეყანაში ცხოვრება, უკვე მოხუცები ისევ ხალდეში დაბრუნდნენ. ბიჭები დააცოლშვილეს, ქალები დაათხოვეს და მშვიდ ცხოვრებას შეუდგნენ. შერგილმა ზედ



წყაროს თვალზე კოშკი აავიო, რომ მტრის შემოსევისას უწყლობა არ ეგრძნო შთამომავლობას. ისხდნენ ახლა სვანეთის გრძელ ზამთრის ღამეებში და წარსულს იხსენებდნენ. შერგილს მუხლში იძვნი ღონე კიდევ შერჩენოდა, გარედან შეშა შემოეტანა და ჯიხვის ხორცი შამფურზე აეგო. სირინო კი ლოგინად იყო ჩავარდნილი. ფეხზე ადგომა უჭირდა.

— მართლა ლამაზი ქალი იყო ჩვენი ბებია?! — იღიმებოდნენ შვილიშვილები. სირინოს საღდაც მაინც გაკრავდა თვალეებში ელვის მსგავსი პატარა ნაპერწყალი.

— ნუ ხუმრობთ, ცელქებო, ჩემი სილამაზე მხოლოდ ჩემმა შერგილმა იცის. თქვენ კი თქვენ ქმრებსა და თქვენს სილამაზეს მოუარეთ, ეშმაკის ფრთიანებო!

თვითონაც იღიმებოდა სირინო. აკვირდებოდა შვილებს და შვილიშვილებს. ხედავდა, ზოგი მას ჰკავდა, ზოგი შერგილს, აი, ბეჩაო! მისი ნაქარგი დროშით სულცხონებულმა დავით მეფეთა-მეფემ სად არ შეუღლეწა მტერს კარი. სხვა რომ არა, მარტო ის რად ღირდა, რომ მისი ნახელსაქმევი თბილისის ცაზე გადმოკიდეს გამარჯვებულმა ქართველმა მეომრებმა? ახლა ეს ცხვირმოხუბოცელი გოგოები დასცინიან სირინოს?! არა, კი არ დასცინიან, ასე ღმილით იხსენიებენ მის სიკეთეს. იციან ცელქებმა, ბებოს გულში რომ უხარია ასეთი საუბარი. აბა, როგორ ჰგონიანთ! შერგილმა მოაჯადოვა სირინო. თავდაპირველად საწყალ მამასაც არ მოეწონა მათი ამბავი, მაგრამ მერე ისიც სულს ლევდა შერგილის გახსენებაზე. ვაჟი არ ჰყავდა და შვილივით შეითვისა სირინოს რჩეული.

— ან კი ვინ იყო შერგილისთანა? — არავინ. სოფელი ვერ მიხვდა პირველად შერგილის სიკეთეს. კინალამ გიჟად მონათლეს. ვინ გაიგონა ყვავილთა სიმღერა და ცეკვა-თამაშო?! უკვირდათ. მარტო მე მიფუხვდი შერგილს, მე გაფუგე. მე ჩაეხსნე მის გულში... სხვანაირად

ცოლ-ქმრობა არ შეიძლება. საყვარელი მამაკაცს ნამდვილი ცოლი ყოველთვის მიუხვდება ფიქრს. შერგილს კვლავ უნდა ფიქრი აწვალებდა. სირინოს შემხედვარე გულში ბოლმას იხვევდა.

— ნეტავი მე დავვარდნილიყავი, ამ ქალს კი არაფერი მოსვლოდა. ცოცხალ-მკვდარია და თვალები მაინც ჩემკენ აქვს. მეცოდება, მეცოდება, მე შემწირა თავი. არასდროს ბედი არ მიწყევლია, დარდი არ გამკარებია. ახლოს ვიყავი თუ შორს, მაინც მისი თვალების შუქი მინათებდა გზა-კვალს. ცისკენ ახედვაც მიხაროდა და ქვეყნის თვალის გადავლებაც. ჩემზე ბედნიერი არავინ მინახავს ქვეყნად. იოანემ ქვეყანას შესწირა თავი, ბევრი იმოგზაურა და იმოღვაწევა. უკვდავება მოიპოვა, ბედნიერებას კი ვერ ეღირსა. არსენსაც ასე მოუვიდა. ბოლოს და ბოლოს მეფეთა-მეფე იყო დიდი დავითი. თითქმის ქვეყნის მპყრობელი გახდა, მერე რა?! ჩემზე ბედნიერი მაინც არ ყოფილა. საოცარია მაინც, რამდენი ომი გადავიტანეთ, რამდენი უბედურება. ჩემი ახლობელი ავდაც კი არ გამხდარა. სად არ იბრძოლეს ჩემმა შვილებმა, რამდენი მტერი აკაფეს; თავად მკლავი არ გაკაწვრიათ. ბედი, მამ რა არის! ჩემი ოჯახის არც ერთ წევრს ჯერჯერობით მწუხარების ცრემლიც კი არ გადმოვარდნია თვალთაგან! საკვირველია, მაგრამ ასე მოხდა. მწამს, ყველგან სირინოს სიყვარული მიფარავდა მეც და ჩემი ოჯახის წევრებსაც. მასაც და ჩვენც მისი ნათელი ფიქრის შუქი გვინათებდა გზა-კვალს, მისი ლოცვა მიგვიძლოდა წინ. მიყვარდა ეს ქალი, მასაც ვუყვარდი. ერთმანეთი ვაცოცხლეთ და ვაცხოვრეთ. ნეტავი ჩვენი შთამომავალი გავგიგებდნენ და ასევე ივლიდნენ ამ ბედნიერ წუთისოფელში. ახლა კი მოტყდა საწყალი. ჩემი რომ არ ეხათრებოდეს, რამდენი ზნის წასული იქნებოდა ამ ქვეყნიდან. ჩემი ჯავრი ამაგრებს კიდევ; ეშინია, უჩემოდ რა ეშველებო. ვინ მოუვლის, ვინ მოეფერებაო?! ძალღონემ უმტყუნა, მაგრამ მის თვალეებში

ისევ ის ცეცხლი ანთია, პირველად რომ აგიზვიზდა. ღმერთო, შენით და, მეც ვერ ვძლებ უმისოდ. წინათ წლობით ვიყავი გადახვეწილი, ოჯახს და მის სახეს მოშორებული. სადაც კი ვიყავი, მისი შუქი მომყვებოდა და მაძლებინებდა, ახლა აღარ შემძლია სირინოს მოშორება, უმისოდ, მგონია, უფსკრულში, სასიკვდილო წკვარამში ვარ ჩავარდნილი. ახლა რომ მას რაიმე დაემართოს, მე შეიძლება, უცებ არ მოვკვდე, მაგრამ ჩემი სიცოცხლე აღარ ეღირება. განგების მადლობელი ვარ, რომ სირინო შემახვედრა ამქვეყნის თანამგზავრად. მეც ბედნიერი ვიყავი და ისიც...

ხალდეს მინდვრებზე მზე ყოველთვის აილამას მწვერვალდიდან გამოიხედავს. ამოსცდება თუ არა მის ცინულოვან, ცადაზიდულ წვერს, ერთბაშად დაანათებს მთელ სოფელს. იმ დილასაც ასე იყო. ოდნავ გრილოდა და სირინომ შერგილი მოიხმო.

— ეზოში მომესურვილა გავსლა, შერგილ. მხრებში შემიდექი, კოშკის ძირას სკამლოგინი გამიშალე, მინდა ჩვენს ეზოს და გაღმა ფერდობებს ვუყურო.

შერგილმა ციმციმ ასწია სირინო და დაგებულ სკამლოგინზე მიაწვინა. ხალდეშურა კლდეს ასკდებოდა, ლურღულეზბდა, გრილუბდა. ვარშემო ცასა და მიწას აზანზარებდა.

— რა პატარაა და რამდენი ძალა აქვს, შერგილ, ჩვენს ხალდეშურას? ამდენი ძალა რომ სხვა მდინარეებს მისცა, ქვეყანას წალუკავენ.

— პატარაა, მაგრამ ცეცხლია. მისი ტალღები შევარდნის ფრთაზე უფრო სწრაფია. ხომ გიყვარს, სირინო, ჩვენი ხალდეშურა?!

— გახსოვს, შერგილ, ჩემი სახე რომ მოხატე მის ნაპირზე? — მეუბნებოდი, ყვავილთა სიმღერა ვიცით. მე სულელმა დავიჭერე კიდევ, — გაეღიმა სირინოს.

— ნამდვილად ვიცოდი, აკი გიმღერე, თვითონ არ მითხარი, იეზი, გვირილები

ცეკვავენ და მღერიაანო?! კარგად მახსოვს, ასე მითხარი.

— ვითხარი და ასეც იყო. ნამდვილად მესმოდა მათი სიმღერა, ნამდვილად ვხედავდი მათ ცეკვას.

— ჭუნირი მინდა მომასმენინო. დაუკრავ, შერგილ?

— ხელი არ მემორჩილება, ქალო!

— სცადე, შერგილ, მე მაინც გამიხარდება, ჭუნირი კედელზეა, დაუძახე, მოვიტანონ.

შერგილი წამოდგა.

— არა, შენ ნუ წახვალ. ხომ ვითხარი, ბავშვებს დაუძახე და ჩამოვიტანენ. მინდა ახლოს იყო, მარტო ნუ დამტოვებ.

შერგილმა რძალს გასძახა, ჭუნირი მომიტანეო.

— ნეტავი მეფეთა-მეფე დავითს თუ ესმოდა ყვავილთა სიმღერა? — იკითხა სირინომ.

— არა, არ ესმოდა, სირინო, არც შეიძლებოდა გაეგონა!

— რატომ, შერგილ, ის ბრძენი კაცი იყო. ღვთის ტოლი კაცი.

— კი, ღვთის ტოლი კაცი იყო, მაგრამ მაინც ვერ გაიგონებდა ყვავილთა სიმღერას.

— მეფე თუ ვერ გაიგონებს, მაშინ ჩვენსთანები რას შეისმენენ, შერგილ?!

— მეფეთა-მეფე დავითს კაცი უნდა მოეკლა, მტერი უნდა ეხოცა.

— მამულის მტერი კაცი არ არის, შერგილ!

— მე ერთხელ წმინდა გიორგის ვხატავდი, საღებავი დამეჭკა, ნახატი დამედლაბნა და წაეშალე. როცა დაგხედე და მისი სახე ადგილზე ვერ ვნახე, ენა დამემა, მომეჩვენა, კაცი მოვკალი-მეთქი.

— მერე?

— სწორედ ამ დროს ტაძრის ეზოში მღეროდნენ. როგორც კი სურათი დავდლაბნე, — კაცი მოვკალი, უცებ დავყრუვდი, ველარაფერი გავიგონე, გონებაზე ბინდი გადამეფარა. კაცს რომ მოკლავ, ყვავილთა სიმღერას კი არა, ადამიანის სიმღერის ეშხს დაკარგავ. გონი აგეშლება.

— მაშინ მეც მომეჩვენა ყვავილთა სიმღერა... ის კი არა, გვირილების ცეკვაც დავინახე.

— მაშინ სხვა იყო.

— დაუკარი, შერგილ, დაუკარი.

შერგილმა რძალს ჭუნირი ჩამოართვა და თითები ჩამოჰკრა...

სირინოს უნებლიეთ თვალები დაეხუჭა. მიხვდა შერგილი, ძველებურად ვედარ აჟღერდა ჭუნირი. სირინოს ენიშნა და თვალები მიტომ დახუჭა.

— დავით მეფე დიდი მეფე იყო, ის მაინც გაიგონებდა!

— ხომ ნახე, რამდენი ლოდის დადება ბრძანა სიკვდილის ქამს, ისიც დააწერინა, ზედ გადამიართო.

— ყვავილების ენას მაინც ვაიგებდა. ჩვენ მაშინვე უთქმელად მიგვიხვდა ტრფიალს.

— ღვთის ტოლი კაცი იყო. დიდი ლოდიც იმიტომ დაიდო, დიდი ცოდვა შეშინდეთო.

ისევ ჩამოკრა შერგილმა. მერე კარისკენ გაიხვდა — რძალი ზღურბლზე იდგა და გაოცებული იყურებოდა.

— სიშები ხომ არ დალაპებულა, მამათილო?!

— არა, ჩემო რძალო, თითებზე კალებს, თითები!

შერგილმა ცოლს გადახვდა. სირინოს თვალები ფართოდ გაეხილა, მიჰქრალი, ცეცხლგამოლეული თვალები.

— დაუკარი, შერგილ, გეთაყვა, დაუკარი, — ჩიფჩიფებდა ქალი.

— მერე რა? კიდევ რომ დაუკრა, ყვავილთა სიმღერას მაინც ვედარ ვავიგონებთ!

— მაშინ სხვა იყო, სირინო, სხვა. სიჭაბუკე გვამღერებდა. ყვავილთა სიმღერაც იმიტომ ვეესმოდა.

— აბა ხალდეს ყვავილები არ მღერიან?

— მღერიან, როგორ არ მღერიან. შენც ხომ ნახე, როგორი სიმღერა იციან გვირილებმა.

— ვნახე, მაშინ ვნახე, ახლა კი...

— ახლა, სირინო, მზეს გახედე, უკვე ჩადის. აგრილდა, დროა შინ შევიდეთ.





### ნახევარზღაპარი

რაც კი ლექსებია,  
რაც კი ზღაპრებია —  
გამიკვესებია,  
ამილამპრებია.

რაც კი ყვავილები  
მიწამ ამობელტა,  
რაც თქვეს სიმღერები  
ჩიტთა მგალობელთა,

შვილო, სიხარულად ბედმა შეგიკონა  
და ჰა, მოგიტანეთ მე და დედიკონამ.  
დღესვე აგისრულებთ, იტყვი, შვილო, რასაც,  
რძესაც ვესესებით ჩიტსა ჩიორასა.

\* \* \*

სადაურს და როდის ზღაპრად მიცხოვრია,  
ზღაპრებიდან მოდის ჩემი ისტორიაც.

დამიმარცხებია, რაც კი დევებია,  
პირქვე დამიცია, გამიქვევრებია.

ციხე ამიღია ქაჯთა — თილისმური  
და ცხრად გამიყვია ერთი თხილის გული.

ცოლად მოვიყვანე დევის ქალიშვილი  
და შენ გაგაჩინა ჩემი თვალისჩინი.

\* \* \*

—აჩუ, აჩუ ცხენოო, შე კუდმოსაჭრელოო,—  
ზურგზე შემასკუბდები, საით გაგაჭენოო.

აჩა-ბაჩა ცხენი ვარ, ხან—საწყალი წიქარა,  
წუთისოფლის უღრან გზებს მეც წვალეებით მიგვავალავ.

ზღაპრის გუდას თავს მოვხსნი, შემკულს ანაგვირილით, —  
უფრო მეადვილება სიცილიც და ტირილიც.

\* \* \*

— მამი, მამი, მგლის ხროვა რომ შემოგვხვდეს ღამით,  
უთოფოდ და უხანჯლოდ მოერევი, მამი?

— სპილო თუ შეგხვედრია?  
— შემხვედრია სპილოც.  
— მამი, დათუნიაც?  
— დათუნიაც, შვილო.

— შეგხვედრია ლომი?  
ვეფხვი? მგელი? დათვი?  
მართლა არ გეშინია,  
მამიკონა, მათი?

— აი, შე ცუგრუმელა, შე მშიშარა მართლა.  
ნურავის გეშინია მელაკუდას გარდა.

სპილოს, რაც შეეხება,  
პატივსა ვცემ სპილოს.  
ლომებთან და ვეფხვებთან  
ვძმობილდები, შვილო;  
მგლებისგან და დათვებისგან  
შორს გადგომას ვცდილობ.

\* \* \*

— მამა ყველაზე ღონიერია, —  
ბავშვმა შემოჰკრა ტაში.  
— მამას ვერაუინ ვერ მოერევა,  
(მამას აღმერთებს ბავშვი).

მამას რაც უნდა, იმას იყიდის,  
ყოვლის შემძლეა მამა.  
და ბედნიერი ბავშვის ხითხითი  
მალავს ოცნებებს ღამაჯს.

— შენს პირს შაქარი! სულ ასე გეთქვას!  
ამინ, პატარავ, ამინ!

— დეეს და ამირანს, ორივეს ერთად  
ვერ მოერევი, მამი?

—ვინაც დევი და ამირანია,  
ვინც არი ჩემი კბილა,—  
ჩემო გოგონა, დიდისანია,  
მესალმებიან ტკბილად.

ფესზე წისქვილის ქვები მეცმევა,  
სიხარულს ვპოვებ ტანჯვით.  
გაფრინდები და ვერ მომეწევა  
ვერა კაცი და ქაჯი.

ჩემია ყველა გზაჯვარდინი,  
ყველა შარა და შუკა.  
ერთი გზაც არ მაქვს გადაკეტილი, —  
ყველა მაბრუნებს უკან.

გაიზრდები და, შვილო, გაარჩევ  
სინამდვილეს და ზღაპარს,  
იგავისა და ეჭვის გარეშე  
ნახავ მათ შორის ნაპრალს.

გაიზრდებიან, შვილო, ბავშვები,  
ნახავენ ათას რამეს,  
პოდა, მამებში აღმოაჩინენ  
მთლად ჩვეულებრივ მამებს...

ო, ჩემო გოგო, ვერ გაგაწბილებ,  
ვერ მოგატყუებ, ვერა,  
ახლავე ვაცმევ ჩემს სიყმაწვილეს  
სასწაულმოქმედ პერანგს.

მე უნდა შევძლო შეუძლებელი,  
ტოლი ზღაპრის და მითის;  
შენს ბავშვურ რწმენას როგორც შეჭფერის, —  
სწორედ ისეთი დიდი.

დმერთო, მომხედე და ნუ დამტოვებ  
მხოლოდ ზღაპრების გუდად, —  
ჩემს შვილთან ერთად თანატოლივით  
მზარდე და მზარდე მუდამ!





# ქოთხოვა

## საქმე

ამ ნახევარი წლის წინათ ჩვენს ეზოში კალათბურთის მოედანი გააკეთეს. მუშებს მოედანი ლითონის ბადით ხეირიანად შემოღობილი არც კი ჰქონდათ, რომ ბიჭებმა უკვე ფეხბურთის თამაში გააჩაღეს. რატომღაც სულ ფეხბურთს თამაშობდნენ. კალათბურთი არავის გასხენებია. კალათბურთის ფარებზე პატარა ბიჭუნები აღიოდნენ და უფროსების თამაშს იქიდან უყურებდნენ.

ათი წელიწადი მაინც იქნებოდა, ფეხბურთი არ მეთამაშნა. სკოლაში და სტუდენტობის დროს გვარიანად ვთამაშობდი, მაგრამ მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, მეც წონა მომეშატა და თმაც შემითხელდა. ახლა ფეხბურთს ჩემი პატარა ბიჭი თამაშობს.

კალათბურთის მოედანს ირგვლივ უზარმაზარი შენობები არტყია. ჩვენი ეზოს ბიჭებს ბევრი მაყურებელი ჰყავს. საღამოს, სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ, კაცები აივანზე გადმოდგებიან ხოლმე და თამაშს უყურებენ. ზოგიერთები აივნიდანაც მსაჯობენ.

ერთხელ, როცა სპორტულ ფორმაში

გამოვეწყვე და ეზოში ჩასვლა დავაპირე, ცოლმა მითხრა: ეგლა გაკლდა, აწრალა გიჭირსო. დედაჩემმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: შენხელა კაცის ფეხბურთი ვინ გაიგონა, მეზობლები რას იტყვიანო. მამაჩემმა მომაცოლა—კისერიც მოგიტეხიანო.

მე ჩემი არ დავიშალე. მაშინ დედაჩემმა მითხრა, შენს ამხანაგებს მაინც დაურეკე, მარტო რომ ამ ბიჭბუჭებში ჩახვიდე, თავი მოგეჭრებაო.

დედაჩემის სიტყვა ჰკუთაში დამიჯდა. ტელეფონს ვეცი. ნახევარი საათის შემდეგ ნოდარი, თენგიზი და გივი მოვიდნენ. თენგიზი ჩვენზე კაი ექვსი წლით უფროსი იყო და თავზე ერთი ღერი თმაც არა ჰქონდა. მოედანზე თენგიზს რომ დაინახავდნენ, აბა, სხვებზე ვინ რას იტყოდა.

ჩვენი მოწინააღმდეგენი თვრამეტოცი წლის ბიჭები იყვნენ. თავიდან აგდებულად გვეთამაშებოდნენ, მაგრამ ათწუთში დარწმუნდნენ, რომ არც ისე იყო საქმე.

მოედანზე უფროსების გამოჩენამ მე-

ზობლებს კი ხნის სალაპარაკო მისცა. მერე თანდათან შეგვეჩვივნენ, თუმცა პატარების მხარეს კი იჭერდნენ.

ორი კვირის თავზე „ვეტერანებს“ ბევრი ფეხბურთელი შეგვემატა, ჩვენი მეზობლებიც და ჩემი მეგობრებიც.

გაყოფით სხვადასხვანაირად ვიყოფოდით ხოლმე. ხან ცოლიანები და უცოლოები, ხან ომამდე და ომის შემდეგ დაბადებულები.

მერე, ცოტა კიდევ რომ მოვმრავლდით, გუნდები ჩამოვყალიბეთ. თითოეულ გუნდში მეკარიანად ოთხი კაცი იყო. კალათბურთის პატარა მოედანზე სხვანაირად არ ხერხდებოდა. ჩვენი ეზოს ბიჭებს ყველაზე ძლიერი გუნდი ჰყავდათ და სახელიც შესაფერისი ჰქონდათ — „არაფერი გეწყინოთ“. მეზობელი ეზოს ბავშვებმა თავიანთ გუნდს „უეჭველი“ შეარქვეს. ჩვენს გუნდს „დალუპული ტალანტები“ დავარქვეთ, თუმცა ბიჭები დიდი წონის გამო „ტანკისტებს“ გვეძახდნენ.

მე და ჩემს მეგობრებს განსაკუთრებით ოცი-ოცდასამი წლის ბიჭების დამარცხება გვიხაროდა. ვგრძნობდით, მუხლი ისევ გვერჩოდა და გვსიამოვნებდა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდების სიაში ვეწერეთ.

კალათბურთის მოედნის გადაღმა, ზუსტად ჩვენს მოპირდაპირე ფანჯრებში ერთ ლამაზ ქალიშვილს ვხედავდი ხოლმე. ოცდასამი წლისა თუ იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში შორიდან ასე მეჩვენებოდა. ეზოში არ ჩამოდიოდა, არც ქუჩაში შემხვედრია არასოდეს, არც ჩვენს თამაშს უყურებდა, ისე, ხანდახან თუ გადმოიხედავდა ხოლმე. მე როცა გოლს ვავიტანდი, რატომღაც სულ მისი ფანჯრისაკენ ვიცქირებოდი. ხანდახან, როცა აივანზე გამოჩნდებოდა, მე განსაკუთრებულად მოვიწინდებოდი ხოლმე, მაგრამ თამაში სწორედ მაშინ არ გამომდიოდა.

ურთხელ იმდენი ვითამაშეთ, ფეხზე ძლივს ვიდექით. უკვე თამაშის დამთავრებას ვაპირებდით, რომ ეზოში ის ქალიშვილი გამოჩნდა. რატომღაც სა-

სიამოვნო ყრუანტელმა დამიარა. <sup>გვერდით</sup> ვილაც ქალიშვილი მოჰყავდა. მოედანთან მოვიდნენ და ღიმილით ვლელთან გაჩერდნენ. იქვე, სასურსათო მაღაზიის უკან, ხის ცარიელი ყუთები ეყარა, ბიჭებმა ყველაზე კარგი ყუთი ამოარჩიეს და ქალიშვილებს მიუტანეს. ისინიც ჩამოსხდნენ. დრო უკვე ამოიწურა. ბიჭებს შევთავაშეთ ნახევარი საათი კიდევ ვითამაშოთ-თქო. უყუყუმანოდ დაგვთანხმდნენ. ქალიშვილების გამოჩენამ გავახალისა, დალილობა ვისლახსოვდა. ბურთი ავაგდეთ და ერთმანეთს გამეტებულად ვეტაკეთ.

მე დროდადრო თვალს გავაპარებდი და იმ ქალიშვილს ვათვალიერებდი. იცნულ სხვანაირი იყო, ვიდრე შორიდან მეჩვენებოდა, უფრო მიმზიდველი და ბავშვური.

ბურთი ნოდარს ჰქონდა. მე წინ გავედდი და ველოდი, როდის გადმომაწოდებდა. ნოდარი ზედაც არ მიყურებდა და ცდილობდა ორ კაცს შუა გასულიყო. ბურთი წაართვეს. ახლა თენგიშმა მიიღო ბურთი. არც იმან მომაწოდა. გამწარებული უკან ჩამოვედი. ბურთი ფეხებში მოვიგდე და მოწინააღმდეგის კარისკენ გავქანდი. ნოდარი განთავისუფლდა. მე ვითომ ვერ ვხედავდი და კარში დავარტყი. ვიცოდი, რომ ფეხს დამიფარებდნენ, მაინც დავარტყი. დარტყმა არ გამომივიდა.

— აგერ გელოდები თავისუფალზე, ვერა მხედავ? — ამიყვირდა ნოდარი.

— როცა მე გელოდი, მომაწოდე? — შევუღრინე მეც.

ბურთი ისევ ნოდარმა მიიღო, მაგრამ არ მომაწოდა; აწვალა, აწვალა, მერე დაარტყა, მაგრამ ვი იმ დარტყმას.

— ახლა შენ რატომ არ მომაწოდე? — გავბრაზდი მე.

— ცოტა უფრო ხმამაღლა იყვირე და მოგაწოდებ! — არ ჩამომრჩა ნოდარი. ჩემს ყვირილზე უფრო იმან გააცოფდა, რომ ბურთი კარს ათი მეტრით მაინც ააცილა.

პატარა ბიჭებმა ჩვენს კარში სამი ბურთი ზედიზედ გაიტანეს. ქალიშვი-

ლებს მათი მხარე ეჭირათ და ტაშს უკრავდნენ. ვინ იცის, შეიძლება ჩვენს მხარესაც იყვნენ, მაგრამ ბურთი ვერ გაგვექონდა და ტაში რაზე უნდა დაეკრათ.

სწორედ ამ დროს ფანჯარაში ჩემი ცოლი გადმოვდგა.

— გურამ! — დამიძახა მან.

— რა იყო! — ავძახე ქვემოდან.

— ფულს გადმოგიგდებ და ერთი კილო მაკარონი იყიდე.

— ვერა ხედავ, ვთამაშობ? — გავბრაზდი მე და დარცხვენილმა ქალიშვილებს გადავხედე. მეგონა დამცინებდნენ. სანამ მე ცოლთან ვლაპარაკობდი, ნოდარმა და თენგიზმაც მოასწრეს წაიკვლავება. როგორც იქნა ბურთი ფეხებში მოვიგდე, ერთი ბიჭი მოვატყუე და კარში შორიდან დავარტყი. ლამაზი დარტყმა გამომივიდა. ბურთი გავიდა. აივანზე გადმომდგარმა კაცებმა ტაში დაუკრეს.

ქალიშვილებისაკენ გავიხედე. ისინიც ტაშს უკრავდნენ. ამან ნოდარი კიდევ უფრო გაამწარა. მისგან ბურთის მიღების იმედი უკვე სიგაყე იყო. ნოდარი ისევ სამ კაცში ცდილობდა გასვლას. მე და თენგიზი სულ თავისუფლად ვიდექით, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ჩვენთვის არავის ეცალა. ბოლოს, ერთმა ტანმორჩილმა ბიჭმა ნოდარს ბურთი წაართვა და წინ გაიჭრა. გამწარებულმა ნოდარმა ფეხი დაუღო. ბიჭი წაიქცა. მერე ფეხზე კოჭლობით წამოვდგი. თქმით არაფერი უთქვამს, მაგრამ ნოდარს ისე შეხედა, თითქოს ეუბნებოდა — ეს რა გამოვიდაო.

— ყოჩაღ! მოერიე? — უკბინა ნოდარს თენგიზმა.

— არაფერია, ბიჭი, არაფერი, ეს ფეხბურთია, ბალეტი ხომ არ გგონია, — თქვა დამცინავად ნოდარმა.

პასუხად ბიჭებმა ჩვენს კარში კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს. პატარა ბავშვებმა ტაში დასცხეს. თან გვისტვენდნენ და დაგვიცინოდნენ. რას ვიზამდი, თამა-

ში არ გამოგვივიდა, ან კი როგორც და გამოგვევლოდა.

ვატყობდი, კიდევ ხუთი წუთი და ერთმანეთს დავერეთოდით.

ბედად ფანჯარაში ქალი გადმოვდგი.

— მანანა! — დაიძახა მან.

— მოვდივარ, დედა. — ფეხზე წამოვდგი ჩემი მეზობელი ქალიშვილი.

ქალიშვილებიც წავიდნენ და ნოდარმა ბურთი მომაწოდა. მე ერთბაშად საშინელი დაღლილობა ვიგრძენი და ბურთი თავიდან მოვიშორე, თენგიზს მივაწოდე. თენგიზმა შორიდან დაარტყა. ბურთი მაღლა წავიდა და მოედნის იქით ბაღში ჩავარდა.

— დავიღალე, გვეყოფა თამაში! — თქვა ნოდარმა.

— როგორც გინდა, — ვუბასუხე მე და შუბლზე ოფლი მოვიწმინდე.

— ნეტა რომელი საათია, ძალიან დამაგვიანდა, — თქვა თენგიზმა.

მე ცოლს ავძახე, ფული გადმომიგდე მაკარონს ვიყიდი-მეთქი. მერე ბიჭებს მივუბრუნდი.

— თქვენ მაღლა ადით, მე მაკარონს და ბორჯომს ვიყიდი.

— არა, სჯობია შინ წავალ, — მითხრა ნოდარმა, თან შარვალს იფერთხავდა. ცოტა დარცხვენილი კი იყო.

— სულ ერთი წუთით ავიდეთ, დაისვენეთ და მერე წადით, ყავაც დავლიოთ, — არ ვეშვებოდი მე და ვგრძნობდი, ყველას გვრცხვენოდა.

ბიჭებმა არ დაიშალეს და წავიდნენ. მე მაკარონი ვიყიდე და უკან გამოვბრუნდი. ძალიან დაღლილი ვიყავი. მეორე სართულზე შევისვენე. მოედანს გადავხედე. ბიჭები ისევ თამაშობდნენ, დაღლილმა არც კი ეტყობოდათ. მე მათ თამაშს ვუყურებდი. თან ვისვენებდი. არაქათი აღარ მქონდა. ბიჭებისაც მრცხვენოდა. რაც არ უნდა იყოს, სტუმრები იყვნენ.

— აღარ მოდიხარ? — კარი გამოაღო დედაჩემმა.

— მოვდივარ, მოვდივარ! — ვუბასუხე ჩუმად და კიბეებს ავუყუცი.





რაშიდა ისმაილოვმა პირველად რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ნახა, გაოცებულმა პირი დაალო. მანამდე თავისი რაიონის კრამიტის ქარხანაზე დიდი არაფერი ენახა.

ახლა უკვე მესამე წელია იქ მუშაობს. სოფელში რომ ჩავა, კრამიტის ქარხანას აუცილებლად ჩაუვლის ხოლმე და ძველ მეგობრებს ინახულებს. ისინიც რაშიდას ახლა უფრო მეტ პატივსა სცემენ, იციან, რომ მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობს.

რაშიდა პირველად შავ მუშად მუშაობდა სააგლომერატო ფაბრიკაში. მერე ხელობაც ისწავლა და კოქსის მსხვრეველ მემანქანედ დანიშნეს. რაშიდამ ხეირიანად არც რუსული იცოდა, არც ქართული, არც ის იცოდა, ამოდენა ფაბრიკაში რა ხდებოდა, რა კეთდებოდა. კოქსის სამსხვრევე მანქანა კი საკუთარი თავივით ჰქონდა შესწავლილი, თუ საჭირო იყო, დღეში სამჯერ დაშლიდა და ააწყობდა ხოლმე. ელევატორით კოქსი მანქანაში იყრებოდა, იქ წვრილად იფშენებოდა და მეორე ელევატორით ახლა სხვა განყოფილებაში გაჰქონდათ. რაშიდა ისმაილოვმა ხეირიანად ისიც კი არ იცოდა, კოქსი საიდან მოდიოდა, ან სად მიდიოდა, ან მერე ამ კოქსიდან რა კეთდებოდა. რაშიდამ მარტო თავისი საქმე იცოდა—მანქანაში კოქსი წვრილად უნდა დაფშენილიყო.

ცვლაში ყოველთვის ადრე მიდიოდა. მანქანას შეამოწმებდა, გადაიბარებდა და მუშაობას შეუდგებოდა. მანქანის შემოწმება ყველაზე უფრო ეზარებოდა. კი არ ეზარებოდა, რცხვენოდა. თითქოს ამით წინა ცვლის მუშის კაი ბიჭობაში ეჭვი შეჰქონდა.

„კაზი ამბობს, მანქანა გარგიაო, რაღა შემოწმება უნდა“, — ამბობდა რაშიდა, მაგრამ მაინც ამოწმებდა, რადგან

ოსტატმა ასე დაავალა. ოსტატმა ისიც უთხრა: თუ წინა ცვლამ გაფუჭებული მანქანა ჩავაბარა, მაშინ ჩვენი გაცდენა იმით ეწერებათ, თუ მანქანა ჩაიბარე და მერე აღმოჩნდა, რომ მოშლილი შემოუცურებიათ, მაშინ ჯოხი ჩვენს ზურგზე გადატყდებაო.

შეცურება მუშების ენაზე დამტრეული მანქანის შეტყუებას ნიშნავდა.

„აბა მუშა კაზი ტყუილი როგორ იტყვის!“ — სჯეროდა რაშიდას, მაგრამ მანქანას მაინც ამოწმებდა, რას იზამდა. ოსტატის ბრძანებას ხომ არ დაარღვევდა.

ყოველი ოთხი დღის შემდეგ რაშიდა ორ დღეს ისვენებდა. გული მაშინვე სოფლისკენ გაუწევდა, სოფელში მოხუცი მამა და სამი ძმა ჰყავდა, სამივე კოლშვილიანი. ისინი კოლმეურნეობაში მუშაობდნენ. რაშიდას ხელობა უფრო უყვარდა და სამუშაოდ ქალაქში წავიდა. დასვენების დღეს მაინც სოფელში მიდიოდა, ძმისწულებისათვის კამფეტები მიჰქონდა, ძმებისათვის ლამაზ სიგარეტებს ყიდულობდა. თუთუნი შინაც ბევრი ჰქონდათ, უკეთესი თუთუნიც იყო, მაგრამ რაშიდას ძმებს ლამაზი კოლოფები ძალიან მოსწონდათ და რაშიდაც ყოველ წასვლაზე ყველაზე ლამაზ კოლოფიან სიგარეტებს ყიდულობდა.

რაშიდას სოფელში საცოლევ ჰყავდა. ამიტომაც კიდევ უფრო მიუხაროდა. გამომუშავება კარგი ჰქონდა. ღვინოს არ სვამდა და შესანახიც არავინ ჰყავდა. მოხუცი მამა ჯერ კიდევ ჯანზე იყო და შვილებს იქით ეზმარებოდა. რაშიდა ფულს აგროვებდა. ქორწილს საშემოდგომოდ აპირებდა.

მუშებმა იცოდნენ, რომ რაშიდას საცოლე ჰყავდა. როცა დასვენების დრო მოვიდოდა, ეკითხებოდნენ: რაშიდ, შენს საცოლეს რა უყიდევო. რაშიდა იცინოდა და არაფერს ამბობდა.

— რაშიდ, ბიჭო, ერთხელ მაინც გვანახე შენი გოგოს სურათი, — ეუბნებოდნენ ბიჭები.

რაშიდა წითლდებოდა და პასუხის ნაცვლად უშნოდ იღრიჭებოდა.

— რაშიდ, ქორწილზე ფითი არ იქნება? — ეკითხებოდნენ ბიჭები.

— ფითი იქნება და მერე როგორი! — მარჯვენა ხელის ცერს ვაჭიმავდა რაშიდა.

— ქორწილში ჩაის დაგვალევიანებთუ ღვინოს? — ეხუმრებოდნენ ბიჭები.

— აბა თქვენ ჩაი რა ისით, — სიცილით კვდებოდა რაშიდა, — ისეთი ჩაი გაგვიზადოთ, რაშიდას შუბლზე აკოსოთ.

რაშიდა შესვენების დროს სასადილოში არ მიდიოდა. საუზმე ყოველთვის ჭრელ თავსაფარში გამოხვეული მოჭქონდა. როცა ზარი დარეკავდა და ამოდენა ფაბრიკაში გუგუნი ერთბაშად მიწყდებოდა, საუზმეს ფაჯრის რაფაზე გაშლიდა, თვითონაც იქვე ჩამოჯდებოდა ხოლმე და ჩუმად საუზმობდა, მერე გაზიან წყალს დააყოლებდა და ღლინით მანქანას ხელახლა შეამოწმებდა, ხომ არაფერი გაფუჭებულია.

მისი ფანჯრიდან მთავარი ელევატორი მოჩანდა. ელევატორი მაღლა ადიოდა და იქიდან პირდაპირ ფაბრიკაში შედიოდა. მთავარ ელევატორზე ქალები მუშაობდნენ. სასადილოში არც ისინი დადიოდნენ და როცა შესვენების დრო მოალწევდა, იქვე საუზმობდნენ. ქალები მოსაუზმე რაშიდას ზემოდან ძალიან კარგად ხედავდნენ. რაშიდამ იცოდა, რომ მაღლა ქალები საუზმობდნენ, მაგრამ მათკენ ერთხელაც არ ახედავდა ხოლმე. ძალიან მორცხვი იყო. სამქროში მუშებმა ეს კარგად იცოდნენ და განგებ ეუბნებოდნენ:

— რაშიდ, დღეს ქალებში მივდივართ, შენ არ წამოხვალ? — რაშიდა წითლდებოდა და პასუხს ვერ ახერხებდა. მან იცოდა, რომ ბევრს ცოლ-შვილი ჰყავდა და უკვირდა, სხვა ქალებში როგორ დადიანო. მერე მიხვდა, რომ ბიჭები ეხუმრებოდნენ და თვითონაც

იცინოდა. გაწითლებით კი მაინც თლდებოდა.

ეს ელევატორზე მომუშავე ქალებმა კარგად იცოდნენ.

— რაშიდ, შენი საცოლე როგორ არის? — ეძახდნენ ზემოდან.

პასუხად მხოლოდ იღიმებოდა.

— რაშიდ, ჩვენთან არ ამოხვალ? — გადმოსძახეს ერთხელ ქალებმა. რაშიდამ ზემოთ ახედა, ერთი ქალი ჩულქს ისწორებდა. საშინლად შერცხვა და ფანჯარას მოშორდა. ქალებმა სიცილი დააყარეს.

იმ დილასაც ფაბრიკაში ადრე მოვიდა.

— რაშიდას გაუმარჯოს! — ღიმილით შეეგება წინა ცვლის მემანქანე მუშა, — როგორა ხარ?

— ზალიან კარგად! — გაიღიმა რაშიდამ.

— გავიგე, მამაშენი ცოტა ავად ყოფილა. ახლა როგორ არის?

— უყე კარგად არის, — რუსულ-ქართული აურია რაშიდამ. ძალიან გაუხარდა, მამამისის ავადმყოფობამ სხვაც რომ შეაწუხა.

— პაპიროსს არ მოსწევ? — მუშამ სიგარეტი გაუწოდა.

— აი, მადლობა! — რაშიდამ სიგარეტი აიღო. მუშამაც ამოიღო, მერე მიღლილმა რაშიდას ასანთი მიაწოდა და თვითონ იქვე, მანქანის ახლოს ჩამოჯდა.

— ძალიან დავიღალე! — თქვა მან.

რაშიდამ ასანთი გაჰკრა, ცეცხლი ჯერ მუშას მოაკიდებინა, მერე თვითონაც მოუკიდა, ასანთი უკან დაუბრუნა და მის გვერდით ჩამოჯდა.

— დამე მუშაობა ზალიან ზნელია, — დაეთანხმა რაშიდა.

— შენი ძმები და ძმისწულები როგორ არიან? — ჰკითხა ისევ მუშამ.

— ჯანზე ზალიან კარგად არიან.

— ქორწილი მალე გადაიხადე, თქვენები ხომ უნდა გავიცნოთ. ერთიც ვნახოთ და შენი ძმა ქუჩაში შემხვდეს. ხომ უნდა ვიცნობდე, მერე ბიჭებს გავაცნობ და ვეტყვი. ეს რაშიდა ისმა-

ილოვის ძმა არის-მეთქი, ღვინოსაც და-  
ვაღვევინებთ.

— აი, მადლობთ, — უთხრა რაში-  
დამ, — ქორზილიც მალე იქნება, ცხვრე-  
ბი უკვე ზუქდებიან.

ღრო ისე გავიდა, რაშიდას არც ვა-  
უგვია. ზარმა რომ დარეკა, მაშინ გამო-  
ერკვა. მანქანა შეუმოწმებლად ჩაიბა-  
რა. აბა, ასეთი კარგი კაზი როგორ მო-  
მატლუებსო, — ამბობდა გულში.

ცვლა დაიწყო. რაშიდამ ღილაკს ხე-  
ლი დააჭირა. მანქანა ამუშავდა. თვითონ  
ქვედა ელევატორთან დადგა და და-  
ფშვნილ კოქსს აკვირდებოდა. როცა  
კოქსის მარცვლები მსხვილი მოეჩვენე-  
ბოდა, მანქანის ლილვებს სიჩქარეს  
უმატებდა, მსხვრეველი ჩაქუჩებიც უფ-  
რო ჩქარა მუშაობდნენ. რაშიდა დაფ-  
შვნილ კოქსს ხელით სინჯავდა და კმა-  
ყოფილი ღიღინებდა.

ცვლის დაწყებიდან ოცი წუთიც არ  
იყო ვასული, რომ რაღაც ჭახანი გაისმა  
და მანქანა გაჩერდა. რაშიდამ მანქანა  
სასწრაფოდ გამოართო, მერე დიდი ფო-  
ლადის ფარი ასწია და ლილვებს ჩა-  
ხედა. ლილვებს გადამრთველი გასტე-  
ზოდა, ბუდიდან ამოვარდნილი ერთი  
ლილვი კი ზედა ორ ლილვს შორის იყო  
გაჭედოლი.

რაშიდას ციგმა ოფლმა დაასხა. ერთ  
ადგილზე გაქვავდა, აღარ იცოდა, რა  
ექნა. მერე თითქოს ერთბაშად გამოფხი-  
ზლდაო, საღისპეტჩერო ზარს მივარდა,  
ღილაკს ხელი დააჭირა. ყველა ელევა-  
ტორი ერთბაშად გამოირთო და გაჩე-  
რდა. მთავარი ელევატორის ფანჯრიდან  
ქალებმა თავი გადმოყვეს.

ღისპეტჩერმა ოსტატს და ცვლის  
უფროსს აცნობა, კოქსის ელევატორზე  
შეფერხებააო. მალე ოსტატი გამოჩნდა,  
უკან ცვლის უფროსი მოჰყვებოდა.

რაშიდას თავი ლილვების უზარმაზარ  
კოლოფში ჩაერგო და გაჭედოლი ლი-  
ლვის გამოძრობას ცდილობდა. თან მა-  
ღლა ახედვისა რცხვენოდა, უფროსები  
რას მეტყვიანო. როცა მაღლა აიხედა,  
მანქანას ირგვლივ იმდენი ხალხი ერტყა,  
რომ ენა ჩაუფარდა. ოსტატმა რაშიდა

გვერდზე მისწია და ახლა თვითონ ჩაე-  
გო თავი უზარმაზარ ფოლადის კოლო-  
ფში. ჯერ ყველაფერი გულდასმით და-  
ათვალიერა. მერე ლილვების გადასა-  
რთველ კოლოფს დააკვირდა, ორი ლი-  
ლვი ბუდიდან ამოაძრო და კოლოფს  
ერთხელ კიდევ შეხედა. მერე თავი  
ასწია, ზეთში ამოსვრილი ხელები მჩვა-  
რზე შეიწმინდა და რაშიდას ჰკითხა:

— მანქანა შეამოწმე და ისე ჩაიბა-  
რე?

რაშიდას ტანში გააცვივა.

— არ შეგიმოზმებია, უფროზო!

— მერე რატომ, — ყვირილით დაიწყო  
ოსტატმა, — მაგრამ რაშიდას შეშფო-  
თებულ და საცოდავ თვალებს რომ შე-  
ხედა, დანარჩენი სათქმელი ხმადაბლა  
უთხრა, — რატომ არ შეამოწმე, მე ხომ  
ვითხარი, მანქანა ისე არ ჩაიბარო, თუ  
არ შეამოწმებ-მეთქი.

— რა მოხდა? — ჰკითხა ცვლის  
უფროსმა ოსტატს.

— გაფუქებული მანქანა შეუცურეს.  
ლილვების გადასართველი კოლოფი  
მთლიანად გამოსაცვლეელია.

— რატომ არ შეამოწმე? — ჰკითხა  
ახლა ცვლის უფროსმა.

— უფროზო, აბა როგორ შეამოზმე.  
მივედი, კაზი მეკითხება, შენი მამა რო-  
გორ არის, შენი ზმები როგორ არის.  
თანაც პაპიროზი მაზევინებს, თვალე-  
ბში მიჩერებია და გიღიმის. აბა როგორ  
შევეამოზმო, კაზი კაზს არ უნდა ენდოს?

— რომ ენდე, ხომ ხედავ, მოგატყუა,  
ახლა ორი საათი ამის შეკეთებას მოვუ-  
ნდებით და შენი გულისთვის მთელი სა-  
ამქრო გაჩერდება.

— არა მჯერა, უფროზო, არ მომა-  
ტყუებდა, მანქანა ალბათ ჩემს ხელში  
გაფუქდა.

— ახლა კიდევ ამას მასწავლის! —  
გაბრაზდა ოსტატი, — ვერა ხედავ, გა-  
ფუქებული კოლოფი რითი დაუმგარე-  
ბია? — ოსტატმა რაშიდას პატარა რკი-  
ნის სოლები დაანახა.

— ვინ იყო წინა ცვლაში? — ჰკითხა  
ცვლის უფროსმა ოსტატს.

— ბრევკაძე.



— ბრგვაძე რომელია?  
 — მაღალი, წითური ბიჭი რომაა, სა-  
 ზელი არ მახსოვს.  
 — ის კი მოატყუებდა, კარგი ეშმაკია.  
 — არაა ეშმაკი, უფროზო, კაზე ეგრე  
 თქმა სოღოა.

— ბიჭო, შენ შენი თავი დაიცავა,  
 იმას არ სჭირდება გამოსარჩლება.

— მე რაზ გინდათ ის მიქენით, უფ-  
 როზო, თუ გინდათ, ზულაც მომხსენით,  
 მანქანა ახლა გაფუჭდა. ის კაზი ტყუ-  
 ილი არ იტყოდა.

ოსტატმა ხელები გაშალა — მოდი  
 და ახლა ამ გამოთაყვანებულს ელაპა-  
 რაკო. ცვლის უფროსმა ხელი ჩაიქნია  
 და წავიდა.

— შენ ახლა გირჩენია წამომყვე  
 და ლილეების კოლოფი სასწრაფოდ  
 წამოიღო, თორემ, მამიჩემის ცხონე-  
 ბას...

— ზადაც გინდა სამოვალ, უფროზო,  
 ოღონდ სიტყვა ვითხრა...

— კარგი ახლა, თუ კაცი ხარ, ისე-  
 დაც გულზე ვარ გამსკდარი!

ორი საათის შემდეგ მანქანა ამუშა-  
 ვდა, მაგრამ რაშიდას დანა კბილს არ  
 უხსნიდა.

„— ეს როგორ მომივიდა! — ბურტყე-  
 ნებდა რაშიდა. — აბა როგორ უნდა შემე-  
 მოზმებინა, კაზი თვალეზში შევიქნენ.  
 ბოდა და ილიმებოდა, თანაც ჩემს ზმე-  
 ბზე როგორ ლაპარაკობდა. ეხ, უფრო-  
 ზმა ტყუილად დაუძახა ეშმაკი. მანქანა  
 ჩემს დროს გაფუჭდა. შეიძლება ადრეც  
 გაფუჭდა, მაგრამ იმ კაზმა არ იცოდა.  
 აბა ვაჟკაზი კაზი ტყუილს როგორ იტ-  
 ყოდა. უფროზს კი ვერაფერი გავაგები-  
 ნე. სულ იმის ბრალია, რომ არც რუ-  
 სული ვიზი და არც ქართული“.

შესვენებაზე უზარმაზარი ფაბრიკა  
 ისევ მიჩუმდა. მთავარი ელევატორის  
 ფანჯრებში ქალები ისევ გამოჩნდნენ,  
 საუზმე ფანჯრის რაფაზე გაშალეს. თან  
 ჭამდნენ და თან რაღაცაზე იცინოდნენ.  
 დაბლა, მოპირდაპირე ფანჯრისკენ იცქი-  
 რებოდნენ, მაგრამ იმ დღეს რაშიდას  
 თავისი ჭრელი პატარა ფუთა არ გა-  
 უშლია. საუზმე არც კი გახსენებია. მან-  
 ქანასთან საცოდავად მიყუყულიყო და  
 თავში სულ ერთი აზრი უტრიალებდა.

„აბა ვაჟკაზი კაზი ტყუილს როგორ  
 იტყოდა. უფროზს კი ვერაფერი გავა-  
 გებინე. ეხ, სულ იმის ბრალია, რომ  
 არც რუსული ვიზი და არც ქართული“.

## თოვნიანი ქუე

ნიკიფორემ შუალამისას მიაბარა  
 უფალს სული. სიკვდილის წინ რაღაც  
 ამოილულლულა, ხელის აწევაც სცადა.  
 უნდოდა გვერდით მწოლიარე ცოლის-  
 თვის რაღაც ეთქვა. მაგრამ ვერ შეძლო  
 და ერთბაშად გაშეშდა.

მამლებმა პირველად იყივლეს, როცა  
 მართამ თვალი გაახილა. გვერდი იცვა-  
 ლა და ხელი ნიკიფორეს გაშეშებულ  
 მხეულს წაჰკრა. ცივი ეჩვენა. ხელისგუ-  
 ლი შუბლზე დაადო.

— მომკვდარა ეს უბედური, — ამო-

იოხრა ქალმა და პირვეარი გადაიწერა.  
 ნიკიფორეს თორმეტი წლის წინათ,  
 ერთ წვიმიან დღეს, ჭალაში მუშაობისას,  
 აღიდებულმა რიონმა მოუხსწრო. პატარა  
 თხმელაზე კი ავიდა, მაგრამ ამანაც არ  
 უშველა, სამხრობიდან ალიონამდე ყე-  
 ლამდე წყალში იდგა. დილას წყალმა  
 დაიკლო და როგორც იქნა სამშვიდობას  
 გავიდა.

შინ ცხელი საკმელი დახვდა. ნიკი-  
 ფორე ტახტზე წამოწვა, წელი მტკივა.  
 ახლა ჭამის თავი არა მაქვსო და მკვდა-

რივით ჩაეძინა. მას მერე ფეხზე არ წამოდგარა. რა არ უწამლეს. რა არ გაუკეთეს, სად არ ჰყავდათ. არც ექიმბაშობა დაუკლიათ, მაგრამ ჯანდონით აღსავსე კაცი ლოგინს სამუდამოდ მიეჯაჭვა.

ნიკიფორე კარგი ვაჟკაცი იყო. ცოლი ჰაიპარად ვერაფერს გაუბედავდა. ლოგინში ჩავარდნილი დიდხანს კიდევ უფროსობდა ოჯახში, მაგრამ მართამ თანდათან ენა შეაჩვია და ბოლოს მის ლაპარაკს არაფრად აგებდა. ნიკიფორე მიხვდა, რომ მისი მორჩენა უკვე ზღაპარი იყო, ოჯახს ზედმეტ ბარგად დააწვა და ხმას აღარ იღებდა. ერთთავად ჰერს მისჩერებოდა, ასე ათენებდა და აღამებდა.

მართა წამოდგა, კაბა გადაიცვა და კარი გამოაღო. სიცივე კაცივით დაეტაკა. ათვდა. უკვე მეორე კვირა იყო, გადაუღებლად თოვდა. გამოდარებას არ აპირებდა. მართამ კარი მიხურა და ბუხართან მივიდა. ნაცარში შეხვეული ნაკვერჩხალი გაჩხრიკა. მალე ბუხარში ცეცხლი აგუზგუზდა. პატარა კარდალით ჯიქნის გამოსაბანი წყალი ჩამოკიდა. ფიტონიდან ჭრაქი ჩამოიღო და მოუკიდა. ჭრაქი ფანჯარასთან დადგა. თვითონ თავშალი მოიხვია და გარეთ გავიდა. კართან მიყუდებული ხის ნიჩაბი აიღო. გზა ჯერ ბოსლამდე გაიკვლია, მერე სამზადამდე და ბელლამდე.

უკვე ირიყრაჟა. ცა შემობრუნდა, წყალი თბილი დახვდა. ქვაბი ჩამოსსნა, თბილი წყალი სარძევე ქვაბში გადაასხა, ბოსელში წავიდა და ძროხა გამოწველა. მერე შინ შებრუნდა. რძე მეორე ოთახში გაიტანა და მაგიდაზე დადგა. ერთ წუთს შეჩერდა.

— რა ვქნა ახლა მე? — თქვა ხმა-მალლა. ისევ დიდ ოთახში გაბრუნდა და საწოლთან მივიდა. ნიკიფორეს თვალები და პირი ღია დარჩენოდა. მართამ მიცვალებულს თვალი დაუხუჭა, ჭრელი თავსაფრით ყბა აუკრა და საბანი წააფარა.

მერე მალლა ავიდა, ოღამე, <sup>წაიღო</sup> ხეწარი, ბალიში და საბანი ჩამოიტანა. ქმარი გაჭირვებით გვერდზე <sup>მისწია</sup> და ყველაფერი გამოცვალა. როცა ამასაც მორჩა, ისევ პატარა ოთახში გავიდა, ცოცხი აიღო და პალატის დასუფთავება დაიწყო.

მერე ბელელში წავიდა.

„ერთი კოდი ფქვილი ეყოფათ“, — გაიფიქრა მართამ და საქელზე ფქვილი გვერდზე გადადგა. კაკლით სავსე ტომარა და ყველის ხალამი ბოლო საგვერდულში გადამალა. ზემოდან ფიცრები დააწყო და ცარიელი კოდები დააყარა.

მერე გადაიფიქრა: კოდები და ფიცრები ისევ ამოყარა. კაკლით სავსე ტომარა უკან ამოიღო, ზურგზე წამოიკიდა. შინ წაიღო და იმ ტახტის ქვეშ შემალა. რომელზეც მიცვალებული ესვენა.

— ასე თუ არ ვქენი, გამკლიან ამ უბნის ქალებიო. — ფიქრობდა თან.

ისევ მალლა ავიდა, ძველი ზანდუკი გახსნა და წითელ თავსაფარში გახვეული ფული ამოიღო. ნაწილი უბეში ჩაიღო, ნაწილი კი ისევ წითელ თავსაფარში გაახვია და ზანდუკში შეინახა. ზანდუკი დაკეტა და გასაღები გულზე ჩამოიკიდა, ოთახები მოათვალიერა, დამტვერილი კამოდი გადაწმინდა და დაბლა ჩამოვიდა.

კარგა გათენებულიყო.

მართამ თმა გაიშალა და მიწყნარებულ სოფელს ზარივით მოედო მისი ხმა.

— დავიღუპე, დავიღუპე, აღარა მყავს ჩემი ნიკიფორეე...

— ნიკიფორე მომკვდარა! — გადასძახეს ერთმანეთს მეზობლებმა.

— შორს ჩვენგან, ღმერთო, გვარი-დე უბედურება! — გადაიწერეს პირ-გვარი მოხუცმა ქალებმა.

მალე ნიკიფორეს ეზოში თმაგაშლილი ქალები გამოჩნდნენ. ისინი ქორისაგან დამფრთხალი ქათმებივით მორბოდნენ და თავში ხელს იშენდნენ.

— დავიღუპე, დავიღუპე, ქალე-



ბოო! — გაბმული ზარით შეეგება მართა მეზობლის ქალებს.

— უი, უი, უი! — კაოდნენ ქალები.

— რალა მეშველება. რალა მეშველება! — კიოდა მართა და მის ხმას გუნდით მიჰყვებოდა მეზობლის ქალების—უი, უი, უბედური ნიკიფორეე!

კაცები სახლში ჩუმად შედიოდნენ. ზოგმა საბანიც დადასწია და თვალდაჭყეტოლ, ყბახევეულ და მიღუულ ნიკიფორეს დახედა.

— როგორ დაღუულა ლომივით კაცი! — ჰკვირობდნენ ისინი. ზოგს ნიკიფორე კაი შეიდი-რვა წელი იყო არ ენახა და ისევ ძველი ნიკიფორე ასოვდაათ.

ქალებმა ტირილით გული მოიოხეს, მართა კი მაინც გაჰკიოდა.

— დაწყნარდი ახლა, შე ქალა, შენს თავსაც გაუფრთხილდი, სამარეში ხომ არ ჩაჰყვები. — ამშვიდებდნენ მართას ქალები.

— რალად მიინდა აწი სიცოცხლე — არ ცხრებოდა მართა, — ვაი ჩემო უბედურო, დატანჯულო კაცო!

— სიკვდილი მადლი იყო მაგ უბედურისთვის! — თქვა ვიღაცამ.

— ვიცი. ჩემო ალათი. ვიცი, მაგრამ მაინც დიდი გული მქონდა, შინ რომ კაცი მეგულებოდაა! — მიატირა მართამ.

კაცებს ერთი ჭალარა მოხუცი გამოეყო და მართასთან მივიდა:

— მართა, შენ ყოჩალი ქალი ხარ. ამდენი წელია ამ ოჯახში კაციც შენა ხარ და ქალიც. დაწყნარდი ახლა, მიცვალე ბუღს პატივისცემა უნდა. საქმე ბევრი გვაქვს გასაკეთებელი და ყველაფერი, აგერ, ახლავე უნდა მოვილაპარაკოთ.

— თქვენი იმედი მაქვს. ჩემო ლაზარე! რატომ მეც არ მოგვკვდი, მე უბედურო! — ტირილით დაიწყო მართამ, უკანასკნელი სიტყვები კი ჩვეულებრივად წარმოთქვა. — თბილისში ბიჭს უნდა შევატყობინო, თევზი და ბრინჯი წამოიღოს.

კაცები მაგიდას მიუსხდნენ და ბჭობა დაიწყეს.

ნიკიფორეს გასვენების დღეს... მა დილიდანვე იწყო დენა. თოვლით გადათებებული უბნის ხან ერთ და ხან მეორე მხარეს ჭგუფ-ჭგუფად გამოჩნდებოდნენ ხოლმე სატირალში მიმავალი შავებში გამოწყობილი ქალები და კაცები. სახლს მოუახლოვდებოდნენ თუ არა, ქალები დაწინაურდებოდნენ, თმას იშლიდნენ და გაღებულ ჭიშკარში ცივი კივილით შედიოდნენ. როგორც კი ახალმოსულების კივილს გაიგონებდნენ, მიცვალეხულის ირგვლივ ჩამომწყრივებული ქალებიც ახალი ძალით იფეთქებდნენ.

შესასვლელში ნიკიფორეს შვილი იდგა, ვარლამი, დილით ჩამოსულიყო. ცოლ-შვილი არ ჩამოეყვანა, ამ თოვლსა და უბედურებაში გზების შემემანდაო.

სატირალში მოსულები ჯერ ვარლამს ართმევდნენ ხელს, მერე ოთახში შედიოდნენ. ქალები იქვე რჩებოდნენ. კაცები კი ისევ ეზოში გამოდიოდნენ.

— როდის მომკვდარა, საცოდავი? — კითხულობდნენ ახალმოსულები.

— ორშაბათ დილას, ძილში გაპარულა კაცი.

— კუბოს თავი რატომ არა აქვს ახლილი?

— თვლები და პირი დარჩენია ღია უბედურს, საცოდავი, ღმერთსაც დავიწყებული ჰყავდა და კაცსაც.

— მაგასაც ეშველა და მართასაც, — იტყოდა მერე ვიღაც.

— აბა, აბა! — კვერს უკრავდნენ დანარჩენები.

მერე კაცები სამზადისკენ მიდიოდნენ. იქ, თონეში, ცეცხლი გუზგუზებდა. პატარა ხის ტაბლახე დაჭრილი ყველი და გამომცხვარი ლავაში ეყარა. დიდი შტოფით არაყი იდგა, ჩაფით კი ღვინო.

კაცები სამზადში რიგრიგობით შედიოდნენ, თითო ჭიქა არაყს გადაჰკრავდნენ, გაანათლოს ღმერთმა ნიკიფორეს



სულიო, იტყოდნენ, ცხელ ლავაში  
ყველს ახვედნენ და ილუკებოდნენ.

— ძალიან კი თუგს, ხომ იცი შენ! —  
იტყოდა ვილაც.

— ვაისად კი მოსავალი იქნება! —  
პასუხობდნენ აქეთ-იქიდან.

სამზადის უკან, დათოვლილ ხეჭე-  
ჭურ მსხალზე ჩხართვები ფითრს ეხვე-  
ოდნენ.

— ვაი, რომ თოფის სროლა არ შე-  
იძლება! — გულმოკლული შესჩერებო-  
და ჩხართვებს ერთი ახალგაზრდა.

მალე სამზადისკენ მომავალი არქი-  
ფო მასწავლებელი გამოჩნდა.

— როგორ დაავგიანდა ამ უბე-  
დურს! — გაიცინა ვილაცამ.

არქიფო უწინ რაიონში მუშაობდა.  
ბოლო ხანებში ღვინის სმას მიეძალა,  
ბევრჯერ გააფრთხილეს. მაგრამ არაფე-  
რმა არ გაჭრა. საქმე იქამდე მივიდა,  
რომ სამსახურიდან მოხსნეს და სამუ-  
შაოდ ამ მივარდნილ მთებში წამოვი-  
და. აქაც დღე და ღამე მთვრალი იყო,  
მაგრამ სამსახურიდან ვინ მოხსნიდა —  
რვაწლიან სკოლაში სამ საგანს ასწავ-  
ლიდა.

არქიფოს მოხუცი ბრმა კაცისთვის  
ილიაში ხელი გამოედო და ფრთხი-  
ლად მოჰყავდა.

— ეს ემგენია არ არის, უთმელი-  
ძე? — თქვა ვილაცამ.

— კი, ემგენიაა.

— რავა დაჩუტულა ეგ უბედური.

— კაი გამარჯობა თქვენი! — შორი-  
დანვე დაიძახა არქიფო მასწავლებელმა.  
მერე ემგენია სამზადში შეიყვანა და  
სამდება სკამზე დასვა.

— შენ აქ იყავი, ემგენო. თან გათბი  
და თან ღვინო წრუბე. დამისხით, ბო-  
შო, ერთი.

— არაყი დალიე, ცეცხლივითაა. დი-  
ლას არაყი სჯობია! — შესთავაზა მზა-  
რეულმა.

არქიფო მასწავლებელმა ჭიქა მიიყუ-  
და და არაყი ერთბაშად გადაჰკრა.

— კარგია, ხომ? — ჰკითხა მზარე-

ულმა, როცა არქიფოს თვალზე ცრემ-  
ლი დაინახა.

— ტანკსაწინააღმდეგო! — თქვა  
არქიფომ და კახელა ლავაში პირისკენ  
გააქანა.

— როგორ ხართ, ემგენ ბატონო! —  
ჰკითხა მზარეულმა ბრმა მოხუცს.

— ეჰ, ვარ, როგორც ჭურში ჩავარდ-  
ნილი ბაყაყი. ბრმა კაცის კარგად ყოფ-  
ნა ვინ გაიგონა.

— მაგი არაფერი. ჩემო ემგენია, მე  
ორი თვალი მაქვს, მაგრამ მერე რა,  
ჩემმა მტერმა უყურა ამ უბედურებას  
ორი თვალით. — დაამშვიდა არაყით  
თვალემაჯუჭუქნებულმა და გულაჩუყე-  
ბულმა არქიფო მასწავლებელმა.

ჭიშკარში ქალების კივილი გაისმა.

— უი, უი, უი, აღარა გვყავს ნიკი-  
ფორეე! — მისცეს მოძახილი კუმბოს ირ-  
გვლივ შემომსხდარმა ჭირისუფლებმაც.

— გადი, ბიჭო, გაიგე ვინ მოვი-  
და! — უთხრა მზარეულმა პატარა ბიჭს,  
ასაქნელად დაკიდებულ ცხვრებს რომ  
შესჩერებოდა.

ბიჭუნა გაიქცა და ერთ წუთში უკან  
მობრუნდა.

— ჰელიძეები მოვიდნენ, — თქვა და  
ისევ ცხვრების პირდაპირ ჩამოჯდა.

— დათიკო კობერიძე ჯერ არ მო-  
სულა? — იკითხა მზარეულმა.

დათიკო კობერიძე კოლმეურნეობის  
თავმჯდომარე იყო.

— რა შეილია, არ მოვიდეს! — უბა-  
სუხა არქიფომ და თან არაყი გადაჰ-  
კრა, — ცეცხლია, ცეცხლი!

— მართას ყოველთვის კარგი არაყი  
ჰქონდა! — ხმა ამოიღო ემგენიამ.

— თამადა ალბათ დათიკო იქნება! —  
თქვა მზარეულმა და ცხვარს ბეჭი ჩა-  
მოაჭრა.

— აბა თამადობის გარდა კაცს რაში  
გამოადგება! — ჩაიცინა არქიფო მას-  
წავლებელმა.

— რავა, ემდური თუ? — იკითხა ემ-  
გენიამ, — მაგი კარგი საქმიანი კაცი  
უნდა იყოს.

— საქმის რა მოგახსენო, ჩემო ემ-

გნო, ისე, სოფელში რომ გამოჩნდება, წიწილებს კისრები ექავებათ, — ხით-ხითებდა არქიფო მასწავლებელი და თან მესამე სახარებას ყლურწავდა.

— ერთი ახლა ამ ჩხარებებზე მას-როლია და მომკლა მერე! — არ ცხრებოდა ახალგაზრდა ბიჭი.

— თამაღობა, ჩემო კიშოთე. — უთხრა მზარეულს მალამა, უღვაშიანმა კაცმა, — ამ ოჯახში იროდი ბრეგვაძეს უფრო ეკუთვნის.

იროდი ბრეგვაძე მართას ძმისწული იყო და კარგ თამადადაც ითვლებოდა.

— მე შინცადამაინც არ მომწონს იროდის თამაღობა, — თქვა კოლმეურნეობის ბულაღტერმა, — სიტყვა ძალიან უჭრის, მაგრამ სუფრაზე ერთი მაგისტრალური ხაზი არა აქვს.

— უნაკლო არც დათიკოა, — გაციუტდა უღვაშიანი კაცი, — ნამეტანი თავისნათქვამა კაცია. რომ გეტყვის, რიონი მალლა მიდისო, შენ თუ არ უთხარი, სულ შხუილ-შხუილით მიდის-თქო... — აღარ დაამთავრა სათქმელი.

კაცები სამზადში რიგრიგობით შედიოდნენ და არაყს სვამდნენ. ზოგი უკვე მეოთხე გზობას აკეთებდა. შტოფი მერედ დაიცალა.

— წადი, ბიჭო, ქალებს უთხარა, არაყი ჩამოგვისხან! — მიუბრუნდა მზარეული პატარა ბიჭს.

ბიჭმა შტოფი წაიღო და ის იყო პირდაპირ მოტირალ ქალებთან უნდა შეეტანა, რომ ვილაცამ ხელი წაავლო.

— სად მივაქვს, შე ტუტუტო! — მსუქანმა, შავებში გამოწყობილმა ქალმა შტოფი წაართვა და პატარა ოთახში შეიტანა. მერე პალატში შევიდა და კუბოს თავთან მიმჯდარ მართას ყურში წასჩურჩულა — კაცები არაყს თხოულობენო.

— გახეტქა მაგათი მუცელი ღმერთმა, — ჩაილაპარაკა მართამ, ფეხზე წამოდგა, პატარა ოთახში გავიდა და შტოფი არყით გაავსო. მერე ოთახის კარი გამოიკეტა და ისევ კუბოს თავთან ჩამოჯდა.

— ჩქარა, ბიჭიკო, ჩქარა! — დაუძახეს კაცებმა პატარა ბიჭს. ვიღაცეებში შეეშველა, შტოფი გამოართვა მზადში შეიტანა.

დიდ ქვაბში ცხვრის ხორცი იხარშებოდა. ირგვლივ სასიამოვნო სუნი იდგა. არყით მადაგახსნილი და შებრუებული კაცები უფრო და უფრო ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. დროდადრო ხუმრობდნენ და იცინოდნენ კიდევც.

ეზო თანდათან ივსებოდა ხალხით. ტირილიც თანდათან მატულობდა. მოტირალ ქალებში მხოლოდ ერთი ქალის ხმა გამოირჩეოდა, მართლა გულმოკლული ტიროდა.

— ვინაა ის ქალი? — იკითხა ერთმა.

— საწყალი ნიკიფორეს დაა, პილასი, — უპასუხა მეორემ.

— უბედური მაგის თავი, თვითონ შვილი არ ჰყავს და ძირი. მთელი ჯანი ამ ძმებს შეაღია.

— აბა, აბა, საზიარო ძროხასავით ხან ერთთან იყო და ხან მეორესთან.

კაცები ერთბაშად მიჩუმდნენ, ეზოში ვარლამი გამოჩნდა, ნიკიფორეს შვილი. იგი სამზადთან მივიდა, ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო, ჯერ სხვებს მიაწოდა, მერე ერთი ცალი თვითონაც გაირჭო პირში.

ყველანი პაპიროსს ეწეოდნენ და ხმას არ იღებდნენ. არ იცოდნენ, რა უნდა ეთქვათ.

— რა მაგრა თოვს, ეს უპატრონო! — დაარღვია ბოლოს სიჩუმე ვარლამმა.

— კი, ძან მაგრა თოვს. — დაეთანხმნენ ირგვლივ.

სასაფლაო პატარა გორაკზე იყო. დინამიტებით დანგრეული ეკლესიის სამრეკლოზე ნეკერჩხალი ამოსულიყო. უზარმაზარი ნეკერჩხლები და ცაცხეები თოვლით იყო დახუნძლული. მხოლოდ ერთ ალაგას ახალგათხრილ საფლავს პირი შავად დაეღო.

თოვლით გადათეთრებულ სასაფლაო-

ოს შავებში გამოწყობილი ხალხი ყვა-  
ვებივით შეესია და ერთ გუნდად შეიკ-  
რა. მალე ეს გუნდიც დაიშალა და გატ-  
კენილ ფერდობზე პატარა, შავი ბორ-  
ცვი დარჩა.

თამადად კოლმეურნეობის თავმჯ-  
დომარე, დათიკო კობერიძე აირჩიეს.  
იროდი ბრეგვაძე განაწყენდა, მაგრამ  
ხმა არ ამოუღია. დათიკო მიხვდა, რომ  
იროდის დანა კბილს არ უხსნიდა და  
სადღეგრძელოს პირველად მასთან გა-  
დადიოდა.

„შენ გიჩვენებ სეირს, სიტყვას ვი-  
ტყვი. ჩაგაქრობ სანთელივით!“ — გა-  
იფიქრა იროდიმ და ათწუთიანი სიტყვა  
გააჭრელა.

ხალხი გამალებული ჭამდა და სვამ-  
და. ქალები ხორაგის შემოტანას ვერ  
ასწრებდნენ.

— კაცი რომ ჭიქას შეხედავს, კი  
უნდა მიხვდეს. წაიფელ ღვინოს სვამ თუ  
თეთრს! — დამცინავად ჩაილაპარაკა  
ერთმა ახალგაზრდა კაცმა და მეზობლის  
გამოწრუპულ ჭიქას ჩახედა.

თამადა და იროდი სადღეგრძელოს  
თქმაში ერთმანეთს ამჯარად ეჯიბრებოდ-  
ნენ, მაგრამ მსაჯული არავინ იყო.

— გაივით, რაიკავშირის თავმჯდო-  
მარე მოუხსნიათ, — თქვა ერთმა მხედ-  
რმა კაცმა, — ფული გაუფლანგავს!

— მაგ საქმეს, ჩემო ბაბუა, ბარე  
ორა სხვაც მიაყოლეს, — დამცინავად  
მიუგო ახლად წვერაღინგლულმა ბიჭმა.

— ბიჭო, ქორწილში ხარს რომ დაკ-  
ლავენ, იმს ამბობენ, ხარო დაკლესო,  
თორემ ზედ რამდენ გოჭსა და ქათამს  
წააკლავენ, მაგი ვილას ახსოვს, — ჩა-  
იციინა არქიფო მასწავლებელმა. იგი შე-  
უსვენებლად ჭამდა. მაგრამ არც ერთი  
სიტყვა არ გამოეპარებოდა. მერე საკუ-  
თარ თეფშს დახედა. ბევრი ძვალი დაგ-  
როვებოდა. აქეთ-იქით მიმოიხედა და  
თეფში ვიდაცის ფეხებთან დაცალა. უბ-  
ნის დამშეულ ძაღლებს მაგიდის ქვეშ  
შლიგინ-შლიგინი გაუდიოდათ. ხანდა-  
ხან ვინმე ძაღლს უნებურად ფეხს დააღ-  
ვამდა და გულისწამლები წკმუტუნი  
ატყდებოდა.

გარეთ კი თოვდა. თოვდა გულიანად.  
გადაღებას აღარ აპირებდა. სასაფლაო-  
ზე შავი პატარა ბორცვი აღარსად ჩან-  
და, ერთიანად თოვლს დაეფარა. ირგ-  
ვლივ ყველაფერი თეთრად ქათქათებდა.





# იზიარება ვსოთხედზე

## კვლავ ოქროს ხელით დაიწერება

მას აწერია როდის აშენდა  
და მკერდში ეწვის ათასი წელი,  
მე ვდგავარ ახლა დიდ ქაშუეთთან  
ვდგავარ და ახალ ქაშუეთს ველი...

მე ვუმზერ ახლა მზისფერ გუმბათებს  
და საკუთარ თავს ვტირი და ვწყევლი,  
რომ ვერაფერი ვერ მივუმატე,  
ამ ოქროს ხელით დაწერილ წერილს.

რომ ვერაფერი ვერ მივუმატე,  
ღვთისგან დალოცვილ ოქროს დაბაზებს  
და უსახელო მოძღვარს ვუმადლი,  
ამ სათნობას და სილამაზეს.

ო, სულო ჩემო, სადა გაქვს ბინა,  
როცა სხეულში ყვირის სამყარო...  
შენ მომაქციე, წმინდაო ნინო  
და ვაზის ჯვარზე თმით გამაკარი.

შენ მომაქციე, ვით წმინდა ნინომ,  
ძე შეცთომილი და დაწყევლილი,  
ქვეყნად მზისფერი იმედი ბრწყინავს,  
და დასაწერი ბრწყინავს წერილი.



ეს რა მზესავით მთვარეა ცაზე,  
 ზედაზნის დიდი მთვარე გეძახის.  
 ცაზე ვარსკვლავად კიაფობს აზრი  
 და ახალშენი მღერის ვენახი.

ელაპარაკე ვარსკვლავებს, ღმერთებს,  
 მისთვის, რომ ძვირად ფასობს ილია,  
 შენი ხმა სულში თაფლივით წვეთავს,  
 შენი ჭირიმე, რა დროს ძილია.

ელაპარაკე ვარსკვლავებს, ღმერთებს,  
 ზედაზნის დიდი მთვარე გეძახის,  
 რომ მარად ენთოს, რომ მარად ენთოს,  
 ვენახში მზე და მზეზე ვენახი.

### ჩემი ცხოვრების ნათელო ჰავრო

მრევლო და ჯარო,  
 მრევლო და ჯარო,  
 გადაგდებულ  
 ციხე და კარო,  
 ჩემი ცხოვრების  
 ნათელო ჯავრო  
 შენ, მცხეთის ჯვარო,  
 შენ, მცხეთის ჯვარო,

იმიტომ მიმძიმს,  
 იმიტომ ვწვალობ.  
 იმიტომ ვიბრძვი,  
 იმიტომ ვჩქარობ,

ჩემი დღეების  
 ჩამქრალო კვარო  
 შენ, მცხეთის ჯვარო,  
 შენ, მცხეთის ჯვარო...

რომ არ გახუნდე  
 ნაცრისფერ მზეზე,  
 სიცოცხლის ცეცხლო  
 და თანამგზავრო,  
 წვიმს ქართლის გზებზე,  
 წვიმს ქართლის გზებზე  
 და გულზე მაწვიმს  
 მე, მცხეთის ჯვარო.

### ჩვენი სიზორა

მე მოვალ შენთან,  
 მოვალ დაღლილი,  
 მიწამოვლილი  
 და ცამოვლილი,  
 მე მოვალ შენთან,  
 გამოგადვიძებ  
 და შენ დაიწყებ  
 ბრწყინვას თოვლივით.

გაიგებს შენი  
 ცისფერი ბაღი,  
 დიდი ხნის მერე,  
 რომ კვლავ მოვედი.  
 შენი მშვენება  
 და ჩემი დაღლა,  
 გაბრწყინებულია  
 ამ სიშორეთი.

## ახალი მოვარე

ამ შორეულ გზას, გზას ულამაზესს,  
რა მოაქვს შენთვის წვიმების გარდა,  
ფიქრში წასულა თეთრი არმაზი  
და თავზე მცხეთის ნათელი ადგას.

ამ შორეულ ცას, ცას უნეტარესს,  
აჩნია მიწის ცრემლები გუბე  
და მოსჩანს მთვარე, როგორც კენტავრი  
და ვარსკვლავებით საფე აქვს უბე.

არა, არასდროს ის არ მოხდება,  
რაც იყო ადრე, რაც იყო წინათ,  
გაიშრიალებ, თვალში მომხვდები  
და გამხელილი იმედი ბრწყინავს.

## იმ ძველ სიყვარულს

თურმე მზესავით ცაში ვიწოდი,  
თურმე მომკალ და წესი ამიგე,  
მე რა ვიცოდი, მე რა ვიცოდი,  
გავიდა დრო და მერე გავიგე,  
ღრუბელი აწევს ახლა იმ ცოდვებს,  
იმ ძველ სიცოცხლეს და სიღარიბეს.

გავიდა დრო და ყველაფერს მივხვდი,  
როგორ დამლაღე და გადამრიე.  
რა შემიძლია მე, ღონემიხდილს —  
გმადლობთ, რომ შენი ხელით მკვდარი ვარ,  
ლამაზ თვალეში ვუყურებ სიკვდილს,  
ვუყურებ სიკვდილს და მიხარია.

## მოვარე ვარძიაში

ისე შორია ახლა შენამდე,  
როგორც შორია თამარ შეფემდე,  
ღმერთო შემინდე, ღმერთო შემინდე,  
ასე უცებ რომ შემოგეფეთე.

ოღონდ მზესავით თვალი მაჩვენე,  
მაჩვენე გული, რომ შეგეთვისო.



მე დაგანგრევ და მე აგაშენებ,  
ჩემო ღმერთო და ჩემო ხერთვისო.

ოღონდ მითხარი, ვინ აგაშენა,  
მზე ვინ მოგცა და ყურძნის მტევანი,  
შენა ხარ ჩემი ხავსი მაშველი,  
ჩემი ცხოვრება და სატევარი.

ჩემი სუნთქვა და ჩემი კალმანი  
და ვინც სიცოცხლე უნდა შემევისოს,  
მე მაინც შენთან უნდა დამმარხონ,  
ჩემო ღმერთო და ჩემო ხერთვისო.

მე შენთან ერთად უნდა დამმარხონ,  
მე შენკენ სულმა ისე დამძლია.  
საოცარია, მთვარე ამალამ,  
მზე ადგას თითქოს მაღალ ვარძიას.

### თ მ ო ზ 3 ო

მე ვეფერები შენს ლამაზ სხეულს  
და ვეფარები თამარის კალთას,  
ციხის ქონგურზე მტრედები სხედან,  
ქარები სხედან მტრედების გარდა.

მაღლა აფრენენ ქარები მტრედებს  
და ფრთხილებენ ცაში მტრედები,  
მე შენი სხივით სავსე მაქვს მკერდი,  
მოდინ წლები და მე ვბერდები.

მე ვბერდები და შორიდან გიხმობ,  
ათასწლის მიღმა გადახვეწილი,  
ზედ გულზე მადგას ვეება ციხე,  
კარშემტვრეული და დაღეწილი.

ზედ გულზე მადგას, როგორც ღვთის რისხვა  
და ექოსავით შორიდან გიხმობ,  
შენ შეგიძლია, აილო სისხლი  
და მომაშორო გულიდან ციხე.

შენ შეგიძლია, თამარის წყარო  
მომიტანო და მკერდზე მასხურო,  
რომ შემიცოდო, რომ შემეწყალო,  
რომ გამაცოცხლო და მიმსახურო.

გვედრები და შორიდან გიხმობ,  
ათასწლის მიღმა გადახვეწილი,  
ეს მე ვარ, თმოგვის ვეება ციხე,  
კარშემტვრეული და დაღეწილი.


## ი მ ე ლ ი

თუმცა არავინ არ მეკითხება,  
სძინავთ, არავინ არ მეკითხება,  
მე კი მგონია ღამე ირხევა  
და ღამის რუხი ფარდა იხევა.

დრო აღარ არის უკან დახვეის,  
გადავაბიჯეთ თითქმის ნახევარს  
და არ ჩანს ქვეყნად ჩვენი სახელი  
ისე, რომ რამეს ერქვას სახელად.

ო, არა, ისე როგორ გაგვიწიავს,  
სიჩუმე სათნო და დაწყევლილი,  
იმედი ბრწყინავს, იმედი ბრწყინავს,  
რომ დასაწერი გვიცდის წერილი.





მოთხრობა

კავკასიონიდან ჩრდილოეთით როცა მიემგზავრებით, ქედი ნელ-ნელა დაბლდება. მერე მხოლოდ პატარა ბორცვები და გორაკები გხვდებათ. უფრო იქით კი თვალუწვდენელი ტრიალი ველები იწყება. ნიადაგი აქ შავმიწაა და ნოყიერი. მოსავალიც კარგი იცის. უმეტესად პურს, მზესუმზირას და სიმინდს თესავენ. მაღლობზე რომ შედგეთ, თვალწიხ გეომეტრიულ ფიგურებად აკრებულელი და ალაგ-ალაგ აყვითლებული მწვანე ხალიჩა გადაგემლებათ. ამ ხალიჩაზე მკვეთრად ჩანს შავი გზა, რომელზედაც მანქანები იშვიათად დადიან. ზოგან სიმინდი ისე მაღალია, რომ მტვრის კორიანტელით თუ მიხვდები, საითკენ მიდის მანქანა.

დღეს კი მანქანა კორიანტელს ვერ დააყენებს. წვიმამ ძლივს გადაიღო. გზა სველია და ტალახიანი. საერთოდ, წელს წვიმიანი ზაფხული იყო და საქმე მინცადამინც კარგად არ მიგვდის. ამიტომ, გამოიღარებს თუ არა, მარშრუტზე მივდივართ. ხანდახან წვიმაშიც გვი-

წევს მუშაობა, მაგრამ ეს მხოლოდ ხანდახან. დღესაც პატარა მარშრუტი გვაქვს. შეწყდა თუ არა წვიმა, ექსპედიციის უფროსი გიორგი აივანზე გამოვიდა:

— სანამ ისევ გაწვიმდებოდეს, ჩამორეცხილი ქანები ხომ არ გვენახა!

ისე ვართ მუშაობას მოწყურებული, სათქმელის დამთავრებას არ ვაცდით. გიორგი გოგიას უყურებს.

გოგია უკვე დიდი ხანია ჩვენს ინსტიტუტში მძლოლად მუშაობს. იგი ჩვენთან დასუფთავების ტრესტიდან გადმოვიდა. ვილცამ თან ამბავიც მოაყოლა—ნავაგსაზიდ საბარგო მანქანაზე იჯდაო და „მენაგვე“ შეარქვეს. როცა გოგიაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ვინმე განგებ იკითხავდა: რომელი გოგია? — „მენაგვე“. — მზად იყო პასუხი, რასაც მუდამ სიცოცხლისხარისი ახლდა თან. ტყუილბურალოდ არ აუთვალწუნებიათ ბიჭებს გოგია. ჭაჭლანი უყვარს. ასფალტიანი გზიდან ვერაფრის დიდებით ვერ გადაახვევინებ; გეოლოგებს



კი, მოგესხენებათ, რანაირ ადგილებში უხდებათ მუშაობა.

— გადაუხვიო რა, საკუთარია?!— ამბობდა ვაოცებული გოგია, — რატომ თქვენ არ მუშაობთ სხვის მაგივრადაც?! მანქანა ყოველთვის მოვლილი უნდა იყოს; აჯანჯლარებ, აჯანჯლარებ და დაღებება.

არავითარი თხოვნა არა სჭრიდა. ამიტომ რომელ ექსპედიციაშიც არ უნდა წასულიყო, არ უხაროდათ. თუმცა მანქანის ჩამოსვლას ბიჭები მოუთმენლად ელოდნენ.

— ამ აღმართზე ვერ ავა! — იტყოდა დაბეჭითებით, — გადმოდიოთ და აირბინეთ, არაფერი გიჭირთ.

— კი მაგრამ ეს აღმართი ერთი კილომეტრი იქნება და თანაც როგორი დაღლილები ვართ, ხომ ხედავ? — ეტყოდა ვინმე.

— ვერ ავა და მორჩა! ახლა მე უფრო არ ვიცი ჩემი ამბავი! ეს მაჭმევს პურსა, ესა! ათჯერ ახვალ ესეთ აღმართზე და ფაფუ... მერე დააყენე და იხიხიალე მოტორის ქვეშა! — გაიმეორებდა ხოლმე ერთხელ დაზებირებულს. რამდენჯერაც არ უნდა ეთქვა, ერთ სიტყვას არ შეუცვლიდა ადგილს. ეს უფრო გვიშლიდა ნერვებს.

— მართლა მენაგვე ხარ, რა! — შეუდრენდნენ ხოლმე ბიჭები, მაგრამ გოგიაზე დაცინვა აღარ მოქმედებდა, ამ მეტსახელს თავიდანვე შეურთებდა.

ბევრი ვეკამათე გოგიას, მაგრამ ვერაფერი გავაწყეთ. ერთხელ, ჩვეულებრივი ჯაჯლანის შემდეგ, ზურაბმა თვალი ჩამიკრა და თქვა:

„მითამ მე რითა ვარ ნაკლები აიმი დამპალ გოგიაზედ?“ — სიტყვა „დამპალი“ ზურაბმა ისე გამოთქვა, რომ ყველას ტანში გავგვრა.

— რომელ დამპალ გოგიაზე? — შევეკითხე გულუბრყვილოდ.

— არ გახსოვს ეს ადგილი ილიას „ოთარაანთ ქვრივში?“

— როგორ არ მახსოვს, — არ დაიბნა გიორგი, — ეგ ადგილი ჩვენც საზეპიროდ მოგვცეს.

გოგია გაფითრდა.

— კიდე რა მოგვცეს საზეპიროდ? — ვითომ ვერაფერს მიხვდა გოგია.

— ვერ ავა და მორჩა! ახლა მე უფრო არ ვიცი ჩემი ამბავი! ეს მაჭმევს პურსა, ესა! — დააყარა სხაპასხუპით ზურაბმა, — ესეთ აღმართზე ათჯერ ახვალ და ფაფუ... მერე დააყენე და იხიხიალე მოტორის ქვეშა!

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ! — გარაზდა გოგია და მთელი დღე ხმა აღარ ამოუღია.

ასე შემთხვევით აღმოვაჩინეთ ფრაზა, რომლის გაგონება გოგიას გინებაზე უფრო ძალიან სწყინდა. პატარა შეუთანხმებლობა, ყაყანი, კამათი და ერთ-ერთი ჩვენთაგანი ამბობდა: „მითამ მე რითა ვარ ნაკლები აიმი დამპალ გოგიაზედ?“ ი. ჭავჭავაძე. „ოთარაანთ ქვრივი“.

ჰო და, სწორედ ამ გოგიას უყურებს ახლა გიორგი. გოგია ბურტყუნით დგება საწოლიდან და მანქანისაკენ ფეხთრეული მიდის. მე და ზურაბი ჩექმებს ვიცვამთ. თინაც „იპრანკება“.

— შენ რაღას სწუხდები? — ეკითხება ზურაბი.

— მე წამოვალ.

— ამ თავსხმაში?

— დარჩი, ჩვენ მალე დავბრუნდებით! — გიორგის სიტყვა საბოლოოა და ვერაფერს შეეკამათება. მერე მაგიდასთან ვიკრიბებით. მაგიდაზე რუქაა გაშლილი.

— აი, ამ პატარა მდინარეზე გადავალთ და ჩამორეცხილი ქანებიც იქვეა, — ამბობს გიორგი.

მიზანი ნათელია! გოგია ნიშანს გვაძლევს — მზად ვარო. „გაზ-69“ გაკრიბებულია; ვსდებით: გიორგი — მძღოლის გვერდით, ჩვენ — უკან.

— წავედით! — ამბობს გიორგი.

— დარი არ იციან და ავდარი... წვიმა და ტალახი... — ჩაჯლანებს გოგია.

მანქანის ფანჯრიდან რაც ჩანს, უნიათო მხატვრის დახატული გეგონება. ცა ერთთავად ნაცრისფერია. მიწა კი მწვანე; ყვავილსაც ვერსად შეამჩნევს კაცი. ყველაზე მკაფიოდ მოჩანს შავი,

ტალახიანი გზა, ჩვენს წინ რომ მიიკლ-  
კნება. მიდიხარ, მიდიხარ და უეცრად  
გზა ორად იყოფა.

— საით? — კითხულობს გოგია.

— მარცხნივ, — ამბობს გიორგი და  
რუქაზე მიმართულების სისწორეს ამო-  
წმებს.

— აქეთ რაღაც მანქანების კვალი  
არა ჩანს, — ფრთხილობს გოგია.

— ჩვენს შემდეგ რომ გამოივლის, ის  
ხალხი ხომ დაინახავს კვალს, — ამბობს  
გიორგი.

— ველარ მიეჩვიე ასეთ ადგილებში  
სიარულს? — ეკითხება ზურაბი.

— ხმას აღარ ამომადებინებთ? —  
წითლდება გოგია.

— რამდენიც გინდა, იმდენი ილაპა-  
რაკე, გენაცვალე! — ვამშვიდებ მე და  
მხარზე ხელს ვადებ.

— ხელი აიღე! როგორი ტალახია.  
კაცო, საჭე ძლივს მიჭირავს. ხედავთ,  
რანაირად სრიალებს?

— ძალიან სრიალებს. ცოტა ნელა  
იარე! — ბრძანებას იძლევა გიორგი.

— ამაზე ნელა?

— ჰო.

მანქანამ სიჩქარეს უკლო. მალე მი-  
ნაზე წვიმის წვეთები ახმაურდა. შორს,  
ჰორიზონტთან, მუქ ზოლად გაილანდა  
პატარა მდინარის კალაპოტი. გზის მარ-  
ჯვენა მხარეს ცხვრის ფარა გამოჩნდა.  
წვიმისაგან შეწუხებული ნაგაზი ფარას  
ძუნძულით უვლიდა გარშემო. მწყემსს  
ნაბაღში ჩაეყვინთა და უთავო მხედარსა  
ჰგავდა. ცხენი ბალახს ძოვდა. მანქანის  
ხმის გაგონებაზე მწყემსმა თავი ამოჰ-  
ყო და გამოიხედა. გიორგიმ მანქანა გა-  
აჩერა და ხელი დაუქნია. მწყემსმა ჩვენ-  
კენ გამოაჰქენა ცხენი.

— გამარჯობა, — უთხრა გიორგიმ  
მწყემსს.

— საით მიემგზავრებით? — იკითხა  
მწყემსმა.

— სტანიცა ოტრადნაიაში.

— ასე ვერ გახვალთ!

— რატომ?

— ეს პატარა მდინარე წვიმამ დააქა-

ობა და ფონი სილამ ამოავსო. ჩაეფლ-  
ბა თქვენი ავტო.

— სხვა გზა არ არის?

არქონული  
გინგლიოთეა

— აი, იმ მთაზე უნდა გახვიდეთ, —  
ერთადერთი მთისაქენ გაიშვირა მათრა-  
ხი მწყემსმა, — მთის გადაღმა სტანიცა  
უღობნაია შეგხვდებათ. იქამდე ორმო-  
ცი კილომეტრია. მერე ახლოა, შვიდი  
კილომეტრი იქნება.

— ესე იგი სამჯერ მეტი გზა უნდა  
გაიაროთ? — გაოცდა გოგია.

— რას იზამთ. იქ ვერ გახვალთ. ჩა-  
ეფლობა თქვენი ავტო. — დაბეჭითებით  
თქვა მწყემსმა.

— ტრაქტორები ხომ არ მუშაობენ  
ახლო-მახლო? — იკითხა გიორგიმ.

— არა! დროს ნუ კარგავ, უკან დაბ-  
რუნდით, ალბათ ამ მთაზე ასვლაც გაგი-  
ჭირდებათ.

— რატომ?

— მინდვრებიდან კოლმეურნეობის  
დიდი საბარგო მანქანები თივას ეზიდე-  
ბიან და გზაზე ღრმა კვალია დატოვებუ-  
ლი.

— რას გეწყევლის ეს კაცი! — გა-  
ცხარდა გოგია.

— კი არ გეწყევლის, გვაფრთხი-  
ლებს. — უთხრა ზურაბმა.

— ხომ გეუბნებოდით, აქეთ მანქა-  
ნებს არ უვლიათ-მეთქი. დროზე რომ  
ვალაგეხვია, არც ამ მთაზე დაგვჭირდე-  
ბოდა ასვლა, — სიტყვა მოგვიჭრა გო-  
გიამ.

— კამათის დრო არ არის. მოაბრუ-  
ნე მანქანა.

— იქნებ ჯერ ფონი გვენახა? — ვი-  
კითხე მე.

— მივიდეთ, ვნახოთ. იქნებ გადავი-  
დეთ, — თქვა ზურაბმა.

— მანდეთ ვერ გახვალთ! — მოგვა-  
ძახა მწყემსმა და მანქანას თვალი გამო-  
აყოლა. მერე ცხენს მათრახი შემოკრა  
და ვიდრე თვალს მიეფარებოდა ვუყუ-  
რებდი, ფაშატს როგორ აქენებდა და  
ახურებდა სველ მინდორზე.

ერთგული ნაგაზი ხტუნვა-ხტუნვით  
მისდევდა პატრონს. მერე უახლო გარ-  
თობას თავი მიანება და ფარას მიხვდა.

მსუქანი ცხვრები გემრიელად სძოვდნენ ბალახს და შავ ყოჩს კუდში დაყვებოდნენ, საითყენაც ყოჩი წავიდოდა, ფარა, ძალიცა და მწყემსიც იქითკენ მიდიოდნენ.

გოგიამ მოულოდნელად დაამუხრუჭა მანქანა. გიორგიმ შუბლი წინა მინას სთხლიშა.

— რა მოხდა? — იკითხა ზურაბმა.

— წინ წასვლა საშიშია, — თქვა გოგიამ, — მე მგონი უკვე ჭაობში ვართ.

გიორგის ის-ის იყო ჩხუბი უნდა აეტეხა, რომ უეცრად ოთხივემ ვიგრძენით, როგორ ეფლობოდა ტალახში მანქანა. გოგიამ ორივე ღერძი ჩართო. მანქანა ისე ღრიალებდა, თითქოს ორასი კილომეტრი სიჩქარით მიდისო, სინამდვილეში კი ნელ-ნელა უკან მიბობდავდა. ჩვენ უკვე ცხადად ვხედავდით, როგორი ღრმა კვალი დაეტოვებინა ოთხივე თვალს. მერე ბორბლებქვეშ მყარი მიწა ვიგრძენით; მანქანამაც შევებით ამოისუნთქა. შემობრუნდა და მინდორზე პატარა წრე მოხაზა.

— დიდი სისწრაფით გავალთ, — თქვა გიორგიმ და შუბლზე ხელი მოისვა.

— ვერა, — მოკლედ მოუჭრა გოგიამ.

გიორგიმ მანქანის კარი გააღო, ძირს ჩავიდა და მდინარისკენ გაეშურა. პირველი ათი მეტრი მართლაც მსუბუქად გაიარა. მერე დავინახეთ თანდათან როგორ ეფლობოდა. მალე მუხლამდე ტალახში იდგა, თუმცა მდინარის შუაგულამდე ჭერ ვერც მიედწია.

— გავალთ, გავალთ, — ყვიროდა გიორგი, — ფეხქვეშ მაგარი მიწაა.

— ახლა ამ კაცს ჭკუა აქვს! — გაცხარდა გოგია, — მუხლამდე ტალახშია და გავალთო, იძახის.

— მაგ კაცს ჭკუა რომ არა ჰქონდეს, უფროსად არავინ არ დანიშნავდა. — უთხრა ზურაბმა და მე შემომხედა.

— კარგი, კაცო, თუ ძმა ხარ! — დაგვაშვიდა გოგიამ.

გიორგიმ ტალახიანი ჩექმები ბალახზე გაიწმინდა. მანქანაში შემოვიდა და მინც თავისი თქვა:

— გავალთ, ოღონდ დიდი ხისწილ-  
ფეა საჭირო.

— გავალთ არა ერთი... —  
იქნია გოგიამ, მანქანა მოატრიალა და მთისაკენ აიღო გეზი.

— „მითამ მე რითა ვარ ნაკლები აიშ  
დამბალ გოგიაზედ? ი. ჭავჭავაძე, „ოთა-  
რანთ ქვრივი“ — თქვა გიორგიმ.

გოგია გაფითრდა.

მანქანამ სწრაფად გაირბინა სიმინდით დათესილი დიდი მინდორი და მთას შეუდგა, მთას თითქმის მთელ სიმაღლეზე უწყლო ხევი მოუყვებოდა. გზა მაინცადამაინც ამ ხევის პირას გაეყვანათ და ხევისკენ იყო დაქანებული. საბარგო მანქანებს მართლაც ღრმა კვალი დაეტოვებინათ ტალახში.

— კვალში თუ ჩავვარდით, მოგჭამა  
ჭირი... — თქვა გოგიამ.

— მე შენ გეტყვი, სადმე ქვას იპოვი,  
რომ ბორბლებქვეშ ამოვაწყოთ, — გა-  
აგრძელა ზურაბმა.

— მართლაც და, რატომ არ არის  
ქვები აქეთ? — იკითხა გოგიამ.

— ნიადაგის ფენა ძალზე ღრმაა  
და იმიტომ, — უპასუხა გიორგიმ.

— ტალახიც იმიტომ არის ასე ბარა-  
ქიანად, — ეთქვი მე.

მოსახვევებში და სიჩქარის შეცვლი-  
სას მანქანა ტალახში სრიალებდა და ხე-  
ვისაკენ გორდებოდა. ცოტაც და ან  
კვალში ჩავვარდებოდით, ან ხევში გადა-  
ვიჩენებოდით. ფხიზელი თვალი და ღო-  
ნიერი მკლავი იყო საჭირო. როგორც  
იქნა აღმართი ავთავავით. ერთი მოსახვე-  
ვილა დარჩა. ხევის თავზე გზა ისე დავი-  
წროვდა, რომ გოგიამ ავლა შეანელა.  
შეანელა და თვლებმა ერთ ადგილზე  
ტრიალი დაიწყეს... მანქანა ხევისაკენ  
დაგორდა. გოგიამ მოტორი გამორთო.  
გიორგიმ კარი გააღო და გაშეშდა. მან-  
ქანა ზუსტად ხრამის პირზე გაჩერებუ-  
ლიყო. ფეხის დასადგამი ადგილიც კი  
არ იყო დარჩენილი, რომ გადავსული-  
ყავით. გოგია მეორე მხრიდან გადავიდა.  
სამივენი გოგიას კარებიდან გავედით.  
მანქანას გარს შემოვუარეთ.



— აქედან უნდა მოაწვეთ, — თქვა გოგიამ და ხევის მხარეს მიგვიითთა.

ზურაბმა ხევის დაქანებულ ფერღზე ჩაქუჩით საფეხურები გააკეთა. ზურაბს გიორგი მიჰყვა, გიორგის — მე. სამივენი ხევის მხარეს ჩავდექით და მანქანას მხრით მივიწყეთ.

— აბა ერთი დეკოქო. — თქვა გოგიამ. მერე მანქანაში ჩაჯდა და კარი ღია დასტოვა. თუ მანქანა ისევ ხევისაკენ დასრიალდებოდა, გოგია ვადმოხტომას მოასწრებდა. მაგრამ ჩვენ? ჩვენ კი მოვასწრებდით, ვავლოდით ხევში დავორებულ მანქანას? გოგია ძრავას ყურს უგდებდა და რაღაცას ფიქრობდა. მერე ხმაურით მიიკეტა კარი და თვალები გაუშტერდა.

— მოაწექით, ჰა? — ერთი კი დაიღროილა გოგიამ, მაგრამ სანამ შეძახილს დაამთავრებდა, სამივემ ერთად ისეთნაირად შეეყვირეთ, რომ თვითონვე ვაგვიკვირდა. მანქანა გასრიალდა და რამდენიმე მეტრის იქით ოთხივე თვალით კვალში ჩახტა.

— მოვედით? — იკითხა ზურაბმა.

— ესეც შენი მარშრუტი! — თქვა გიორგიმ.

— ძალიან მშიშრები გამოვდექით, — ვთქვი ისე, თითქოს საკუთარ თავს ველაპარაკებოდი, — მანქანას ყვირილის უფრო შეეშინდა.

— აბა ერთიც შესძახეთ, იქნებ კვლიდანაც ამოხტეს, — დავვცინა გოგიამ.

— რა ვქნათ ახლა? — კვლავ იკითხა ზურაბმა.

— მოდი გავაბოლოთ, — გიორგიმ მწვანე მდელოზე საწვიმარი გაშალა და სიგარეტი ამოიღო, ჩვენ უხმოდ ჩამოვსხედით და ტალახიანი თითებიტ სიგარეტი მოვსრისეთ.

— ახლა სიკვდილს რომ გადარჩით, იცით? — შეგვეკითხა გოგია და ისიც ჩვენთან ერთად ჩამოჯდა.

— ვიცით, — უპასუხა ზურაბმა.

— შენ რა გენაღვლება. ჩვენ სამივეს ცალი ფეხი უკვე სამარეში გვედგა, — ვუთხარი გოგიას.

— თქვენ გავცლებოდი; მე კი ამ

ხევში რომ გადავვარდნილიყავი, ვერც ამკრეფდით, — თქვა გოგიამ. ედგა ხევის პირას მივიღა და გადაიხტა. — ჰე! — დაიძახა მერე ალტაცებულმა, — ჰე! ჰეები! — ყვიროდა გოგია და ხევის ფსკერისაკენ ხელს იშვერდა. ჩვენ წამოვცვივდით და ხევში გადავიხედეთ. ქვევით თეთრად მოჩანდა ლოდები.

— თქვენ ქვები ამოიტანეთ, მე დომკრატით მანქანას ავწვივ.

ქვებს თვლების ქვეშ შევაწყობთ და მანქანაც კვლიდან ამოხტება. აბა ჩქარა, თორემ დაღამდა, — გვითხრა გოგიამ და მანქანიდან იარაღების გამოღება დაიწყო.

ზურაბი ჩვენს შორის ყველაზე კარგი მთამსვლელია, ამიტომაც არ გამკვირვებია, როცა იგი პირველი დაეშვა ხევისაკენ. გიორგიმ მხრები აიჩეჩა და გადმომხედა. მე თვალი ვავუსწორე და გზა მივეცი. ჩექმებზე წებოვანი ტალახი სქელ ფენებად გვეკროდა და ფეხის გადადგმა გვიჭირდა. ზევიდან გოგიას ყვირილი მოგვესმა:

— პირველმა ბრტყელი ქვები ამოიტანოს, დომკრატს ქვეშ დაუწყობ, თორემ ტალახში ეფლოზა.

— ცოტა მრგვალი ან ექვსკუთხედიები რომ იყოს, არ შეიძლება? — გაკენწლა გიორგიმ.

— ხა, ხა, ხა, რამოტონა ვიცინეთ! — სავსებით სერიოზულად თქვა გოგიამ და ხევში გადმოაფურთხა.

მე და ზურაბს ვაგვეცინა. გიორგის არ ესიამოვნა მძღოლის პასუხი. ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ხევში ხუთი ქვის მეტი ვერ ვიპოვეთ. ზურაბი ყველაზე დიდ ორ ლოდს დასწვდა და ამოიილიღავა. გიორგიმ მე შემომხედა. მეც ორი ლოდი ავარჩიე. გიორგიმ დარჩენილი ყველაზე პატარა ქვა აიღო და აღმართს შეუდგა.

— გიორგი, ერთი წუთით ეს ლოდი დამიჭირე, — უთხრა ზურაბმა.

მე უკვე მივუხვდი ზურაბს განზრახვას. როცა გიორგიმ ლოდი მკლავებში ჩაიგორა, ზურაბი მე მომიახლოვდა:

— მოდი, მოგესმარები.

გიორგიმ ერთი კი შემოგვხედა, მაგ-

რამ ხმა არ ამოუღია და გზა განაგრძო. ამოსვლა ძალიან გავვიჭირდა.

ორ-ორი ქვა ხან მე მომქონდა, ხან ზურაბს, მაგრამ გიორგის არც ერთი არ მივშველებივართ.

— უფროსო, შენ ორი ქვა და იმათ თითო-თითო?! — გაიკვირვა გოგამი.

გოგიას ჩვენთვის აღარ დაცადა და დომკრატის ქვეშ თავისი დაბამბული ქულაჯა ამოედო. ქულაჯა ისე იყო მოთხვრილი, რომ ტალახისაგან ვერ გაარჩევდით. მანქანის ცალი მხარე საკმაოდ მაღლა იყო აწეული. გოგიამ ორი დიდი ლოდი ჩასდო კვალში, ბორბლის ქვეშ; დომკრატი დაუშვა, ქულაჯა ამოიღო ტალახიდან და მეორე მხარეს წავიდა. ზურაბი მძღოლს ეხმარებოდა.

— თქვენ რომ კაცი დაგიჯერებთ, უარესი უნდა დაემართოს; ხომ გეუბნებოდით, აქეთ ნუ წამოვალთ, იქით მხარეს სჯობს წასვლა-მეთქი! მე როდის გეუბნებით, მაგ ნიმუშს ნუ იღებთ, ქვა სხვაგან მოსტეხეთ-მეთქი? — დაიწყოს ისევ გოგამი. — ახლა მე უფრო კარგად არ ვიცი, მანქანა სად გავა და სად ვერა...

მე და ზურაბი ხმისამოუღებლად ვეხმარებოდით. მალე მეორე მხარეც ავწიეთ და ბორბლებს ქვეში შევეუწყეთ. მერე გოგიამ დომკრატის დაშვება დაიწყო. ქვეშ მთელი სიმძიმით დააწვა მანქანა, მერე ლოდები ერთმანეთზე ასხლტა და მანქანა ისევ კვალში ჩავარდა. გოგიამ ისე შემოგვხედა, თითქოს ეს მარცხი ჩვენი ბრალი იყო. მე და ზურაბმა ყველაფერი თავიდან დავიწყეთ. უფრო სწრაფად შევაყენეთ ქვეშ მანქანა. დადგა დომკრატის დაშვების სახიფათო მომენტი. გოგია ნელ-ნელა უშვებდა სახელურს ქვევით. მანქანა ქვეშე შეჩერდა. მძღოლმა იარაღები აკრიფა. იქვე მწვანე ბალახზე გადააწყო და დათვალა.

— ახლა მე დაქოქავ და როცა ვეტყვით. წინიდან მოაწეკით.

მე და ზურაბი ფარებთან დავდექით. გიორგისთვის არც კი შეგვიხედავს. გიორგი ისევ აბოლებდა. ის-ის იყო გოგია მანქანაში ჩაჯდა და გასაღები გადაატ-

რიალა, რომ მანქანა შეინძრა და ისევ გამოყარა ლოდები. ახლა კი გინება და წყევლა-კრულვა მე და ზურაბმა დაგვის წარით გოგიას.

— რა ჯანდაბა და ოხრობა დაემართა ამ უპატრონოს! — დაიბღვლა გოგამი.

— ნუ ლელავ, გოგია, ახლა კი გიორგიც მოგვეხმარება და ყველაფერი რიგზე იქნება.

გიორგიმ ცალი თვალით გადმოგვხედა.

— რას იყურები, რას? — ახლა კი გაბრაზდა ზურაბი. — შენ მართლა უფროსი ხომ არ გგონია შენი თავი. მოდი, კეთილი ინებე და შენც ჩვენთან ერთად ამოისვარე ტალახში.

— მე რომ ქვეში მომქონდა...

— რა ქვეში, რა ქვეში... — მე ვკრძნობდი, რომ გიორგი ქვეშის ამოტანას არ შეგვარჩენდა, — შენ თავიდანვე ასეთი იყავი, ინსტიტუტშივე. სულ ცდილობდი, ადგილკომში ან სადმე ხელმძღვანელ ადგილას მოყუჩებულ იყავი.

— მე? — ისე გაიოცა გიორგიმ. რომ თვითონვე შემეპარა ეჭვი ჩემს ნათქვამში.

— დიას, შენ. რა გიკვირს? ხომ იცი, რომ ინსტიტუტში სამივენი ერთად ვსწავლობდით და კარგად ვიცით, ვინ რისი გამკეთებელია. ჩვენი ექსპედიციის უფროსად ვინც დაგნიშნა, ესეც კარგად ვიცით და საერთოდ სჯობს არ ვილაპარაკოთ ამ ამბავზე.

— თქვენ ყოველთვის გშურდათ ჩემი. ახლაც ვიცი, რატომ მეუბნებით ამას.

გიორგის მშვიდმა კილომ საბოლოოდ გამომიყვანა წონასწორობიდან. ზურაბი კი ისე გაწითლდა, მეგონა სისხლი ჩაექცეოდა თავში.

— რატომ? — ვკითხეთ ორივემ ერთად.

— იმიტომ რომ დირექტორმა მე დამავალა თემის ხელმძღვანელობა და... ჩვენ ხმამაღლა გავიცინეთ. ასე მხოლოდ სიბრაზისაგან იცინიან.

— და კიდევ იმიტომ, რომ... — და

ლით გააქიანურა გიორგიმ, — თინამ ჩემი ექსპედიცია აირჩია.

— ერთხელ კიდევ ასენებს ვინმე თინიკოს და დედას გეფიცებით... — წამომცდა.

შურაბმა ერთი კი შემომხედა გაოცებით, მაგრამ მაშინვე გიორგის მიუბრუნდა:

— ექსპედიციაზე როცა ლაპარაკობ, უნდა თქვა „ჩვენი“ და არა „ჩემი“.

შურაბის სიზუსტე და პირდაპირობა მე ყოველთვის მომწონდა.

— ეგ სულ ერთია.

— არ არის სულერთი, — უპასუხა შურაბმა და მე გადმოხედა.

მე აღარ ვიცოდი რა მექნა.

— შენ რატომ გწყინს, თინაზე რომ ვლაპარაკობ? — მომიბრუნდა გიორგი.

— გაჩერდი, გიორგი, გირჩევ! — ვგრძნობდი, როგორ დავკარგე ფერი და როგორ გამეყინა ცხვირი.

— არა, რატომ გწყინს, რატომ? — ჩამაცვიდა გიორგი.

— დაარტყით, ძმები ხომ არა ხართ! — წამოძახა გოგიამ, მერე მოგვიახლოვდა და სრულიად მშვიდი ხმით გვითხრა: — მიდით ახლა, სამივე წინიდან მიავიქით.

გოგიას მანქანა უკვე შეეყენებინა ქვებზე. ფრთხილად გააღო კარი და დაჯდა. მერე მანქანა დაქოქა. ჩვენ ისე ვიყავით გულმოსული, რომ თითქმის ძალით ამოვადგეთ მანქანა კვალიდან. გოგიამ ოფლი მოიწმინდა და მანქანიდან გადმოვიდა.

— აი, ახლა კი გავაბოლოთ. — თქვა მან.

ოთხივემ გავაბოლოეთ კარგა ხანს ხმა არ ამოგვიღია, მერე გოგიამ იკითხა:

— არ წავიდეთ? — და მანქანაში ჩაჯდა.

დაახლოებით ორმოცი კილომეტრი რომ გავიარეთ, ისევ იმ ადგილას მოვედით, სადაც წინათ მდინარეზე ფონი იყო. მხოლოდ უკვე გაღმა ვიყავით. დაჭაობებულ მდინარეს ისე ახლო ჩავუბარეთ, რომ მეორე ნაპირზე ჩვენი მანქანის კვალი გამოჩნდა.

— აი, ამ ოცი მეტრის გულსიტყვა ორმოცდაათი კილომეტრი გავიარეთ, თანაც ამდენი ვიწვალეთ, — მანქანა გვიგამ და ლიღნი განაგრძობ. არავის ხმა არ გაგვიცია. მე დაკვირვებული ვიყავი. როცა ჩვენ გუნება გაგვიფუტებოდა ან ერთმანეთს წავეჩხუბებოდით, გოგია ყოველთვის ლიღინებდა, ლიღინებდა მონოტონურად ერთსა და იმავე ჰანგს. ერთსა და იგივე სიტყვებს, ყველამ ზეპირად რომ ვიცოდით:

როცა მქონდა ფულები,

ვქამე მოხრაკულები.

აღარა მაქ ფულები,

ჩამოყარე ყურები.

სტანიცა უდობნაია გავიარეთ. მერე გზის მაჩვენებელი ისარი გამოჩნდა. ზედ წარწერა იყო: — სტანიცა ოტრადნაია 10 კმ. — მანქანამ გადაუხვია. ამ მხარეს სტანიცები მდინარის პირას არის გაშენებული. მანქანა სიმიწის ყანაში გაჭრილ გზაზე მიქროდა. ორივე მხარეს თავაულებლად მუშაობდნენ კოლმეურნეები. ტაროები დაეტეხათ და ახლა კომბაინი სასილოსედ ჭრიდა სიმიწის. ალაგ-ალაგ სვანური კოშკების მსგავსი სასილოსე კოშკები მოჩანდა.

გზა თანდათან ისე დავიწროვდა, რომ შემხვედრ მგზავრსაც კი ყანაში უწევდა გადასვლა, ჩვენთვის გვერდი რომ აექცია. გოგიამ სიჩქარეს მოუმატა. გზა გასწორდა და გრძელ შავ ზოლად გაიქიმა. უცებ რაღაც მოძრავი წერტილი გამოჩნდა. წერტილი სწრაფად იზრდებოდა. მალე ცხადად დავინახეთ რუსული ორთავალა, რომელსაც ყავისფერი ცხენი მოაქროლებდა... ორთვალაში ქალი და კაცი ისხდნენ. კაცი გამეტებით ურტყამდა ცხენს მათრახს, მისი შეძახილი შორიდანვე ისმოდა. ქალს კაცის კალთაში ჩაერგო თავი.

ორთვალას პატრონს არც უფიქრია გზიდან გადახვია. გოგიამ მანქანა დაამუხრუჭა. ცხენი ყალყზე შედგა და კინაღამ არ გადააბრუნა ორთვალა.

კაცი სასწრაფოდ ჩამოხტა ორთვალისგან. მანქანასთან მოიბრინა და ოთხი-



ვენი შეგვათვალევინა. ძლივს სუნთქავდა. გულისპირი და მუხლები სისხლში ჰქონდა მოსვრილი.

— ჩემს ცხენს მეტი აღარ შეუძლია ცოლი მიკვდება! თუ ძმა ხარ, მანქანა მოაბრუნე. სასწრაფოდ საავადმყოფოში უნდა წაყვანა.

— რაღა დარჩა. უღობნაიამდე ხუთი კილომეტრი იქნება, — გაიკვირვა გოგიამ.

— უღობნაიაში ქირურგიული განყოფილება არ არის. არც ოტრადნაიაში. შედოკში უნდა გახვიდეთ.

გოგიამ გიორგის შეხედა.

— „მითამ მე რითა ვარ ნაკლები“... — დაიწყო ზურაბმა, მაგრამ გოგიამ აღარ დააცადა, მანქანიდან გადმოხტა და უცნობთან ერთად ორთვალისაკენ გაიქცა. გიორგიც გაჰყვა. სანამ ისინი ქალს ჩვენთან მოიყვანდნენ, ზურაბმა მანქანა მოაბრუნა, მერე საწვიმარი და შალის სვიტრი გაიხადა და საბარგულზე დააფარა. მეც გავიხადე საწვიმარი და გიორგის საწვიმარიც დავკეცე, რომ ქალს ზედ თავი დაედო. მერე მანქანას გარს შემოვურბინეთ და ბრეზენტის ავხადეთ. გიორგიმ და გოგიამ ქალი მოიყვანეს. ქალს თავი რაღაცა თეთრი ნაჭრის ნახევებით ჰქონდა შესვეული, მაგრამ სისხლი მინც ჟონავდა. კაცი წინ და უკან დარბოდა და თან ისე სწრაფად ლაპარაკობდა, ძლივს ვარჩევდით ნათქვამს.

— ძალიან გთხოვთ... თუ ძმები ხართ... შედოკში მიიყვანეთ. მე ახლა ვერ წამოვალ. ორცეცხლს შუა ვარ ჩავარდნილი, შიშისაგან გულშეწყურებული ბავშვები დავტოვე. მეშინია, მათაც არაფერი დაემართოთ. სასწრაფოდ უკან დავბრუნდები, რამე მანქანას ვიშოვი და ბავშვებიანად გამოგედევნებით. იქნებ წამოგეწიოთ კიდევც.

— რა დავმართა? — ჰკითხა ზურაბმა კომბაინერს და ქალს თავქვეშ ზურგჩანთა მოხერხებულად ამოუღო.

— სასილოსე კოშკიდან ჩამოვარდა და თავი ქვას დაჰკრა.

— ქვას?! — გავიოცეთ სამივემ.

— აბა, ბედი არ გინდა! იგი ჩვენზე უფრო გაკვირვებულია. რას იზამ! ძალიან გთხოვთ, სასწრაფოდ შედოკში მიიყვანეთ. გზა ხომ იცით? აი, ამ პატარა მდინარეზე, სოფლის იქით, ფონია.

— რაო? — იკითხა გოგიამ.

— სოფელს რომ გასცდები, ამ პატარა მდინარეზე ფო... — უცნობმა თავში ხელები შემოირტყა და გაისუსა; რაღაცას ფიქრობდა, მერე სწრაფად განავრძო, — იქ ვერ გახვალთ! ამ ორი დღის წინათ ჩვენი დიდი საბარგო მანქანები ჭაობში ჩარჩნენ. უნდა შემოუერთო, ძალიან გთხოვთ... უნდა შემოუერთო!

ჩვენ უკვე ჩვენს ადგილებზე ვისხედით. მანქანა დაიძრა. ქმარი სირბილით მოყვებოდა მანქანას და გვარიგებდა. მერე ჩამორჩა და ფანჯრიდან ვუცქერდი, როგორ პატარავდებოდა თანდათან.

ქალი კვენსოდა და ბორგავდა. გიორგიმ რუქა გაშალა.

— თუ მდინარეზე გადავედით...

— ვერ გადავალთ! — მოუჭრა გოგიამ.

— თუ მდინარეზე გადავედით, ისე იმ მთაზე მოგვიწევს ასვლა.

— სამაგიეროდ აქედან ოციოდე კილომეტრი იქნება. თუ შემოვუვლით — ოთხმოცი. — თქვა გიორგიმ.

მანქანა გვაჯანჯლარებდა. აქამდე ამას ყურადღებას არ ვაქცევდით, მაგრამ ახლა ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ძალაგამოლეული ქალი სასთუმალზე ვერ იმაგრებდა თავს. ზურაბი ძარბაზე დაჯდა, საწვიმარი კალთაზე დაიფარა, ქალს თავი დაადებინა და ხელი მხარზე მოხვია, რომ შვება მიეცა.

ქალი კვენსოდა და ბორგავდა.

— ოთხმოცს ვერ გავივლით, — თქვა ზურაბმა, — სისხლისაგან დაიცლება.

ქალი ძალიან ჯანმრთელი ჩანდა, მაგრამ ჭრილობის სიმწარეს გაებრუებინა; შფოთავდა და წყალს თხოულობდა.

— გჩერდით, დაწყნარდით. თავს ნუ ანძრევთ... არ შეიძლება! — აფრთხილებდა ზურაბი.



— დამეკარგე აქედან. უსინდისო ხარ, უსინდისო!

ქალს გასისხლიანებულ შუბლზე ხელი დევადა. დიდი სიცხე უნდა ჰქონოდა. მანქანა წყაროსთან გავაჩერებინე და ცხვირსახოცი დავასველე. შუბლი მოვეუწმინდე.

— რატომ მიმატოვე?! უსინდისო, უნამუსო! — ბოდავდა ქალი. ღონიერი ხელებით გულ-მეკერდს იღელავდა და წყალს ითხოვდა.

— არ შეიძლება, არ შეიძლება! — ამწვიდებდა ზურაბი და ცალი ხელით საკინძს უბნევდა.

— დამეკარგე, მოლაღატე, — არ წყნარდებოდა ქალი.

მანქანამ სიჩქარეს უმატა. უდობნა-იას გავცდით. მერე შორიდან ფონისკენ გადასასვლელი გამოჩნდა. გოგიამ კიდევ მოუმატა სისწრაფეს, მდინარისკენ გადაუხვია და აქსელატორს ბოლომდე მიაჭირა ფეხი. ძრავამ დაიღმუჟლა და მანქანა ჰაობში შევარდა. გოგიას თვალები გადიდებოდა და წინ იყურებოდა დაძაბული. ჩვენ ვგრძნობდით, როგორ ნელ-ნელა კარგავდა მანქანა სისწრაფეს. თუმცა მდინარის მეორე ნაპირიც ახლოვდებოდა. უეცრად მანქანა ვეება ლოდზე შეხტა და შემობრუნდა, მაგრამ მძღოლმა თვალისდახმამებაში შემობრუნა საჭე და სიჩქარე შეცვალა. ბორბლებმა ერთ ადგილზე დაიწყეს ტრიალი. გიორგიმ კარი გააღო და მდინარეში ჩახტა. მეც გადავედი. გოგიამ მანქანა უკან დასწია. მერე სიჩქარე გამოცვალა და თვითონაც გადმოვიდა მანქანიდან. გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა: გოგიას ცალი ხელით საჭე ეჭირა. ცალით კი მანქანას აწვეებოდა ჩვენთან ერთად. როგორც იქნა, ავალწიეთ ნაპირზე; გოგია სწრაფად შეხტა მანქანაში და დაამუხრუჭა. ჩვენ ჩექმები გავიხადეთ და შიგ ჩასული წყალი გადმოვაქციეთ. მერე წინდები გავწურეთ. გოგიამ ოფლი მოიწმინდა. ყველანი ადგილებზე მოვთავსდით.

— ყოჩაღ, ბიჭებო, ძალიან იმარჯ-

ვეთ! — გულწრფელად შეგვაქო ზურაბმა.

ძალაგამოლეული ქალი უმწეოდ მოხერხებოდა ზურაბის მკერდს, აღარ ბორგავდა.

— ხომ არა კვდება, ბიჭო! — იკითხა შეშინებულმა გოგიამ და მანქანა დასძრა.

— რამე რომ დაემართოს, რა გვეშველება?! — სწუხდა გიორგი.

— ჩქარა, გოგია, უფრო სწრაფად. ნუ გეშინია! — ვამხნევებდი მძღოლს.

მანქანამ სწრაფად გაიბრინა სიმი-ნდით დათესილი დიდი მიწდორი და მთას შეუღდა. გოგია ტალახში ძველ გზას ეძებდა. ჩვენი მანქანის კვალი საბარგო მანქანის ღრმა კვალთან შედარებით ადვილი საცნობი იყო. ნელ-ნელა ავდიოდით მაღლა. ახლა მთავარია სიჩქარე. ახლა მთავარია ეს სიჩქარე არ დავკარგოთ და კვალში არ ჩავვარდეთ. ისევ მივადექით უკანასკნელ ვიწრო მოსახვევს. მე და გიორგი ფრთხილად ჩამოვხტით და ხვეის მხრიდან ჩავუდექით მანქანას.

— აბა. შენი ჰირიმე, ახლა არ მიმტყუნო, ამით ყბაში არ ჩამაგდო და მერე მე ვიცი. მიდი, მიდი, მიდი, შენი ჰირიმე, მიდი! — ეუბნებოდა მანქანას გოგია; ჩვენ ყურადღებას არ გვაქცევდა და სიმწრისაგან თვალზე ცრემლი ადგებოდა.

როცა გავივაკეთ და შედოკამდე ათი კილომეტრიდა დარჩა, გოგიამ სვლა შეანელა და ოფლი მოიწმინდა. მერე კმაყოფილმა თქვა:

— კარგი მანქანაა. ყველგან გავა კარგი პატრონის ხელში!

აქამდე ქალი ტკივილებს ითმენდა და კბილებს ახრჭიალებდა. ეტყობოდა, მოთმინება დაელია და ხმამაღლა გმინვა და კანკალი დაიწყო.

— დაწყნარდი, ცოტადა დარჩა, მოითმინე! — უყვიროდა გასისხლიანებულ ზურაბი და მთელი ძალ-ღონით ცდილობდა დაეკავებინა ქალი, რომელიც წამოდგომას ცდილობდა.



— გამიშვი, გამიშვი! — ყვიროდა ქალი.

შედოკი რაიონული ცენტრია. შედოკში შესვლამდე თალი უნდა გაიაროთ. თალზე თეთრი ასობებით აწერია: მივესალმებით სანიმუშო მძღოლს! აქედანვე იწყება საშინლად ცუდი გზა. მანქანა ისე ჭანჭლარებდა. ერთმანეთის ხმა რომ გაგვეგონა, ვყვიროდით. პირველსავე შემხვედრს ვკითხვით საავადმყოფოს მისამართი. საავადმყოფომდე ნახევარი კილომეტრი დარჩენილიყო. ერთ-ერთ მოსახვევეში მანქანა უცნაურად შეხტა. გავიფიქრე, ისღა გვაკლია, რომ საბურავი გასკდეს! და როცა საბურავის გახეთქვის ძლიერი ხმა გავიგონე, თავისუფლად ამოვისუნთქე.

— გიორგი, გადადი! — ერთი წუთიც კი არ დამიკარგავს მოსაფიქრებლად.

მე, გიორგიმ და ზურაბმა ფრთხილად გადმოვიყვანეთ ქალი მანქანიდან. გიორგიმ მიწაზე საწვიმარი გაშალა. ქალი საწვიმარზე დავაწვინეთ. ბრეზენტის საწვიმარმა საკაცის მაგივრობა გაგვიწია. ზურაბი წინ მიდიოდა; მე და გიორგი უკან. გოგამ სამარქაფო ბორბალი გადმოიღო. ბორბალი მძიმე იყო. დაქანცულ გოგიას ხელიდან გაუვარდა და ადგილზე წრე მოხაზა. გოგამ ჩვენკენ გამოიხედა. ჩვენ მივბრბოდით. ქალი ხმამაღლა კიოდა.

— ეცადეთ ფეხი ამიწყოთ, — გვირჩია ზურაბმა.

ერთი ბიჭი აგვედევნა და როცა გაიგო, როგორც იყო საქმე, საავადმყოფოსაკენ გავვიძღვა.

— ასე ფეხაწყობილი რომ ვმუშაობდეთ... — თქვა გიორგიმ, მაგრამ დროზე მიხვდა ნათქვამის უაზრობას.

საავადმყოფოში სისუფთავე და სიბო იყო. ქალი საკაცზე დააწვინეს და პირდაპირ საოპერაციო ოთახისკენ გააქანეს. ჩვენ ადგილიდან არ დავძრულვართ, გამეშებული ვიდექით. მერე მორიგე ექთანი მოგვიახლოვდა, მაგიდასთან მიგვიწვია და გამოკითხვა დაგვიწყო.

— გვარი?  
— ბრელიძე, — უპასუხა გიორგიმ.  
— თქვენი კი არა, ავადმყოფის, — ვაღიძვრებოდა.

გაეღიმა ექთანს.  
— არ ვიცი, — უთხრა გიორგიმ.  
— სახელი?  
— არ ვიცი, — თქვა ზურაბმა.  
— საიდან არის? — რომელი სტანიციდან მოგყავთ?

— არ ვიცი. — ვუპასუხე მე.  
— აბა ანექტაში რა ჩაეწერო? — ხელები გაშალა ექთანმა.  
— მალე მაგის ქმარიც მოვა, — უთხრა ზურაბმა.

ექთანმა თითი ღილაკს დააჭირა. თვალისმომკრებლად განათდა საავადმყოფოს მისაღები ოთახი. მხოლოდ ახლა შევამჩნიეთ, რომ ყველანი სისხლით ვიყავით გათხუპნულები, განსაკუთრებით ზურაბი. არასოდეს არ მიგრძენია სხვისი სისხლი ჩემს სხეულზე. სიბნელეში ყურადღებას არ ვაქცევდი. ასე მეგონა ტალახი მეცხო ტანზე. ახლა კი წებოვანი ლაქები რომ მეხებოდა, ჟრუანტელი მივლიდა. ზურაბი სკამზე ჩამოჯდა. მერე მეც დავჯექი. გიორგი გარეთ გავიდა და პაპიროსს მოუკიდა.

— ნეტა გადარჩება? — მკითხა ზურაბმა, — ხელი რომ შევავლე. ერთ ადგილას ჩატეხილი ჰქონდა თავის ქალა. ეტყობა დიდი სიმაღლიდან ჩამოვარდა.

საავადმყოფოს ეზოში ჩვენი მანქანა შემოგრიალდა.

— კიდეგ მოპყავთ? — გაიოცა ექთანმა და კარისკენ გაიქცა.

— არა, ეგ ჩვენია. გზაში ჩამოგვრჩა.  
— მაღლობა ღმერთს!

გიორგი და გოგია ერთად შემოვიდნენ და ჩვენს გვერდით დასხდნენ. — რა ამბავიათ? — იკითხა გოგამ.

ამ დროს გაიღო საოპერაციოს კარი და ექთანი გამოვარდა, მეორე ოთახში შეირბინა, იქიდან რალაც ამპულები გამოიტანა, ჩვენ შემოგვხედა და ისევ საოპერაციოში შებრუნდა. მერე ყანგბადის ბალიშიც შეიტანეს. ჩვენ ერთმანეთს ვადავხედდით. არ ვიცი რატომ, მაგრამ მგონია, რომ ყანგბადის ბალიში

ყოველთვის სულთმობრძავთათვის მი-  
აქვთ.

— ალბათ ცუდად არის საქმე,  
არა? — იკითხა გოგიამ.

ოპერაცია დიდხანს გაგრძელდა. მე  
საათი არ დამინიშნავს. მაგრამ ვიცი,  
რომ ძალიან დიდხანს იწვალა ქირურგ-  
მა. საოპერაციოდან ახალგაზრდა კაცი  
გამოვიდა, ასე ოცდახუთი წლის თუ იქ-  
ნებოდა, თეთრი ხალათი სისხლით  
ჰქონდა მოსვრილი, პირდაპირ ჩვენკენ  
წამოვიდა. თან ცალი ხელით პირბადე  
მოიძრო და ოფლი შეიმშრალა. მერე  
გვკითხა:

— თქვენ მოიყვანეთ?

— გადარჩება? — კითხვითვე უპა-  
სუხა გოგიამ.

ქირურგი მეტისმეტად დაღლილი იყო.  
ჩვენს პირდაპირ განიერ, რბილ სავარ-  
ძელში ჩაჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო.  
მერე დიდხანს, დიდხანს იზელდა  
მარცხენა ხელით სახეს.

— ძალიან ჯიუტი ქალია. — თქვა  
ქირურგმა. მას ხელები უკანკალებდა.

— მაგარი ქალია, — ვერ ისვენებდა  
გოგია.

— ძალიან ჯიუტი ქალია, — თქვა  
ქირურგმა. მერე თავის აკანკალებულ  
ხელებს დააქვერდა.

— არ წაყიდეთ? — იკითხა გიორგიმ.

— ყოჩაღ, ბიჭებო! ცოტაც რომ  
დაგვიანებოდა, ძალიან ცუდად იქნებო-  
და საქმე! — გვითხრა ქირურგმა.

გოგიამ პაპიროსი მიაწოდა ქირურგს.

— გმადლობთ, არ ვეწევი! — თქვა  
ქირურგმა, მერე ოთხივენი კიდევ ერთ-  
ხელ შეგვათვალიერა, — ცოტაც რომ  
დაგვიანებოდათ, ძალიან ცუდად იქნე-  
ბოდა საქმე. ყოჩაღ ბიჭებო.

ექიმს მადლობა გადავუხადეთ, გა-  
მოვემშვიდობეთ და მოსაცდელი ოთა-  
ხიდან გამოვედით.

ძლივს ვიპოვეთ ჩვენი სტანიცის ვა-  
დასახვევი. მანქანის სინათლე მძლავრ  
სვეტებად იჭრებოდა სიბნელეში, გზას  
ანათებდა და სივრცეში იკარგებოდა.  
გოგია წინ იყურებოდა. მანქანა ნელა  
მიგორავდა გზაზე. წინ არაფერი აღარ

ჩანდა ტალახის მეტი. მე იდაყვით მოჭ-  
ლის თავს დავეყრდენი. მთლად მოვე-  
ვი და ძლივს ვიკავებდი თავს. <sup>მოვე-  
ვი და ძლივს ვიკავებდი თავს.</sup> ვიფიქრებოდა,  
რომ ვხუჭავდი, მუქი წითელი წერტი-  
ლების ქაოტურ მოძრაობას ვხედავდი.  
მერე გულ-მუცელი ამეწვა და ვივარძე-  
ნი: თუ მალე არ მივიდოდით ბანაკში,  
გონს დავეკარგავდი. ძალა მოვიყრიბე და  
ვთქვი:

— მგონი ძალიან მშინა!

— ე! — შეჰყვირა გოგიამ, — მთელი  
ღღე არაფერი არ გვიჰამია!

— ცოტა მოუჩქარე, თუ ძმა ხარ! —  
სთხოვა გიორგიმ გოგიას, მერე მე შე-  
მომხედა, — შინ, ალბათ, გემრიელი სა-  
დილი გველოდება.

— თინიკო თუ ცოცხალი დაგვხვ-  
და, — დაუმატა ზურაბმა.

— გაგეყდებოდა საწყალი გოგო! —  
თქვა გოგიამ.

ჩვენი სახლი რომ გამოჩნდა, გოგიამ  
სიგნალი მისცა. წამსვე გაიღო კარი და  
აივანზე თინიკო გამოვარდა. დიასახლი-  
სის პატარა ბიჭმაც იცნო ჩვენი მანქანის  
ხმა და ჭიშკარი გაგვიღო. მანქანა ეზო-  
ში შესრიალდა და გაჩერდა. გოგიამ  
რამდენჯერმე მსუბუქად დააჭირა აქსე-  
ლატორს ფეხი, ძრავა გამორთო და გა-  
საღები ჯიბეში ჩაიდო.

ჩვენ მანქანიდან გადმოვედით. ოთხი-  
ვენი საშინლად დაღლილი ვიყავით. ზუ-  
რაბმა გოგიას გადასვია ხელი და კიბეზე  
ავიდნენ. სამუშაოდან ასე ჩუმად არა-  
სოდეს არ დავბრუნებულვართ. თინიკო  
დაძაბული გვაქვერდებოდა. ჩვენ ძლივს  
მივლასლასებდით. უცებ თინიკომ შე-  
ამჩნია ჩვენი სისხლიანი ტანსაცმელი  
და...

— ვაიმე, ზურიკო, რა მოგივიდა, შე-  
ნი ჭირიმე!

— ნუ გეშინია, არაფერი არ მოგვს-  
ვლია, ნუ გეშინია! — შეაგება ზურაბმა.

თინიკო ისე მოეხვია ზურაბს. თით-  
ქოს ოთახში მარტონი იყვნენ. მე ვიცი,  
რომ ზურაბი ჩვენში ყველაზე ყოჩაღი  
და ყველაზე პირდაპირია, მაგრამ ახლა  
ამის დრო არ არის. მე ძალიან დაღლი-  
ლი და თანაც მგელივით მშვიერი ვარ.

ჩემს საძილე ტომარაზე ვეგდები და თვალები მეხუჭება.

— ადე, ბიჭო, — მუჯლუგუნი წამკრა გოგია.

ნაცრისფერი დილა იდგა. ღრუბლები ისევ მალავდნენ მზეს. გულისგამაწვრილებლად სტრიდა. ქარი მოთეთრო მსუბუქ წვეთებს ხან ერთ და ხან მეორე მხარეს ერეკებოდა. გიორგის უკვე გაეპარსა წვერი და მაგიდაზე გამლილ რუქას დაჰყურებდა. ზურაბი დილინებდა. მანამდე ზურაბის სიმღერა არ გამეგონა. მე თვალები მოვიფშვნიტე და დილის ვარჯიში დავიწყე.

— აუცილებლად უნდა ვნახოთ ის ჩამორეცხილი ქანები, — თქვა გიორგი.

— სანამ წვიმა მოვა! — დაამატა ზურაბმა.

— მე დღეს ვერ წამოვალ, სარეცხი მაქვს! — თინიკომ ჩვენი სისხლიანი ტანსაცმელი განიერ ვარცლში ჩაყარა.

— მარშრუტს მე და გიორგიც ვეყოფით! — ვთქვი მე.

ზურაბმა გაიღიმა, თინიკო გაწითლდა და ოთახიდან გავიდა. გოგია მანქანას უჩხიკინებდა.

ნასაუზმევს მე, გიორგი და გოგია მანქანაში ჩავსხედით, ზურაბმა გაგვაციულა.

— რახან არ გინდათ ჩემი წაყვანა, — რას ვიზამ! — მერე გაიღიმა და შეგვახ-

სენა, — უკან როცა დაბრუნდებით, ას ქალიც ინახულეთ.

— თინიკოს წყალი მოუზიდეს, არიგა გიორგიმ და მხარზე ხელი დააბრტყა.

მანქანა ეზოდან ნელა გავიდა და გზაზე გასრიალდა. გოგია თანდათან უმატებდა სიჩქარეს. უცებ მსხვილი წვეთები წამოვიდა და მანქანის სახურავზე რახუნნი ატყდა.

— მდინარისკენ გადაუხვიე და მალე მივალთ, — ურჩია გიორგიმ.

— ვიცოდი, რომ მაგას მეტყოდი ახლა მე უფრო არ ვიცი ჩემი ამბავი. ვერ გავა და მორჩა.

— აბა გუშინ რომ გავიდა?

— გუშინ სხვა ამბავი იყო! გუშინ... — გოგიას კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გიორგიმ აღარ დააბადა:

— „მითამ მე რითა ვარ ნაკლები აიმ დამპალ გოგიაზედ“?

მაგრამ სიტყვა „დამპალი“ აღარ იყო ნათქვამი წინანდებურად და მე ვიგრძენი, როგორ დაკარგა ძალა ამ ჯადოსნურმა წინადადებამ. ალბათ ეს გოგიამაც იგრძნო. მან ღიმილით შეხედა გიორგის, მერე ხელი მხარზე წაუთათუნა და თქვა: — უფროსი ანგლოზს!

სამივემ გულიანად გადავიხარხარეთ. მერე გოგიამ თავისი სიმღერა წამოიწყო...





## ნაზი კიდასონია

### შენ გაგიმარჯოს, პატარა გოგო!

შენ გაგიმარჯოს, პატარა გოგო,  
თუმცა გკილავენ ზოგნი და ზოგნი.  
მე ასე მჯერა: თეთრი შროშნების  
სურნელი ასდის შენს ვიწრო ლოგინს.  
შენ გაგიმარჯოს, პატარა გოგო,  
შურთ და იმიტომ გკილავენ ზოგნი.  
იქნებ მეცა მშურს გრძელი კისერის,  
მოკლე კაბების, მუქი მუხლების,  
იქნებ მეცა მშურს ნედლი კისკისის  
და ჩითის კაბის, შენ რომ უხდები.  
იქნებ მეც მინდა: მცხეთას, ზედაზენს  
გადავუარო შენი ტერფებით,  
იქ, ჩემს საყვარელ ქართლის ზეგანზე  
მეხრე ძმობილებს შევეფეთები.  
ან, შიომღვიმის იასამნებით  
მზის აღმოსდომას მივესალმები.  
მაგრამ, არ ძალმიძს! შენ შეგიძლია  
მოკლე ძილი და დიდი ღვიძილი.  
მე აღარ ძალმიძს! შენ შეგიძლია  
ალპიურ ტბებთან გამოიძინო.  
და თუ გკილავენ ზოგნი და ზოგნი, —  
ეს ჩემი შური არის კეთილი.  
შენ გაგიმარჯოს პატარა გოგო:  
ქეთინო! მზია! ნანა! ეთერი!



## მაკი გვედესიანი

### ლო დ ი ნ ი

ის სიფრიფანა ბაბუაწვერაც  
შენ გელოდება, დიდო გრიგალო,  
რომ არ ეგონოთ ნიავის წერა,  
რომ შენს ქროლვაშიც არ დაიღალოს;

რომ მისი ნაზი, ფაფუკი ფრთები  
პატარა სიომ არ აფრიალოს,  
ნახოს, თუ როგორ წყდება აფრები  
და გუგუნებენ კლდენი ფრიალო;

როგორ ხეთქავენ ტალღები ლოდებს,  
როგორ ტყდებიან დიდი ხეები;  
დინჯად ირხევა და გელოდება,  
რომ შენთან ერთად ღრუბელს შეებას...

მერე თუნდ გახდეს ამ მსხვრევის წერა, —  
ლოდინში მაინც არ დაიღალოს;  
ის, სიფრიფანა ბაბუაწვერაც  
შენ გელოდება, დიდო გრიგალო!

\* \* \*

ცხელი აგვისტოს მშფოთავ ქარ-წვიმას  
საიდან მოჰყვა იის სურნელი,  
თუ ჩაიარა ნაზმა ქალწულმა  
და გაიყოლა დიდი სურვილი?!

ღიმილი ჰქონდა მზედ შენახული,  
როგორც იცოდნენ ლურჯმა იებმა...  
და წვიმდა, როგორც იმ გაზაფხულის  
შლეგი წვიმების მონანიება...

\* \* \*

ჩამომიტანეთ, ნამის წვეთებო,  
ცის სილურჯე და მთვარის ცრემლები,  
ყოველ დილით რომ წვანან ფოთლებზე  
და მოელიან მზით შემშრალებას...

ჩამომიტანეთ და ჩემი თმებიც  
თვალმარგალიტით ააელვარეთ;  
მაჩუქეთ თუნდაც ერთი ანთება  
ვარსკვლავები და ნათელი მთვარე...

მეც დამაჯერეთ, რომ ვარ ბალახი  
და უკვდავია ჩემი ძირები; —  
თქვენთან გავათევ, ოღონდ მანახეთ,  
როგორ ამესხმით, ცვარნო, მძივებად!

\* \* \*

მდინარის პირას იდგა გოგონა  
და სულს ატანდა წასულ მეტივეს —  
მისთვის ხეებმა გამოიგონეს  
დაგუბებული, თეთრი მოტივი...


წყალი იწვედა მაღლა თანდათან,  
ეფერებოდა ზვირთებს მეტივე;  
გოგონა იდგა და თენდებოდა  
აყვავებული ნუსის ტოტივით...



## ქან ანუი

ქან ანუი (დაიბადა 1910 წელს) თანამედროვე საფრანგეთის გამოჩენილი დრამატურ-გია. მისი პიესები წლების განმავლობაში წარმატებით იდგმება მსოფლიოს მოწინავე თეატრებში.

ანუის პიესებიდან ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს „ტოროლა“ (1953 წ.). ამ დრამაში ანუიმ უმღერა ფრანგი ხალხის გმირობასა და სულიერ სიღამაზეს, მის თავგანწირულ ბრძოლას თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის. „ტოროლა“ თარგმნილია რუსულად და გამოიცა რამდენჯერმე. იგი ითარგმნა ქართულადაც და „ქანა დარკის“ სახელწოდებით ამჟამად წარმატებით იდგმება მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.



### მოქმედი პირნი:

ქანა  
კოშონი  
ინჰენიერი  
მთხრობელი  
ქან ლაღვინი  
ზარდი ვარკვი  
შარლი  
დედოფალი იოლანდა  
დედოფალი  
აბნისა  
არქივიზკოპოსი

ლა ტრეში  
გოდრიპური  
ლა ირ  
მამა  
დედა  
ქან  
ჯალათი  
გუზანი გუდუსი  
ინგლისელი ჯარისკაცი  
მეორე ინგლისელი ჯარისკაცი  
მიფის პატი

ნეიტრალური დეკორაცია. სკამები მოსამართლეებისათვის, ტაბურეტი ქანათვის, ტახტი, ფინისი კონები. თავდაპირველად სცენა ცარიელია. შემდეგ ჯგუფ-ჯგუფად შემოდიან მოქმედი პირები.

აცვიათ ყოველგვარ სინატიფეს მოკლებული შუა საუკუნეების კოსტუმები ქანას ვაჟურად, სპორტული, სავარჯიშო კოსტუმისმავარი ტანსაცმელი აცვია. მთელი პიესის განმავლობაში მოქმედი პირები სცენაზე შემოდიან, იღებენ მუზარადებს, კასკებს და სხვა რეკვიზიტს. შემოაქვთ სკამები და სხედებიან. დედა ცალკე ჯდება და ქსოვას იწყებს, ხელსაქმეს იგი მხოლოდ თავისი გამოსვლის დროს წყვეტს ხოლმე.

ბოლოს შემოდიან კოშონი და ვარკვი.

ვარკვი — (მეტად ახალგაზრდა, მეტად მომხიბვლელი და მოხდენილი). ყველანი აქ არიან? ძალიან კარგი. რაკი ასეა, ახლავე შევუდგეთ გასაძარტ-



ლებას, რაც უფრო ჩქარა მივუსვით და კოცონზე დაწვევით, მით უკეთესი იქნება ყველასათვის.

კოშონი — ჰო, მაგრამ, თქვენო ბრწყინვალეებავ, ჯერ მთელი ისტორიის გათმამაშება იქნება საჭირო. დომრემი, ხმები, ვოკალური, შინონი, მეფის კურთხევა...

ვარვიკი — მასკარადია! ეგ ისტორია ბავშვებისთვისაა მოგონილი! კონტა თეორი აბჯარი, დროშა, ნაზი, მაგრამ გულმტკიცე მეომარი — ქალწული ისეთი, როგორც უფრო გვიან ძეგლებში იქნება გახსახიერებული, სულ სხვა პოლიტიკის საჭიროებისათვის. შესაძლოა, ჩვენც დაუღვათ მას ძეგლი ლონდონში. არ გეგონათ, ვხუმრობდე, თქვენო უწყისდესობავ, მაგრამ შესაძლოა ასეთი იყოს მისი უდიდებულესობის მთავრობის ღრმა ინტერესი, რამდენიმე საუკუნის შემდეგ. ახლა კი, მე, ბოშან გრაფ ვარვიკმა, შევიპყარი ეს პატარა გათხუნული კუდიანი და რუანის ციხეში ჩასვცი, ეს შფოთისთავი, გულის გაწყალებული მეტიჩარა. საკმაოდ ძვირი კი მიზის ეს ჩემს ჭირად გაჩენილი.

მე რომ ეან დე ლინისაგან იგი უშუალოდ მეყიდნა, ასე ძვირი არ დამიჯდებოდა. ის გაჭირვებული კაცია და ფული ჭირდება. მაგრამ მე ჯერ ბურგუნდიის ჰერცოგთან მომიხდა საქმის დაჭერი. მან იცოდა, ამ გოგონას ხელში ჩაგდება რომ გვინდოდა, სხვებს დაასწრო და დააპატიმრა. ჰერცოგს ფული დიდად არ უჭირს და ჩვენ ბლომად მოგვიხდება სასყიდლის გაღება. საერთოდ კი, მისი უდიდებულესობის მთავრობა ყოველთვის ხელგაშლილობას იჩენდა, როცა კონტინენტზე საქმის გაჩარხვა სურდა.

ეჰ, ძვირად დაგვიჯდა საფრანგეთი! ახლა ხომ ჩემს ხელთაა ეს ქალწული. (სტეკით ენება კუთხემში მიყუყუელ ეანას). ამისთანასთვის მართლაც გაუგონარია ეს ფასი, მაგრამ იგი ჩემია. მე მას გავასამართლებ და კოცონზე დაწვევავ.

კოშონი — ახლავე ვერა. ჯერ მან უნდა გაითამაშოს მთელი თავისი ცხოვრება. იგი უეცრად გაეღვებულ, თვალის მომჭრელ შუქსა ჰვავს. ამას დიდი დრო არ დასჭირდება, თქვენო ბრწყინვალეებავ.

ვარვიკი — (ეთანხმება და კუთხეში ჯდება). ეგრე იყოს, რაკი თქვენ ასე დაჟინებით მოითხოვთ. ინგლისელმა მოთქენა იცის. (შეწუხებული). იმედი მაქვს, ყველა ომს არ გაითამაშებთ. ორლუანი, პატე, ბოჟენსი... ეს ჩემთვის უაღრესად უსიამოვნო რამ იქნებოდა.

კოშონი — (ღიმილით). დამშვიდდით, თქვენო ბრწყინვალეებავ, ჩვენ მეტისმეტად ცოტანი ვართ, მოისათვის, რომ ომები გავითამაშოთ...

ვარვიკი — კეთილი.

კოშონი — (მიბრუნდება ეანასკენ). ეანა! (ეანა თვალს მიაპყრობს) შეგიძლია დაიწყო.

ეანა — საიდანაც მსურს, იქიდან შემიძლია დავიწყო?

კოშონი — ჰო.

ეანა — მაშინ მე თავიდან დავიწყებ. დასაწყისი მუდამ ულამაზესია... მამაჩემის სახლი. მე ჯერ კიდევ პაწია ვარ... შინდორში, სადაც ცხვრებს ვმწყემსავ, პირველად მესმის ხმები (იგი ისევ ერთ ადგილას დგას. მოქმედანი პირონი, რომელნიც ამ სცენაში არ მოხაწილეობენ, ჩრდილში დგებიან. წინ გამოდიან მხოლოდ — მამა, დედა და ეანას ძმა. დედა გაზაგრძობს ხელსაქმეს).

ეს-ეს არის მწუხრის ზარი დარეკეს. მე სულ პაწაწინა ვარ, ჯერ კიდევ ნაწინავეები მაყრია მხრებზე. არაფრის დარდი არა მაქვს. უფალი კეთილია და მიცავს უმანკოსა და ბედნიერ ბავშვს. დედ-მამასთან და ძმებთან ერთად დომრემის ახლო ვცხოვრობ. ომს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ წყეული ინგლისელები ყველგან ძალადობენ, ყველაფერს ცეცხლს უკიდებენ, ძარცვავენ. ჩემი ბოშობრა ძალდი მოვიდა ჩემთან და თავი კალთაში ჩამიდო. ყველა კეთილი და ძლიერია ჩემს ირგვლივ, ისინი მფარველობენ მე.

რა კარგია ბედნიერი ბავშვობა! და უცებ, რა მოხდა, თითქოს ვიცი მომეპარა და მხრებზე შემეხო, თუმცა ვიცი, არავინაც არ მომპარებია; უეცრად ხმა მომესმა...

(ვიღაც სცენის სიღრმიდან კითხულობს: „ვინ ითამაშებს ხმას?“).

ქ ა ნ ა — (ისე ამბობს, თითქოს თავისთავად იგულისხმებოდეს), რა თქმა უნდა, მე. მე შემოვბრუნდი — ჩემს უკან ჩრდილში დამაბრმავებელი შუქი ბრწყინავდა. ხმა იყო წყნარი და ღიხვი, მანამდე არ მსმენია ისეთი ხმა. იმ დღეს მან მხოლოდ ეს მითხრა: „იყავ კეთილი და ჭკვიანი, ქანა. ხშირად იარე საყდარში“. მე მანამდეც კეთილი და ჭკვიანი ვიყავი და საყდარში ხშირად დავდიოდი. ვერ გავიგე რა მოხდა, იმ წუთში ძალზე შემეშინდა და თავს გაქცევივით ვუშველე. აი, ყველაფერი, რაც პირველად მოხდა. შინ სიტყვა არ მითქვამს (სიჩუმე. წუთით ოცნებამ წაიღო). ცოტა ხნის შემდეგ ძმასთან ერთად დავბრუნდი მიტოვებულ ცხვრებთან. მზე ჩავიდა და შუქი აღარ ჩანდა... მეორედ კი ეს მოხდა მაშინ, როცა წირვის დაწყების ზარს რეკავდნენ. ისევ გაბრწყინდა შუქი, მზის სისხათლზე უფრო ძლიერი შუქი. აი, მაშინ ვიხილე მე იგი!

კ ო შ ო ნ ი — ვინ?

ქ ა ნ ა — კარგად დაუთოებულ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი. მას ორი დიდი თეთრი ფრთა ჰქონდა. მაშინ თავისი სახელი არ მითხრა. მაგრამ შემდეგ გავიგე, რომ წმინდა მიქელგაბრიელი იყო.

კ ა რ ვ ი კ ი — (გაღიზიანებული, კოშონს მიმართავს) ნუთუ აუცილებელია, რომ ისევ მოჰყვეს ამ სისულელეს?

კ ო შ ო ნ ი — აუცილებელია, თქვენო ბრწყინვალეებავ. (ვარვკი ჩუქად ბრუნდება კუთხეში და ყნოსავს ვარდს, რომელიც ხელში უჭირავს).

ქ ა ნ ა — (მთავარანგელოზის ძლიერი ხმით). ქანა, სწრაფად გაეშურე საფრანგეთის მეფის მისაშველებლად და შენ მას დაუბრუნებ სამეფოს.

— ჰო, მაგრამ, ბატონო, მე ერთი უბირო გოგონა ვარ, მე ცხენოსნობა და ლაშქრის გაძლოლა არ ვიცი. — შენ გაემართები ვოკლურისკენ და მიხვალ სარდალ დე ბოდრიკურთან... (ბოდრიკური პერსონაჟთა შორის გამოიჭიმება და გამოდის პირველ რიგში, თან ანიშნებს, რომ მისი გამოცვლის დროა. ვიღაც იჭერს, ეტყობა, ნაადრევად აპირებდა გამოსვლას). ...იგი მოგცემს კაცის ტანსაცმელს და მისი ბრძანებით წარგადგენენ ტახტის მემკვიდრის წინაშე. წმინდა ეკატერინე და წმინდა მარგარიტა იქნებიან შენი შემწენი. (შეშინებული ტირის, ეცემა ძირს).

— შემიბრალებთ! შემიბრალებთ, ჩემო ხელმწიფევ! მე პაწია გოგო ვარ. ბედნიერი ვარ. ქვეყნად ერთადერთი საზოგადოებრივი მაქვს, ცხვრების მწყემსვა... საფრანგეთის სამეფო მეტრისმეტად დიდი ჩემთვის, უნდა გაიგოთ, რომ მე პატარა ვარ და ჭკუადაუმჯდარი, რომ მე სრულიად უღონო ვარ. საფრანგეთი კი, უფალო ჩემო, ესოდენ მძიმე ტვირთია. მეფეს დიდი სარდლები ჰყავს, ძლიერი და გამოცდილი სარდლები... მათ ძილი როდი გაუტყდებთ, ომს თუ წააგებენ, შეუძლიათ თავი იმართლონ რომ საარტილერიო მომზადება არ უვარგოდათ, რომ მათ დროზე არ მიეშველნენ, რომ თოვლი და წვიმა უშლიდათ ხელს, ხოლო ომში დახოცულ ჯარისკაცებს აიღებენ და უბრალოდ ჩამოსწერენ. მე კი აღამიანი რომ მოვკლა, ჩემს სიცოცხლეში მოსვენება არ მექნება... შემიბრალებთ, ჩემო ხელმწიფევ! (გაიპართება წელში, სხვაგვარი ტონით) საქმე არა გაქვს?! რის უბრალებს! მისი ალოკვალიც აღარსად ჩანს, საფრანგეთი კი მე ამკიდა ტვირთად. (უბრალოდ) არაფრადაც არ ჩაავადო, რომ ფერმაში სამუშაო მქონდა და მამაჩემს ხუმრობა არ უყვარდა.

მ ა მ ა — (აქამდე დედის ახლო მიმოდინდა, თავს ვეღარ იკავებს). სადაა ამდენ ხანს ის გოგო?

დ ე დ ა — (ქსოვას განაგრძობს). მინდორშია.

მ ა მ ა — მეც ვიყავი მინდვრად და დავბრუნდი. უკვე ექვსი საათია. აქამდე სად დაეთრევა?

მ მ ა — (წუთით თავს ანებებს თითოთ ცხვირის ჩხრეკას) ვინა? ქანა? ფერიების ხესთან ოცნებობს. იქ იღვა, ხარს რომ მოვლენილი.

მთხრობელი — (დანარჩენებს სცენის სიღრმეში). ფერიების ხე! გთხოვთ, ბატონებო, ჩაინიშნოთ. ცრუმორწმუნეობა. ჯაღაჭრობის ჩანასახი ფერიების ხე!

გაქანაქანი  
გინაქანაქანი

კოშონი — საფრანგეთში ყველგან არის, ბატონო მთხრობელო, ფერიის ხე. ჩვენთვის აჯობებს, რომ პატარა გოგოებს დავეუტოვოთ ფერიები.

მთხრობელი — (განაწყენებულად). ჩვენ ჩვენი წმინდანები გვყვანან. მათ ეს უნდა იკმარონ.

კოშონი — ცოტა მოგვიანებით ასეც იქნება, მაგრამ ჯერ ისინი სულ პაწიები არიან... ესაა თხუთმეტისაც არ არის.

მთხრობელი — თხუთმეტი წლის გოგონა უკვე ქაღალდივითაა, მან უკვე ყველაფერი იცის.

კოშონი — ესაა მაშინ მეტად სპეტაკი და მიაძიტი იყო. თქვენ იცით, ამ სასამართლოში არ ვაპატიებ, რომ რაღაც ხმები გამოიგონა. მაგრამ ფერიების ამბავი კი უნდა ვაპატიო... (მტკიცედ) სასამართლოს თავმჯდომარე მე ვარ (სიძულვილით ანთებული მთხრობელი თავს ხრის და ჩუმდება).

მამა — (ისევ იფეთქებს). მაინც რას აკეთებს ფერიების ხესთან?

ძმა — წადით და თვითონ ნახეთ. თვალგაშტერებული დგას და ოცნებობს. თითქოს რაღაცას ელის; პირველად როდი მინახავს ასე.

მამა — (თავს აქნევს). რატომ აქამდე არ მითხარი ეგ ამბავი, შე შტერო, ნუთუ შენი ზნის ბიჭს შეიძლება ჯეროდეს, რომ გოგოები ოცნებობენ? რაღაცას კი არა, ვიღაცას ელის ის შენი ესაა, მე თქვენ გეუბნებით, ესაა ვიღაც ჰყავს, სად არის ჩემი ჯოხი!

დედა — (განაგრძობს ქსოვას. რბილად). კი, მაგრამ შენ კარგად იცი, რომ ესაა ბავშვივით უმანკო!

მამა — გოგოები მუდამ უცოდველ ბავშვებს ჰგვანან — საღამოს შუბლს მოგიშვებენ საკოცნელად და თვალეები ისე წმინდა აქვთ, შიგ ყველაფერი ჩანს ფსკერამდე. ეს საღამოს. მეორე დილას კი სკუპ! — და თუმცა ოთხ კედელში გამოკეტილი გყავდა — ვერ გაიგებ, რა და როგორ მოხდა. მათ ამღვრულ თვალეებში უკვე ვერაფერს დანახავ, თვალს გარიდებენ და გავირბიან. ჰოდა, ასე იქცევა გოგო ეშმაკად!

მთხრობელი — ბატონებო, სიტყვა „ეშმაკი“ წარმოითქვა! და მერე ვის წარმოითქვა? მისმა მამამ.

დედა — შენ საიდან იცი? ესაა უბიწო იყო ამ დილას, როცა მინდვრად სამუშაოდ მიდიოდა, მეც უბიწო ვიყავი მამაჩემისაგან რომ წამოძიყვახე... აბა, განხსენე, მოიგონე, როგორი თვალეები მქონდა მეორე დღეს?

მამა — (ბუზღუნებს). ასეთივე, მაგრამ ეგ აქ რა მოსატანია.

დედა — მაშასადამე, შენ სხვა გოგოებიც გამოგიცდია, ვაჟბატონო. შენ ეს ჩემთვის არასოდეს გაგიზხელია.

მამა — (უხერხულობის დასაფარავად ყვირის). მე შენ ვეუბნები. ლაპარაკი შენზე კი არ არის, არც სხვა გოგოებზე, ესაა შენ! მომეცი ჩემი ჯოხი. მე თვითონ მოვძებნი და თუ ვინმესთან პაემანზე წავუსწარი, ორივეს ცემით მოვკლავ.

ესაა — (ალერსიანად იღიმება). დიახ, მე პაემანი მქონდა, მაგრამ ჩემს სატრფოს ორი თეთრი ფრთა ესაა, კარგად დაუთოებული ტანსაცმელი ეცვა და შთამავგონებლად ჩამძახოდა:

— ესაა! რას უცდი, ესაა? საფრანგეთის სამეფოს შავი დღე აღგას.

— მეშინია, ჩემო მეუღლე. მე მხოლოდ საწყალი გოგონა ვარ; თქვენ, ალბათ, შეგეშალებ.

— განა ღმერთს რაიმე ეშლება, ესაა?

(მობრუნდა მოსამართლეებისკენ)

რა შემეძლო მეპასუხა მისთვის?

მთხრობელი — (მხრებს იჩეჩავს). პირველი უნდა გადაგეწერა.



ქანა — სწორედ ავრე მოვიქეცი, მთავარანგელოზმაც ჩემსავით გადაიწერა პირგვარი, პირდაპირ თვალბეჭდში მიყურებდა. საყდარში კი ამ დროს რებს რეკავდნენ.

საქონელო  
გინელოთქეა

მთხრობელი — უნდა გეყვირა მისთვის: „Vade retro satana!“

ქანა — ლათინური არ ვიცი, ბატონო ჩემო.

მთხრობელი — თავს ნუ ისულელებ! ეშმაკს ფრანგულიც ესმის. უნდა გეყვირა მისთვის: „წეთირიე აქედან, უწმინდურო, მყარლო ეშმაკო და არ გაბედო ჩემი ცთუნება“.

ქანა — ჰო, მაგრამ იგი ხომ წმინდა მიქელგაბრიელი იყო, ბატონო ჩემო.

მთხრობელი — (დაცინებით). შენ ეგ ვინ გითხრა? თვითონ მანვე გითხრა და შენც დაუჯერე არა? უგუნურო!

ქანა — აბა, რა მექნა, არც შეიძლებოდა იგი ეშმაკი ყოფილიყო, ისეთი ლამაზი იყო.

მთხრობელი — (წამოხტება, გონდაკარგულივით ყვირის), ეგრე! ეშმაკები სწორედ ლამაზები არიან.

ქანა — (შეურაცხყოფილი). ბატონო ჩემო!

კოშონი — (ხელით ანიშნებს მთხრობელს) საღვთო სჯულის ეს საკითხები, ბატონო მთხრობელო! ღვთისმეტყველთათვისაც კი საკამათოა და არა მგონია, ამ საცოდავ გოგონასათვის გასაგები იყოს. ტყუილად აწვალე.

ქანა — (წამოხტება, უყვირის მთხრობელს) სტყუი კანონიკო! მე შენებრ განსწავლული არ ვარ, მაგრამ ეს კი ვიცი, ეშმაკი მინახია და ყველაფერი, რაც ქვეყნად ლამაზია, ღვთის ხელითაა შექმნილი.

მთხრობელი — (ბოროტად იცინის). ეს რომ ასე იყოს, ცხოვრება მეტისმეტად მარტივი იქნებოდა, და მეტისმეტად უაზროც. იქნებ გგონია, ეშმაკი სულელია? ათასჯერ უფრო ჭკვიანია, ვიდრე მე და შენა ვართ. ეგებ გგონია, როცა ეშმაკს სულის შეცდენა უნდა, გათხუზული კატის, ან არაბული აქლემის, ან კიდეც ურჩხულის სახით გვევლინება? აგრე მხოლოდ საბავშვო ზღაპრებში ხდება. სინამდვილეში კი ეშმაკი წლის ყველაზე თბილ, ყველაზე ნათელ, ყველაზე კეთილსურნელოვან, ყველაზე მაცთუნებელ ლამეს ირჩევს... იგი ლამაზ, ტანშიშველ, მკერდმალალ ქალიშვილად იქცევა, აუტანელი სილამაზის ქალიშვილად...

კოშონი — (მკაცრად აწყვეტინებს) კანონიკო! ზომა უნდა იცოდეთ, მეტისმეტი მოგდით. ძალიან შორს წახვედით ქანას ეშმაკისაგან. ყველა ეშმაკს თავისი სახე აქვს და ერთმანეთში არ უნდა ავუროთ (მთხრობელი წითლდება, თავს ძლივს იკავებს, ყველას ეღიმება).

მთხრობელი — გთხოვთ მაპატიოთ, თქვენო უწმინდესობავ, მაგრამ ეშმაკი ხომ ერთია.

კოშონი — ესეც ნუ გავიწყდება. რომ სასამართლო ჯერ არ დაწყებულა: ქანას ჩვენ შემდეგ დავკითხავთ, განაგრძე, ქანა.

ქანა — (ჯერ კიდეც გაკვირვებული კითხულობს). თუ ეშმაკი ლამაზია, როგორღა უნდა იცნო, რომ ის ეშმაკია?

მთხრობელი — შენს მოძღვარს უნდა ჰკითხო.

ქანა — თვითონ ვერაფრით ვერ გამოვიცნობ?

მთხრობელი — ვერა. ამიტომ არ არის ზსნა წმინდა ეკლესიის გარეშე.

ქანა — მაგრამ მოძღვარი მუდამ თან ხომ არ გეყოლება, მხოლოდ მდიდრებს ჰყავთ თავთავიანთი მღვდლები. ღარიბებს კი უჭირთ.

მთხრობელი — ჯოჯოხეთის გვერდის ავლა ყველას უჭირს.

კოშონი — დაუხსენით ქანას, ბატონო მთხრობელო! მივცეთ საშუალება თავისუფლად ელაპარაკოს თავის ხმებს. ეს ხომ მხოლოდ თავგადასავლის დასაწყისია, მას ჯერ კიდევ ვერაფერ ვერაფერს უსაყვედურებს.

ქანა — მეორეჯერ ეს იყო წმიდა მარგარიტა... წმიდა ეკატერინეც მოვიდა... (მთხრობელისაკენ მობრუნებული, ეშმაკურად, გამომწვევად) და ისინიც ლამაზები იყვნენ, ისინიც.



- მთხრობელი — (თავს ვეღარ იკავებს, რომ არ იყვიროს). ისინი <sup>მშრ</sup> ვლები იყვნენ?
- ქანა — (ღიმილით). ჰოი, უფალო! ქნებ გგონიათ, ღმერთს ფულონად <sup>არქიმედი</sup> ვება თავისს წმინდანების შესამოსავად? (პასუხი სიცილს იწვევს. მთხრობელი დარცხვენილი ჯდება).
- კოშონი — აი ხომ ხედავთ, ბატონო მთხრობელო, თქვენი კითხვები ჩვენ ყველას ღიმილს გგვგრის. ამიერიდან თავი შეიკავე და ნუ ჩაერევი, სანამ საკითხის არსზე არ ვადავალთ. მაგრამ, მთავარია მაშინაც კი, როცა ჩვენ გავასამართლებთ ქანას, და განსაკუთრებით მაშინ, როცა მას სასაჯელს მივუქვით, არ დავავიწყდეთ: ჩვენზეა მონღობილი ამ სუსტ, თამამ სხეულში მოთავსებული სული... როგორი შემფოთება შეგიძლიათ ჩაუნერგოთ ამ ნორჩ არსებას, თუ მას ჩააგონებთ, რომ ბოროტისა და კეთილის განმასხვავებელი მხოლოდ ტანსაცმელია? მე გეთანხმებით, ჩვენს წმინდანებს ისე აცვიათ, როგორც მათ ჩვეულებრივ გვიხატავენ. მაგრამ...
- ქანა — (მთხრობელს მიახლის). მაგრამ ჯვარცმული მაცხოვარი ხომ ტანშიმეწვია!
- კოშონი — შენ ისა თქვი, რაც მე უნდა შეთქვა, ქანა, სიტყვა რომ გააწვევტიენე, მაგრამ შენგან არ ეკუთვნის პატივცემულ კახონიკს შესწორება. შენ გავიწყდება, თუ ვინ ვართ ჩვენ და ვინ ხარ შენ. ჩვენ შენი მწყემსები, მბრძანებლები და მსაჯულები ვართ. უფროსილდი შენს სიამაყეს ქანა; თუ ოდესმე დემონი მოგერევა, იგი აწისათვის შენს სიამაყეს გამოიყენებს.
- ქანა — (წყნარად). მე ვიცი, რომ ამაყი ვარ... მაგრამ მე ვარ ასული ღვთისა. თუ მას არ სურდა, რომ ამაყი ვყოფილიყავი, რად მომიგზავნა თავისი ბრწყინვალე მთავარანგელოსი და ნათელმოსილი წმინდანები? რატომ აღმიტქვა, რომ შევძლებდი ყველას დაჯერებას, ვაიძულებდი ჩემი ერწმუნებინათ ისეთსავე ბრძენთა და სწავლულთ, როგორიც თქვენ ხართ. რად მომცა ნება მეტარებინა ჩემი მეფის ნაჩუქარი ულამაზესი თეთრი აბჯარი და სახელგანთქმული ხმალი და ჩემს მერანზე ამხედრებული ისრების თქვეში გავძლოლოდი მამაც ვაჯკაცებს? სჯობდა კვლავ ჩემთვის დავეტოვებინე მინდორში ცხვრის მწყემსად, ან ჩემს სახლში დედის გვერდით ძაფის სართავად და არასდროს ამაყი არ გავხდებოდი.
- კოშონი — კარგად აწონ-დაწონე სიტყვა და აზრი, ქანა. შენ ბრალს სდებ უფალს.
- ქანა — (პირჯერის წვრილ). ღმერთმა დაძიფაროს! მე მხოლოდ ესა ვთქვი: აღსრულდეს ნება მისი, მაშინაც, თუ მან ისურვა ჩემთვის ამაყი სულის ჩანერგვა და საუკუნო სატანჯველისთვის ჩემი განწირვა. ესეც ხომ მისი ნებაა.
- მთხრობელი — (თავს ვეღარ იკავებს). საშინელება! რასაც ეგ ამბობს. საშინელება! როგორ შეიძლება უფალმა სულის დაღუპვა ისურვოს? და თქვენ, ბატონებო, უღრტვინველად უსმენთ! მე ამაში ვხედავ საშინელი ერევისი ჩანასახს, რომელიც ოდესმე განხეთქილება შეიტანს ჩვენს ეკლესიაში. (წამოღდა ინკვიზიტორი. ეს არის ხმელ-ხმელი, ჰკვიანი, სასტიკი და დინჯად მეტყველი კაცი).
- ინკვიზიტორი — კარგად ისმინე ჩემი კითხვა, ქანა. ფიქრობ თუ არა, რომ ამ წუთებში შენზედ არის გარდმოვლენილი მადლი და კურთხევა უფლისა?
- ქანა — (მთლად გაბრწყინებული). რომელ წუთებში, ბატონო ჩემო? განმარტეთ კარგად, თორემ ყველაფერი ამება. ყველაფერი აირია. დასაწყისში, როცა ხმები მესმის. თუ სასამართლოს ბოლოს, როცა მივხვდი, რომ ჩემმა მეფემ და ჩემმა ამხანაგებმა მიმატოვეს. როცა ეკვებმა გამტეხეს, როცა უარყავი ყოველივე რაც ჩამიდენია, და შემდეგ უკანვე წავიღე ჩემი უარი?
- ინკვიზიტორი — თავს ნუ იძვრენ, მიპასუხე: გრძნობ თუ არა, რომ შენზედ არის გარდმოვლენილი მადლი და კურთხევა უფლისა?

(პაუზა. ხუცესები ხარბად მისჩერებიან ჟანას, როგორც ჩანს, ეს ცბიერი შეკითხვა უნდა იყოს).



ლადვენით — (დგება). ბატონო ინკვიზიტორო, ეს შეკითხვა საზიფათო უნდა იყოს უბრალო გოგონასთვის, რომელიც გულწრფელად ფიქრობს, რომ ღვთივ კურთხეულია. მე გთხოვთ, რომ პასუხი თავისისავე საწინააღმდეგოდ არ ჩაეთვალოს. იგი ისედაც მეტისმეტად დიდ განსაცდელშია.

ინკვიზიტორი — გაჩუმდით, ძმაო, ლადვენით! მე ვეკითხები იმას, რაც საჭიროდ მიმაჩნია. გწამს თუ არა, რომ შენზედ არის გარდამოვლენილი მაღლი და კურთხევა ღვთისა, ჟანა?

ჟანა — თუ არა — ღმერთმა ინებოს, რომ გარდამოვივლინოს, თუ ჰო—ღმერთმა ინებოს, არ მომაკლოს იგი. (ხუცესები ჩურჩულდნენ. ინკვიზიტორი ჯდება მკაცრი სახით).

ლადვენით — (დაყვავებთ წამოიძახებს). კარგი პასუხია, ჟანა!

მთხრობელი — (ჟანას ყოჩაღობით განაწყენებული, ბუზღუნებს). მერე მაგით რაო? ეშმაკი რომ მარჯვე არ იყოს, რის ეშმაკი იქნებოდა? არც ის დაგავიწყდეთ, რომ მას ადრეც აძლევდნენ ამ კითხვას. მე კარგად ვიცნობ ეშმაკს. მას ყველა კითხვაზე მზად აქვს პასუხი.

ვარციკი — (ამდენ ხანს მოწყენილი იჯდა. უცებ მიპართა კოშონს). ყოველივე ეს, ალბათ, ძალზე საინტერესოა, თქვენო უწმინდესობავე, თუმცა, ამ გოგონასი არ იყოს, ცოტა ვიბნევი მსგავს კითხვებზე. მაგრამ თუ ჩვენ ასე განვაგრძებთ, ვერასოდეს ვერ მივალთ სასამართლოს დასასრულამდე და ვერასოდეს ვერ დავწვავთ ჟანას. დე მან გაითამაშოს თვისი თავგადასავალი, რაკ ეს აუცილებლად მიაჩნიათ, ოღონდ სწრაფად. და გადავიდეთ უმთავრესზე. მისი უდიდებულესობის მთავრობას უნდა, რაც შეიძლება სახელი გაუტყდეს პატარა გლახაკს — მეფე შარლს. ეუწყოს მთელ ქრისტიანულ სამყაროს, რომ მისი მეფედ კურთხევა მხოლოდ მასკარადი იყო, რომ შირონცხება ჩატარდა კუდიანის, სარწმუნოებისგან გამდგარის, ავანტიურისტისა და ჯარისკაცების ნათრევი გოგოს თათნობით.

კოშონი — ჩვენ მას ვასამართლებთ, როგორც სარწმუნოებისაგან გამდგარს, ბატონო.

ვარციკი — ვიცი, მაგრამ ჩემი ჯარისკაცებისათვის საჭიროა ფერების გამუქება. ვშიშობ, რომ თქვენი იურიდიული გადაწყვეტილების სინატიფენი მათთვის მეტისმეტად მიუწვდომელია. პროპაგანდა შეჯამებაა, ბატონო ეპისკოპოსო, ეს დაიხსომე, მთავარია, გამოვთქვათ სრულიად უბრალო აზრი და ეს ვიმეოროთ, რაც შეიძლება ხშირად, ასე იქმნება ჰემ-მარიტება. ჩემი აზრი ახალია, მაგრამ მჯერა, მას დიდი მომავალი აქვს. მე სასწრაფოდ მინდა ამ გოგოსგან მხოლოდ არარაობა დარჩეს... ვინც არ უნდა იყოს იგი სინამდვილეში, არსებითად არაფერი ნიშნავს მისი უდიდებულესობის თვალში. არ დავმალავ, პირადად მე ამ გოგოს სიმპათიით ვუცქერი, მომწონს, როგორ მარჯვედ გჩრით პირში ბურთს ყველას, თანაც იგი საუკეთესო ცხენოსანია... ეს იშვიათია ქალებში... სხვა გარემოებაში მოხარული ვიქნებოდი მასთან ერთად მელებზე მენადირა. მაგრამ საუბედუროდ მოხდა მეფის თავხედური კურთხევა და ეს პირველად ჟანას მოუვიდა თავში. თვითონ განსაჯეთ, რა თავისაგდება, თქვენო უწმინდესობა! ჩვენს ცხვირწინ ვიდაც ვალუა საფრანგეთის მეფედ ეკურთხა! და ისიც ჩვენს ქალაქ რეიმსში! ბედავენ პირიდან გამოგვგლიჯონ საფრანგეთი, დაუსჯელად დაიტაცონ ინგლისის ქონება, საბედნიეროდ ღმერთი ინგლისის უფლებათა მხარეზეა. ეს მან აზნკურში დაამტკიცა, ღმერთი და ჩვენი უფლება — ახლა ეს ორი ცნება გაერთიანდა. ამასთან, ეს სიტყვები ჩვენს ღერბზე სწვრია. ისე რომ, დააჩქარეთ ჟანა, დეე მოჰყვეს თავის მოკლე თავგადასავალს, დასწვდით იგი და ლაპარაკი ამით გათავადება. მე ამასწინათ ვიხუმრებ, ათი წლის შემდეგ ეს ამბავი აღარავის გაახსენდება-მეთქი.

კოშონი — (ოხვრით). ღმერთმა აგრი ინებოს, თქვენო ბრწყინვალეობა!

ვარვიკი — რაზე შევჩერდით?

მამა — (ჯოხით გამოდის წინ). ჩვენ შევჩერდით იმაზე, რომ ამ გომბიფის წავადექი ფერიის ხესთან, სადაც ღმერთმა უწყის, რაზე ოცნებობდა გარწმუნებთ, ამ საქმეს ასე არ დავტოვებ! (ეცემა ეანას, უხეშად ჩაველებს ხელს, აიძულებს წამოდგეს) აქ რას აკეთებ? თქვი, თქვი, აქ რა ვინდა, როცა შინ ვახშამი გელის და დედას ლოდინით გული ეღვევა?

ეანა — (რცხვენია, რომ თავს მოულოდნელად წაადგენ, სანებე ხელებს იფარებს და პატარა გოგონასავით ბუტბუტებს). ასე გვიანი თუ იყო არ მეგონა... დროის წარმოდგენა დავკარგე.

მამა — (ანჭლრევს და უყვირის). ახ, არ გეგონა, რომ ასე გვიანაა. არა? შე სალახანა, შენა! დროის წარმოდგენა დავკარგე, არა? ღმერთმა დაგვიფაროს და ისეთი რამეც ხომ არ დავკარგე. რის თქმასაც ვერ ბედავ! (ვაშმაგებით ანჭლრევს) ვინ დავაკარგვინა, ვინ, შე კახბა, ვინ დავიკარგა წარმოდგენა? მე რომ მოვიახლოვდი, ვილაცას უყვიროდი, ნახვამდისო. იმ ვილაცას ვერ მოვახელე ამჯერად; არ ვიცი, სად გაქრა ის ვაჟბატონი, მაგრამ იცოდნეს, იმ მუტრუქმა, რომ არ შევარჩენ! ვისთან იყავი? მიპასუხე! მითხარი, თორემ ისე დაგბეგვავ, სიკვდილს ნატრობდე.

ეანა — წმინდა მიქელგაბრიელთან ვიყავი.

მამა — (თლწმავს სახეში). ეს შენ, მამის დაცინვისათვის! მიქელგაბრიელთან გქონდა პაემანი, შე კახბა, არა? მთელი ოჯახი უცდის, დედას, ეს კი სალამოს ხისქვეშ ლაყბობს. საზიზლარი! შენ რა, შენც სხვა გომბიფიებით მოინდომე თავის აწყვეტა, იმის მაგივრად, რომ მამას და დედას მოეხმარო, იმის მაგივრად, რომ მათ გამოარჩეულ წესიერ კაცს გააყვე ცოლად. თუ ასეა, იცოდე, მაგ შენს მიქელგაბრიელს ფიწალზე წამოვაგებ და შენ ჩემივე ხელით კატასავით წყალში დავახრჩობ. ატენილ ძუ კატასავით დავახრჩობ!

ეანა — (დამშვიდებული უპასუხებს ამდენ შეურაცხყოფაზე). ცუდი არაფეფერი ჩამიდენია, მამა, ნამდვილად მიქელგაბრიელი მელაპარაკებოდა.

მამა — მუცელი რომ გამოგებებრება, მამას რომ საქვეყნოდ თავს მოჭრი, დედას ჯავრით მოკლავ და ძმებს აიძულებ, ჯარში წავიდნენ, რათა სირცხვილს გაერიდონ, მაშინ ვის დავაბრალოთ, სული წმინდას? წანწალსა და თრევას არ ჯერდები და ღმერთსაც სცოდავ! მე ვეტყვი ჩვენს კიურეს, სადმე მიყრუებულ მონასტერში გამოგაეტოს და ცარიელა პურის დაწყლის მეტი არაფერი გაღირსონ.

ეანა — (მუხლს იყრის მამის წინაშე). ნუ მიყვირით მამა! თქვენ ვერ გამიგებთ. მაღალ ღმერთს ვფიცავ, რომ სიმათლეს გეუბნებით, უკვე კარგახანია, ისინი მეცხადებიან და მელაპარაკებიან. ეს იმ დროს ხდება ხოლმე, როცა ზარები დილის წირვის დაწყებას გვაუწყებენ ან მწუხრისას რეკვენ, ღვთისშობლის ლოცვის დაწყებისას. ეს მუდამ მაშინ ხდება, როცა მე ვლოცულობ, როცა თვითონ მე წმინდა ვარ და ყველაზე ახლო ვარ ღმერთთან. და არც შეიძლება ეს სიმათლე არ იყოს. მე მეცხადებიან წმინდა მიქელგაბრიელი, წმინდა მარგარიტა და წმინდა ეკატერინე, ისინი მელაპარაკებიან, ჩემს შეკითხვებზე პასუხს მამლევენ და სამივე ერთსა და იმასვე მიმეორებს.

მამა — (ანჭლრევს). რატომ უნდა გელაპარაკოს წმინდა მიქელგაბრიელი, შენ. შე ბრიყვი?! აი მე მამა ვარ შენი, მაგრამ როდი მელაპარაკება. იმას რომ ჩემთვის რამე სათქმელი ჰქონდეს, მე მომმართავდა, როგორც ოჯახის უფროსს. განა იგი ჩვენს მღვდელს ელაპარაკება?

ეანა — მამა, მამა, ჩხუბისა და ყვირილის ნაცვლად ერთხელ მაინც სცადეთ გამიგათ. მე ასე მარტოდმარტო ვარ, ასე პატარა ვარ და ტვირთი კი ასე მძიმე ამკიდეს. აი უკვე სამი წელიწადია არ ვეთანხმები და ამ სამი წლის განმავლობაში სულ ერთსა და იმავეს ჩამჩიჩინებენ. აღარ შემიძლია მარტო ბრძოლა იმ ხმების წინააღმდეგ, რომლებიც ჩამძახიან. ეტყობა, სხვა გზა აღარ მაქვს, უნდა დავეთანხმო.

მამა — (იფეთქებს). მამ, შენ ახლაც გესმის ხმები? ეს კი მართლაც აუტა-







ტკვილს მივაყენებთ. (მობრუნდება ვარვიკისკენ). მეტად უსიამოვნო ოჯახური სცენაა, არა?

ვარვიკი — სრულიადაც არა. ჩვენ, ინგლისელები, მომხრე ვართ ბავშვის დასჯისა, ეს ხასიათის კარგი წრთობაა. მე თვითონაც იმდენს მკემდნენ ხოლმე, სიკვდილის პირად მიმიყვანდნენ. ამან მხოლოდ სიკეთე მომიტანა.

მამა — (ღონეგამოლეული, ბოლოს და ბოლოს შეჩერდა. შუბლიდან ოფლს იწმენდს და უყვიროს მის ფეხებთან უგრძობლად დაგდებულ ქანას). ესეც შენ, საძაგელო! კიდევ არ გაგიარა საფრანგეთის გაღარჩენის სურვილმა? (ცოტა დარცხვენილი მოიხედავს დანარჩენებისკენ) აბა თქვენ რას იზამდით, ბატონებო, ჩემს ადგილას, თქვენს ქალიშვილს რომ ასეთი რამ ეთქვა?

ვარვიკი — (ზურგს შეაქცევს, განაგრძობს) მე ერთი მაშფოთებს და მწყინს ჩვენი დაზვერვის უმოქმედობა ამ საქმეში, თავიდანვე უნდა მოვლაპარაკებოდით ამ კაცს.

კოშონი — (ღიმილით). ჰო, მაგრამ ვის შეეძლო წინასწარ ცოდნოდა.

ვარვიკი — კარგმა დაზვერვამ ყველაფერი წინასწარ უნდა იცოდეს. რომელიაქ სიფელში აღგზნებული გოგონა საფრანგეთის ხსნაზე ყბედობს. ეს დაუყოვნებლივ უნდა შეგვეცუო, მამის დახმარებით უნდა დაგვემწყვდილა და საქმე ჩანასახშივე მოგვესპო. მანამ როდი უნდა გვეცადა, სანამ იგი თავისას შეასრულებდა... დაგვიანება ყოველთვის ძვირი ჯდება (ისევ ყნოსავს ვარდს).

დედა — (გამოდის წინ). მოკალი?

მამა — ამჯერად არა. მაგრამ თუ შენს ქალიშვილს ერთხელ კიდევ წაპოცდება, რომ ჭარისკაცებთან წახწალი უნდა, გესმის? — საკუთარი ხელით დაეახრჩობ მას. და თუ მე აქ არ ვიქნები, მისმა ძმებმა დაახრჩონ. (განზე გადის).

დედა — (დაიხრება, ქანას სახეს უწმენდს). ქანა, ჩემო პაწია ქანა... ქანეტა!... ძალიან გტკივა?

ქანა — (ჯერ შეშინებულია. მერე დედას იცნობს და სახეზე ოდნავ გამოეხატება სუსტი ღიმილი). ჰო, ძალიან მაგრად მირტყამდა...

დედა — უნდა მოითმინო. შენი მამაა.

ქანა — (ბავშვურად). აკი ვითმენდი, დედა. მთელი იმ დროის განმავლობაში, როცა მცემდა, ღმერთს ვევედრებოდი, ეპატიებინა მისთვის.

დედა — (მაინც შეწუხებული). მაგრამ მამა რომ შვილს სცემს, უფალ ღმერთს მისთვის საპატიებელი არაფერი აქვს, მამას ამის უფლება აქვს.

ქანა — (ამთავრებს ფრაზას). ვევედრებოდი, რომ მან გამიგოს...

დედა — (ეაღერსება). რა უნდა გაგიგოს, ჩემო კრავო? რათ უყვებოდი მამას ამ სისულელეებს?

ქანა — (ყვიროს აფორიაქებული). ვინმემ უნდა გამიგოს, დედა, თორემ მართო ვერ შევძლებ.

დედა — (უნანავებს). დამშვიდდი, დამშვიდდი, საყვარელო! თავი ჩამიდევ კალთაში, ისე როგორც პატარაობისას იცოდი... როგორ გაიზარდე! ხელში აყვანა აღარ შემიძლია შენი! მაგრამ შენ მაინც ჩემი პაწაწინა ხარ, ისევ ისეთი, ფეხდაფეხ რომ დამდევი საშარეულოში, ჩემს კალთას გაფრენილი. მე შენ ყოველთვის რამეს გაკეთებინებდი, ან სტაფილოს გაძლედი გასახეხად, ან თეფშებს გარეცხვინებდი. მინდოდა ჩემსავით შეგჩვეოდი საქმეს... შენი ძმები სულ სხვანაირები იყვნენ, ისინი მამაშენივით კაცები არიან. მამაკაცებს ხომ ვერაფერს გააკვებინებ, ყველაფერზე „ჰო“ უნდა უთხრა... ისინი სულ მინდორსა და ყანაში არიან, შენ კი შინა ხარ — დიასახლისი. მე ამას არ უნდა გეუბნებოდე, მაგრამ ახლა შენ უკვე ქალი ხარ... დიდი ხარ... მამაშენი კეთილი და სამართლიანი კაცია, მაგრამ მე რომ ის ზოგჯერ არ მოვატყუო, განა თავს გავიტანდით? (ყურში უჩურჩულებს). ხან ამაზე დავზოგავ, ხან იმაზე: აქედან ერთ სუს გამოვრჩები.

იქიდან — მეორე სუს. გინდა, მომავალ ბაზრობაზე მოქარგული მანდილი/ გიყილო? ძალიან დაგშენდება.

ქ ა ნ ა — მე სილამაზე როდი მინდა, დედა.

დ ე დ ა — მეც აგრე ვგიჟდებოდი, ერთი ბიჭი მიყვარდა მამაშენამდე. რა, რა კარგი ბიჭი იყო! მაგრამ ვერ გავყვებოდი. მერე ჯარში წავიდა და ყველაფერი ჩაიშალა, ხომ ხედავ, მე მაინც ბედს ვეწიე, ვინ არის იგი... დედას ხუ დაუფარავ. ისეთი ვიხმე ხომ არ არის, სახელის გამხელა არ შეიძლებოდა? ეს მაინც მითხარი, ჩვენი სოფლებია? იქნებ მამა დავეთანხმოს, ის კარგი სასიძოს წინააღმდეგი როდია. შე სულელო, იმას შეიძლება ჩავვაკონოთ, რომ სასიძო თვითონ მან აპოირჩია, მამაკაცებს, ხომ იცი, ყვირილი, ჩხუბი, მბრძანებლობა უყვართ, მაგრამ ბოლოს მაინც ჩვენი ნებაზე დადიან.

ქ ა ნ ა — მე გათხოვება არ მინდა, დედა. წმინდა მიქელგაბრიელმა მითხრა, დავტოვო სოფელი, ვაეშურად გამოვეწყო და ტახტის მემკვიდრისაკენ გავეშურო საფრანგეთის სამეფოს გადასარჩენად.

დ ე დ ა — (მკაცრად). ქანა, მე შენ წესიერად გელაპარაკები, შენ კი სისულელეს რომაე. ჯერ ერთი, არასოდეს არ დაგრთავ ვაეშურად ჩაცმის ნებას, ჩემი ქალიშვილი კაცივით გამოეწყოს? კაი სანახავი არ იქნება?

ქ ა ნ ა — აბა რა ვქნა, დედა, ცხენზე უნდა ვიჯდე და ჯარისკაცებთან ერთად ვაპუნო. ასე მიბრძანა ჩემმა უფალმა, წმინდა მიქელგაბრიელმა.

დ ე დ ა — წმინდა მიქელგაბრიელმა გიბრძანა, თუ არ გიბრძანა, მე ეგ არ ვიცი, მაგრამ ცხენზე შეჯდომას შენ ვერ ელირებდი. ქანა დარკი ცხენზე ამხედრებულში არაფერი აჯობებს. რას იტყვის სოფელი!

ქ ა ნ ა — კი მაგრამ, როცა მადმუაზელ დი ვოკულებრი მიმინოთი ნადირობს, ის ხომ ყოველთვის ცხენზე ზის?

დ ე დ ა — საღ შენ და საღ ცხენზე ჯდომა! ეს ჩვენი თანა გლეხების საქმე არ არის. თავში როგორ მოგივიდა! ეს დიდებულების ჩვეულებაა.

ქ ა ნ ა — მაგრამ თუ ცხენზე არ შევჯექი, ისე ჯარს როგორ გავუძღვები?

დ ე დ ა — არაერთარი ჯარი! მიჩვენია მომიკვდე, ვიდრე ჯარისკაცებთან გნახო. აი ხომ ხედავ, ახლა მეც მამაშენივით გელაპარაკები. ზოგიერთ რამეზე ჩვენ ერთი აზრისა ვართ. გოგოს საქმე ქსოვა, რთვა, რეცხვა და შინა ჯდომაა. ბებიამშენს თავის დღეში შინიდან ფეხი არ გაუღდა, არც მე, შენც შინ უნდა იჯდე და, როცა ქალიშვილი გეყოლება, იმასაც შინა ჯდომა უნდა ასწავლო. (უცებ ჩამამალალი ტირილი აუვარდა). ჯარისკაცებთან წავალო! რა დავუშავე ღმერთს, რომ ასეთი ქალიშვილი მომცა! ნუთუ შენ ჩემი სიკვდილი გინდა?

ქ ა ნ ა — (ისიც ატირდება და ღრიალით ჩამოეკიდება დედას კისერზე). არა, დედა! (წელში გასწორდება, მაგრამ ისევ თვალცრემლიანია, როცა დედა შორდება. ჩამამალა) ხომ ხედავთ, წმინდაო მიქელგაბრიელ! ეს შეუძლებელია, ესენი ვერასოდეს ვერ გამიგებენ. ვერაინ ვერასოდეს ვერ გამიგებს. სჯობს, ახლავე უარი გითხრათ. უფალი ჩვენი გვასწავლის, რომ მამისა და დედის მორჩილნი ვიყავით. (უპასუხებს. მთავარანგელოზის ხმით). ქანა, უწინარეს ყოვლისა, ღვთის მორჩილი უნდა იყო! — მაშინაც, თუ ღმერთი შეუძლებელს გავალებს?

— მაშინ უნდა ეცადო, შეუძლებელი შეძლო, დაიწყე, ქანა, ღმერთი ჯერ მეტს არაფერს გთხოვს. მერე კი თვითონ იბრუნებს ყველაფერზე. და თუ მოგიჩვენება, რომ მან მიგატოვა და გზაზე ვადაულახავი დაბრკოლება შეიქმნა, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იგი გენდობა შენ და შენი შეწევნა სურს, ღმერთი ასე იფიქრებს: „რაკი აქ ქანაა, შეიძლება მის გზაზე დავტოვო ეს მთა. მე არა მცალია, მაგრამ მას ვიცნობ, იგი ხელ-ფეხს დაიპოტინს, მუხლებს დაისისხლიანებს და გზას გაიკვლევს“. ყოველთვის, როცა იგი შენს გზაზე მთას აღმართავს, უნდა ეს საამაყოდ გქონდეს, ქანა ეს ნიშნავს, რომ უფალი გენდობა...

(ხანმოკლე პაუზა, ხელახლა კითხულობს).

— ჩემო მეუღლე, ნუთუ მამისა და დედის ცრემლები ღმერთს ეამება;

მე რომ ისინი მივატოვო, ხომ ჯავრისაგან დაიხოცებიან? როგორ გავიყრებ/ამაში?

გაგონებული

— ხოლო მან რქვა: „არა მშვიდობითა მოვედი, არამედ მახვალდითა მოვედი, რათა ძმა აღდგეს ძმაზე და შვილი ძაძაზე“... უფალი იმისთვის მოვიდა, ყანა, რომ ომი მოეტანა, ღმერთი იმისთვის კი არ მოსულა, ყველაფერი რიგზე დაიოლად იყოს, არამედ იმისთვის, რომ ყველაფერი უფრო გაძნელდეს. იგი ყველასგან როდი თხოულობს შეუძლებელს, მაგრამ შენგან კი სწორედ ამას მოითხოვს. მას მიაჩნია, რომ შენთვის შეუძლებელი არაფერია. ეს არის და ეს“.

(ყანა გაიძარბება).

— კარგი, მე წავალ.

ვილაცის ამოძახილი ისმის სცენის ბნელი სიღრმიდან: მედიდური!

ქ ა ნ ა — (გასწორდება, აფორიაქებული). ვინა თქვა მედიდურიო? (ხანმოკლე პაუზა. თვითონვე უპასუხებს მთავარანგელოზის ხმით):

— შენ თვითონ, ყანა, როგორც კი შეუდგები ღვთის ბრძანების შესსრულებას, მთელი ქვეყანა ამას იტყვის. შენ მეტად მორჩილი უნდა იყო უფლისა, რათა მიიღო ეს სამოსელი მედიდურებისა.

— ეს ძნელი იქნება, ჩემო მეუფევე!

— კო, ეს ძნელი იქნება, მაგრამ უფალმა იცის, რომ შენ ძლიერი ხარ. (პაუზა. პირდაპირ იცქირება. უცებ ისევ პატარა გოგოდ იქცევა და მხიარული, გაბედულებით აღსავსე, ყვირის, ხელებს კანკებზე ირტყამს). რა კაია! გადაწყდა, ყველაფერი ნათელია. ბიძაჩემთან წავალ, დიურანთან. მას როგორც მინდა, ისე ვატრიალებ. გავასულელებ. ორივე ღოკას და ვუკოცნი, მუხლებზე ჩამოვუჯდები. ახალ ლამაზ მანდილს მიყიდის და ვოკულერში წამიყვანს!

ძ მ ა — (უახლოვდება, ისევ ცხვირს იჩხრეკს). ბრიყვო!... საბრალო ბრიყვო!... რა გრჯიდა, რომ ყველაფერი უამბე მშობლებს. (უფრო ახლო მიდის). თუ ერთ სუს მომცემ, კევის საყიდლად, სხვა დროს აღარ ვეტყვი, რომ სატრფოსთან გნაზე.

ქ ა ნ ა — (გახარებული ეცემა). მაშ, ეს შენ დამასმინე, საზიზღარო? შენ დამასმინე, შე ვოჭო, აი ჩემი სუ, დაიჭი, შე თავკომპლა! ა, შენი კევი, საძაგელო პირუტყვი! მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა დასმინა!... (ატყდა ჩხუბი. ყანა მისდევს ძმას დანარჩენი პერსონაჟების ჯგუფში. მისდევს და თავით მუცელში ეჯახება ბოდრიკურს, რომელიც სცენის შუაგულში დგას, აქეთ იგი დანარჩენმა პერსონაჟებმა გამოავდეს, თორემ თვითონ დაავიწყდა, რომ მისი გამოსვლაა).

ბ ო დ რ ი კ უ რ ი — (გამოდის წინ. ხმამაღლა). რაო? რა მინდაო? რა უნდა? ეს რა სულელური ამბავია? (სწორედ ამ დროს ეჯახება ყანა მუცელში, ტკივილისაგან წამოიყვირებს, წაავლებს ხელს, ძალა ასწევს, გულმოსულობისაგან სულს ძლივს ითქვამს.) რა გინდა, კაცმა რომ გკითხოს, შე მდილო. სამი დღეა მაიმუნობ ჩემს ციხე-სიმაგრესთან და გულშაგებს რაღაც სულელურ ზღაპრებს უყვები.

ქ ა ნ ა — (სირბილისაგან გულამოვარდნილი, ფეხისწვერებზე დგება და ბუმბერაზს გაშვერილ ხელზე ჩამოეკიდება) მე მინდა ცხენი, მესიარ, კაცის ტანსაცმელი და ამაღა დოფინთან, ტახტის მემკვიდრესთან შინონს წასასვლელად.

ბ ო დ რ ი კ უ რ ი — (გაოგნებული) პანლური არ გინდა?

ქ ა ნ ა — (ღიმილით). ეგეც შეიძლება, ბატონო, და თუ გინდათ, ორიოდ მაგარი სილაც ზედ მიაყოლეთ. დაჩვეული ვარ მამაჩემისგან. ოღონდ იმ პირობით, თუ ამის მერე ცხენს მომცემთ.

ბ ო დ რ ი კ უ რ ი — (არ უშვებს) შენ იცი, მე ვინც ვარ და რაც მინდა. შენი სოფლის გოგოებმა, აღბათ, ავიხსნეს, რომ როცა რომელიმე მათგანს ჩემთან რაიმე სათხოველი აქვს, ჩვეულებრივად კი ისინი სიცოცხლის შენარჩუნებას მოხოვენ ძმისათვის ან გათახსირებული მოხუცი მამისათვის, თუ გოგონა ლამაზია, ვუბრძანებ დამნაშავეს კისერზე თოკი შეხსნან, მე კეთილი გული მაქვს. მაგრამ თუ გოგო უშნოა, ბოროტმოქმედს



სახრჩობელაზე ვკიდებ, სხვების დასაშინებლად. ჩვეულებრივად ლამაზები მოდიან. ოჯახში ერთ ლამაზს ყოველთვის მოძებნიან. ასე გამიგარდა ამ მხარეში გულკეთილი კაცის სახელი. ისე რომ საფასური შენთვისაა ცნობილია? გინელოქოქია

ქ ა ნ ა — (უბრალოდ) მე არ ვიცი, რისი თქმა გინდათ, ბატონო, მე თქვენთან წმიდა მიქელგაბრიელმა გამომგზავნა.

ბ ო ლ რ ი კ უ რ ი — (შემკრთალი პირჯვარს იწერს თავისუფალი ზელოთ) ამ საქმეებში ზეციურ წმინდანებს ნუ ჩარევ! წმიდა მიქელგაბრიელზე შენ შეგიძლია უამბო გუშაგებს, რომ ამით ჩემს ციხე-დარბაზში შემოძვრე. მაგრამ ახლა ჩემთან ხარ შემოსული. მე შენ ცხენზე უარს არ გეუბნები. ბებერი ჯაგლაგი სრულიად ნორჩ გოგონაში — პირიანი ვარიგებაა. შენ ქალწული ხარ?

ქ ა ნ ა — დიახ, ბატონო.

ბ ო ლ რ ი კ უ რ ი — (თვალს არ ამორებს, აკვირდება). ღირს ცხენად. შენ კარგი თვალები გაქვს.

ქ ა ნ ა — (რბილად). მაგრამ მე მარტო ცხენი როდი მინდა...

ბ ო ლ რ ი კ უ რ ი — (ღიმილით) იფ, მადა გაეხსნა! ვანაგრძე, კარგი თავშესაქცევი ხარ... მხოლოდ ბრყვეებს ენახებათ გოგოებთან ხელგაშლილობა მე არ ვნანობ, როცა სიამოვნება ძვირი მიჯდება. ჩემს თავს ვაჭერებ ხოლმე, რომ მე ძალიან მინდოდა გულუხვი ცყოფილიყავი. შენ გესმის, რისი თქმა მინდა?

ქ ა ნ ა — არა, ბატონო.

ბ ო ლ რ ი კ უ რ ი — მით უკეთესი. ლოგინში ჰკვიანებს ვერ ვიტან. ცხენს გარდა კიდევ რა გინდა? ამ შემოდგომაზე ღალა ბლომად შემოდის და მეც უხვად ვაცემის გუნებაზე ვარ.

ქ ა ნ ა — ჯარისკაცების ამაღა, ბატონო. იგი უნდა გამყვეს შინონში.

ბ ო ლ რ ი კ უ რ ი — (ვაუშვებს, გამოცვლილი ტონით). გამიგონე, ლამაზო. მე გულკეთილი ვარ, მაგრამ არ მიყვარს, როცა დამცინიან. მე აქაურობის ბატონ-პატრონი ვარ, ჩემს მოთმინებას საზღვარი აქვს. ავდგები და ვუბრძანებ, რომ აქედან გაგაგდონ, როგორც უნებართვოდ შემოპარული. შენსავე სახლში მიგაბრძანებ და პანდურის მეტს ჯილდოდ არაფერს ვაგატან. მე შენ ვითხარი, რომ სიამოვნებისთვის ბლომად ვადახდა არ მენახება. მაგრამ თუ ეს მეტისმეტად ძვირი დამიჯდა, პირიქით მოხდება, სულ გამივილის შენი სურვილი. შინონში რისთვის მიდიხარ?

ქ ა ნ ა — მის უდიდებულესობას, დოფინს უნდა შევხვე.

ბ ო ლ რ ი კ უ რ ი — არა უშავს, სოფლის გოგოს პირობაზე ცუდი მადა როდი გქონია! მაგრამ რატომ ბურგუნდის ჰერცოგთან არ მიდიხარ, რაკი ასე შორს უმიზნებ? იქ შენ მეტი გასავალი გექნებოდა; ჰერცოგი ყოჩალი ბიჭია... დოფინი კი, იცი რას გეტყვი, ომისა და ქალების საქმეში ვერაფერი გმირია... მაგრამ ეს მითხარით, რა გინდა დოფინთან?

ქ ა ნ ა — ლაშქარი უნდა მომცეს, ბატონო, ლაშქარი, რომელსაც მე წავუძღვები ორლეანის გამოსახსნელად.

ბ ო ლ რ ი კ უ რ ი — (უცებ დაფრთხა, გაკვირვებული). თუ გიყი ხარ, მომწყდი თავიდან. მე არ მინდა ამ ბინძურ ამბავში ჩარევა (მიდის სცენის სიღრმეში). ეი, ბუდუს! (შემოდის გუშაგი). ცივი წყალი გადაახსი და ციხეში ჩასვი. ზვალ საღამოს მამამისთან გაგზავნე. ოღონდ არ ცემო, უსიამოვნებას არ გადამყარო: ეს გოგო გიყია.

ქ ა ნ ა — (რომელსაც გუშაგი იჭერს. მშვიდად). მე იმის წინააღმდეგი არ ვარ, ბატონო, რომ ციხეში ჩამსვან. მაგრამ როგორც კი გამომიშვებენ, იმავ საღამოს ხელახლა გამოგეცხადებით. გირჩევნიათ, ახლავე ბოლომდე მომისმინოთ.

ბ ო ლ რ ი კ უ რ ი — (მისკენ იწევს, უყვირის და გორბილასავით გულზე ხელებს ირტყამს). ესე იგი, შენ ჩემი არ გეშინია.





- ქ ა ნ ა — (თვალს თვალში უყრის, არხეინად ილიმება). არა, ბატონო, სრულდებიან ბითაც არა!
- ბ ო ლ რ ი კ უ რ ი — (გაოგნებულად, უყვირის გუშავს). აბა მოუსვი აქედან, შენ ამის მოსასმენად არავის დაუძახე ხედა!
- (გულში გაქრება, როგორც კი ის გავა, შეწუხებული). რატომ არ გეშინია ჩემი? ჩემი ხომ ყველას ეშინია.
- ქ ა ნ ა — (წყნარად). იმიტომ რომ თქვენ ძალიან კეთილი ბრძანდებით.
- ბ ო ლ რ ი კ უ რ ი — (ბუზღუნებს). კეთილი! კეთილი! გააჩნია, როდის და როგორ. მე შენ გითხარი ჩემი ფასი
- ქ ა ნ ა — (განაგრძობს). და რაც მთავარია, ძალიან ჭკვიანი ბრძანდებით. მე ბევრი აღამიანი უნდა დავარწმუნო, რათა აღვასრულო ყველაფერი, რისი გაკეთებაც ხმება მიბრძანეს. კარგია, რომ პირველი კაცი, ვისთანაც საქმე მაქვს და რომელზედაც არსებითად ყველაფერია დამოკიდებული, ყველაზე ჭკვიანი აღმოჩნდა.
- ბ ო ლ რ ი კ უ რ ი — (ცოტა დაბნეული). შენ მართლაც სასაცილო გოგონა ხარ. (ჭიქაში ღვინოს ისხამს. აგდებული ტონით). რატომ ფიქრობ, რომ მე ძალიან ჭკვიანი ვარ?
- ქ ა ნ ა — იმიტომ რომ, თქვენ ძალიან ლამაზი ბრძანდებით.
- ბ ო ლ რ ი კ უ რ ი — (ქურდულად იხედება ლითონის სარკეში). ჰო! ოცი წლის წინათ, გიყვარდეს, ქალებს მოვწოხდი... ამ ხნის განმავლობაში ვცდილობდი, რომ ძალიან არ დავბერებულყავი. ეს არის და ეს... და მაინც სასაცილოა ასეთ სავანზე საუბარი ვიღაც ძწყემს გოგონასთან, რომელიც ერთ მშვენიერ დღისათვის მოულოდნელად დაგეცა ციდან თავზე (ოხრავს). საერთოდ, რომ ითვკას, აქ ყოფიასაგან ობი შედება, ჩემი ხელქვეითები პირუტყვები არიან. კაცი არ არის, რომ გამოველაპარაკო... ჰოდა, რაკი შენ აქა ხარ, მე მაინტერესებს ამისხნა, შეხი ახოით, რა კავშირია ჭკუასა და სილამაზეს შორის? ცაობილია, რომ ჩვეულებრივ, პირიქით ამბობენ ლამაზები ყოველთვის სულელები არიანო.
- ქ ა ნ ა — მაგას კუთხიანები ამბობენ, ან ისინი, ვისაც ცხვირი მეტისმეტად გრძელი აქვთ. ნუთუ მათ ჭკონიათ, რომ თუ ღმერთს უნაკლო რაიმეს შექმნა მოესურვება, იგი ამას ვერ შეძლებს?
- ბ ო ლ რ ი კ უ რ ი — (იციინის ნაამები). რა თქმა უნდა, თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ... მაგრამ ჩემი მაგალითი აიღე. მე უშნო არა ვარ, დროდადრო ჩემს თავს ვეკითხები, ხამდვილად ვარ თუ არა ძალიან ჭკვიანი? — არა, არა, დამაცა, მე შენ ამას იმიტომ გეუბნები, რომ ჩემთვის არაარაობა ხარ... მაგრამ ჩემს ხელქვეითებს თუ შემადარებ, რასაკვირველია, იმათზე გაცილებით ჭკვიანი ვარ. ტყუილად კი არ ვარ მათი უფროსი. ეს წესი რომ საყოველთაოდ მიღებული არ იყოს, არავითარი არმია არ იქნებოდა, და მაინც... მე უარს ვამბობ, ისე დავიმდაბლო თავი, რომ შენთან ამ თემაზე ვიბაასო: უჩვეულობა გარემოებისა, რომელშიაც ჩვენ ვართ. უხარმაზარი საზოგადოებრივი მანძილი, რომელიც ჩვენ გვაშორებს ერთმეორეს, ჩვენს ამ გულწრფელ საუბარს უწყინარს ხდის და მაინც ზოგჯერ წამოიჭრება ამოცანა, რომელსაც ვერ ვერევი. მე მიხდება რაიმე ტაქტიკური ან აღმინისტრაციული საკითხის გადაჭრა და უცებ რატომღაც ვგოვადები. უცებ ბურუსი დგება. ველარ ვაზროვნები. გამოავიწყდები, ამ დროს თავს უხერხულად ვგრძნობ. ვინმეს უნდა ვუყვირო და მერე ვღებულობ გადაწყვეტილებას. პირველად ვიბნევი, მაგრამ მერე და მერე, როცა გადაწყვეტილება მომწიფდება, აღმოჩნდება, რომ საერთოდ სულ ერთი ყოფილა, რა გადაწყვეტილებასაც მიიღებდი. შენ ხომ იცი, ვოკალური სულ პატარა დაბა არის. მე კი მინდა რაიმე ისეთი დიდი გადაწყვეტილება მივიღო, რაც მთელ ქვეყანას შეეხება... ეს გადაწყვეტილება ბეგარასა და რაღაც ექვსიოდე დეზერტორის ჩამოხრჩობას კი არ უნდა ეხებოდეს, არამედ რაიმე არაჩვეულებრივ საქმეს, რომ ზემოთ შემამჩნიონ. (თავს ანებებს ოცნებას, ქანას აცქერდება). თვითონ არ მესმის.

რისთვის გეუბნები ამას შენ. ამ საქმეში შენ ვერაფერს დამეხმარებია და თანაც, მგონი, აფრენ კიდევაც...

უანა — (ალერსიანი ღიმილით). მე კი ვიცი, რატომაც მეუბნები. მე გამაფრთხილებს. მისმინე, რობერ...

ბოლრიკური — (შეხტება). რატომ მეძახი სახელს?

უანა — იმიტომ რომ სახელი უფალმა ღმერთმა მოგცა. იმიტომ რომ ეს შენი სახელია. შენი გვარი კი შენს ძმასაც ეკუთვნის და მამასაც. მომისმინე, ძვირფასო რობერ და ნუ ასტეხავ ყვირილს, ეს საჭირო არ არის... მე ვარ ის გადაწყვეტილება, რომელიც შენ უნდა მიიღო, გადაწყვეტილება, რომელიც შენ საქვეყნოდ გამოგაჩენს.

ბოლრიკური — შენ აქ რას მთარავე?

უანა — (უახლოვდება). გამიგონე, რობერ, უპირველეს ყოვლისა, დაივიწყე, რომ მე ქალიშვილი ვარ. ეს გარემოება ცოტა თავგზას გიბნევს. ღვთის წყალობით მე მახინჯი არა ვარ და, როგორც ყოველი მამაკაცი, არც შენ იტყობი უარს... შენივე თავის შეგრძელებოდა, ასე რომ არ მოქცეულიყავი, მაგრამ არა უშავს, რაკი აუცილებლად გინდა შესცოდო, შესცოდე, სხვა გოგოები სად წაგივლენ, საძაგელო ტახო, ისინი მეტ სიამოვნებასაც მოგანიჭებენ და ნაცლებსაც მოგთხოვენ... მე ხომ არც იმდენად მოგწონვარ...

(ბოლრიკური ყოყმანობს, ეშინია პირში ჩალაგამოვლებელი არ დატოვონ. უცებ. გაბრაზებულად) რობერ, თუ გინდა, რომ დაგეხმარო, შენც ხელი უნდა გამომიწოვო. სიმატლეს რომ გეუბნები, დაქეთანხმე და ყოველ სიტყვაზე კვერი დამიკარი, სხვანაირად ვერ მოვრიგდებით.

ბოლრიკური — (თვალებს ზრის, უხერხულად ბუზღუნებს). ჰო, საერთოდ ვერა...

უანა — (მკაცრად). ესე იგი, როგორ ვერა?

ბოლრიკური — მე მინდა გითხრა ჰო... მართალია მე შენი სურვილი სულაც არა მაქვს. (თავაზიანობისათვის დასძენს). მაგრამ, ამის მიუხედავად, შენ ძალიან ლამაზი გოგო ხარ.

უანა — (ღმობერად). კარგი, კარგი. ძალიან თავს ნუ იღებ, ძვირფასო რობერ. მე შენი გულგრილობა არა მწყინს, პირიქით. ახლა, რაკი ეს ვაიროვია, წარმოიდგინე, რომ უკვე მომეცა კაცის ტანსაცმელი და რომ ჩვენ ერთად ვმსჯელობთ ჩვენს საქმეებზე — მშვიდად და გონივრულად, როგორც ეს მამაკაცებს შეჰფერით.

ბოლრიკური — (მაინც უნდობლად). განაგრძე, ილაპარაკე...

უანა — (ჩაზოჯდება მაგიდის კიდზე. მისი ზიქით ღვინოს სვამს). გეთაყვა, რობერ, შენ თითქმის უკვე მიიღე გადაწყვეტილება. შენ ახლავე უნდა გადადგა ნაბიჯი, რომელიც მეფის კარის ყურადღებას მიიპყრობს. დაფიქრდი, რა ცუდად არის მათი საქმე ბურჯში. არ იციან, რა გზას დაადგენ. ყველგან ინგლისელები არიან. ბრეტანი და ანჟუ უცდინან: ანგარიშობენ, ვინ მეტს გადაუხდის. ბურგუნდიის ჰერცოგმა ახალთახალი „ოქროს საწმისი“ მიიღო, თავისთავს უშიშარ რაინდად სახავს, ფრანგებს სარმას უღებს და ნელ-ნელა შლის ხელშეკრულებებში მისთვის არახელსაყრელ მუხლებს. სამეფო კარზე იმედი ჰქონდათ, რომ ნეიტრალიტეტს მაინც დაიცავდა. ეს იმედიც ძვირი დაგვიჯდა. უკანასკნელი ცნობებით ჰერცოგი აპირებს თავის შვილს ინგლისელი პრინცესა შერთოს. ხედავ, რა ხდება! საფრანგეთის არმია კი, შენ კარგად იცი, რაც არის! ვაჟაკებს არა უშავთ, გარღვევაც კარგად იციან და გარღვეულის დაკერებაც, მაგრამ ბოლოს სულ მოეშვენ. თავში ჩაიჭედეს, რომ ვერაფერს გახდებოან, რადგან ინგლისელები მათზე ძლიერები არიან. ნაბიჯვარი დიუნუა კარგი სარდალია, ასეთ ჰკუთის კოლოფს იშვიათად შეხედები არმიაში, მაგრამ მას აღარაფერ ემორჩილება და თაყვანაც ყველაფერი მობეზრდა. მის ბანაკში გარყვნილებაა, — იქ მე დავამყარებ წესრიგს, იმას ვაჩვენებ სერის — ამასთან. როგორც ყველა უკანონო შვილი, ის თავის თავს მეტისმეტად წარჩინებულ დიდებულად თვლის... მას ბოლოს და ბოლოს ფეხებზე ჰკი-

ღია საფრანგეთის საქმეები, რაკი ტახტის მემკვიდრე პატივმოყვარე შარ-  
ლია, თვითონვე გამომდრეს განსაცდელიდან. ლაირი და ქსენტრეი ველურ  
ხარებს ჰგვანან, მუდამ მზად არიან თავს დაესხან მტერს, მწვავე ჰმარტობენ  
მიაყენონ ხმლით და საგმირო საქმენი ჩაიდინონ სახელის მოსახვეჭად და  
მატიანეებში ჩასაწერად. ცალ-ცალკე ისინი ფალავნები არიან ომში. მაგ-  
რამ ზარბაზნების გამოყენება არ იციან, მტრის ყუმბარებს თავს უშვერენ,  
როგორც აზნეკურთან ჩაიდინეს. ყველა ხალისით კვდება. მაგრამ რის-  
თვის, ვის სჭირდება უზარო თავდადება! ხომ იცი, ძამიკო, ომი არც ფეხ-  
ბურთია და არც ტურნირი. კარგი თამაში მარტო მონდომება და ღირსე-  
ბის კანონების დაცვა როდია. მთავარია, გაიმარჯვო, ამისათვის კი საჭიროა  
ეშმაკობა (ურტყამს შუბლში). ამისათვის ეს უნდა მუშაობდეს. შენ ჰკვი-  
ანი ხარ და ეს ჩემზე უკეთ იცი.

ბო დ რ ი კ უ რ ი — მე მუდამ ვამბობდი, რომ ჩვენს ღროში ნაკლებ აზროვნე-  
ბენ. აილე, თუნდაც, ჩემი ლეიტენანტები: მხეცებზეთ მუდამ მზად არიან  
საჩხუბრად, ეს არი და ეს. ხოლო ვინც აზროვნებს, იმას არავინ ეკითხება  
რამეს.

ქ ა ნ ა — არავინ არ აზროვნებს. აი, ამაზედაც უნდა დაფიქრდნენ. და ამ ღროს,  
სწორედ შენ, გონიერ კაცს, გებადება აზრი, გენიალური აზრი, რომელ-  
საც შეუძლია ყველაფერი იხსნას.

ბო დ რ ი კ უ რ ი — (შეწუხებული). მე, აზრი?

ქ ა ნ ა — დაცალე მომწიფება. შენ გებადება აზრი. შენს გამჭირახ თავში ყვე-  
ლაფერი ლავდება. შენ ახლა აჯამებ ნააზრევს. მაგრამ მთავარი ისაა, რომ  
არც გეტყობა, როგორ აჯამებ ნააზრევს. ახლა შენ უფრო ნათლად იწყებ  
ხედვას. სამწუხაროა, მაგრამ დღესდღეობით მთელ საფრანგეთში მხო-  
ლოდ შენ ხედავ ნათლად.

ბო დ რ ი კ უ რ ი — შენ ასე გგონია?

ქ ა ნ ა — გეუბნები ასე-მეთქი.

ბო დ რ ი კ უ რ ი — მაინც რას ვხედავ?

ქ ა ნ ა — შენ ხედავ, რომ ადამიანებს უნდათ სულის ჩადგმა, რწმენა, მარტივი  
რადაც, სრულიად მარტივი, მაგრამ დამაჯერებელი. შენს საღროშოში  
არის პატარა გოგონა, რომელსაც გამოეცხადა მიქელგაბრიელი, წმიდა  
ეკატერინე და წმიდა მარგარიტა... მე შენ დაგასწრებ... ვიცი მეტყვი, რომ  
არ გჯერა ეს. მაგრამ დროებით დაეუშვათ, რომ ეს ასეა. შენ არაჩვეუ-  
ლებრივი კაცი ხარ და შენთვის ფიქრობ: ეს უბირი მწყემსია. მეერ რა,  
თუკი ღმერთი მის მხარეზეა! ვერავინ ვერ შესძლებს მის შეჩერებას.  
თუმცა ღმერთი მის მხარეზეა თუ არა, ბოლოს და ბოლოს არავინ იცის,  
ამის დამტკიცება არავის შეუძლია, მაგრამ საწინააღმდეგოს დამტკიცებაც  
შეუძლებელია. მან ჩემამდე მოაღწია, ისე რომ მე არც ვიცოდი. და აი,  
უკვე სახეგარი საათია, რაც მე მას უესმენ... ამას შენ ვერ უარყოფ, ეს  
ფაქტია. შენ მხოლოდ ფაქტს აღნიშნავ. და აქ შენ უეცრად გონათ-  
დება. შენ ფიქრობ: თუკი მან ჩემი დარწმუნება შეძლო, რატომ ღოფინს,  
დიონუასა და არქიეპისკოპოსს ვერ დაარწმუნებს? ბოლოს და ბოლოს  
ისინიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორც მე, და ჩვენს შორის რომ  
ვთქვათ, ჩემზე ნაკლებ ჰკვიანებიც. რატომ ვერ დააჯერებს იგი ჩვენს გა-  
რისკაცებსაც! კარგად რომ დავაკვირდეთ, იხვლისელებიც ხომ იმავე ცო-  
მისგან არიან მოზელონი, რომლისგანაც ჩვენ ვართ: სანახევროდ სიმა-  
მაცისა და სანახევროდ ტყავის გადარჩენის სურვილისაგან. საქმაო იქნება  
ღრო შევურჩიოთ და ერთი მაგრად დავცხოთ, რომ ორლუანიდან მოუსუნან!  
რა აკლიათ ჩვენს ბიჭებს ბოლოს და ბოლოს? ეს ფიქრები ირევა შენს  
თავში, რომელიც სხვების თავებზე უფრო ნათელია. მათ მხოლოდ ღროშა  
უნდათ, ისეთი ვინმე, ვინც მთავაგონებს, ვინც დაუშტკიცებს, რომ ღმერ-  
თი მათთანაა. აი, სწორედ აქ მოახდენ შენს სასწაულს.

ბო დ რ ი კ უ რ ი — (საცოდავად). შენა გგონია?

ქ ა ნ ა — სასწაულს! მე შენ გეუბნები, რობერ, მაგრამ მარტო მე კი არ გეტყვი  
ამას. მალე ნახავ, რომ ყველა ასე იფიქრებს. როგორც ყველა დიდი პო-  
ლიტიკოსი, შენ რეალისტიცა ხარ. შენ ასე მსჯელობ: „მე არც იმდენად



მჯერა, რომ იგი ღვთის გამოგზავნილია. მაგრამ თავს ისე მოვაჩვენებთ თითქოს მჯერა და გავუგზავნი სამეფო კარს ამ ღვთის მოციქულს თუ არა მოციქულს. თუ ისინი ამას ირწმუნებენ, რაც მოხდება, მოხდეს. სწორედ ამ ხვალ დილას მიდის ბურჟისკენ ჩემი შიკრიკი...“

**ბოღრიკური** — (განცვიფრებული). შენ საიდან იცი, ეს ხომ საიდუმლოა.

**ქანა** — მე ეს შევიტყვე. (განაგრძობს). მე ექვს ზორბა ვაყავს გამოვურჩევ ამალისათვის. ცხენს მივცემ და გოგონას შიკრიკთან ერთად გავგზავნი. კარვად ვიცნობ ქანას, მინონში ის არ დაიკარგება. (აღტაცებით შესცქერის). იცა რა, რობერ?

**ბოღრიკური** — რა?

**ქანა** — ჭკუის კოლოფი ხარ, ეს რომ მოიფიქრე.

**ბოღრიკური** — (ღონეწართმეული შუბლს იწმენდს). კი.

**ქანა** — (დაყვავებით დასძენს). მხოლოდ თვინიერი ცხენი მომეცი, მე ჯერ კიდევ არ ვიცი ცხენზე ჯდომა.

**ბოღრიკური** — (ხარხარით). თავპირს დაიმტვრევ, შეილო...

**ქანა** — სულაც არა! წმიდა მიქელგაბრიელი მიშველის. დანაძლევდეთ, რობერ, თუ ცხვირიც არ ვავიკაწრე, კაცის ტანსაცმელი უხდა მომცე. რასაც ჯერ კიდევ არ დამპირებინარ. გამოაყვანინე ეზოში ორი ცხენი. გავაჭეხოთ. — თუ მე გადმოვვარდები, მაშინ ხულარაფერს დამიჭერებ. დანაძლევდეთ თუ არა? (უწვდის ხელს). დაარტყი ხელი. ვინც პირობას გადავიდეს, ღორი იყოს!

**ბოღრიკური** — (დგება). დანაძლევდეთ, ისეც მინდოდა ცოტა სახსრების გაშლა, კაცი არ დაგვიჭერებს, მაგრამ ფიქრისგან, ცოტა არ იყოს, დავიღალე (ეძანის). ბუღუს!

(გამოჩნდება გუშაგი).

**გუშაგი** — (ქანაზე უთითებს) წავიყვანო ციხეში?

**ბოღრიკური** — არა, შე ბრიყვო! მოუტანე შარვალი და მოგვეგვარე ორი ცხენი. მე და ამ ქალიშვილმა ცოტა უხდა ვაჭენით.

**გუშაგი** — საბჭოს სხდომას გადადებთ? უკვე ოთხი საათია.

**ბოღრიკური** — ხვალისთვის, დღეს საკმაოდ ვიფიქრე (გადის განზე). ქანა წინ გაუვლის დაბნეულ გუშაგს, ენას გამოუყოფს. ბოღრიკური და ქანა სცენის სიღრმეში სხვა პერსონაჟებს შორის იკარგებიან.

**ვარვიკი** — (ღიმილით ადევნებდა თვალს მთელს სცენას, კოშონს). ამ გოგონას ნამდვილად რაღაც არაჩვეულებრივი ჰქონდა. მე ძალიან მომიწონა, როგორ ჩააგონა თავისი აზრები და როგორ გააბრიყვა ეს შტერი.

**კოშონი** — მე თუ მკითხავთ, სცენა ცოტა ტლანქია. შარლისათვის მას უფრო ფაქიზი რამის მოფიქრება დასჭირდება.

**ვარვიკი** — ბატონო ეპისკოპოსო, თქვენსა და ჩემს საქმიანობაში არც თუ ამაზე ფაქიზ ხერხებს ვიყენებთ. კეტისა თუ ხუცესის კვერთხის დახმარებით ქვეყნის მართვა სხვა არა არის რა, თუ არა სულელებისათვის იმის ჩაგონება, რომ მათთვის ხაკარნახევი აზრები მათ თვითონვე მოსდით. ეს სცენა მით უფრო მომიწონს, რომ აქ საჭირო არ გახდა უფლის ჩარევა. (თავახიანად უკრავს თავს ეპისკოპოსს). გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს პროფესიული მოსაზრებით იყო აუცილებელი. (უტეებ) თქვენ ხომ გწამთ ღმერთი, ბატონო ეპისკოპოსო? მაპატიეთ პირდაპირობა, მაგრამ აქ უცხო არავინ არის.

**კოშონი** — (უბრალოდ). მწამს, როგორც ბაღს, თქვენო უდიდებულესობავ. აი ამიტომაც ამ პროცესის დროს ბევრ უსიამოვნებას მოგაყენებთ. მე და ჩემი მსაჯულები ბოლომდე ვეცდებით ქანას გადარჩენას. თუმცა ჩვენ პატიოსნად ვთანამშრომლობდით ინგლისის რეჟიმთან, რომელიც არსებულ ქაოსში ერთადერთ გონივრულ გზად გვეჩვენებოდა. ჩემი სახელი, ჩვენი ბედკრული სახელი ის იქნება, რომ თქვენს წინააღმდეგ შეუძლებელი შევძელით მაშინ, როცა თქვენს კმაყოფილებას ვიყავით და სასამართლო დარბაზს თქვენი რვაასი ჯარისკაცი გარს ერტყა. ადვილი იყო



ბურჟუაზიის მიმართულია, რომ ჩვენ მოგვისყიდეს. მათ ფრანგების ჯარს იცავდა. ჩვენ კი დაპყრობილ რუანში ვიყავით.



ვარკიკი — (გალაზიანებული). მე არ მომწონს სიტყვა დაპყრობილი. ვაგვიყვებოდა ტრუას ხელშეკრულება. თქვენ მაშინ მისი უდიდებულესობის მიწაწყალზე იყავით.

კოშონი — ჩვენ მისი უდიდებულესობის ჯარით ვიყავით გარშემორტყმულნი, ვესწრებოდით მისი უდიდებულესობის მძევლების სიკვდილით დასჯას. ვემორჩილებოდით მისი უდიდებულესობის საკომენდანტო რეჟიმსა და ნე-ბა-სურვილს. ჩვენ მხოლოდ ადამიანები ვიყავით, სუსტი ადამიანები. ჩვენ სიცოცხლეს გვინდოდა და იმავ დროს ჟანას გადარჩენაც. ასე იყო თუ ისე, საცოდავ როლს ვასრულებდით.

ვარკიკი — (ლიბლით). მაგრამ, გეთაყვა, თქვენზე იყო დამოკიდებული ეს როლი ბრწყინვალე გაგებდათ და წამების გვირგვინი დაგედგათ, ჩემი რუანის ჯარისკაცი მზად იყო.

კოშონი — ჩვენ ეს ყოველ წუთს გვახსოვდა. ისინი გვლანძღვდნენ, გვაგინებდნენ, კარზე გვირახუნებდნენ. რომ მათი იქ ყოფნა გავკსენებოდა და მაინც ცხრა თვის განმავლობაში ათასგვარ ხრიკს მივმართავდით, რომ ჟანა არ გაგვეცა. ცხრა თვე იმაზე დავხარჯეთ, რომ ყველასაგან მიტოვებული გოგონასთვის „პო“ გვეთქმევინებინა. დე, შთამომავლებმა ბარბაროსები დაგვარქვეან, მე დარწმუნებული ვარ, რომ თავიანთი მაღალი პრინციპებით ისინი ჩვენზე სწრაფად იმოქმედებენ.

ვარკიკი — დიახ, ცხრა თვე. თქვენს სასამართლოს ძნელი მშობიარობა ჰქონია. ჩვენი წმიდა ეკლესია როდი ჩქარობს, მაშინ, როცა მას თხოვენ შვას თუნდაც სულ პატარა პოლიტიკური აქტი. მაგრამ კოშმარი დასრულდა! დედაცა და შვილიც ორივე კარგად გრძნობს თავს.

კოშონი — მე ბევრი ვიფიქრე ამაზე. თქვენო ბრწყინვალეებო. ჩვენ მხოლოდ ერთი გვაწუხებდა: დედის ჯანმრთელობა, როგორც თქვენ ბრძანეთ და ჩვენ, როცა დავრწმუნდით, რომ სხვა გზა აღარ იყო, პატიოსნად გავუწყვიტეთ ბავშვი მსხვერპლად შეგვეწირა. იმ დღიდან, რაც ჟანა შეიპყრეს უფალი ღმერთი, აღარც ჟანას და, მით უფრო ჩვენ, უფლის ხმა არ გვესმოდა. ჩვენ განვვარდობდით ჩვეულებრივ საქმიანობას: უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო ძველი სახლის — დიდი და გონივრული საკაეობრიო წყობის დაცვა, რომლის მეტიც ხელთ აღარაფერი გვრჩება ხოლმე იმ უბედურ დღეებში, როცა ღმერთი გვტოვებს... თხუთმეტი წლის ჰასაკიან სულ იმას გვასწავლიდნენ შემინარიაში, თუ როგორ უნდა დაგვეცვა იგი. ჟანას ჩვენებრ სოლიდური იმომზადება არ ჰქონდა. მე არ მექვებოდა, რომ როცა ადამიანებმა და ღმერთმა მარტო დატოვეს, იგი უთუოდ მერყეობდა, მაგრამ ისევ მტკიცედ დიდგა, როგორც კი თავისი სისუსტის ერთადერთმა წუთმა გაუარა და გონს მოეგო, იგი მორჩილებისა და სიკერპის, დიდებისა და გონიერების ამ უცნაურ მონაცვლეობაში იყო და ასე გავრძელდა კოცონზე ასვლამდე. მაშინ ჩვენ ვერ შევძელით ამის გაგება, ჩვენ ჩვენი დედის—ეკლესიის კალთას ვიკვროდით და თვალს ვხუჭავდით უდარდელად დაბერებული ბიჭუნებოვით. მაგრამ სწორედ მარტოობაში, გაუჩინარებული უფლის ღმერთში, სიცარიელესა და ცხოველურ წუხილში არის ადამიანი დიდი, თუ იგი მხნედ დგას, ამაყად თავაწეული. ადამიანი მარტოობაში არის დიდი.

ვარკიკი — კი, რა თქმა უნდა. მაგრამ ჩვენ, პოლიტიკური მოღვაწეები, უნდა ვცდილობდეთ, მეტისმეტად არ ჩავუფიქრდეთ მარტოხელა ადამიანის სიდიადეს. თითქოს ჯიბრზე იყოს. ამ სიდიადეს ჩვეულებრივად იმ ადამიანებში აღმოვაჩინებ ხოლმე, რომლებსაც სიკვდილით ვსჯით.

კოშონი — (პაუზის შემდეგ, ყრულ) ჩემი თავის სანუგეშებლად მე ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ამ მოხუც მღვდლებს რაღაც ლამაზი აქვთ: მათ გულს ტკინდა ჟანას ყოველი თავხედური პასუხი და მაინც, თუმცა ზურგში განუწყვეტლად ხმლის წვერით ჩხვლავდნენ, ცხრა თვის განმავლობაში ცდილობდნენ ხელი შეეშალათ იმისათვის, რასაც შემდეგ აღარა ეშველებოდა რა.

კარკიკი — თავი ვანებოთ მაღალფარდოვანებას. პოლიტიკაში ყველაფერს  
ემშველება, მე ხომ გეუბნებით, მოვა დრო და ეანას ჩვენ ბრწყინვალე  
ძეგლს დაუდგამთ ლონდონში...  
გინეოქოროსი

(შემობრუნდება შინონელებისკენ, რომელთაც ამასობაში სცენის შუა-  
გული დაიკავეს და რაც ხელთ მოხვდათ, იმისგან ცდილობენ იქაურობა  
სასახლეს დაამკვანონ). მაგრამ სჯობია, თქვენო უწმინდესობავ, შინონის  
ამბები მოვისმინოთ. მე ძალზე მეზიზღება მხალისი შარლი, მაგრამ იგი  
ყოველთვის მხიარულ გუნებაზე მაყენებს.

(გამოდის შარლი ორივე დედოფლისა და აგნესა სორელის თანხლე-  
ბით. ქალების მდიდრული ქუდეები მის ირგვლივ ირხვევიან).

აგნესა — მაგრამ ეს ხომ დაუშვებელია, შარლ! შენ ამის ნებას როგორ მომ-  
ცემ, რომ ბალზე ასე უშნოდ მოკაზმული გამოვჩნდე. შენი საყვარელი და  
ცასული სეზონის ქუდი! შენ ხომ გესმის, რომ ეს სკანდალი იქნე-  
ბოდა!

დედოფალი — (შარლს თავისკენ მიატრიალებს), შენი დედოფალი, შარლ!  
საფრანგეთის დედოფალი! რას იტყვიან!

შარლი — (ტახტზე გაბლარძული თამაშობს ბილბოკეს). იტყვიან, საფრან-  
გეთის მეფეს ერთი სუც აღარ აქვსო და ეს მართალი იქნება.

დედოფალი — მაგვარი სიტყვებით, ალბათ, ინგლისის მეფის კარზე გვიკი-  
ლავენ ბედფორდის და გლოსტერის ცოლები, უინჩესტერელი კარდინა-  
ლუს ცოლზე რომ აღარაფერი ვთქვა. აი ვინ იცვამს დიდებულად!

აგნესა — შენ მხოლოდ წარმოიდგინე, შარლ, რომ მათ ეს ქუდეები ჩვენზე  
ადრე ექნებათ. აქამდე ცნობილი იყო, რომ კარგად მხოლოდ ბურჟუაზია იც-  
ვამდნენ. ნახავდნენ, როგორც ჩაიკვამდნენ ინგლისში, ჩვენს უკანასკნელ  
მოდელებს რომ არ ყიდულობდნენ! რაც უნდა იყოს, შენ საფრანგეთის  
მეფე ხარ! როგორ ითმენ ამას?

შარლი — ჯერ ერთი. მე საფრანგეთის მეფე არა ვარ. მე მხოლოდ ხმას ვავ-  
რცელებ, რომ მეფე ვარ. ეს სხვადასხვას ნიშნავს... მოდებს გარდა სხვა  
რა შემიძლია მივყიდო ინგლისელებს? ბურჟუაზია მოდები და ფრანგული  
საქმელებილა გვინარჩუნებენ ცოტაოდენ პრესტიჟს საზღვარგარეთ!

დედოფალი იოლანდა — პრესტიჟის მეტი აღარაფერი შეგვგრჩა. ქალები  
მართალს ამბობენ, შარლ, პრესტიჟი უნდა დავიცვათ. ამ დღესასწაულზე  
აუცილებლად უნდა აღიარონ, რომ საფრანგეთის კარზე ქალები მსოფ-  
ლითში ყველაზე კარგად იცვამენ. იცოდე, არავის არსად გარკვევით არ  
უთქვამს, სად იწყება ფუქსავატობა... აგნესა არა ტყუის ამ საკითხში, ახა-  
ლი ქუდი, რომელიც მათ ჯერ კიდევ არ აქვთ, შესაძლოა გამარჯვებად იქ-  
ცეს.

შარლი — (ბოროტად იცინის). გამარჯვებად, რომელიც ხელს არ შეუშლის  
მტერს წაგვართვას ორლენი, belle maman, თუმცა რა, ორლენი მე  
არც მეკუთვნის, იგი ჩემი კოზენის მამულებში შედის. პირადად მე კი  
დამშვიდებული ვარ, რადგან წასართმევი აღარაფერი მაქვს. ბურჟუაზია გარდა.  
რომელიც არავის არ აინტერესებს, მე აღარაფერი მამბაღია, მაგრამ რო-  
გორიც არ უნდა იყოს სამეფო, მას მაინც სამეფო ჰქვია! ჰოდა, უკანასკნე-  
ლი ცნობებით მტერმა ორლენი აიღო. ჰოი, რა კონტრიერის მივიტან  
თქვენს ქუდეებით!...

აგნესა — შენ არ გესმის, შარლ, რა უსიამოვნებას მიაყენებს ქალის გულს  
ახალი ქუდი!... მე შენ გარწმუნებ ბრაზით ავად გახდებიან ბედფორდის  
და გლოსტერის ცოლები და, რაც მთავარია, კარდინალის საყვარელი, რო-  
მელიც თავისი მდგომარეობის გამო ყველაზე მოხდენილად უნდა გამოი-  
ყურებოდეს! შენ თვითონ დაფიქრდი, ჩვენ მოდად შემოგვაქვს რქები-  
ანი ქუდი, რომელიც თავს ამაღლიბს თორმეტი გოჯით! ესე იგი ახლანდელ  
ქუდეებს სრულიად აღარა გავს. შენ მხოლოდ წარმოიდგინე, გენაცვალე,  
რა აურზაურს გამოიწვევს ეს რქები ევროპის მეფეთა კარზე. ნამდვილი  
რევოლუცია იქნება!

დედოფალი — (წამოიძახებს) უკანა ნაკეციები?!

აგნესა — ნაკეცები სწორედ შედევრია! თქმა არ უნდა ძილი გაუტყულებათ ხოლო კარდინალს, ბედფორდსა და გლოსტერს ისეთ საპასუხო დარღვევებზე აგემებენ, გარწმუნებთ, თრლუანის დარდი აღარ ექნებათ (სახეიმოღობაში ნივრულად დასძენს), თუ შენ გამარჯვების მოპოვება გსურს, შარლ, აი გამარჯვება, რომელსაც მუქთად მოიპოვებ!

შარლი — (ბუზღუნით). „მუქთად, მუქთად“... ნუ მაცინებ, ერთი! რა თქვი, რა ღირს ეს ქულებიო?

აგნესა — თითოეული ექვსი ათასი ფრანკი, ძვირფასო. ეს მუქთად არის, თუ ინაგარიშებ, რომ მთლიანად პატიოსანი თვლები აქვს ირგვლივ. პატიოსანი თვლები კი კაბიტალაია... ქული რომ მოდიდან გამოვა, როცა მოისურვებ. მაშინ მიპყიდი მევაზმეს და საკმაო ფულს მიიღებ ჯანს შესანახად.

შარლი — (წამოხტება). ექვსი ათასი ფრანკი! საიდან გინდა, რომ მოგიტანო ექვსი ათასი ფრანკი, შე სულელო, შენა?..

დედოფალი — (წყნარად). თორმეტი ათასი, შარლ, ნუ გავიწყდება, რომ ჩვენ ორნი ვართ. განა თქვენ ინებებთ, რომ თქვენი ცოლი თქვენს საყვარელზე ცუდად იყოს მორთული.

შარლი — (ცისკენ ხელაპყრობილი) თორმეტი ათასი ფრანკი! ნამდვილად გიყუები არიან!

აგნესა — იცოდე, არის უფრო სადა მოდელიც, მაგრამ მე იმას არ გირჩევ. სადას იმოდენა ფსიქოლოგიური ეფექტი არ ექნება. შენ ხომ იმ რეგვენი ინგლისელებს განცვიფრება გინდა. შენ სწორედ ეს გინდა!

შარლი — თოთხმეტი ათასი ფრანკი! თქვენ ვაბოდებთ. ჩემო ფისუნებო! ამ თანხის მარტო ნახევარი დიუნუას ბიჭებს უნდა გადაეუხადოთ, უკვე ნახევარი წელია ქირა არ გადამიხდია. არ მესმის, belle maman, თქვენ ასეთი გონიერი ქალი, რატომ უჭერთ მხარს ამათ?

დედოფალი იოლანდა — სწორედ იმიტომ ვუჭერ მხარს, რომ გონიერი ვარ, შარლ. ვყოფილვარ ოდესმე წინააღმდეგი, როცა საქმე თქვენს სიკეთესა და დიდებულებას ეხებოდა? არ გამომიჩენია ოდესმე შორსმჭვრეტელობა? მე თქვენი დედოფლის დედა ვარ, მაგრამ სწორედ მე მოგიყვანე აგნესა, როცა შევივინე, რომ მას შენთვის სიკეთის მოტანა შეეძლო.

დედოფალი — (ცოტა არ იყოს ნაწყენი). დედა, გთხოვ, ამით თავს ნუ იქებ.

დედოფალი იოლანდა — შვილო ჩემო, აგნესა მშვენიერი გოგოა და კარგად იცის თავისი ადგილი. ჩვენთვის კი, ორივესათვის, აუცილებელი იყო, რათა შარლი საჩქაროდ დარწმუნებულიყო, რომ ის მამაკაცია. სამეფოს ეს გაცილებით უფრო სჭიროდა, ვიდრე მე და შენ. მაღლა უნდა დადგე, ჩემო შვილო, შენ კი მდაბიოსავით მსჯელობ. შარლი რომ მამაკაცი გამხდარიყო, მისთვის ქალი იყო საჭირო...

დედოფალი — (ღვარძლიანად). მე მგონია, ქალი ვიყავი და ისიც, მისი ცოლი!

დედოფალი იოლანდა — მე შენი წყენინება სულ არ მინდა, ჩემო კარგო. მაგრამ შენ ძალიან ნაკლებად იყავი ქალი. შენთან ამაზე ლაპარაკი შემიძლია, იმიტომ რომ თვითონაც გამოვცადე მსგავსი რამ. უკუით და ხსიათით მე უფრო მეტად ვიყავი ქალი, ვიდრე შენა ხარ. მაგრამ ეს არ კმარა. ამიტომ მე ყოველთვის ვურიგდებოდი იმას, რომ მამაშენს, მეფეს, მუდამ ჰყავდა საყვარლები. იყავ დედოფალი, მოუპარე მეფის სახლს, გაუჩინე მემკვიდრე, ხოლო დანარჩენი სხვებს მიანდე. ერთი ადამიანი ყველაფერს ვერ აუვა და ესეც იცოდე, რომ ტრფობა პატიოსანი ქალის საქმე როდია. ჩვენ ამ საქმეს ცუდად ვაკეთებთ... დრო გავა და მე შენ დამიმადლებ... როცა მარტო წევხარ, უკეთ გძინავს. აბა დააკვირდი, როგორ დაეკაცადა შარლი მას შემდეგ, რაც აგნესასთან არის. ხომ სწორია, შარლ, თქვენ უფრო დაეკაცადით.

შარლი — გუშინ არქივისკოპოსს უარი ვუთხარი ერთ საქმეზე. ჩემი შეშინება მოინდომა და ლა ტრემუი მომიგზავნა. მემუქრებოდა ეკლესიისგან მოგკვეთავო. საიდან არ მომიარა, მაგრამ ვერაფერს ვახდა.

აგნესა — მერე ვისი წყალობით?



შარლი — (უცქერის მის თეძობს) აგნესას წყალობით! მთელი სცენის რეპეტიცია ლოგინში გავიარეთ.

დედოფალი იოლანდა — (უახლოვდება). მაინც რა უნდოდა აგნესას კოპოსს? თქვენ ჩემთვის არაფერი გითქვამთ.

შარლი — (დაბნეული, ისევ მის გვერდით მდგარ აგნესას უსვამს თეძოზე ხელს). კარგად აღარ მახსოვს. მგონი უნდოდა პარიზი მიმეცა ბურგუნდის პერცოვისათვის, თუ კიდევ სხვა რაღაც, ერთი წლის ზავის საფასურად. კაცმა რომ თქვას, ამას ფაქტიური მნიშვნელობა არც ჰქონდა. პერცოგი უამისოდაც პარიზშია. მაგრამ ხომ უნდა იყოს რაღაც პრინციპები; პარიზი ეს საფრანგეთია, ხოლო საფრანგეთი მე მეკუთვინის. ყოველ შემთხვევაში, მე ვცდილობ ეს დავიჭირო. ერთი სიტყვით, უარი ვუთხარი. არქიებისკოპოსის სახე დაუშეყავდა, ეტყობა, პერცოგი ბევრს დაჰპირდა.

აგნესა — აბა წარმოიდგინე, რა მოხდებოდა, შენ რომ ჩემთვის არ გეკითხა. ჩემო პაწიავ და პირდაპირ გეთქვა „კარგო“?

შარლი — მაშინ, შე საძაგელო გოგო, შაკიკო შემოგიტყვედა, ან მთელი კვირის განმავლობაში მუცლის ტკივილი გექნებოდა. ძალიან რომ გაჭირდეს, მე უპარიზოდ გავძლებ, მაგრამ უშენოდ კი ვერა...

აგნესა — ხომ ხედავ, ძვირფასო, რაკი მე შენ პარიზის გადარჩენაში დავებმარე, შენ შევიძლია ერთი ქუდი ჩემთვის იყიდი, ხოლო მეორე შენი დედოფლისათვის. გულში რომ არ ვქონდა, ისეთი ცუდი რამეები უთხარი შენ მას, შე საძაგელო ბიჭუნავ, შენ ხომ არ ისურვებ, რომ მთელი კვირა ავად ვიყო: ვიცო, შენ ძლიერ მოგწყინდებოდა...

შარლი — (გატეხილი). კარგი, შეუკვეთეთ ქუდები. რაკი არქიებისკოპოსის არ ვეთანხმები, თქვენ მაინც უნდა დაგეთანხმოთ. ყოველთვის ერთი და იგივე კომედიაა. მაგრამ გაფრთხილება არ ვიცო, ქუდების ფასს რით გადავიხდი.

აგნესა — ხაზინის თამასუქზე მოუწერ ხელს, ჩემო პაწია შარლო, დანარჩენი მერე ვნახოთ. წამობრძანდი, ჩემო პატარა დედოფალო. ჩვენ ახლავე მოვიზმანებთ ქუდებს. თქვენ რომელი უფრო მოგწონთ — ვარდისფერი, თუ მწვანე? მე მგონია, ვარდისფერი უფრო მოგიხდებათ.

შარლი — (შემკრთალი). როგორ, ქუდები უკვე მოტანილია?

აგნესა — შენ ამ საქმისა არაფერი გაგეგება, ჩემო კარგო. იმისათვის, რომ ქუდი დღესასწაულზე დაგეხურო, შეკვეთა ერთი თვით ადრე უნდა მიგვეცა. ჩვენ გვეგროდა, რომ შენ დაგვეთანხმებოდ, ხომ ასეა, ჩემო მბრძანებელო? შენ ნახავ, როგორ მოექცევათ სახეები ლონდონში. იცოდე შარლო, ეს საფრანგეთის დიდი გამარჯვებაა!

(გარბის, კოცნას უგზავნის)

შარლი — (ისევ ტახტზე ჯდება) სწორედ სასაცილონი არიან თავიანთი გამარჯვებებით. ლა ტრემუი, დიუნუა — ყველანი ერთნაირები არიან, ყველანი დიდ გამარჯვებას აღმითქვამენ, თუმცა ჩვენს დროში ყველაფერი ნაყილია, მათ შორის დიდი გამარჯვებაც. მაგრამ თუ ფული არა მაქვს დიდი გამარჯვების საყილად? თუ საფრანგეთს ვერ ვიყიდი? (ბუზღულუნით იღებს საწერ კალამს). ვნახოთ, რა მოხდება, ვერ კი ქუდის თამასუქზე მოვაწერ ხელს. იმედი ვიქონიოთ, რომ ვაჭარს თამასუქი დააკმაყოფილებს. საჭურჭლე გამოცარიელებულია, მაგრამ ეს ქალალზე არა ჩანს (შემოტრიალდება დედოფალ იოლანდასკენ). თქვენ კი არ გინდათ ქუდი? ნუ მომერადებით, სულ ერთია, ჩემი ხელისმოწერა არაფერს ნიშნავს.

დედოფალი იოლანდა — (მიუახლოვდება). ჩემს ხანში, შარლო, მე უარი ვთქვი თავის სამკაულზე. მე სხვა რამ მინდა.

შარლი — (მოღლილი). ვიცო, თქვენ გინდათ დიდ ხელმწიფედ გამხადოთ. ბოლოს და ბოლოს ესეც მოსაბეზრებელია... ყველას უნდა დიდ ხელმწიფედ გამხადოს. თვით აგნესასაც! საწოლშიაც კი! წარმოიდგინეთ, რა სასაცილოა!... როდის გაიგებთ, რომ, დიდი-დიდი, ერთი პატარა ვალუა ვარ. არაფრად არ ვღირვარ და მხოლოდ სასწაული თუ გამხდის დიდ ხელმწი-



ფედ. პაპაჩიმი შარლი დიდი ხელმწიფე იყო, მაგრამ იგი ომამდე ცხოვრობდა, როცა სიიადე იყო, ამასთან, იგი ძლიდარიც ვახლდათ. ჩემმა მშობლებმა ყველაფერი შექამეს, საფრანგეთში, ვინ იცის, რამდენჯერ გამოცხადდა ფული და აღარაფერი გამაჩნია იმისთვის, რომ დიდი ხელმწიფე ვიყო. ყველაფერს ვაკეთებ, რაც კი შემიძლია, რომ ვასიამოვნო ამ პატარა აგენსას, ურომლისოდაც ცხოვრება არ შემიძლია, მაგრამ, ჩვენ შორის რომ ვთქვათ, მე მარტო ქონება კი არა, გამბედაობაც მაკლია. გამბედაობა მეტრისმეტად სახიფათო და მძიმე ტვირთია პირუტყვთან იმ სამყაროში, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ. იცით თუ არა თქვენს, რომ იმ გაბღენილმა ღორმა ლა ტრემუიმ ჩემზე ხმალი იშიშვლა? ჩვენ მარტონი ვიყავით. კაცი არ იყო, რომ დავეცავი... იმ ხეპრეს ადვილად შეეძლო ხმალზე წამოვეგე. კიდევ კარგი, რომ ტანტს ამოფარება მოვასწარი. გესმით, სადამდე მივდივით? მეფის წინაშე ხმლის ამოღებას ბედავენ! მე კონეტაბლი უნდა გამომეძახნა და დაპატიმრების ბრძანება გამეცა, მაგრამ, საუბელდუროდ კონეტაბლი თვითონვე არის დამნაშავე, ხოლო მე კარგად არც მჯერა, მეფე ვარ თუ არა... ამიტომაც მომეჩქა ასე. მან იცის, რომ შესაძლოა, მე კანონიერი შვილიც არ ვიყო.

დ ე დ ო ფ ა ლ ი ი ო ლ ა ნ დ ა — (დაყვავებით). მარტო შენ მოგდის თავში ეგ შარლ.

შ ა რ ლ ი — როცა კანონიერი შვილების სიფათებს ვუცქერი ხოლმე, ვერ წარმოიდგენთ, რამდენად უკანონო შვილად ვგრძნობ თავს! ეს რა დრო დადგა! იმისთვის, რომ კაცად გთვლიდნენ, ვიმანსტიკაში პირველი ჯილდო უნდა გქონდეს. უნდა შეგეძლოს სამოყიანი ხმლის მოქნევა და ეშმაკმა იცის, რამსიმძიმე აბჯრის თრევა! რკინის პერანგს რომ ჩამომაცვამენ ხოლმე, განძრევა აღარ შემიძლია. რა ოხრად მინდა იარაღი! არც ის მიყვარს, მე რომ მცემენ და არც მე მიყვარს სხვისი ცემა. (ბავშვით აბაკუნებს ფენებს). მერე კიდევაც შეშინია, მაშ! (მობრუნდება გაბრაზებული დედოფლისაკენ). თქვენ მაინც გასურთ ჩემგან ის მოითხოვოთ, რისი ძალაც არ შემწევს?

დ ე დ ო ფ ა ლ ი ი ო ლ ა ნ დ ა — უნდა მიიღო ვოკულებრიდან მოსული ქალწული, შარლ. იგი ირწმუნება, რომ უფლის მიერაა გამოგზავნილი, რომ ორლენის გასანთავისუფლებლადაა მოსული. ხალხი მარტო მაგ გოგოზე ლაპარაკობს და დიდი სასოებით ელის, რომ თქვენ მიიღოთ.

შ ა რ ლ ი — კმარა. ნუთუ ფიქრობთ, რომ უამისოდაც სასაცილოდ არ ვარ აგდებული? აუღიენცია მიცვე პატარა სოფელს მეოცნებეს? გეყოფათ. თქვენ ესოდენ გონიერ ქალად გთვლით და რწმენას ნუ გამიცრუებთ...

დ ე დ ო ფ ა ლ ი ი ო ლ ა ნ დ ა — მე თქვენ აგნესა გამოგიძენით, შარლ, თქვენივე საკეთისათვის, ჩემი დედობრივი ინტერესების საზიანოდ. ახლა მე გიჩვენებ, მიიღოთ ის ქალწული... იმ გოგოს რაღაც არაჩვეულებრივი აქვს. ყოველ შემთხვევაში, ყველას ასე სწამს და მთავარი სწორედ ესაა.

შ ა რ ლ ი — (უცმაყოფილოდ). მე არ მიყვარს ქალწულები... თქვენ ისევ იმას იტყვიან, სრულფასოვანი მამაკაცი არ ხარო... შიშს მგვრიან... ესეც არ იყოს, აგნესა მყავს, ჯერ ისევ მომწონს აგნესა... არ მინდა რამე გისაყვედუროთ, მაგრამ თქვენ დედოფლისათვის ცოტა შეუფერებელი მოწოდება გაქვთ — მაჭანკლობა...

დ ე დ ო ფ ა ლ ი ი ო ლ ა ნ დ ა — (დამილით). თქვენ მე ან ვერ გამიგეთ, შარლ. ან თავს ისე იკატუნებთ, ვითომ ვერ გაიგეთ. იმ გოგოს მე თქვენ მრჩევლად გთავაზობთ და არა საყვარლად.

შ ა რ ლ ი — ახლა კი თქვენდამი მთელი ჩემი პატივისცემის მიუხედავად გეტყვიან, რომ თქვენ ჰკუაზე აღარა ხართ. თქვენ გინდათ ეს გლეხის გოგო სახელმწიფო საბჭოში გვერდით ამოუჯდეს არქიეპისკოპოსს და ლა ტრემუსის, რომელიც თავისთავს იუპიტერის შთამომავლად თვლის? თქვენ რა გინდათ, თვალები ამომკორტონ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი ი ო ლ ა ნ დ ა — (შშვიდად). მე ვფიქრობ, თქვენს საბჭოს სწორედ გლეხის გოგო აკლია. სამეფოებს დიდებულები მართავენ და ეს სამართლიანიცაა, რადგან უფალმა მათ მიანდო ეს საქმე... მე არა მსურს

ჩავერიო ან ვიდავო განგების განაჩენზე, მაგრამ ზოგჯერ მივირის, რომ უფალმა ისინი ისევე უხვად არ დააჯილდოვა საჭირო უბრალოებით, და სალი აზროვნებით, როგორც თავისი ყველაზე მოკრძალებული ქმნილებანი...

შარლი — (ირონიით). და არც სიმამაცე მისცა იმდენი...

დედოფალი იოლანდა — (მშვიდად). არც სიმამაცე, შარლ.

შარლი — მოკლედ რომ ვთქვათ, belle maman, თუ კარგად გავიგეთ, თქვენ იმის მომხრე ხართ, რომ სამეფოს მართვა ხალხს მიევანდოთ? ყოველგვარი სათნოებით შემკულ ხალხს? მაგრამ თქვენ იცით, რას სჩადის ხალხი, როცა გარემოება ხელთ აძლევს ძალაუფლებას? თქვენ წაგიკითხავთ ტირანების ისტორია?

დედოფალი იოლანდა — მე ისტორიისა არაფერი გამეგება, შარლ, ჩემს დროში მეფის ასულებს, როგორც ყველა დანარჩენ ქალიშვილებს, მხოლოდ ქსოვას ასწავლიდნენ.

შარლი — ჩემთვის კი ცნობილია ყველა საშინელება და ჭორი და ზოგჯერ, როცა თქვენ გგონიათ, რომ მე ბილბოკეს თამაშით ვაქცევ თავს, მაშინ მოვლენათა მომავალ განვითარებაზე ფიქრით ვარ გართული... ისიც ვცადოთ, რასაც თქვენ გვირჩევთ. ყველაფერი ვსინჯოთ. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მეამბოხეთა წიაღიდან გამოსული ადამიანები სამეფოების მბრძანებლები გახდებიან და ეს ემგვანება ცაში მეტეორის გავლას. ეს იქნება დრო ხოცვა-ჟლეტისა და ყველაზე საშინელი უბედურებისა. განკითხვის დღეს, როცა შედეგებს შეაჯამებენ, აღმოჩნდება, რომ ყველაზე შფოთიანი, ყველაზე თავნება მეფე საბოლოოდ ქვეყანას გაცილებით ნაკლები დაჯდომია, ვიდრე ერთი ასეთი მეთაური...

დედოფალი იოლანდა — თქვენ მოვალე ხართ, შარლ, თავი ანებოთ ბილბოკეს თამაშს და ტახტზე დაბრძანდეთ, როგორც წესია, თორემ ისე გამოიყურებით, ხელმწიფეს რომ არ ეკადრება.

შარლი — თავი დამანებეთ. ახლა, ბილბოკეს თამაშისას, როცა ავაცდენ ხოლმე, ბურთი ცხვირში ან თითებზე მხვდება და მარტო მე მტკივა. მაგრამ ერთ ხელში რომ ჯოხი დავიჭირო, ხოლო მეორეში ბურთი, როგორც წესია, ტახტზე დავჯდე და მეფობას სერიოზულად შევუდგე, მაშინ ჩემს ყოველ სისულელეზე, ბურთი თქვენ მოგხვდებათ ცხვირში. თქვენ, ყველას. (გამოდინან არქივისკოპოსი და ლატრემუი).

შარლი — (ტახტზე იმ პოზით ზის, რომელზედაც ახლა ამბობდა, ყვირის) არქივისკოპოსო, კონეტაბლო, თქვენ სწორედ კარგ დროს მოხვედით! მე ახლა სწორედ ქვეყანას ვმართავ! როგორც ხედავთ, ხელთ სკიპტრა და სფერო მიპყრია

არქივისკოპოსი — (აქცერდება ლორწეით). ჰო, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ბილბოკეს ბურთი და ჯოხია.

შარლი — მაგას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თქვენო უწმინდესობავ: ყველაფერი სიმბოლურია. ეკლესიის მთავარს ჩემგან ეს არ ესწავლება. ვანა აუდიენცია მთხოვეთ, აქ რომ გაჩნდით?

არქივისკოპოსი — ხუმრობის დრო არ არის, ბატონო. ჩემთვის ცნობილია, რომ საზოგადოებრივი აზრის იმ ნაწილს, რომელიც ჩვეულებრივად წყალს ამღვრევს და ინტრიგებს აწყობს, სურს ჩავაგონოთ, რომ მიიღოთ ის ქალიშვილი, რომელზედაც უკანასკნელ ხანს ამდენი მითქმამოთქმავ. კონეტაბლი და მე, თქვენო უდიდებულესობავ, მოვედით იმის გასაცხადებლად, რომ ჩვენ ამას არ დავუშვებთ!

შარლი — (დედოფალ იოლანდას). რას გეუბნებოდით? ბატონებო, მე ცნობად ვიღებ თქვენს კეთილ რჩევას და მადლობას გწირავთ. მე მოვისახარებ, როგორ გადავწყვიტო ეს საკითხი. თქვენ თავისუფალნი ხართ, აუდიენცია დამთავრებულია.

არქივისკოპოსი — გიმეორებთ, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენ სახუმროდ როდი გვცალია.

შარლი — ხომ ხედავთ? ჩემს სიცოცხლეში ერთხელ მეფურად დავილაპარაკე და ყველას ხუმრობა ჰგონია (ისეც გაიბლარქება ტახტზე ბილბოკით). მაშინ ნუ მიშლით, ჩემთვის არხეინად გავერთო...

ეპიკურული  
გინეპროტეა

არქიეპისკოპოსი — იმ გოგოზე აღრე აქ მისმა სასწაულებრივმა სახელმა მოაღწია, მონსინიორ. მთელი ქვეყანა აპყვა. ალყაშემორტყმულ ორღეანში თურმე მის ამბებს ჰყვებიან და მის მოსვლას ელიან. ამბობენ, ვითომ ღვთის ხელი წარმართავს, ვითომ უფალს გადაუწყვეტია მისი ხელით განათვისუფლოს საფრანგეთი, ზღვის გაღმა გადაჰყაროს ინგლისელები და კიდევ სხვა ზღაპრებს ჰყვებიან... იმასაც ამბობენ, ვითომ ღვთის ნება იყოს, რომ თქვენ იგი პირადად მიიღოთ... და რომ მისი შეჩერება არაფერს არ შეუძლია... არ ვიცი, რატომ არიან ასე მონდომებულნი, რომ მათ საქმეებში უფალი ჩაერიოს. და რა თქმა უნდა, სასწაულებს ახდენს ეს პატარა „მაწანწაა“. მე უფრო ის გამიკვირდებოდა, სასწაულებს რომ არ ახდენდეს. შინონში რომ მოსულა, რომელიღაც ჯარისკაცს სალანძღვი სიტყვებით მიუმართავს. მას პასუხად უთქვამს: ტყუილად ილანძღობ, შენ სულ მალე წარსდგები შენი უფლის წინაშეო. ერთი საათის შემდეგ ის რეგვენი თავისი დაუდევრობის გამო ჭაში ჩავარდნილა და დამხრჩვალა. იმ ღოთის ჭაში ჩავარდნამ მეტად გაუთქვა სახელი გოგონას, ვიდრე დიდმა გამარჯვებებმა სარდალ დიუნუას. ყველას, უკანასკნელი მელორიდან დაწყებული და თქვენი კარის ყველაზე წარჩინებული ბანოვანით გათავებული, ერთი სწამთ, რომ მხოლოდ მას შეუძლია ჩვენი ხსნა. აი, სისულელე!

(შარლი ისეც დაჯდა ტახტზე ზურგშექცევით და ბილბოკეს თამაში დაიწყო). ხელმწიფევ, მე თქვენ გელაპარაკებით სამეფოს ყველაზე მნიშვნელოვან საქმეზე. თქვენ კი ბილბოკეს თამაშობთ!

შარლი — მოდი, შევთანხმდეთ, თქვენო უწმინდესობავ. რა გინდათ? ბილბოკე ვითამაშო თუ ქვეყანა ვმართო? (გაიმართება). გინდათ ქვეყანა ვმართო?

არქიეპისკოპოსი — (შემკრთალი). თქვენგან მაგდენს არ მოვითხოვთ. ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა, ღირსეული მოგეზღოთ ჩვენი გულმოდგინებისათვის...

შარლი — ღირსეულად მოგიზღავთ თქვენი შრომისათვის და მას ვთვლი სრულიად უსარგებლოდ. ყველას სწადია, მე ის გოგონა მივიღო, ასე არ არის?

არქიეპისკოპოსი — მე ეს არ მითქვამს, თქვენო უდიდებულესობავ!

შარლი — თქვენ კარგად იცით, რომ ცნობისმოყვარე სრულიადაც არა ვარ. ანალ-ანალ ადამიანებთან სწრაფად მწყინდება. ჩემს ირგვლივ ისეც ბევრი ხალხია, ხოლო ღვთის მოციქულებთან იშვიათად შეიქცევ თავს. მაგრამ მე მინდა კარგი მეფე ვიყო და ჩემი ხალხის სურვილი დავაკმაყოფილო. მე მივიღებ იმ ზეშთავგონებულ გოგოს, თუნდაც იმისთვის, რომ ქვეყანას გავაგებინო, ვინც არის იგი სინამდვილეში. თქვენ მას ესაუბრეთ, არქიეპისკოპოსო?

არქიეპისკოპოსი — (მხრების აჩეჩვით). მე, თქვენო უდიდებულესობავ, სხვა საქმეც ბევრი მაქვს. სახელმწიფოს მთელი სიმძიმე მხრებზე მაწევს.

შარლი — მართალია. მე კი ბილბოკეს თამაშის გარდა საქმე არაფერი მაქვს. ამიტომ მე მივიღებ მას და თქვენ ამ საზრუნავისაგან გაგანთავისუფლებთ. სიტყვას გაძღვეთ, გულახდილად გაამბობთ ჩემს შთაბეჭდილებას. შეგიძლიათ მენდოთ, მონსინიორ. თქვენ მე გულწრფელად გძულვართ, არაფრად მაგდებთ, მაგრამ თქვენ მაინც იცით, რომ თავქარიასი კაცი ვარ. ამ შემთხვევაში ჩემი ეს ნაკლი თქვენითვის დიდად დასაფანებელია. ყველაფერი, რაც კი ოღანე სერიოზულია, ძალიან ჩქარა მწყინდება. მე მივიღებ იმ გოგონას. თუ იგი შეძლებს, მომასმენინოს თვისი ზღაპრები საფრანგეთის ხსნაზე, რაც დღემდე ისე არავის მოუხერხებია, ისე, რომ მთქნარება არ დამაწყებინოს, მაშინ, დავიჯერებ, რომ მას მართლაც შეძლება სასწაულის მოხდენა.



არქივისკოპოსი — (ბუზღუნით). გლეხის გოგო მეფის წინაშე!  
შარლი — (უბრალოდ) იცით რა? მე ხომ ისედაც ყველას ვღებულობ, ვინც  
უნდა იყოს... არ მინდა ვაწყენინო ლა ტრემუის, რომელიც იუნივერსიტეტის  
პირდაპირი შთამომავალია... მაგრამ, მაგალითად, თქვენ, თქვენო უწყინ-  
დესობავ, რამდენადაც მახსოვს, მეღვინის შვილიშვილი ხართ... მე შორს  
ვარ იმ აზრისაგან, რომ ამის გამო გისაყვედუროთ! რა არის ამაზე ბუნებ-  
რივი? თქვენ მიაღწიეთ იმ მაღალ სასულიერო წოდებას ზედაშით სავსე  
დოქტის წყალობით, ეს არის და ეს. რაც შეეხება მე, თქვენ თვითონ საკმა-  
ოდ ხშირად გაგიმეორებიათ, რომ კაცმა არ იცის, მეფის კანონიერი შვილი  
ვარ თუ არა. ისე რომ, ჩვენი წარმოშობით მაინცადამაინც თავს ნუ მოვი-  
წონებთ, თორემ ყოველი ჩვენგანი შეიძლება სასაცილო მღვდმარეობა-  
ში აღმოჩნდეს... წავიდეთ, მე მინდა იმ გოგოსთან ერთი ფარსი გავითა-  
შაშო!... ერთ-ერთ პაქს ნაკლებად შელანძღულ ჩემს სამეფო სამოსელს  
ჩავაცმევ, ტახტზე დავსვამ და მე ხალხში დავიმალები! მჯერა, რომ პაქს  
ჩემზე უკეთესი გამომეტყველება ექნება... ღვთის მოციქულმა პაქს მი-  
მართოს სიტყვით... სიცილით დავიხოცებით.

(დედოფალი იოლანდა და შარლი გადიან).

არქივისკოპოსი — (ლა ტრემუის). რა ვქნათ, მივცეთ ამის ნება? ისიც,  
როგორც ყველა, ამ ამბავს თამამად თვლის, ან კი რა უნდა იყოს აქ საში-  
შარი. თუ მეფე იმ გოგონას მიიღებს, ხალხი დაწყენარდება, ორი კვირის  
შემდეგ ამას დაივიწყებს და ღვთის ახალ მოციქულს აპყვება.

ლა ტრემუი — არქივისკოპოსო! მე არმიის სარდალი ვარ. უნდა გითხრათ,  
რომ ოფიციალურმა მედიცინამ უკვე თქვა თავისი უკანასკნელი სიტყვა.  
ჩვენ დავედით ექიმბაზობამდე, შარლატანებამდე, ერთი სიტყვით, იმ ადა-  
მიანებამდე, რომელთაც თქვენ ღვთის მოციქულებს ეძახით. მე მგონია,  
ჩვენ არაფერს არ ვკარგავთ.


არქივისკოპოსი — (შეწუხებული), როცა საქმეში ღმერთია გარეული,  
კონეტაბლ, მაშინ შეიძლება ძალიან ბევრი დაკარგო. თუ მან მართლა გა-  
მოგვიგზავნა ეს გოგონა, თუ მართლა მოკიდა ხელი ჩვენს საქმეებს, უსი-  
ამოვნება არ აგვცდება. ჩვენ ამოგვაგდებენ ჩვენი კალაპოტიდან, ოთხ თუ  
ხუთ გამარჯვებას მოვიპოვებთ, და მერე დაიწყება კონტრდარტყმები და  
გართულებები. ეკლესიის მთავრისა და მეთაურის ხანგრძლივმა გამოცდი-  
ლებამ მასწავლა, რომ არასოდეს არ მივიქციო ღმერთის ყურადღება. უნ-  
და ეცადო, სულ პატარა, სულ შეუშინეველი იყო, კონეტაბლ.  
(კარისკაცები იკავებენ თავიანთ ადგილებს დედოფლების გვერდით.  
შარლი ხალხში დაიმალა. არქივისკოპოსი ამთავრებს სულ ხმადაბლა). და  
ყველაზე საშიში ისაა, როცა საქმე ღმერთთანა გვაქვს და არ იცი, ეშმაკი-  
საგან ხომ არ არი ეს მოწყობილი... მაგრამ ასეა თუ ისე, წილი ნაყარია!..  
ავერ, ისიც!

თარგმანი გრიგოლ ავაშიძისა

დასასრული იქნება







## წყარო შთავგონებისა

ლენინის სახე საბჭოთა საქართველოს  
პირველი წლების კომუნიზმი

ქართული პოეზია ყოველთვის იყო ნათელი იდეალებისა და პროგრესული თვალთახედვის მწერლობა. ჭეშმარიტ პოეტურ ქმნილებას ადამიანების გულამდე მიჰქონდა დროის სუნთქვა, ეპოქის მაჯისცემა, სიახლეთა შეცნობის მძაფრი სურვილი. ჩვენი სახელოვანი პოეტები ყოველთვის იდგნენ დროის მოწოდებათა სიმალღეზე, გამოხატავდნენ მილიონობით ადამიანის ფიქრს, სიხარულს, მისწრაფებას, იმედს, იდეალებს, გაჭირვებასა თუ დაღბინებას.

ასე იყო ყოველთვის, ასე იყო მეოცე საუკუნის დასაწყისშიც, როდესაც მსოფლიო მნიშვნელობის დიდი სოციალური მოვლენები ხდებოდა.

1905 წლის ქარიშხლიანი დღეების შემდეგ გამეფებულმა რეაქციამ მძიმე დალი დაასვა ქართულ პოეზიასაც. მაგრამ რეაქციის და მენშევიკების საძულველ ბატონობას არ შეეძლო ჩაეხშო მშრომელთა სწრაფვა სიმაართლისაკენ, სინათლისაკენ, უკეთესი მერმისისაკენ.

ამ დროისათვის საქართველოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ხალხის ბედნიერებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი ბოლშევიკური პარტია და მისი წინამძღოლი,

მედროშე და ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

ადამიანები გრძნობდნენ, რომ ახლოს იყო ხავსმოდებული სამყაროს აღსასრული. სამოქალაქო ომმა კიდევ უფრო დააჩქარა ეს ისტორიულად გარდაუვალი პროცესი. მთელ მსოფლიოში გაისმა „ავგურას“ ქუხილი; გაიმარჯვა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. მყარი საფუძველი ჩაეყარა ახალ ეპოქას, სოციალისტურ ეპოქას, ახდა კაცობრიობის სანუკვარი ოცნება.

ქართველი ხალხი აღტაცებით შეხვდა ამ გამარჯვებას. ჯერ კიდევ 1917 წლის ბობოქარ დღეებში ცნობილი ქართველი პოეტი კონსტანტინე ჭიჭინაძე სამშობლოსადმი მიძღვნილ ლექსში წერდა:

მხარე მშობელო! მოგილოცავ  
დღესასწაულსა!  
თავისუფლების შენც მოგაწყდა ტალღათ  
გორებო!  
შენს წითელ დროშებს, სადღეისო შენს  
სამკაულსა,  
მუხლმოდრეკილი სასოებით ვეამბორები!  
დღეს აღტაცებით და ზეიშით ივსება გული,  
დღეს ბრმასაც თვალი აეხილა, მღერის  
მუნჯიცა:  
შენაც ზეიმობ ოქროს შუქით  
მკერდასხუ რული

და სიხარულით გადმოვიცინის მადლით  
ლურჯი ცა!

საბჭოთა ხელისუფლების პირველ  
ქარიშხლიან დღეებს პეტროგრადსა და  
მოსკოვში შეესწრო ქართული ლექსის  
დიდოსტატი გალაკტიონ ტაბიძე. იგი  
მოსკოვში იმყოფებოდა, როდესაც მო-  
ვიდა სასიხარულო ცნობა:

ღეპეშა!  
ღეპეშა!  
ღეპეშა!  
რევოლუცია!  
რევოლუცია!  
ამბავი  
პეტროგრადიდან!  
კრემლი იღუმალი  
იწყებს მზადებას.  
მოსკოვი შფოთავს —  
რომ გაუთენებს  
საკადრის ღღებებს  
კაცობრიობას...

„ჯონ რიდი“.

ახალი მოვლენებით აფორიაქებული  
პოეტი დაუყოვნებლივ გაეშურა პეტ-  
როგრადისაკენ. მან საკუთარი თვალით  
იხილა ხალხის აზვირთება, იარაღსხმუ-  
ლი მუშები და ჯარისკაცები, მეზღვაუ-  
რები, პლაკატები ფინეთის სადგურთან,  
ჯავშნოსანი მანქანები, სმოლნი. იგი  
მკერდგაღეღილი შეხვდა რევოლუციის  
ქარს და მთელი არსებით იგრძნო, რომ

აქ არის ერთი მძლავრი ბეჭედი,  
რევოლუციის —  
ამ ბეჭედით თუ გინდა,  
მსოფლიო შექმდე.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა შემოქმედმა  
ღრმად განიცადა „ათი დღე, რამაც შეს-  
ძრა კაცობრიობა“.

სწორედ გალაკტიონ ტაბიძემ თავის  
ლექსებში პირველმა მოიხსენია დიდი  
ლენინის უკვდავი სახელი. 1918 წელს  
დაწერილ ლექსში „გემი დალანდი“  
გ. ტაბიძე აღნიშნავს, რომ პოეტმა „ძვე-  
ლი გზებით“ ველარ მიაგნო სამშობლოს,  
სულში ახალი გზები შეეჭრა, რომელიც  
მას აკავშირებს არნახული ისტორიული  
ამბების შემოქმედ ხალხთან. პოეტს  
ველარ წარმოუდგენია ცხოვრება ამ  
საოცარი მოვლენების გარეშე:

გახსენებისას მომძაზოდა მტანჯველი ლანდი-  
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი,

შეგი ზღვის ზვირთებს მიაპოხდა გემი  
„დალანდი“  
და თვალზე მედგა განშორების მსუბუქი  
ტრემლი.

სამშობლოში პოეტს დახვდა მენშევი-  
კების პარაში, მშრომელთა გაჯირგება  
და სიდატაკე, მაგრამ ეს მდგომარეობა  
დიდხანს არ გაგრძელებულა. ქართველ-  
მა ხალხმა დიდი რუსი ხალხის დახმარე-  
ბით დაამსხვრია მონობის ბორკილები  
და მოიპოვა თავისუფლება. სერგო ორ-  
ჯონიკიძემ ასე ამცნო ახალ სამყაროს:  
„თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხე-  
ლისუფლების წითელი დროშა. გაუმარ-  
ჯოს საბჭოთა საქართველოს!“ ბურჟუ-  
აზიულ-მენშევიკური ხელისუფლების  
საბოლოო დამხობის შედეგად ფართო  
გზა გაეხსნა ფორმით ეროვნული და ში-  
ნაარსით სოციალისტური კულტურის  
განვითარებას. ფართო სარბიელი გადა-  
ეშალა მწერლობასაც. „საქართველოში  
პოლიტიკურ აღორძინებასთან დაიწყო  
ხელოვნების აღორძინებაც. ახალი სა-  
ქართველო და ახალი საქართველოს სა-  
ხელით მომქმედი პროლეტარიატი, რო-  
მელმაც თავისი მაგარი ხერხემლით გა-  
მოიტანა საქართველოს თავისუფლება,  
შექმნის ახალ პერიოდს ქართულ ხე-  
ლოვნებასა და პოეზიაში“, — სრულიად  
მართებულად აღნიშნავდა ტიციან ტა-  
ბიძე ჯერ კიდევ 1921 წლის მაისში გა-  
ზეთ „რუბიკონის“ ფურცლებზე. სიმ-  
ბოლისტური მიმდინარეობის — „ცის-  
ფერყანწულების“ წარმომადგენლებსაც  
კი სჯერათ, რომ ცალკეული დეკადენ-  
ტური მიმართულებები თუ ჯგუფები  
პოეზიის შინაგანი განვითარების კანონს  
ვერ შეაფერხებენ, რომ პოეზია, დაბრ-  
კოლებათა მიუხედავად, თავის ნამდვილ  
დანიშნულებას იპოვის, რომ ეკრავერი  
ვერ გაუძლებს „იმ ატმოსფერულ გავ-  
ლენას, რომელსაც ახდენს რევოლუ-  
ცია“, რომ „პოეზიასაც აქვს თავისი ში-  
ნაგანი დიალექტიკა და ის თვითონ მო-

ნახავს თავის ბუნებრივ სახეს... (გა-  
ზეთი „ბარბიკადი“).

დღის წესრიგში მკვეთრად დადგა თანამედროვეობის ასახვის საკითხი, ეპოქის ტემპებისათვის ფეხის აწყობისა და წინა რიგებში ყოფნის საკითხი. 1922 წელს გალაკტიონ ტაბიძე გაბედული მოწოდებით გამოვიდა. იგი წერს: „ცხოვრება მიდის წინ და პოეტი გრძნობს, არ შეიძლება ჩამორჩე მას... თანამედროვე პოეტს არავითარი უფლება არა აქვს უარყოს თავისი ღირსება და აღიაროს მხოლოდ წარსული... მე-ხუთე საუკუნის სტილი შვენიის თვით მეხუთე საუკუნეს, მაგრამ ჩვენი საუკუნისათვის მარტოოდენ ძონძებია. ჩვენი პოეტისათვის ძვირფასია ძველი ღმერთები, მაგრამ ჩვენ გვყავს ახლებიც, ძსეთებიც, რომლებიც შეეფერებიან ჩვენს ღროს, ჩვენს ეპოქას, ჩვენს კულტურულ დონეს, ჩვენს ტექნიკურ საშუალებებს. ჩვენ განვიცადეთ მსოფლიო ომი, დიდი რევოლუცია, არავინ არ უარყოფს, რომ მოვიდა ახალი ცხოვრება. ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვა“. თვით გალაკტიონ ტაბიძე მტკიცე რწმენით დადგა რევოლუციური საქართველოს მეზობტბის პლატფორმაზე.

ამ წლებს ეკუთვნის გალაკტიონის შესანიშნავი ლექსი „იდეა“. პოეტი ამ ლექსში იგონებს: ერთხელ დამით ცეცხლის ალსა და სროლის ხმაურში, როგორ მიდიოდნენ ადამიანები პეტროგრადის ფართო ქუჩებით; მიდიოდნენ მტკიცე, შეუღრეკელი ნაბიჯებით და „თვალწინ აღიმართა სმოლნი“. პოეტი ღრმა პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით იხსენებს სმოლნს; რევოლუციის ეს ციტადელი მიაჩნია „იმ დროის“ უმძლავრეს „მახვილად და ბრძმედად“. სმოლნისაკენ მიმავალ პოეტს ჰქონდა გარკვეული იდეა, სურვილი და რწმენაც. ეს იყო ბუნებრივი მისწრაფება საკუთარი თვალით ენახა ლეგენდარული ადამიანი, რომლის სა-

ხელი ყველას პირზე ეკერა და რომელიც თავისუფლების, მშვიდობის, მტრომის, პურისა და ყოველგვარად ცხოვეთის სიმბოლო იყო. გალაკტიონ ტაბიძე შთამბეჭდავი სტრქონებით ამთავრებს ლექსს:

და როდესაც თვალს აცეცებს  
ლულა ტყვიამფრქვევის,  
გუშავის ხმას: — თქვენ ვის ეძებთ?  
ვუხასუხე — ლენინს!

მოწინავე ქართველ შემოქმედთათვის ლენინი იყო დიდი მოქალაქეობრივი სიწმინდის განსახიერება.

იმ მწუხარე დღეებში, როდესაც მთელი პროგრესული კაცობრიობა გლოვობდა დიდი ლენინის გარდაცვალებას, გამოჩენილმა პოეტმა პაოლო იაშვილმა, ერთ-ერთმა პირველმა ქართულ ლიტერატურაში, მგრძნობიარე ლექსი უძღვნა საყვარელ ბელადს. პაოლო იაშვილს სჯეროდა, რომ წუთით ჩამდგარი ოქტომბრის ქარის ქროლვას ვერავითარი ძალა ვეღარ შეაჩერებს:

ლენინი იყო არჩევანი ქვეყნიერების.  
ვიცი, ჩინეთში მებაღური ჩამოხეული,  
რომლის ცალ-შვილი დამშეული,

ქუჩაში ყრია,  
ახლა აკერებს თავის ბაღეს და სტირის  
ლენინს!

ვიცი, ყოველთვის ცეცხლდანთებულ  
ირლანდიაში

მეამბოხენი საღმე ტყეში სტირიან ლენინს!  
ესპანეთშიც კი, მჭერა, ამ წუთს აღარ

მღერაიან,

და აჩერებენ თავის გემებს მეზღვაურები.

ამხანაგებო, ჩადგა წუთით ოქტომბრის ქარს,  
ვიმღეროთ ერთად, პოეტებო, მარში გლოვისა.

ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსი „ლენინი“ დაწერილია კაცობრიობის უდიდესი ადამიანისადმი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით. პოეტი მემატიანის მახვილი თვალთ გვიხატავს 1924 წლის იანვრის სუსხიან დღეებს, აფორიაქებულ თბილისს, დამწუხრებულ სახეებს. მოწყენილობა დასადგურებულა ქალაქში:

მთელი თბილისი შეიმოსა ყორანის ფერად.  
იანვრის მტკვარი ახმაურდა მტ მწუხარებით.  
გარდაიცვალა ლენინი...

ლენინის პორტრეტთან საბატიო ყა-  
რულში დგებიან ჯარისკაცები, გიმნაზი-  
ელები, სტუდენტები, ლენინის ერთგუ-  
ლი მოწაფეები და თანამებრძოლები.  
ვალერიან გაფრინდაშვილს ღრმად  
სწამს, რომ ლენინის სახელი მთელი  
პლანეტისა და მერიდიანის ძალას შე-  
იცავს. მასში მტკიცედ არის შერწყმუ-  
ლი ყველაფერი, რაც კი საუკეთესო  
ჰქონდათ რუსეთის რევოლუციის წინა-  
მორბედებს:

ის იყო სტეპან ხალტურინის ნებისყოფა  
და ევლიაბოვის ინტელექტი.  
ის იყო მერიდიანის გაქანება და თრთოლვა.  
ის იყო უნაზესი სახელი,  
რომელსაც არქმევენ ბევრებს.

#### „მობრუნებული ნინელ“

მწუხარებით გულმოკლული პოეტი  
დარწმუნებულია, რომ კაცობრიობა  
დროშად და შექუთრად წარიმძღვარებს  
ლენინის სახელს, იგი გაუძღებს ყველა  
საუკუნეს, დადგება ყოველგვარ ღმერთ-  
ზე მალა და კიდევ „შეატრიალებს მი-  
წას“. კიდევ და კიდევ მოახდენს მსოფ-  
ლიო გარდაქმნებს ის სახელი, რომე-  
ლიც დიდი მოწიწებით ჩაიბარა ისტო-  
რიამ:

როგორც ისტორია,  
პოეზია დაეუფლება ლენინის სახელს.  
იქნება პეტროგრადის მავივრად —  
ლენინგრადი.

შეიქმნა ახალი მითი,  
ბრწყინვალე და ხშიერი,  
როგორც ატლანტიკა.

1924 წელს დაწერილ ლექსში „ლენი-  
ნი“ გალაკტიონ ტაბიძე ღრმა მწუხარე-  
ბას გამოთქვამს ლენინის გარდაცვალე-  
ბის გამო: „მღელვარება ღრღნის ქალა-  
ქის ქალას, ჩავარდნილ თვალებს და  
ღია ბალებს“:

ლენინი — მსხვერპლი ბოროტი ტყვის —  
ორი ბოროტად ანთებულ ომის  
და სამი მძაფრი რევოლუციის  
დროშა — ლენინი.

ლენინის სიკვდილი მთელი ეპოქის  
მწუხარე გუგუნია. დაბლა იხრებიან წი-  
თელი დროშები, მაგრამ წინ გადმოსწე-  
ლია უდიდესი მოვლენებისა და გამირუ-  
ლი საქმეების ასპარეზი, რადგან „სტო-  
რებს ბელადი და ამხანაგი დევისზე დე-  
ვისს“...

მსოფლიო პროლეტარიატის მამა და  
მასწავლებელი ჭეშმარიტად მაღალმატ-  
ვრული ლექსებით დიტირეს ახალი  
პროლეტარული პოეზიის წარმომადგენ-  
ლებმა. მათ შორის მაღალი მხატვრუ-  
ლობით გამოირჩევა ალიო მამაშვილის  
(მირცხულავას) ლექსი „ლენინი“ (1924  
წელი). იგი წყველის სევდა-ნაღველის  
მომტან სიკვდილს, რომელმაც ბნელი  
გადააფინა მსოფლიოს ასობით კუთხეს.  
ფიცივით გაისმის ახალგაზრდა პოეტის  
მტკიცე სიტყვები, რომ ლენინის წმინ-  
და დროშას ყოველთვის მაღლა ატარე-  
ბენ. ამ დროშის ძირსდაუხრელობის სა-  
წინდარია ის, რომ ლენინი მომავალ-  
შიც ყოველთვის ხალხთან ერთად იქნე-  
ბა, ხალხთან ერთად იბრძოლებს და წა-  
იყვანს მას ახალ-ახალი ზღუდეების აა-  
ღებად:

შენ ჩამოგვშორდი, ბელადო ლენინ,  
და ქვეყანაზე ობლად დაგვტოვე,  
გადაფარა ტრაური ბნელი  
კაცობრიობის სხვადასხვა ტომებს!..

...შენ მოკვდი, მაგრამ ჩვენთან იცხოვრებ,  
ვფიცავთ შენივე აზრებს, ანდერძებს,  
ჩვენთან იშრომებ, ჩვენთან იბრძოლებ  
მთებში, ქარხნებში, ბარაკებებზე!

ქართული მწერლობის პროლეტარუ-  
ლი ფრთის წარმომადგენელი იონა ვა-  
კელი 1924 წლის 15 თებერვალს დაწე-  
რილ ლექსში „ოდა ლენინს“ სამართლი-  
ანად შენიშნავს, რომ სოციალისტური  
აღმშენებლობის თანამედროვე ეტაპზე  
ყველაფერზე უფრო მეტად იყო საჭი-  
რო ბელადის სიცოცხლე, მისი ხელმძღ-  
ვანელობა და ავტორიტეტი; საჭირო  
იყო სიცოცხლე იმ „გაფოლადებული“  
და „გასალკლდევებული“ ადამიანისა,  
რომელმაც ერთიანად გააცამტვერა „ახა-  
ლი ქვეყნის მტრები“, რომელმაც აამოძ-



რავა, მიზნები დაუსახა და „სხნის იმედი გაუღვიძა დაჩაგრულ ერებს“. მაგრამ ბელადის ძლიერი სული, დიდი სახელი და მოძღვრება დარჩა ადამიანებს. ყოველივე ეს კი მომავალი გზების შეუცდომლად გაგნების უტყუარი კომპასია:

კვლავ შეგვასწავლი  
ახალ ქვეყნის გზებს და ბილიკებს,  
სანამ სიცოცხლე ქვეყანაზე არ ჩაინთქება.  
კაცობრიობას არასდროს არ დააიწყებდა  
დიდი ქურუმი,  
გენიოსი და რკინის ნება.

ამგვარი თბილი, იმედიანი განწყობილება იგრძნობა ყველა ქართველი პოეტის ნაწარმოებებში. ისინი გულწრფელად უმღერიან იმ ბუმბერაზ პიროვნებას, „ვინც გაანათა მომავლის ახალი გზები“, მზით და სინათლით აავსო დედამიწა, ვინც ქარიშხალივით მოველინა ბურჯუაზიის ძირმომპალ შენობას, დაანგრია, დაღწეა იგი, „სქეული ბურჯუა გამოადნო ქარხნის მილებში“ და ნათელი სივრცეებისაკენ გაიყოლია მილიონობით ადამიანი. ამ სიდიადისა და იმედის გრძნობით არის გამსჭვალული დიდი ლენინის გარდაცვალების დღისადმი მიძღვნილი იაკინთე ლისაშვილის ლექსი „ლენინი“. მართალია, საბჭოთა ხალხს დიდი უბედურება დაატყდა თავს, მაგრამ წინსვლა არ შეწყდება, სინათლის გზას ვაპყვება დედამიწის ბრუნვა. ქართველი პოეტების კომკავშირული თაობის წარმომადგენელს ესმის, რომ ლენინიზმის დიად საქმეს მისი მიმდევრები და თანამებრძოლები ვააგრძელებენ:

...მიფრინავს გემი, მიაჭროლებს მიწას  
ლენინით,

მისი მხედრები მიადწევენ მიზანს,  
მიფრინავს გემი  
ლენინიზმის დიდი გენით.

მეტისმეტად რთულ დროს დაემთხვა დიდი ბელადის გარდაცვალება. ახალ ფეხადგმული საბჭოთა ქვეყანა იშუშებდა ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელებისაგან მიღებულ ჭრილობებს. მას მეფის რუსეთისაგან მძიმე მემკვიდ-

რეობა დარჩა. იწყებოდა არნახული სოციალური და პოლიტიკური გაქვავებების ხანა. ეპოქალური პრინციპების გადაჭრა იტვირთა ბრძოლაში გამოწრთობილმა კომუნისტურმა პარტიამ. ლენინის სული და იდეები უნერგავდა ხალხს გამარჯვების რწმენას, უჩვენებდა სწორ სამოქმედო გზას. ინდუსტრიულ ტემპებს აყოლილი, წინსვლის სურვილით ანთებული გალაკტიონ ტაბიძე ლექსში „მისდევს რგოლს რგოლი“, რომელიც 1925 წელს არის დაწერილი, ამბობს:

გგონია იქნებ, გზას ვვიგნებდით,  
გზას ვაიგნებდა წყვდიადში თვალი, —  
ბრძენი ბელადი კლდედ რომ არ ჩანდეს,  
შეუწყვეელი, მაგარი, სალი!

საბჭოთა ხალხი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებელი ხალხი, თავდადებით შეუდგა დიდ აღმშენებლობით მუშაობას. მწყობრში ჩადგინა მსხვილი ფაბრიკები და ქარხნები, პილროლექტროსადგურები და არხები, ზღვები შეუერთდნენ ზღვებს, მდინარეებმა იცვალეს კალაპოტი, ბუნებამ ქედი მოიხარა რევოლუციის შემოქმედი ხალხის ძლიერების წინაშე. საფუძველი ჩაეყარა ახალ სოფლებს, დაბებსა და ქალაქებს. ათიოდეწლის წინათ მიუვალი, სუსხიანი და პირქვეში ციმბირი, სადაც მეფის მთავრობა ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებულ მებრძოლებს ასახლებდა, სიცოცხლით აივსო, ახალი გზებით დაისერა. მშენებელ ენთუზიასტთა ლაშქარი შეესია საუკუნეობით ფეხდაუდგმელ ტაიგას, მიდამოს მოეფინა ილიჩის ნათურების შუქი.

პოზიზიამაც კიდევ უფრო მეტად შეითვისა და შეისისხლხორცა დიდი ლენინის სახე, კიდევ უფრო მეტად შეიგრძნო მისი მრავალფეროვანი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელობა. ჩვენი ეპოქის უდიდესმა პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ მთელი ხმით უმღერა კაცობრიობის მამასა და მასწავლებელს. „ვამბობთ ლენინი — და ვგულისხმობთ

მუდამ პარტიას, ვამბობთ პარტია და ვგულისხმობთ — ლენინი ჩვენი“. მაიაკოვსკიმ ხოტბა შეასხა ადამიანთა შორის უსაყვარლეს ადამიანს.

ქართული პოეზია ც უფრო და უფრო მეტ ინტერესს იჩენდა ვ. ი. ლენინის ბრძნული სახისა და ცხოვრებისადმი. ჩვენმა პოეტებმა ლენინს მიუძღვნეს მალალმატერული პოეტური ქმნილებები.

ოციან წლებს განეკუთვნება კოლაუნალირაძის პოემა „წითელი მოედანი“. პოემაში იგრძნობა ბელადის სახის ორიგინალურად გამოძერწვის სურვილი. ნაწარმოები იწყება „თოვლითა და ბუჩქით“ დაფარული, „დაუღვრომელი“ უსაზღვრო რუსეთის“ აღწერით, რომელიც მოდის „წითელი პერანგით“, მოდის ზიუტად და დაეინებით, „მოჰყავს და მოჰყავს მილიონები“. მათ კი ბოლოს და ბოლოს უნდა გადაჭრან გარდაუვალი ისტორიული ამოცანა, იხსნან კაცობრიობა წყვდიადისაგან. პოეტი იხსენებს წითელ მოედანს, კრემლს — მოსკოვის გულს:

საუკუნენი შენ გულზე სთვლემენ,  
როგორც ორბები დაღვრემილ სახით;  
და წლების შრიალს, დროს უხმო ფრენას  
კრემლის კედლები მოუცავთ თაღებით.

წითელ მოედანს ახსოვს უამრავი სახე და სახელი. მას ახსოვს ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლი სტენკა რაზინი, ახსოვს ბნელით მოცული ბრბო, ახსოვს სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლი გმირები. საუკუნეების მანძილზე ელოდა წითელი მოედანი თავის იდეალს, ელოდა ოცნებების ახლომას:

შენ დაიქანცე ამ მოლოდინში  
და გწამდა მაინც,  
რომ მოლანდებულს ზღაპრულ სიზმარში  
ნახავდი რაინდს.

მოვიდა ისტორიული „ჩვიდმეტი წელი და ოქტომბერი“. დაკოჭრებულმა ხელებმა ჩამოაშორეს თაღნი წითელ მოედანს და იგი აკაშკაშდა მკვეთრი ფერით, აივსო დროშების შრიალით.

წითელი მოედნისთვისაც ყველაზე ძვირფასი სახელი გახდა ვლადიმერ ლენინი, რადგან სამარადისოდ დაამახსოვრდა მისი სიტყვა და საქმე, რადგან მას ელოდა „ათასი წლებით განისლული“, ელოდა, როგორც ხალხის მხსნელსა და შვების მომტანს. ახლა მსოფლიოს გასაგონად ამ ისტორიული მოედნიდან ისმის კრემლის კურანტების რეკვა და წელიწადის ყოველ დროს, დარსა თუ ავღარში, სიციხესა თუ ქარბუქში „ავსებს წითელ მოედანს ხალხი“. ახლა წითელ მოედანზე მავზოლუმში ასენია კაცობრიობის უპირველესი და უსაყვარლესი ადამიანი. „მოედანი—მსოფლიოს დროშა!“ — მიმართავს პოეტი წითელ მოედანს:

მილიონებმა მორთოლვარე ხელით  
შენ ჩავაბარეს თავის მოძღვარი.

მშრომელი ადამიანებისათვის მავზოლუმში წმინდათა წმინდა ადგილია. აქ მათ ელოდება „ყველას გულში ცოცხალი“, უკვდავი ლენინი, სითბოსა და სიმშვიდის შემოქმედი, „განთიადის სარდალი“. მან ხალხს შეუქმნა მუდმივი განზაფხული და იგი ახლაც განუყოფელია ხალხისაგან:

მავზოლუმს აბარია უკვდავების ნეშტი,  
შენ კი მუდამ ჩვენთან ხარ, გზას გვიანთებ,  
ლენინ, —

წერდა ვარლამ კურული ლექსში „ლენინი“ (1930 წ.).

ქართული პოეზიისათვის შთაგონების წყაროდ იქცა ლენინის ბობოქარი ცხოვრება. ამ მხრივ საყურადღებოა პაოლო იაშვილის მიერ ჯერ კიდევ 1927 წელს დაწერილი ლექსი „თივის ურმეული“. პოეტი თავისებურად იწყებს ლექსს, — მეტრი ენაცვლება მეტრს და ნაწარმოების რიტმული მთლიანობა თანდათან მეტ სიმძაფრეს იძენს. პ. იაშვილი მიმოიხილავს რევოლუციის წინანდელ ეპოქას, იმ პერიოდს, როცა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს „არ ჰქონდა ბინა“ და „ცხოვრობდა თივის მოოქრულ ყუთში“ სადგურ რაზ-

ლივთან. სწორედ აქედან იღებდა სათავეს დროებით მიწყნარებული გრივლი.

რევოლუციის დიდი წინამძღოლი ლენინი მეამბოხეებისათვის გულმოდგინედ ამზადებდა იმ ჩახმასს, რომლის ჩამოკვრაც თვითმპყრობელობის საბოლოო განადგურებას უდრიდა:

ამ ჩახმასს სწევდა ლენინის ხელი, ლესავდა მკერდებს ცხრაასი წლიდან, და მისი სიტყვა ბასრი და ცხელი, მეამბოხეებს შურისთვის ზრდიდა; და როცა თმენა საზღვარს მივიდა, როცა შეხუთეს სული ჩარჩებმა, ის გამოვიდა ოქროს თივიდან და ჩააბარა ხალხს გამარჯვება.

1927 წელს არის დაწერილი სანდრო შანშიაშვილის შესანიშნავი ლექსები: „ლენინი ჯავშნოსანზე“ და „დედისერთა ლენინთან“. პოეტი წერს, რომ მას ბევრი საზარელი ჯავშნოსანი მანქანა უნახავს. ასეთი მანქანები ხალხის რისხვად იყო მოგონილი. თუკი დაჩაგრული მონა შეეცდებოდა თავისი ადამიანური უფლებების მოპოვებას, ჯავშნოსანს იყენებდნენ ტანჯული ხალხის გასანადგურებლად, ბატონების მყუდროების დასაცავად. მაგრამ მოვიდა დიადი ოქტომბერი, „ჯავშანოზე მტკიცედ შედგა ლენინი“ და მისი ცეცხლი მტრებისაკენ მიმართა. ჯავშნოსანმა დაკარგა მრისხანე სახელი. მასზე მდგომმა ლენინმა მოითხოვა, მთელი ძალაუფლება გადასცემოდა საბჭოებს, ადამიანებს ჰქონოდათ შრომის უფლება, მოსპობილიყო ერთი მუჭა მდიდრების ბატონობა.

ლექსი „დედისერთა ლენინთან“ ს. შანშიაშვილის ერთ-ერთი საუკეთესო და პოპულარული ნაწარმოებია. ლექსის ეპიგრაფად გამოყენებულია უბრალო მთიელი ქალის, ერთადერთი შვილის მომლოდინე დედის წერილი დიდი ლენინისადმი. შვილის დაკარგვით გულმოკლული მოხუცი ქალი მიმართავს ბელადს: „შვილო, ეგების გამიგო ჩემი ვაჟიკას ამბავი. შენ ყველა გიცნობს. ხმა მიაწვდინე. ომიდან შინ აღარ დაბრუნებულა“. ამ ეპიგრაფით ავტორი ხაზს

უსვამს ბელადის უბრალოებასა და მის საყოველთაო-სახალხო პოპულარობას!

დედისერთა ვაჟიკა რამდენიმე წლები ჯარისკაცი იყო. სამოქალაქო ომის ფრონტზე მებრძოლი ჭაბუკი მტკიცედ დაუკავშირდა სამშობლოს ერთილდებობისათვის თავდადებულ გმირებს:

ის იბრძოდა წითლებთან, წითელ დროშას იცავდა, ჯარისკაცი რუსეთში ლენინს ვაჟყვა მტკიცედ.

ქართველმა ახალგაზრდამ „თავი დასდო ხალხისთვის“, საუკეთესო იდეალების განხორციელებას შესწირა სიცოცხლე. ვაჟიკამ და ათასობით მისმა თანატოლმა საკუთარი სისხლის ფასად უზრუნველყვეს ლენინის დადი იდეების ტრიუმფალური გამარჯვება.

1929 წელს განეკუთვნება გალაკტიონ ტაბიძის მაღალმოეტური ოსტატობით შესრულებული ნაწარმოები „ოქტომბრის სიმფონია“. აქ პოეტის მახვილი თვალთაა დანახული და დახვეწილი გემოვნებითაა აღწერილი უაღრესად რთულ მოვლენათა მსვლელობა, ძველი სამყაროს მსხვრევა, არალეგალური ცხოვრების დასასრული, ორგანიზატორული მუშაობის გაჩაღება. ვ. ი. ლენინი მტკიცედ უდგას სათავეში ამოპოქრებულ პროლეტარიატს. „ბევრს სძინავს, მაგრამ არ სძინავს ლენინს!“

ლენინი ყოველთვის ახლის სიმბოლო და შემოქმედია. ხალხი ლენინისაგან მოეღოს ხსნას. გალაკტიონ ტაბიძე მაღალმხატვრულად აღწერს უდიდეს ისტორიულ მოვლენას:

წითელ დროშას ქვეშ  
საომრად მდგარი,  
მომსწრე მრავალის დღეების ბნელის,  
ფაბრიკათ რიგი, ქარხნების ჯარი —  
უცდიან ლენინს...  
ეროვნებათა დაჩაგრულთ ბედი,  
ბარიკადები ქუჩების ვრცელის,  
ჩიხში მოქცეულ რუსეთის ბედთან —  
უცდიან ლენინს.  
ლენინი მოდის!  
პროლეტარიატს ექნება გეზი,



სად გამოვიდეს, ვისთან და როდის, —  
იმ მატარებლით ქობთა მშვიდობა  
და სასახლეთა ვოდება მოდის!  
ლენინი მოდის!  
მოდის სიკვდილი ბურჟუაზიულ  
ციხე-ბორკილის და ეშაფოტის!  
იმ მატარებლით მოდის ნამგალი,  
იმ მატარებლით ჩაქუჩი მოდის,  
ლენინი მოდის!  
თავისუფლება და ზავი მოდის!  
ლენინი მოდის.

კაცობრიობის დიდ ბელადს გულწრ-  
ფელად უმღეროდნენ პროლეტარული  
მწერლობის წარმომადგენლები: —  
ალიო მაშაშვილი, კონსტანტინე ლორ-  
თქიფანიძე, კარლო კალაძე, იონა ვაკე-  
ლი, ელიზბარ პოლუმორდენიოვი და  
სხვები.

კარლო კალაძის პოეზიაში ყოველთ-  
ვის მოკრძალებითა და სიყვარულით  
იყო ნახსენები დიდი ლენინის სახელი.  
პოეტი ცდილობდა გამოეხატა ლენინი-  
სადმი მშრომელი ხალხის გულწრფელი  
სიყვარული. 1932 წელსაა შექმნილი  
კ. კალაძის პოემა „უჩარდიონი — ოც-  
დაათიანი წლების ქართული ქრონიკე-  
ბი“. ამ ნაწარმოებში მკაფიოდაა ნაჩვენ-  
ები ძველი და ახალი სამყაროს ჭიდი-  
ლი, საშვედრო-სასიცოცხლო შერკინება,  
სიყეთისა და ბოროტების დაპირისპირე-  
ბა. მშრომელი ხალხი იბრძვის მეურნე-  
ობის დაქუცმაცების, მომხვეჭელობისა  
და კულაკობის წინააღმდეგ. სოფელში  
ტარდება კრება. სხვებთან ერთად სიტყ-  
ვით გამოდის სოფლის საამაყო ახალგა-  
ზრდა, კომკავშირელი გულდა. იგი  
მგზნებარედ ელაპარაკება თანასოფ-  
ლელებს, ცდილობს თავისი გამოსვლა  
განამტკიცოს ლენინის ბრძნული აზრე-  
ბით:

გარემოების საუკეთესო  
ახსნას ლენინის წერაღმნი ეხედები:  
— თუ ძველებურად წვირდ ანუ კერძო  
მეურნეობის ხელში ვისხდებით,  
თუნდ თავისუფალ დედამიწაზე  
თავისუფალი მოქალაქენი...  
ჩვენ, სოფ ერთია, ქვეყნად იმწამსვე  
აუტოლებლად დავიღუპებით!..

ამით პოეტი ხაზს უსვამს მშრომელ  
გლეხობაში ლენინის დიდი იდეების პო-

პულარობასა და მათ მძლავრ ზემოქმედ-  
ებას ხალხზე. სწორედ ამ ბრძნული/  
იდეებით შეიარაღებულმა მასებმა გერმანი-  
ლეს გამარჯვების მოპოვება.

კარლო კალაძე სიხარულით აღნიშ-  
ნავს, რომ

...კაცი აღარ მოიპოვება,  
არ სწამდეს მათი გულის ნადები;  
ასე დაიწყო დიდი პოემა  
ოცდაათიან წელიწადების!

1928 წელს დაწერილ პოემაში „რიო-  
ნი-პორტი“ ტიცინ ტაბიძე ჭამშარი-  
ტი პოეტური ოსტატობით აგვიწერს და-  
სავლეთ საქართველოს მცხოვრებთა  
მძიმე მდგომარეობას. აქ გაბატონებუ-  
ლი იყო ადამიანის უხილავი მტერი —  
მალარია. პოეტი იგონებს ბერძენი ის-  
ტორიკოსის ქსენოფონტეს სიტყვებს:

აქ არ მწიფდება არასდროს ხილი,  
წყალს ზევით ადის რაღაცა ნისლი,  
პაერს რომ აღზობს და მუღამ სწამლავს.

მაგრამ დაქროლა დიდი ოქტომბრის  
და ახალი ცხოვრების მაცოცხლებელმა  
ქარმა, „ძველი სიზმარი უკვალოდ  
გაქრა“. დაიწყო ჭაობების დაშრობის  
გეგმის განხორციელება. ბარაქიანი მი-  
წები წაერთვა გააგებულ ბუნებას. რიო-  
ნის დელტა დაიფარა დამბების ქსელით,  
რკინის ხიდმა შეცვალა ბორანი; იქ, სა-  
დაც გაუვალ ლაფში ადამიანი იძირე-  
ბოდა, გამოჩნდა მატარებელი, „ფოლა-  
დის რკინის ახალ ჯავშანში“ გამოიქედა  
საბჭოთა საქართველო. პოეტი აღტაცე-  
ბულია განახლებული მამულის ხილვით.  
მისი წინსვლით და ყველას გასაგონად  
აცხადებს, რომ ეს არის ლენინიზმის დი-  
დი იდეების ცხოვრებაში განხორციე-  
ლება:

და თუ ამ დღეებს ჩვენ შევესწარით,  
მიზეზი არი — ლენინის საბჭო.

გამოჩენილ ქართველ პოეტს სიმონ  
ჩიქოვანს ღრმად სჯერა, რომ ლენინი  
არის საუკუნო სიბნელისაგან კაცობრი-  
ობის მხსნელი, მისი საყვარელი მამუ-  
ლის მხსნელი. ლენინის სახელი სინათ-  
ლის სიმბოლოა. ხალხმა ნათურებაც იქ



სიყვარულით ილიჩის ნათურები უწოდა. არ დაჩინილა კუთხე, რომელსაც არ ეგრძნოს ლენინის ხელი, სიბზო და ნათელი. პოეტი შთაგონებით მიმართავს საყვარელ სამშობლოს:

ღვას ლენინი, შენი მხსნელი  
გულს გინათებს, მთებზე ანთებს  
ელსადგურებს.

ქართველ პოეტებს სწამთ, რომ ლენინი ყოველგვარი სიკეთის სათავეა. მისი გულის ჩაუქრობელი ნათელი ედება მთელ მსოფლიოს; ამ მძლავრ გულისცემას კვლავ ისმენენ პროგრესისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანები. ლენინი და ლენინიზმი ხალხთა მფარველია, გზის მანათობელია, ყველა დაჩაგრულის მეგობარია. ზოგიერთებს ბნელი მიზნების მისაღწევად სურთ ომი, ისმის იარაღის უღარუნი, მაგრამ მშვიდობის სადარაჯოზე ღვას დიდი ლენინი:

ქვეყნად მშვიდობა თავს იღო ვალად,  
რომ ომის შიშით არეინ ოხრავდეს,  
ნივთში მოძრავი ატომის ძალა  
კაცის სიკეთეს და ჯანს მოხმარდეს, —

აცხადებს ალექსანდრე ქუთათელი 1929 წელს დაწერილ ლექსში.

...და კაცს ეგონა ეს სისხლის წარღვნა  
მალდიდან იყო გადმოვარდნილი,  
მაგრამ სხვა კაცი მაშინ გამოჩნდა,  
და ეს სხვა კაცი იყო ლენინი, —

ასე წერს ტიციან ტაბიძე 30-იან წლებში შექმნილ ლექსში „სალამური რომ სალამურია“, რომელიც მოძმე საბჭოთა სომხეთისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლშია შესული. ტიციან ტაბიძე სიხარულით აცხადებს, რომ მოისპო ერებს შორის შუღლი და უნდობლობა, გაიმარჯვა ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ. ძმურ ოჯახში გაერთიანებული ხალხები გმირულად, თავდადებით შრომობენ.

1929 წელს დაწერილ ლექსში „ლენინი“, გიორგი ქუჩიშვილი რწმუნას გამოთქვამს, რომ მთელი კაცობრიობის უღრუბლო მომავლის მკედელი საბჭოთა ხალხი საკუთარი საქმით უკვდავყოფს ყველა გამარჯვების თეორეტიკოსისა და ორგანიზატორის — ლენინის სახეს:

ის შეასრულებს ფიცს და ანდერძს  
დიდ ბელადისას  
და ეს იქნება მისი ძეგლი,  
ძეგლი,  
რომელიც გაუძლებს  
ყველა ქარიშხლიან საუკუნეებს.

ალექსანდრე აბაშელი სიყვარულითა და ღრმა მოწიწებით მიმართავს ბელადს ლექსში „ჩვენ გავიმარჯვეთ, უკვდავო ლენინი!“

ღვახარ ცოცხალი ხალხთა დიდ გზაზე,  
კომუნისმისკენ გაწვდილი ხელით...

ლექსი 1932 წლის დასაწყისში, კერძოდ, იანვრის თვეშია დაწერილი. ალექსანდრე აბაშელი აღფრთოვანებულია არნახული წინსვლით, ეპოქალური ძვრებით, აღმშენებლობითი შრომით, შემოქმედებითი აზრის გაქანებით. იგი ამაყობს, რომ ხალხმა გასაოცარი გამარჯვება მოიპოვა სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ უზნებზე. ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე პოეტი მთელი ხმით მიმართავს დიდ ბელადს:

ჩვენ გავიმარჯვეთ, უკვდავო ლენინი!  
წინასწარხედვა შენი გამართლდა...

ეს კანონიერი სიამაყის გრძნობა წითელ ზოლად გასდევდა ქართველი პოეტების მთელ შემოქმედებას, მათი პოეტური ზრდისა და სიმწიფის ეტაპებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე ქართველმა პოეტებმა მთელი ხმით უმღერეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და თავისუფალი ცხოვრების შემოქმედს.



საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს  
ინფორმაციის ცენტრი



კრიტიკოსი ნოდარ ჩხეიძე ეწვია რუსთაველის პრემიის ლაურეატს, აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას და სთხოვა ეპასუხა რამდენიმე შეკითხვაზე. ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციის თანამშრომლები ც. არღაშელია და დ. ივარდავა ასეთივე დავალებით ეწვივნენ ლენინური პრემიის ლაურეატს, საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ სიმონ ხეჩინაშვილს და ლენინური პრემიის ლაურეატს, აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილს. ვებგვერდზე მათი საუბრების ჩანაწერს.

### კონსტანტინე გამსახურდია:

## სიასლმ და გონივრული კიბება

— ვიდრე რამდენიმე შეკითხვას მოგცემდეთ, კიდევ ერთხელ გილოცავთ რუსთაველის პრემიის მოიპოვებას.

— დიდი მადლობა. ბედნიერი ვარ. პირადად ჩემთვის და, მე მგონი, საერთოდ ქართველი მწერლისთვის რუსთაველის პრემია საამაყო ჯილდოა. ეს პრემია გულისხმობს, რომ შენ დაიმსახურე ერის სიყვარული და ნდობა. თუმცა სახელი, თუნდაც დამსახურებული, კაცთან უმეტესად გვიან მოდის და ყოველი მნიშვნელოვანი, საერთო-სახალხო პრემიაც უკვე განვლილი გზის შეფასებაა მხოლოდ — დიდი სიხარულისა და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა უცვლელია.

— ვინ მივაჩნიათ თქვენს მასწავლებლებად?

— რუსთაველი, შექსპირი, დანტე, გოეთე, ვაჟა-ფშაველა, ლევ ტოლსტოი, შატობრიანი, ბალზაკი, ილია ჭავჭავაძე.

— თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა სიახლეს მიაღწიეთ, როგორც მწერალმა, მხატვრულ აზროვნებაში?

— ჯერ გეტყვით რა სიახლეს მივალწვი, ჩემის აზრით, ენაში. მე შევეცადე ძველქართული სიტყვის მარაგი ჰარმონიულად შემერწყა ქართულ დიალექტებთან. არ მინდა დავივიწყო უკვე ცნობილი მოსაზრებებით შექმნილი ჩემი ნეოლოგიზმებიც. მე მიმაჩნია, რომ მწერალი, რომელიც რაიმე ახალს არ შეიტანს ნაციონალურ მემკვიდრეობაში, შორს ვერ წავა. რუსთაველი, დანტე და შექსპირი ენის რეფორმატორები იყვნენ უწინარეს.

ახლა, როცა თვალს ვავლებ განვლილ გზას, ვფიქრობ, რომ ვცადე და მგონი, მივალწიე კიდევ აღმოსავლური და დასავლური რომანისტული სტრუქტურების სინთეზს. მე არ შევეუწინდი აღმოსავლური ლიტერატურის დიდძალი ცნობილ პათეტიზმს და ზომიერად გამოვიყენე იგი.

ვფიქრობ, ჩემი წვლილი შევიტანე ქართული პოეტური პროზის შექმნაში. გარესამყაროს ობიექტურად წარმოსახვის კლასიკურ პრინციპს მე დავუკავშირე მძლავრი სუბიექტური საწყისები.

— თქვენ ძალიან ბევრი გვიმუშავიათ ისტორიულ მასალაზე, მაგრამ ამჯერად მაინტერესებს, როგორია თქვენი მეთოდი ცხოვრებასა და ადამიანებზე უშუალო დაკვირვებისა?

— მოგესხენებათ, რომ ახალგაზრდობაში, ფეხით თუ ცხენით, რამდენჯერმე მაქვს შემოვლილი მთელი საქართველო, გულდასმით ვსწავლობდი ყოველივეს, — რელიეფს, პეიზაჟს, მთებს, ველებს, მინდვრებს, ვსწავლობდი სხვადასხვა მხარეს, კუთხეს, ზნე-ჩვეულებას. მეზადურებთან ერთად ვთევზაობდი, მონადირეებთან ერთად ვნადირობდი. მათსავით ძველი წულა-მესტი და შემოფლეთილი ჩოხა-ახალუხი მეცვა. მეც მათი ცხოვრებით ვცხოვრობდი, ვათენებდი და ვლამებდი. მცოდნეთ ვეკითხებოდი თვითელი მცენარისა და ყვავილის, თევზისა და ნადირის სახელს. ვისმენდი სხვადასხვა დიალექტზე წარმოთქმულ მათ სახიერ ქართულს, მათი ცხოვრების ავსა და კარგს, მათ თავგადასავალს. ადამიანისაგან მწერალი მაშინ ისწავლის რამეს, როცა მისი მოსაუბრე ბუნებრივია და გულწრფელი. ხოლო კაცი ბუნებრივი და გულთბილია შეიძლება იყოს მხოლოდ თავის მსგავს ადამიანთან. ახლა რომ გავიდე ხალხში და ვთქვა — ცნობილი მწერალი ვარ, აკადემიკოსი, ცხადია, ვერაფერს შევიძინე, რადგან ადამიანები თავიანთი ბუნებრივი სახით უკვე აღარ, თუ ვეღარ მეჩვენებიათ. ხალხში ყოფნა. მათი ცხოვრებით ცხოვრება, მწერლის დაკვირვებისა და სულიერ სიღრმეებში წვდომის თანდაყოლილი უნარი, დაუოკებელი სურვილი ყოველივეს ნახვისა და შესწავლისა, — აი რა არის, რა ქმნის, ჩემი აზრით, მწერლის ჰიდრარ გამოცდილებას, მასალას მისი წიგნებისათვის. და რაკი ადამიანი არც ისე სწრაფად და იოლად იცვლება, ისტორიულ რომანებში გამოყვანილი ადამიანების ხასიათებისა და ბუნების ხატვისას პირველწყარო მაინც შენი ცხოვრებისეული გამოცდილებაა. და ეს გამოცდილება აქაც უტყუარია.

— თქვენს ნაწარმოებებში რომელი მიგაჩნიათ ყველაზე სრულქმნილად?

— დედა სწორედ იმიტომია დედა, რომ ის სრულქმნილების მიხედვით არ არჩევს თავის შვილებს. ჩემს წიგნებსა და ნაწარმოებებს, დიდსა თუ მცირეს, ყველას მივაგე, რაც კი შემეძლო.

— ვინ გიყვართ ყველაზე მეტად თქვენი გმირებიდან და თუ მოგნატრებიან რომელიმე მათგანი?

— გიორგი პირველი, თარაშ ემხვარი, ნიანია ბაკურიანი, კონსტანტინე არსაკიძე, არზაყან ზვამბაია, შორენა და თამარი, მარიამ დედოფალი, გიორგი ჭყონდიდელი. ახლობელით მომნატრებია დავითი. განსაკუთრებული სიყვარულით მიყვარს ლუკაია ლაბაზუა.

— რა განიჭებთ ყველაზე მეტ სიხარულს პირად ცხოვრებაში?

— ჩემი შვილიშვილი, პატარა კონსტანტინე.

— გაქვთ რაიმე დაწერილი, თქვენთვის მხიშვნელოვანი და სასიამოვნო, მაგრამ გამოუქვეყნებელი?

— არა, რაც კი დავწერე ყოველივე გამოვაქვეყნე.

— გულსხმობთ თუ არა კონკრეტულად ვისმე თქვენს პირველ და საუკეთესო მკითხველად?

— კონკრეტულად არავის. ისე, რა თქმა უხდა, ყოველ ქართველ ქაქცხ  
ბოლო დროს ჩემი პირველი და საკმაოდ „მკაცრი ცენზორები“ არიან ჩემი  
მეუღლე და ვაჟი.

ეროვნული  
გინელოგიური

— რომელი ქართველი მწერლის ტრადიციათა გამგრძელებლად მიგაჩ-  
ნიათ თქვენი თავი?

— არც ერთი ქართველი მწერლის ტრადიცია არ გამგრძელებია უშუა-  
ლოდ. მაგრამ მათი ცხოვრება და შემოქმედება ჩემს პირად გამოცდილებად  
მიმაჩნია.

— რაში ხედავთ მწერლის ორიგინალობასა და მნიშვნელობას?

— მართო ორიგინალობას დიდი ფასი არა აქვს. ლაპარაკი ღირს მხოლოდ  
იმ მწერალზე, რომლის შემოქმედება ორიგინალურიცაა და მნიშვნელოვანიც.  
ორიგინალურია მწერალი, თუ მიჯნას უდებს ძველს და თავად ქმნის ახალ ტრა-  
დიციას, ახალ მხატვრულ სამყაროს, ახლებურად გადასჭრის ძველს ან თვი-  
თონ წამოაყენებს ეროვნულ პრობლემატიკას, რომელსაც საკაცობრიო მნიშ-  
ვნელობა ექნება. იგი მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ შობს და ქმნის თავის  
მკითხველს. ეს მკითხველი თავისი ეპოქის უმაღლესი კულტურისა და განათ-  
ლების დონეზე უნდა იდგეს.

— რომელ ქართველ მწერალს ადევნებთ თვალს და აქცევთ ყურადღე-  
ბას?

— მე დიდი ინტერესით ვადევნებ თვალყურს გიორგი ლეონიძის მუშა-  
ობას, როგორც პოეტისა და პროზაიკოსის, ისე მკვლევარისას. ასევე დიდ ყურ-  
ადღებებს ვაქცევ ირაკლი აბაშიძის პოეტურ შემოქმედებას, ყოველ ახალ  
ლექსს, მახარებს მისი საზოგადოებრივი, ჰუმანიტარულ მამულიშვილური, ერის-  
კაცური საქმიანობა.

ბოლო დროს გიორგი შატბერაშვილმა მიიქცია განსაკუთრებული ყურად-  
ღება: ის უკვე მტკიცედ გამოვიდა ჰუმანიტარულ დიდი მწერლობის გზაზე და  
რომ დაეცოდა, დარწმუნებული ვარ, მრავალჯერ გაგვახარებდა როგორც  
მწერლებს, ისე მკითხველებს. ძალზე დიდი დანაკლისი განიცადა ჩვენმა მწერ-  
ლობამ.

— რომელ ახალგაზრდა პროზაიკოსზე ამყარებთ იმედს?

— რევაზ ჯაფარიძეზე, ლადო მრელაშვილზე, რევაზ ჰეიშვილზე და მრ-  
ვალ სხვაზე, რომელთაც არ დავასახელებ მათივე ინტერესებიდან გამომდი-  
ნარე.

— ახალგაზრდა პოეტებიდან ვინ მოგწონთ?

— დიდად მომწონს მუხრან მაჭავარიანისა და შოთა ნიშნიანიძის ლექ-  
სები. ძალიან მიყვარს გაბრიელ ჯაბუშანური, როგორც კაცი და როგორც  
პოეტი. ჩემი განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა მუდამ ეკუთვნის  
ჩვენს ბრწყინვალე პოეტსას ანა კალანდაძეს.

— ხელოვნების ჟანრებიდან რომელი გიყვართ ყველაზე მეტად?

— ფერწერა და ქანდაკება, შემდეგ მუსიკა.

— უკანასკნელ ხანს ზოგიერთებს აეჭვებს თეატრის მომავალი. თქვენ ხომ  
არაფერს იტყობთ ამის თაობაზე?

— ჩემი აზრით, ასეთი ეჭვი უსაფუძვლოა. თეატრი იარსებებს მანამ,  
სანამ არსებობს დრამატურგია, პოეზია და, საერთოდ, მწერლობა. თეატრი  
დაძლევს მოჩვენებით კრიზისს, რადგან თეატრალური ხელოვნება ერთ-ერთი  
უმაღლესია პოეზიის დარგთა შორის.

— კინო გიყვართ?

— არა. მე მგონი კინო აღუწებს ადამიანის ფანტაზიას, უკარგავს მას



წვდომის, გაგების, მიხვედრის სურვილს, რადგან ყოველივე მზამზარეულად ეძლევა.

— რომელი თანამედროვე უცხოელი მწერლის გაცნობა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვანად? — ფოლკნერის, მანის, დოს პასოსის, ჰემინგუეის. პოეტებიდან კი, ცხა-  
დია, ელიოტის.

— თქვენ რამდენჯერმე ერთგვარი ნიპილიზმით მოიხსენიეთ ერიპ მარია რემარკი. ამავე დროს, ქართველი მკითხველი პირველად თქვენი ცნობილი თარ-  
გმანით გაეცნო მას. შეიცვალა რამე თქვენს დამოკიდებულებაში ამ მწერლის შემოქმედებასთან?

— მე არ ვთვლი რემარკს დიდ მწერლად. ის არის უდაოდ ნიჭიერი, ჟურ-  
ნალისტის ტიპის ბელეტრისტი. „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ გამოქ-  
ცემლობის თხოვნით ვთარგმნე. მაშინ უფრო მომწონდა კიდევ. ხანდახან  
გწყინს, როცა უგემოვნო, მაგრამ საკმაოდ მომრავლებული მკითხველი ფეტი-  
შად აქცევს შედარებით მეორეხარისხოვან უცხოელ თუ საკუთარ მწერალს  
და ვერ სწვდება ნამდვილ ტალანტსა და ნამდვილად დიდ შემოქმედს.

— თქვენ ხშირად გადარებენ მიხეილ ჯავახიშვილს. ხომ არაფერს მეტყობით  
ამის თაობაზე?

— ლიტერატურაში ჩახედული კაცისთვის თვალში საცემი უნდა იყოს  
აბსოლუტური სხვადასხვაობა ჩემი და მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებისა.

მე დიდ პატივს ვცემ მიხეილ ჯავახიშვილს, როგორც მშვენიერ შოქარ-  
თულეს, საუცხოო მოთხრობების ავტორს, ნოველისტს, ტიპებისა და ხასიათ-  
ების იშვიათ მხატვარს. მასთან შედარება ყველასათვის სასიამოვნო უნდა იყოს.

— ერთ დროს თქვენ ეპკვის თვალით უცქერდით ჟურნალისტებს, განსაკუთ-  
რებით რეპორტიორებს. დღემდე ამ აზრისა ხართ?

— მცირე გამოჩაქვსის გარდა.

— რა აზრისა ხართ ქართულ კრიტიკაზე, არა თქვენს შემოქმედებასთან და-  
მოკიდებულებაში, არამედ მისი დონის მხრივ საერთოდ?

— ჩვენ კარგი კრიტიკოსები გვყავს. ბოლო წლებში მოვიდა ნიჭიერი ახალ-  
გაზრდობა. მათ წერილებში მე მომწონს თავისთავადობა, ის, რომ მათი კრიტიკა  
საინტერესოა არა მხოლოდ რომელიმე ნაწარმოების შეფასებისა და ანალიზის  
თვალსაზრისით, არამედ თავისთავადაც. ცხადია, ისეთ მცირერიცხოვან ერში,  
როგორც ქართველი ერია, სადაც ყველა ყველას ნათესავი ან კარგი ნაცნობი  
მანც არის, ძნელია პირუთვნელი კრიტიკოსობა. ზოგიერთს ჰგონია, რომ კრიტი-  
კოსის პროფესია იგივეა, რაც დალაქისა.

— ვის მისცემდით რუსთაველის პრემიას დღეს მწერლობასა ან ხელოვნე-  
ბაში?

— ასეთი სურვილის გამჟღავნებაც კი შეიძლება საზიანო იყოს. ძალიან  
ცუდი იქნება თუ ვინმე ერთი კაცის ნება განსაზღვრავს ოდესმე ისეთი პრემი-  
ის გაცემას, როგორცაა რუსთაველის პრემია.

— დრო პრემიიდან პრემიამდე ძალიან მცირე ხომ არაა, ხომ არ გაუფასურ-  
დება პრემია თხუთმეტი-ოცი წლის შემდეგ?

— არა მგონია. ჩვენი ხალხი იმდენად ნიჭიერია, მისი ეროვნული გენია  
იმდენად მრავალფეროვანი და ღრმაა, რომ ძნელი დასაჯერებელია რუსთავე-  
ლის პრემიის გაუფასურება. მხედველობაშია მისაღები, ამასთანავე, ჟიურის  
კომპეტენტურობა და პრინციპულობა.

— რას თვლით ქართველი კაცის საუკეთესო თვისებად, რა მიგაჩნიათ  
დასაგმობად?

— ქართველი კაცის საუკეთესო თვისებებად მიმაჩნია ნიჭიერება და ვიწროკაცობა, საკუთარი ღირსების გრძნობა. ვგმობ ზოგიერთი ქართველის უპრინციპობას, ქედმიდლობას, კოსმოპოლიტობას, სიზარმაცეს და წესრიგის უპატივცემლობას.

— რას უფრო აფასებთ, განსწავლულობას თუ ინტუიციას?

— იდეალური მდგომარეობაა, როცა ორივეთია მომადლებული კაცი.

— რა მიგაჩნიათ ადამიანის ბედნიერებად?

— თავისუფლება და შექმნის უნარი.

— კმაყოფილი ხართ თქვენი ცხოვრებით, განვლილი გზით?

— კმაყოფილი. ბევრი ვიტანჯე, ბევრი ვიშრომე, ბევრი ვიბრძოლე, სიზარულიც ბევრი მინახავს.

— რომელ ქვეყნებს ნახავდით ხელმოკრედ?

— კიდევ მრავალჯერ დიდი სიზარულით შემოვივლიდი საქართველოს. სიამოვნებით ვნახავდი მრავალ ქალაქს, მათ შორის, პარიზსა და რომს.

— რა მიგაჩნიათ თანამედროვეობის ყველაზე უფრო მტკიცენი საკითხად?

— ზრუნვა ადამიანისა და კაცობრიობის ბედზე.

— კოსმოსის ამბები თუ გაინტერესებთ?

— ძალიან. დიდად საინტერესო ამბები ხდება. მე მჯერა, რომ კოსმონავტიკა ახალ სამყაროებს გაგვაცნობს და ახალ იდეალებსაც მოგვიტანს.

— ქართულ სპორტზე ხომ არაფერს მეტყობდით?

— სპორტის განვითარება მეტად საჭირო, სასარგებლო და აუცილებელი საქმეა. მაგრამ ის შუღლისგან მუდამ თავისუფალი უნდა იყოს. სპორტსმენებმა უნდა იცოდნენ, რომ ყოველ პროფესიას, და განსაკუთრებით სპორტს, ჰიგიენა ესაჭიროება. ჩვენმა ფეხბურთელებმა ვაისთირონ სვანეთში და იქ გაიგებენ, რომ სვანი მონადირე, ნადირობის წინ მთელი ერთი კვირა არ ეკარება ქალსა და ღვინოს. ჩვენმა „ოქროს ბიჭებმა“ ეს ვერ შეიგნეს და დაისაჯნენ კიდევ. გარდა ამისა, სპორტი, საბოლოოდ, ერის სულიერი კულტურის ზრდას უნდა ემსახურებოდეს. საწყენია, რომ ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელებს უფრო კარგად იცნობს, ვიდრე მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ცნობილი შეგონება: კეისარს კეისრისა. ეს არ უნდა დაავიწყდეს არავის, არც კულტურის და არც პრესის მუშაეებს. განა მოსაწყენი არაა ფეხბურთზე გაუთავებელი მსჯელობა და ლაპარაკი, როცა სხვა უფრო ღირსეული და მნიშვნელოვანი ჩრდილში გრჩება?

— ხომ არაფერს დამაბარებდით ჩვენი ყურხალის რედაქციასთან და მკითხველებთან?

— წარმატებისა და გამარჯვების გულწრფელ სურვილებს. „ცისკარს“ დიდი ყურადღებით ვადევნებ თვალს. ჩემის აზრით, ყურხალის რედაქცია მზარს უნდა უჭერდეს სიახლეს, გონიერ ძიებასა და აუცილებელ ექსპერიმენტს, მაგრამ უნდა ერიდებოდეს უნიჭობას. ვიცი, ძნელია უნიჭობასთან ბრძოლა, მაგრამ, აუცილებელია. ამას გარდა, რედაქციას ჩემზე უკეთ ეცოდინება, რომ ყოველი მკითხველი თანამედროვე ახალგაზრდა ქართული ინტელიგენციის გონსა და ნიჭიერებაზე ყურნალ „ცისკართაც“ მსჯელობს. ყურხალი, ალბათ, გაზრდის თავის ტირაჟს. ასეთი ყურხალისათვის ათი ათასი ძალზე მცირეა. იმედი მაქვს, მისი ტირაჟი სამჯერ მაინც გაიზრდება. ეს დამოკიდებული იქნება ყურხალში გამოქვეყნებული მასალების ხარისხზე.

— დიდი მადლობა გულთბილი მიღებისა და საუბრისათვის.

— ჩემი მადლობაც გადაეცით „ცისკარს“ რედაქციას ყურადღებისათვის.





## არა მხოლოდ ჰეპატიტის მასწავლებლები...

— გთხოვთ გვიამბოთ, რა პრობლემებზე მუშაობთ ამჟამად?

— კლინიკა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ძირითადად სმენის ორგანოს ქირურგიის საკითხზე მუშაობს. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ოტოსკლეროზით დაავადებულთა მკურნალობას. ოტოსკლეროზის დროს ადამიანს უჭვეითდება სმენა, რადგან ბგერის ტალღები სასმენ ნერვამდე ნორმალურად არ ვრცელდება. ამას იწვევს ერთ-ერთი სასმენი ძვლის—უზანგის უმოძრაობა. ამ საკითხზე დიდი შრომა გავწიეთ. სამედიცინო პრაქტიკაში წარმატებით დაინერგა უზანგის ოპერაციის ახალი წესები.

უზანგის ოპერაციას ვაკეთებთ ევრეთ წოდებული მენიერის დაავადების დროსაც, რომელსაც ძლიერი თავბრუსხვევის შეტევები და სმენის დაქვეითება ახასიათებს. ამ დაავადებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შიგნითა ყურის დაცვას ქირურგიული ტრავმისაგან. თუ შიგნითა ყური, სადაც მოთავსებულია სასმენი ნერვის დაბოლოებები, ოპერაციის დროს არ დაზიანდა, ავადმყოფს არ დაუჭვეითდება სმენა, პირიქით, შეიძლება გაუუმჯობესდეს კიდეც. ამ მიზანს ემსახურება ჩვენს კლინიკაში შემუშავებული ოპერაციის ორმოცდამეცხრე წესი.

სმენის ორგანოს ქირურგიის საკითხებზე წარმატებით მუშაობენ ჩვენს კლინიკის თანამშრომლები. სწორედ ამ მუშაობის შედეგებია წარდგენილი ოტოლარინგოლოგთა მსოფლიო კონგრესზე, რომელიც წელს ტოკიოში შედგება. ჩვენმა კლინიკამ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთმა პირველმა მიაღწია მიკროსკოპული ოპერაციების კინოგადაღებას.

— რას იტყვით კიბოს შესახებ?

კიბოს მკურნალობა მედიცინის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. ამ პრობლემის გადაწყვეტა უმთავრესად ონკოლოგების ამოცანას წარმოადგენს. მაგრამ სხვადასხვა ორგანოთა ავთვისებიანი სიმსივნეების ამოცნობა და მკურნალობა ყველა სპეციალისტის ფქიმს უხდება. ამიტომ უკეთესი იქნება, თუ კონკრეტულ საკითხზე, ხორხის კიბოზე ვილაპარაკებთ.

ამ ათიოდე წლის წინათ ჩვენს კლინიკაში დაამუშავდა ხორხის კიბოს ოპერაციის შემთხვევებში ქსოვილთა მთლიანობის აღდგენის ახალი წესი. ეს წესი დანერგულია საბჭოთა კავშირის ბევრ კლინიკაში. ხორხის კიბოსთან ბრძოლის პრობლემა ამ დაავადების დროული ამოცნობის პრობლემაა. სამწუხაროდ, მრავალი ავადმყოფი მოგვმართავს დაგვიანებით, როცა შველა შეუძლებელია ან ძალიან დიდ და დამასახიჩრებელ ქირურგიულ ჩარევას მოითხოვს.

— გვინტერესებს, პირადად თქვენ რა მიზანიათ ხორხის კიბოს გამომწვევ მიზეზად?

— ხორხის კიბოს, ისევე როგორც საერთოდ კიბოს, გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. ვარკვეულ როლს ვირუსები უნდა თამაშობდეს. ადგილობრივ გამაღიზიანებელ ფაქტორებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კიბოს განვითარებას ხელს უწყობს თამბაქოს წევა, ინფექციურ დაავადებათა გადატანა, მწვავე და გამაღიზიანებელი საკვები...

თამბაქოს წევაზე კი შემდეგი უნდა ითქვას: ქალებში ხორხის კიბოთი დაავადება ძალიან იშვიათია. მაგრამ ამ ავადმყოფობით დაავადებული თითქმის ყველა ქალი თამბაქოს მწვეელია. რაც შეეხება ფილტვის კიბოს, დამტკიცე-



ბულია, რომ მისი გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი თამბაქოს წიგნავფიქრობ, ეს მოსაზრება დადასტურდება ხორხის კიბოს მიმართაც. უკანასკნელი მონაცემებით თამბაქოს ჭარბად მწვევლთა შორის ფილტვის კიბოს ვადება 55-ჯერ უფრო ხშირია, ვიდრე არამწვევლებში.

საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში, აჭარასა და სამეგრელოში ფრიალ გავრცელებულია ხორხის ზედა ნაწილის კიბო. აღსანიშნავია, რომ ხორხის კიბოთი დაავადება ხშირია სამხრეთ ამერიკაშიც, განსაკუთრებით ინდიელთა იმ ტომებში, რომლებიც ჭარბად ხმარობენ პილბილს. გამაღიზიანებელი საკვები ხორხის კიბოს გაჩენის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს.

— რა აზრისა ხართ ჩვენს ახალგაზრდობაზე?

— ახალგაზრდობის კრიტიკა ადვილია. ჩემ მწერალ კარელ ჩაპეკს აქვს მოთხრობა, რომელშიც ქვის ხანის ადამიანებია ასახული. ნაწარმოებში უფროსი თაობის წარმომადგენლები აკრიტიკებენ ახალგაზრდებს იმის გამო, რომ ისინი ცხვრის ქურქს ახალ ყაიდაზე ატარებენ.

ყოველ თაობას თავისი სპეციფიკური ნიშანთვისება და ინტერესები გააჩნია. ქართველი ახალგაზრდების დღევანდელი თაობის ნიშანდობლივი თვისებებია განათლების მაღალი დონე. მათ ბევრი რამ იციან, ფლობენ უცხო ენებს, იცნობენ სხვა ქვეყნების კულტურას, აინტერესებთ ტექნიკური სიახლენი, მათემატიკა, ფიზიკა და სხვა. ბევრი გვყავს ისეთი ახალგაზრდა, რომელთაც ღრმა მეცნიერული ცოდნა და ფართო ზოგადი განათლება აქვთ. ახალი თაობა გაცილებით იოლად აღწევს ყველაფერს, ვიდრე წინა თაობები. ეს კი ახალ პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს ქმნის. ზოგჯერ მოშობლები არასწორად აფასებენ შვილების ნიჭსა და უნარს. ამას კი გარკვეული უარყოფითი შედეგი მოაქვს. ახალგაზრდობის ერთ ნაწილს ნაკლებად აქვს დამოუკიდებლობის, პასუხისმგებლობის გრძნობა. იქ, სადაც ამ ტენდენციებს არ ებრძვიან, საქმე ნიპილიზმამდეც მიდის. ეს გადამდეგი სენია, რომლის წინააღმდეგაც აუცილებელია შეუხელებელი ბრძოლა. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიმაჩნია აგრეთვე პრინციპულობისა და ობიექტურობის დაცვა ახალგაზრდობის აღზრდის და მისი წინსვლის ყველა ეტაპზე.

— რას იტყვით მედიცინის ახალი კადრების მომზადების გაუმჯობესების ფორმებზე?

— განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის დაწინაურების საკითხი. ამ ბოლო დროს ხშირად იმართება დისკუსიები სამეცნიერო ხარისხის მინიჭების არსებულ წესზე. კრიტიკოსების როლში გამოდიან ნაკლები ავტორიტეტის მქონე მეცნიერები, რომელთა სიტყვებში ბევრი რამ არის რაციონალური, მისაღები, მაგრამ მათ აკლია მეცნიერული დამაჯერებლობა, დასაბუთება. ვფიქრობ, დადგა დრო შეიცვალოს სამეცნიერო ხარისხების მინიჭების ახლანდელი წესი, რადგან იგი ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ახალგაზრდა მეცნიერთა ცოდნის სწორ შეფასებას.

ყოველი სუსტი დისერტაციის წარმატებით დაცვა ახალგაზრდობის მორალზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენმა საზოგადოებრიობამ, ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ტრადიციები, მისი მომავალი.

აქვე უნდა დავუმატოთ ერთი რამ: კლინიკა ექიმებისათვის მეცნიერული აზრის სკოლას წარმოადგენს. ამ რამდენიმე წლის წინათ შემუშავდა პროექტი, რომლის თანახმადაც კლინიკის ყველა თანამშრომელი, გარდა ხელმძღვანელისა, გარკვეული ვადით უნდა ყოფილიყო დანიშნული. ახალგაზრდა ექიმი, რომელმაც იცის, რომ მხოლოდ ორი-სამი წლით უწევს მუშაობა კლინიკაში და





მერე იქ იმ შემთხვევაში დარჩება, თუ ამ ხნის განმავლობაში გამოამქლავნებს საქმისადმი ინტერესს, მეტი მონდომებით იმუშავენს. იქ, სადაც ასეთი სისუსტეა გატარებული, სპეციალისტთა კადრების მომზადება უფრო მაღალ დონეზე დგას.

— შეიძლება თუ არა სპეციალისტი მხოლოდ თავისი ვიწრო სპეციალობით შემოიფარგლოს?

— ამ საკითხზე სხვადასხვა აზრი არსებობს, ძირითადად ორ ტენდენციას აქვს ადგილი.

ჩემი სპეციალობა, მაგალითად, ოდესღაც ვიწრო სპეციალობად ითვლებოდა. დღეს კი არიან წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც მხოლოდ ყურის ან ხორხის დაავადებას მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლობენ. არსებობს მეორე ტენდენცია: სამეცნიერო ინფორმაციის უზომო გაფართოება. ვიწრო საკითხზე მომუშავე სპეციალისტს ძალიან ბევრი რამ სჭირდება ინფორმაციის ამ უზომო ნაკადიდან. თავის სპეციალობაში წარმატებით მუშაობისათვის მან ბევრი რამ უნდა იცოდეს ფიზიკიდან, აკუსტიკიდან, ფიზიოლოგიიდან, უნდა ერკვეოდეს სხვა სამეცნიერო დისციპლინათა მიღწევებში, უნდა იცნობდეს ახალ სამკურნალო ნივთიერებებს. ამრიგად, სპეციალიზაცია არ გამოირიცხავს საერთო საეჭირო და ფართო განათლებას. სპეციალისტი ახალ ინფორმაციაში რომ გაერკვეს, უნდა იყოს ზოგადად განათლებული ადამიანი. მაგალითად, წარმოუდგენელია უცხო ენათა ცოდნის გარეშე წარმატებით მუშაობა. ამასთან, ადამიანი, რომელიც იცნობს ზელოვნებას, ლიტერატურას, არ ჩაიკეტება თავის ვიწრო სპეციალობაში, რადგან მრავალმხრივი განათლება მას განზოგადების ჩვევებს უწვითარებს.

— თქვენი აზრით, რა პერსპექტივები აქვს მედიცინისა და კიბერნეტიკის ურთიერთობას?

— კიბერნეტიკას უდიდესი პერსპექტივები აქვს. მაგალითად, ჩემს დარგში კიბერნეტიკის პრინციპებს იყენებენ სმენის ორგანოს მუშაობის ასახსნელად, აგრეთვე აკუსტიკური აპარატურის, კერძოდ, ბგერის გამაძლიერებელთა შესაქმნელად. თერაპევტებს უკვე აქვთ სპეციალური მანქანები, რომლებიც დიაგნოზს სვამენ. ცხადია, კიბერნეტიკული მანქანა ვერასოდეს ვერ შეედრება ადამიანს შემოქმედებითი უნარის თვალსაზრისით, მაგრამ ზოგი რამით უკვე სჯობნის კიდევაც. იგი უფრო ჩქარა წყვეტს მათემატიკურ ამოცანებს, უფრო სწრაფად აგროვებს ინფორმაციას. უდავოა, ასეთი მანქანები მომავალში უფრო სრულყოფილი იქნებიან. სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია ისეთი მანქანების შექმნა, რომლებიც დაეხმარებიან ქირურგს ოპერაციების დროს, შეასრულებენ ოპერაციის გარკვეულ ეტაპებს ან ზოგიერთ ოპერაციებსაც. ყოველივე ამის შემდეგ ასეთი პრაქტიკული დასკვნის გამოტანა შეიძლება: რა დარგშიც არ უნდა მუშაობდეს ახალგაზრდა, იგი კარგად უნდა დაეუფლოს მათემატიკას.

— ხელოვნების რომელი დარგი გიყვარს?

— მიყვარს მხატვრული ლიტერატურა, განსაკუთრებით თანამედროვე კინო, თეატრი, მხატვრობა.

— რას უსურვებდით ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციას, მის მკითხველებს?

— ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციას, ჩემი აზრით, მართებს უფრო მკიდრო კონტაქტი ახალგაზრდობასთან. მის ფურცლებზე სისტემატურად უნდა დაეთმოს ადგილი მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის წერილებს, ვინაიდან ამჟამად იშლება ზღვარი ჰუმანიტარულ და ტექნიკურ მეცნიერებებს შორის. ამისი მაგალითია ლინგვისტიკაში კიბერნეტიკის შეჭრა და ა. შ.

დიდად სასარგებლო უნდა იყოს ყურნალში უფროსი თაობის წარმომადგენელთა თანამშრომლობა, მაგრამ, ჩემი აზრით, უფროსი თაობა მარტო მენტორისა და ქუყის დამრიგებლის როლში როდი უნდა გამოდიოდეს, არამედ გაზრდობას შეგობრული, გულითადი რჩევა სჭირდება და არა მხოლოდ ქუყის სწავლება.

## გიორგი მელიქიძე:

### საჭიროა მმბი სითამამე

— გვინტერესებს, თუ რა საკითხებზე მუშაობთ ამ ბოლო დროს?

— ერთ-ერთი დიდი სამუშაო, რომელიც მე უახლოეს ხანში მოქმედის, არის „საქართველოს ისტორიის“ ხუთტომეულის პირველი ტომი, რომლის მომზადების ხელმძღვანელობაც მე დამეკისრა. ტომი მოიცავს საქართველოს ისტორიის უძველესი ხანიდან საქართველოში ფეოდალური წყობილების გამარჯვებამდე (ახ. წ. VI საუკუნე). ივარაუდება, რომ მკითხველს გასაგები, პოპულარული ნარკვევების სახით უნდა მივაწოდოთ ჩვენი მეცნიერების დღევანდელი დღის შესაფერი მასალა. მაქვს სხვა სამუშაოც, სხვა გეგმებიც, მაგრამ მათ შესახებ საუბარი მაშინ აჯობებს, როდესაც გარკვეულ შედეგებს შივილებ.

— ქართველი ხალხის წარმოშობაზე არსებულ მოსაზრებებს შორის რომელი მიგაჩნიათ ყველაზე უფრო მართებულად?

— ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხი ერთ-ერთი ურთულესი საკითხია დღევანდელ მეცნიერებაში. ძირითადად ამ საკითხს მივუძღვენი სულ რამდენიმე თვის წინათ გამოსული წიგნი „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის“ (გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1965). წიგნში შეფასებული მაქვს ამ საკითხზე აქამდე არსებული მოსაზრებები და ზოგი საკუთარი აზრიც მაქვს გამოთქმული.

— მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების ობიექტურ შეფასებაში რა როლს თამაშობს სუბიექტური ფაქტორები (საკუთარი ერის ისტორია, ესა თუ ის პოლიტიკური წყობა და მიმართულება)?

— რა თქმა უნდა, ისტორიკოსზე, რომელიც მოვლენათა გაშუქებას ახდენს, ბევრი გარემოება მოქმედებს. იგი აუცილებლად ამოდის ამა თუ იმ ფილოსოფიური, ისტორიულ-ფილოსოფიური წანამძღვრებიდან. პოლიტიკური მრწამსი, ეროვნული კუთვნილება და ბევრი სხვა რამ აგრეთვე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ისტორიული მოვლენებისადმი მის მიდგომას. საკითხისადმი სხვადასხვა თვალსაზრისით, სხვადასხვა მხრით მიდგომა კი ხშირად სულ სხვადასხვანაირი სურათის მომცემია. ამგვარი „სუბიექტური“ ფაქტორების დაძლევა მით უმეტეს რთულია, რომ მკვლევარი თვითონ ჩვეულებრივ დარწმუნებულია თავის სრულ ობიექტურობაში. ყველაფერი ეს როდი ნიშნავს, რომ ისტორია ამგვარ სუბიექტურ მსჯელობათა სამოქმედო ასპარეზია მხოლოდ. ამ სუბიექტურ მიდგომათა ლაბირინთში, ისევე როგორც სხვა შეცხიერებაშიც, ძლევაამოსილად იკვლევს გზას ობიექტური კეშმარტება, ხდება ისტორიულ კანონზომიერებათა განსაზღვრა, ყოველი ისტორიული ფაქტისა თუ მოვლენისათვის განვითარების ერთიან ჯაჭვში სათანადო ადგილის მიჩხევა.

— რა აზრისა ხართ იმის თაობაზე, რომ ქართველურ ენებს ზოგჯერ ინდო-ევროპულ ენათა ჯგუფს აკუთვნებენ?

— ძველად, ამ ასი და მეტი წლის წინათ, მართლაც იყო გამოთქმული იგივე მოსაზრებები. ახლა ამას არავინ ამტკიცებს. უკანასკნელ დროს მხოლოდ გამოითქვა აზრი ქართველური ენების უძველესი საერთო წინაპარი ენის (ფუძე-ენის) სტრუქტურულ სიახლოვეზე უძველესი ინდო-ევროპულის სტრუქტურასთან. ეს მოვლენა სულ სხვადასხვა საფუძველზე შეიძლება იყოს აღმოცენებული. მეორეა მხრივ, ყურადღებას იქცევს ქართველურ ენებში ამ საში და მეტი ათასი წლის წინათ შემოსული ინდო-ევროპული სიტყვების არსებობა. ეს შეიძლება ამ უძველეს ხანებში ქართველური და ინდო-ევროპული ტომების მჭიდრო კონტაქტის ან მათი შერევის შედეგი იყო.

— რამდენად იცნობენ ქართველ ისტორიკოსთა შრომებს საზღვარგარეთ?

— ჩვენი ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეთნოგრაფების შრომებს კარგად იცნობენ საზღვარგარეთ. უკანასკნელ წლებში არც ერთი საერთაშორისო კონგრესი არ ჩაივლის მეცნიერების ამ დარგებში ისე, რომ ქართველი მეცნიერები არ მონაწილეობდნენ მასში. საზღვარგარეთ არცთუ იშვიათად იბეჭდება ჩვენი მეცნიერების ნაშრომები. სამწუხაროდ, საზღვარგარეთ სათანადოდ მინიჭ არ იცნობენ იმ დიდ მუშაობას, რაც ჩვენში წარმოებს. ისტერიკი კი უცხოელ მკვლევართა შორის საქართველოს ისტორიისადმი, ძველი ქართული საისტორიო წყაროებისადმი, ქართული ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალისადმი ძალზე დიდია.

— ვინ არის თქვენი საყვარელი პროზაიკოსი ან პოეტი?

— როგორც ყველა, მეც სასკოლო ასაკიდან გატაცებული ვიყავი გლაკტიონ ტაბიძით. საერთოდ, ქართული პოეზია შეუდარებელია, ხამდვილად გახსაკუთრებული მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურაში. ლექსის ტექნიკით ქართველი პოეტების ახლანდელი თაობაც დიდად გამოირჩევა. კოხკრეტულად ცალკეული მწერლების შესახებ ჩემი არაკომპეტენტური აზრის უუხრახლის ფურცლებზე დასტამბვას ვერ ვაგებდავ.

— რომელი ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის ბოლოდროინდელ ნაშრომს მისცემდით მაღალ შეფასებას?

— თუ მეცნიერ-ისტორიკოსებს გულისხმობთ — უკანასკნელ დროს ქართველმა ახალგაზრდა ისტორიკოსებმა ბევრი საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნეს. სამწუხაროდ, ისინი. როგორც წესი, გაუბრძან დიდ საკითხებთან ჭიდილს. საამისო სურვილის გარეშე კი ადამიანი ვერც დიდ წარმატებას მიაღწევს.

— ვინ მივაჩნიათ იმედის მომცემ ახალგაზრდა ქართველ ისტორიკოსად?

— ასეთი ბევრია. მხოლოდ, როგორც ვთქვი, საჭიროა მეტი სითამაძე, მეტი დაინტერესება. ახლის თქმის მეტი სურვილი. რა თქმა უნდა, აგრეთვე თავაუღებელი. მთელი გატაცებით შრომაც და მეცნიერული კეთილსინდისიერებაც, თორემ ახლის თქმის მეტისმეტი სურვილი ადვილად შეიძლება ზღაპრების თხზვაში გადაიზარდოს.

— თანამედროვე ისტორიკოსთა შორის ვის თვლით ყველაზე დიდ მეცნიერად?

— ძალიან ძნელი კითხვაა. მსოფლიოში ამჟამად ათასობით შესანიშნავი მეცნიერ-ისტორიკოსი მუშაობს. „უპირველესი ისტორიკოსის“ სახით რომელიმე ერთის გამოყოფა ახლა, ვფიქრობ, შეუძლებელია. ძველი აღმოსავლეთის დარგში, რომელთანაც შედარებით ახლო ვდგავარ, საბჭოთა მეცნიერთაგან დიდად მზიბლავს აკად. ვ. სტრუვეს, ხოლო უცხოელ მკვლევართაგან პროფ. ა. გოეცეს ნაშრომები.

- სპორტის რომელი სახეობა გიზიდავთ?
- ვარ სპორტის დამსახურებული გულშემმატკივარი.
- რას უსურვებდით ქართველ ახალგაზრდობას?
- ახალგაზრდობას მინდა ვუსურვო მეცნიერებით, შემოქმედებითი საქმიანობით მეტი დაინტერესება, არჩეული პროფესია-საქმიანობის სიყვარული, საზოგადოებრივი და ეროვნული იდეალების პატივისცემა და სამსახური.
- რას მიიჩნევთ საჭიროდ, რომ ჩვენი ჟურნალი მკითხველებს შორის უფრო მეტი ინტერესით სარგებლობდეს?
- უფრო მეტად დაეუხუშოთ ჟურნალის კარი საეჭვო ხარისხის მწერლებს, ავტორებს, ფორმის დახვეწასთან ერთად, აზრის მეტი სიღრმე მოვთხოვოთ.



## ჟურნალ „ცისკარის“ მკითხველებს

### ამირანსო მემობრებო!

„ცისკარის“ ეს ნომერი მაშინ გამოვიდა, როცა მთელს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ხელის მოწერა 1966 წლის ჟურნალ-გაზეთებზე.

ჩვენი ჟურნალის რედაქციამ მკითხველთა ბევრი წერილი მიიღო. ისინი საფუძვლიან შეფასებას აძლევენ ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ მოთხრობებს, ლექსებს, რომანებსა თუ პუბლიცისტურ წერილებს...

რედაქცია ყურადღებით მოეკიდა მკითხველთა შენიშვნებს. ამასთან დაკავშირებით ჟურნალში საგანგებოდ შეიქმნა ახალი განყოფილებები, სადაც, გარდა მხატვრული სიტყვის ოსტატებისა, თქვენთვის საინტერესო საკითხებზე გესაუბრებიან მეცნიერები, ჩვენი კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები...

დროზე გამოიწერეთ ჟურნალი „ცისკარი“.

ჟურნალის ფასია: მთელი წლით — 7 მან. 20 კაპ.

ექვსი თვით — 3 მან. 60 კაპ.



ნორა გუგუნიძე

## რეჟისორი ეძებს თეატრს

ცნობილი ქართველი რეჟისორის ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელის შემოქმედება თეატრის სპეციალისტებისა და თეატრით დაინტერესებული ადამიანების დიდ ყურადღებას იპყრობს.

დრომ დაადასტურა ს. ახმეტელის თეატრალური იდეების ცხოველმყოფელობა. დრომვე გვიჩვენა, რა იყო წარმავალი (ძიების შეცდომებით გამოწვეული), რა მოძველდა და რა დარჩა უცვლელი მის შემოქმედებაში. ამ შემოქმედებისადმი გაზრდილი ინტერესის გამოხატულებაა მისი სპექტაკლებისა და მოსაზრებების გამო ატეხილი ცხარე კამათი.

მკითხველის ყურადღებას ამჯერად სანდრო ახმეტელის წერილების კრებულზე შევაჩერებ.

ერთად თავმოყრილმა წერილებმა და გამოსვლებმა შეაგეს ჩვენი წარმოდგენა ს. ახმეტელის შემოქმედებაზე, გვიჩვენეს რეჟისორის ძიებისა და ინტერესების სათავე, ძლიერი და სუსტი მხარეები. ამ წერილების კითხვისას ნათელი ხდება, რომ დღევანდელი ქართული

თეატრის წინაშე მდგარ პრობლემათა შორის ბევრი ს. ახმეტელმა წააოქრა.

თანამედროვე რეჟისურამ ისეთ მაღალ დონეს მიაღწია, რომ მისი შემდგომი განვითარება დამოკიდებულია არა მხოლოდ პიროვნულ ნიჭიერებაზე, ფართო ერუდიციასა და ინტუიციასზე, არამედ გარკვეულ, ნათლად ჩამოყალიბებულ თეორიულ სისტემაზე.

თუ წარსულში არსებობდა სოფოკლეს, შექსპირის, გოეთეს, მალიერის თეატრი, ანუ თეატრი მწერლობისა, ჩვენს დროში გაჩნდნენ რეჟისორების— რეინჰარტის, ანტუანის, სტანისლავსკის, ბრეჰტის, მეიერჰოლდის, მარჯანიშვილის, ვანტანგოვის თეატრები. ყოველი მათგანი, ცხადია, წარსულის გამოცდილებას ეყრდნობოდა, მაგრამ შთაგონების სათავეს ეძებდა არა წარსულში, არამედ თანამედროვე ცხოვრების თავისებურებებში, ეპოქის ატმოსფეროსა და მხატვრული ნაწარმოებებისა-



დმი თანამედროვე მაყურებლისა თუ მკითხველის შეცვლილ დამოკიდებულებებში, საკუთარ არსებებში, ტემპერამენტში და ცხოვრების ფილოსოფიაში.

მაგალითად, ფრანგულ რეჟისურაში ძალიან თავისებური და ძლიერი ფიგურაა ანტუანი, რომლის რეალისტური თეატრი უპირისპირდებოდა „კომედი ფრანსეზის“ კონსერვატულ და აკადემიურ-კლასიციან სტილს. ანტუანის შემოქმედება ფრანგულ რეჟისურაში შევიდა, როგორც მისი ორგანული ნაწილი. თეატრალური იდეების თვალსაზრისით მასთან ახლოა ჩვენი დროის დიდი რეჟისორი და მსახიობი ჟან ვილარი, მაგრამ მას თავისი რეჟისურის შთაგონება ანტუანის თეატრში რომ ეძებნა, მაშინ იქნებოდა არა ფრანგული თეატრალური საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლების სულისკვეთების გამომხატველი, არამედ მხოლოდ მიმბაძველი.

მეინენგელების თეატრმა გაამდიდრა გერმანული და საერთოდ მსოფლიო რეჟისურა მასობრივი, მონუმენტური სცენების ახლებური გადაწყვეტითა და ეპოქის შესატყვისი ისტორიული რეალების ამტყველებით. ეს მონაპოვარი შევიდა თეატრალურ ესთეტიკაში და შემდგომ ბიძგი მისცა მსოფლიოს მრავალ თეატრს, — ახლებურად შეეხედა მასობრივი სცენებისათვის; კერძოდ, მოსკოვის სამხატვრო თეატრი შექსპირის „იულიუს კეისრის“ დადგმისას ითვალისწინებდა ამ ახალ ხერხს. იგივე ითქმის რეინჰარტზე და მის „ოიდიპოს მეფეზე“. ამ დადგმაში ქოროს სცენები თეატრისათვის მანამდე სრულიად უცნობი დინამიურობითა და პლასტიკურობით იყო გადაწყვეტილი. მაგრამ გერმანული თეატრი ამჟამად ამ აღმოჩენებს იღებს, არა როგორც ესთეტიკურ მონაპოვარს, არამედ როგორც სცენის, რეჟისორული ტექნიკის მიღწევას.

ამით მინდა ვთქვა, რომ ხშირად ის, რაც წარსულში მხატვრის ესთეტიკურ კონცეფციაში შედიოდა, დროთა ვითარებაში იქცევა თეატრის ტექნიკის ელემენტად, ძირითადი ამოცანა — შე-

მადგენელ ნაწილად. ამიტომ ტრადიციულ ას ზოგჯერ ამ თვალსაზრისით უმეზღვდით.

როგორც თეატრის ისტორია და გამოცდილება გვიჩვენებს, ყველაზე საშიში რეჟისორისა და თეატრისათვის არის საკუთარი მეთოდების კანონიზაცია და მერე ამ კანონების კერპებად გადაქცევა.

კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის შემოქმედება სწორედ შინაგანი კონფლიქტების დაძლევისა და სულიერი განახლების მაგალითია. ამ ორ შემოქმედს არ ეშინოდა კრიტიკული თვალთ შეეხედა ყველაზე დიდი მიღწევისათვის და დაენახა ახალი გზა ხელოვნებაში. ამასთან დაკავშირებით მინდა გამოვთქვა ერთი მოსაზრება. იყო თუ არა შემთხვევითი ის ძლიერი შეფერხება (რომ არ ვთქვათ კრიზისი), რაც რუსთაველის სახელობის თეატრმა განიცადა ს. ახმეტელის შემდეგ; გრძნობდა თუ არა ახმეტელი მის მოახლოებას? მე მგონი, კრიზისი არ იყო შემთხვევითი და ახმეტელიც გრძნობდა, რომ რუსთაველის თეატრი მძიმე გამოცდის წინაშე დადგებოდა.

შემდეგ: დაუდგებოდა თუ არა თეატრს ეს ძნელი პერიოდი, ახმეტელი რომ დარჩენილიყო მის მესაყედ და დასცლოდა თეატრში მუშაობა?

აი, ეს საკითხი გახლავთ ყველაზე მთავარი და ძნელად ასახსნელი.

თეატრალური წარმოსახვის ის ფორმები, რითაც ს. ახმეტელმა შექმნა ბრწყინვალე სპექტაკლები — „ანზორ“, „ლამარა“, „ყაჩაღები“, „რღვევა“ — შეესატყვისებოდნენ გმირულ-რომანტიკული თეატრის ესთეტიკურ პრინციპებს. მაგრამ დრო ყოველი თეატრის წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს. ამასთან შეფარდებით იცვლება გამომსახველობითი ფორმები და საშუალებანი, იცვლება აღქმის ინტენსიურობაც. ის, რაც შექმნა ახმეტელმა, არ უნდა განვიხილოთ როგორც რუსთაველის თეატრის და თვით ს. ახმეტელის საბოლოო, დამავიჯივინებელი მიღწევა. ს. ახმეტელი ბოლომ-

დე ერთგული რომ დარჩენილიყო თავისი მეთოდების, გამოყენებული თეატრალური ფორმებისა, უეჭველია, ვერ აიცილებდა მძიმე შემოქმედებით კრიზისს.

გმირულ-რომანტიკული თეატრი ეყრდნობა ამაღლებულ, მძაფრ ვნებებსა და დაძაბულ ემოციებზე, ამაღლევებელ პრობლემებზე შექმნილ პიესებს.

**ქართულმა დრამატურგიამ კი ვერ შექმნა ასეთი პიესები.**

პირველ ხანებში, როცა თეატრი ეძებდა ახალ ფორმებს, პლასტიკური გამოშვების სახელობის. ახალ შესაძლებლობებს, რიტმის ცხოველყოფილობას, — მის რეპერტუარს საფუძვლად ედო გადმოქართულებული რუსული და ევროპული დრამა. მაგრამ ეს დროთა ვითარებაში მიუტყვევებელი იქნებოდა, ვინაიდან ეროვნული დრამატურგიის გარეშე შეუძლებელია ეროვნული თეატრის არსებობა, რა თანამედროვე, ორიგინალური, სცენურ-თეატრალური ფორმებიც არ უნდა შეიქმნას ამ დროს.

მაშასადამე, რჩებოდა ამგვარი გზა: რაკი გმირულ-რომანტიკული თეატრის საფუძვლად ვერ დაედო შესაფერი ახალი გმირულ-რომანტიკული დრამა, მას უნდა გაეფართოვებინა თავისი ესთეტიკური ჰორიზონტი, გაეზარდა პრობლემები, შეეცვალა და უნივერსალური გაეხადა თავისი თეატრალური ფორმები, რომლებიც გამოადგებოდა არა მარტო ამ მიმართულების დრამატურგიას, არამედ უფრო ვრცელ რეპერტუარსაც.

კვლავ ვიმეორებ: ს. ახმეტელი გრძნობდა, რომ აუცილებელი იყო თეატრის პროფილის გაზრდა და გაფართოება. რაც გაკეთდა ძიებათა პირველ ეტაპზე, პირველი დიდი მონაპოვარი იყო, მაგრამ მასზე შეჩერება თეატრის ერთ ადგილზე გაყინვას უდრიდა. „ჩვენ მივდიოდით „ლაპარადან“ დაწყებული „ანზორის“, „თეთნულდის“ და „ყაჩაღების“ გზით. ნათელი უნდა გახდეს ჩვენს მიერ განვლილი მთელი გზა, რომლითაც დამთავრებულია თვალსაჩინო საფეხური...

გფიქრობთ, ჩვენ განვვლეთ მხოლოდ სიკაბუჯის პერიოდი, რის შედეგადაც დაიწყება რთული მუშაობა შემოქმედებითი შესაძლებლობის გამომკვლელების მხრივ“...

მაშასადამე, თვით ს. ახმეტელს მიაჩნდა, რომ პრობლემებისა და თეატრალური ფორმების ძიების ერთი პერიოდი ძირითადად ამ სპექტაკლებით დასრულდა (თუმცა „თეატრმა იპოვნა თავისი ეროვნული სახე, საკუთარი რიტმი, მაგრამ თავისთავად ცხადია. რომ რუსთაველის თეატრს ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი საბოლოო სიტყვა შემოქმედების ამ სფეროშიც“). ახლა დგებოდა საკითხი: რა უნდა უარეყო თეატრს ამ პერიოდიდან და რა შეენარჩუნებინა, გაეზარდა და თვისობრივად გაემდიდრებინა მომდევნო პერიოდისათვის.

როგორ ესაჩვენოდა თვით ს. ახმეტელს თეატრის შემოქმედების ეს ახალი ეტაპი?

„როგორი უნდა იყოს ძიებანი მომავალი თეატრისა? სამი პრინციპით: ძიება არტიტული მანერებისა, თეატრის არქიტექტონიკისა და პრობლემებისა... ჩვენს მემკვიდრეებს მუდამ უნდა ასოვდეთ ეს. ყოველი კარგი ძიება თეატრში უპირველესად პრობლემების ძიებაა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ვუპასუხოთ თანამედროვეობას. უბედურია თეატრი, როცა დეკორაციებშია მაძიებელი — სხვას ყველაფერს კი ძველს სტოვებს“.

ს. ახმეტელის აზრით, რუსთაველის თეატრი არასოდეს არ უნდა ქვეულიყო ყოფით თეატრად, მას უნდა შეენარჩუნებინა მძაფრი და მაღალი ფორმები, თავისი სახე, მაგრამ თავისებურად ახალი შინაარსით (რაც გამოიწვევდა შესაბამისი თეატრალური ფორმების ძიებას) გამდიდრებულიყო. ამ დიდი ემოციური დაძაბულობის სიმაღლემდე უნდა ასულიყო ნაწარმოების ფილოსოფიური სიღრმე და მნიშვნელობა. აი, ეს იქნებოდა ახალი ძიებებისა და ახალი შემოქმედებითი ეტაპის თავკიდური.

„ყოველდღიურ საქმიანობაში მე ვხე-



დავ უდიდესი აზრების მატარებელ გი-  
განტებს... მე არ ავსახავ იმ ადამიანებს,  
რომლებიც კანტორაში მუშაობენ, არ  
ვლაპარაკობ, როგორ მუშაობს, როგორ  
დადის ტრამვაით საბჭოთა მოქალაქე...  
მე მინდა ვილაპარაკო იმაზე, თუ რა ახა-  
ლი აზრებით ცხოვრობს იგი... ჰეროი-  
კული თეატრის, დიდი აზრის თეატრის  
გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია „არსებო-  
ბა“. ამგვარი სახით წარმოედგინა ს. ახ-  
მეტელს რუსთაველის თეატრის მომავა-  
ლი. აქ უმთავრესია, რომ მან აღრევე  
განჭკვრიტა ის ტენდენციები, რომლებმაც  
დასრულებული სახე მიიღეს თანამედ-  
როვე თეატრალური ხელოვნების ბრწყინ-  
ვალე წარმომადგენლების ბ. ბრეჰტისა  
და ჟან ვილარის რეჟისორულ შემოქმე-  
დებაში. მაღალი ემოციის, დიდი აზრის,  
ეპოქის უმნიშვნელოვანესი პრობლემე-  
ბის თეატრი იყო მისი რეჟისორული  
ხილვებისა და ინტუიციის საბალო მი-  
ზანი. აქ საგანგებოდ ვლაპარაკობ არა  
ს. ახმეტელის დამსახურებაზე, არამედ  
იმაზე, რისი გაკეთებაც სურდა. ვლაპა-  
რაკობ ამ რეჟისორის იდეალებზე და  
თეატრალურ იდეებზე, რათა ნათელი  
გახდეს მისი მისწრაფებანი, დაუდგრო-  
მელი ბუნება, რომელიც შორს იდგა  
კონსერვატიზმისაგან, საკუთარი კონ-  
ცეფციების გაღმერთებისაგან. „რა თქმა  
უნდა. ჩვენ ვეძებთ სათეატრო მწვერ-  
ვლების გზებს, ვეძებთ ქედუხრელად  
და პირდაპირ. ამ ძიებაში ჩვენ მომ-  
თხოვნი და კრიტიკულნი უნდა ვიყოთ  
ჩვენი განვლილი გზისა და ხვალინდელი  
პერსპექტივების მიმართაც“. ს. ახმე-  
ტელს თვალწინ ჰქონდა სამხატვრო თე-  
ატრის მაგალითი, რომელიც ადასტურებ-  
და, რაოდენ სახიფათოა საერთოდ რა-  
იმე თეატრალური სისტემის გაფე-  
ტიშება და მისი ძირითადი კონცეფ-  
ციების მონური ინტერპრეტაცია. გე-  
ნიალური კ. სტანისლავსკის სისტემა —  
მოძღვრება მსახიობის აღზრდისა და  
მასთან მუშაობის შესახებ, ითვალისწი-  
ნებს მსახიობის შემოქმედების ყოველ  
ნიუანსს, მაგრამ არ იძლევა (და არც

შეიძლება იძლეოდეს) სპექტაკლის შე-  
ქმნის მზამხარეულ რეცეპტებს.  
მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა სხვა  
პარალელი. როცა კ. სტანისლავსკი და  
მისი თეატრი დიდების უმაღლეს საფე-  
ხურზე იდგა, როცა უკვე დადგმული  
იყო ბრწყინვალე სპექტაკლები (ა. ჩე-  
ხოვის „თოლია“, „ძია ვანო“, „სამი  
და“, „ალუბლის ბაღი“, მ. გორკის  
„ფსკერზე“), რომლებმაც საბოლოოდ  
განსაზღვრეს თეატრის სტილი. სწორედ  
მაშინ აწუხებდა კ. სტანისლავსკის ყვე-  
ლაზე მეტად უკმარობის გრძნობა. იგი  
გრძნობდა: ჩეხოვისა და გორკის პიესე-  
ბის დადგმისა შემუშავებული სტილი  
როგორღაც ზღუდავდა სხვა მიმართუ-  
ლებისა და განწყობილებების ნაწარმო-  
ების ახალ თეატრალურ სახეებში აღ-  
ქმას. „ჰამლეტის“ წარუმატებელი დად-  
გმის შემდეგ კ. სტანისლავსკი წერდა:  
„მე მივხვდი, რომ ჩვენ, სამხატვრო თე-  
ატრის მსახიობები, რომლებმაც ვის-  
წავლეთ ახალი შინაგანი ტექნიკის რამ-  
დენიმე ხერხი, გარკვეული წარმატებით  
ვიყენებდით მათ თანამედროვე რეპერ-  
ტუარის პიესებში, მაგრამ ჩვენ ჯერ ვერ  
ვიპოვეთ შესატყვისი ხერხები და საშუ-  
ალებანი გმირული, ამაღლებული სტი-  
ლის პიესათა გადმოსაცემად და რომ ამ  
მიმართულებით მოგველოდა უზარმაზა-  
რი სამუშაოს ჩატარება მრავალი წლის  
მანძილზე“.

ამგვარად, კ. სტანისლავსკი ახალ შე-  
მოქმედებით გზებს ეძებდა სწორედ მა-  
შინ, როცა მისმა თეატრმა. როგორც  
აღვნიშნე, თითქოს სრულქმნილების სა-  
ზღვარს მიაღწია. ის, რომ ამ თეატრმა  
ვერ გცდალაზა მაღალი ბჭე, რომელიც  
ჩეხოვის პიესების დადგმით თვითვე აღ-  
მართა, სხვა საქმეა. აქ უკვე მომდევნო  
თაობების ნიჭზე იყო ყველაფერი დამო-  
კიდებული.

რასაკვირველია, ს. ახმეტელი არ იყო  
კ. სტანისლავსკის მასშტაბისა და ძალის  
რეჟისორი და რეფორმატორი. მათ შო-  
რის პარალელს მხოლოდ იმიტომ ვავ-  
ლებ, რომ კრიტიკის, პრესის (უცხო-  
ეთისა და რუსეთის), თეატრალური



წრების მიერ ხობამესხმული ქართველი რეჟისორი, რომლის სპექტაკლები აღიარებული იყო ეროვნული თეატრის საუკეთესო ნიმუშებად, ამ მომენტშიც ფიზიკურად აფასებდა თავის მიღწევებს. რომელ რეჟისორს ეყოფა იმდენი ძალა, რომ მთელი წყება დიდებული სპექტაკლებისა, მთელი ეტაპი წარმატებისა გამოაცხადოს ძალების გამოცდის ხანად, განვილი ეტაპად? ს. ახმეტელის მოწინააღმდეგეებს რატომღაც შეუმჩნეველი რჩებათ ეს სერიოზული, დაფიქრებული, ყოველგვარ პატივმოყვარეობას მოკლებული დამოკიდებულება და ყურადღებას ამახვილებენ მის იმ ფრაზებზე, სადაც მართლაც საცნაურია პატივმოყვარეობის უსიამო გამოვლენა, მაგრამ გაცხარებული კამათისა და ბრძოლების უამს ადამიანი არ არის ამგვარი ნაკლისაგან დაზღვეული.

რა გზით უნდა წასულიყო თეატრი, რა დრამატურგიას უნდა დაყრდნობოდა შემდგომ ძიებებში? ს. ახმეტელი პრინციპულად უარყოფდა ყოფითი თეატრის ფორმებს, ხოლო ჰეროიკულ-რომანტიკული თეატრი იმ სახით, როგორც მან შექმნა, პრინციპულად უკვე განვილი გზად მიჩნდა. მაგრამ „ყაჩაღებში“ უკვე დაისახა ახალი პერსპექტივები. ეს იყო, როგორც მაშინდელი თეატრალური პრესა წერდა, „გაშექსპირებული შილერი“, სადაც მძაფრი რიტმი, ემოციითა მძალადი დაძაბულობა დიდი სოციალური და ფილოსოფიური, აზრით იყო სავსე. ეს იყო შილერისდროინდელი ეპოქის სურათი. ამის შემდეგ რეჟისორი უკვე მზად გახლდათ დრამატურგიის უფრო მძალადი ნიმუშების აღქმისა და ფილოსოფიური სიღრმეების წვდომისათვის. შექსპირის შემოქმედება თავიდანვე აღლევებდა და იზიდავდა ს. ახმეტელს. გრძნობდა. შექსპირის დრამატურგია სულ სხვაგვარ თეატრალურ გადაწყვეტას მოითხოვდა. „საჭიროა გადასინჯვა ჩვენი უესტის, ინტონაციისა, რიტმისა და სხვა საშუალებებისა“, შემ-

დგე: „ჩვენ შექსპირი უნდა გადავიყვანოთ გახლებული თეატრალობით“

შექსპირის „იულიუს კეისრის“ სამზადებელ რეპეტიციებზე ს. ახმეტელი ეუბნებოდა მსახიობებს: „შექსპირი თავისი გრანდიოზულობით უდიდეს პერსპექტივებს შლის თეატრის წინაშე. დღემდე ჩვენ მას გავუბრუნდით. ვფიქრობდი, რომ შექსპირისათვის არ ვიყავით მზად. შესაძლოა, ახლაც ნადრევი იყო შექსპირის დადგმა, მაგრამ შილერმა მოგვცა იმედი. „ყაჩაღების“ წარმატებამ გავგამხნევა და გზა გავვიკვლია შექსპირისაკენ“.

თეატრის ჰორიზონტისა და გამოამსახველი საშუალებების გამდიდრების მთავარ ძარღვს ს. ახმეტელი ახალი რეპერტუარისაკენ შემობრუნებაში ჰპოვებდა. ჩინებულად ესმოდა, რომ დრამატული მასალის სიახლე იძლევა ახალი თეატრალობის შექმნის საშუალებას. იგი მიისწრაფოდა ი. ჰავაჰაჰაძის „კაცია ადამიანის“, ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილის“, დ. კლიაშვილის „დარისპანის გასაქირის“ მხატვრულ და ფილოსოფიურ სამყაროში აღმოჩენა ახალი პლასტი თეატრალობისა. დარისპანი — კ. მარჯანიშვილის კვალად, ესმოდა როგორც ტრაგიკულობის ახალი სახე, „დარისპანი ტრაგიკული პათოსის ნილაზია“ — ეს არ არის მარტო ესთეტიკური აღქმა, აქ ჩანს ამ სახის სოციალური შინაარსიც.

უაღრესად საინტერესოა მისი საუბრები „კაცია-ადამიანის“ რეპეტიციებზე. აქ კვლავ იგრძნობა თეატრის არსენალის განახლებისა და ლუარსაბის სახის მეტად თავისებური ინტერპრეტაციის სურვილი. ამ სპექტაკლში უპირველესად უნდა ვაღმოშლილიყო მთელი მე-19 საუკუნის საქართველოს სოციალური ფონი. თეატრალობის თვალსაზრისით მან სრულიად ახალი მომენტი შენიშნა ლუარსაბის სახეში. ეს არის სტატიკური სახე — აღსავსე ფარული, შინაგანი დინამიკით, ვინაიდან „მოძრაობა არის სტატიკური მომენტების ჯამი“ (აქ მაგონდება ეს. მეიერჰოლდის ცნობილი გა-

მოთქმა: „ნიდი — ეს არის დინამიური მომენტი გარინდული სტატიკაში“). ამგვარი სტატიკური სახის შეუნელებელი ძალაა ის, რომ ადამიანებს კი არ ამშვიდებს, კი არ განაწყობს უძრაობისათვის, არამედ სულს უფორიაქებს. „სტატიკური და დინამიკური აქ ორივე მოქმედი ძალაა“. თეატრი მართლაც დგებოდა უჩვეულო ამოცანის წინაშე. აქამდე იგი ყოველი სპექტაკლის საფუძვლად იღებდა მძაფრ შეჯახებებს, გახელებულ ტემპერამენტსა და რიტმს. მოქმედების დინამიკურობას, ახლა ამ სტატიკური სახის ჩვენებისას უნდა აღმოჩენილიყო ახალი ხერხები, თან არ უნდა შენელებულიყო მძაფრი თეატრალობა. „ანზორის“ და „რღვევის“ დადგმის დროს ჩვენ დავეყრდენით, ასე ვთქვათ, კუთხურ ტემპერამენტს და უმძაფრეს დინამიურობას. ამ პიესას კი სხვაგვარი ხერხით უნდა მივუდგეთ. აქ არ გამოგვადგება „ანზორისა“ და „რღვევის“ რიტმი. უნდა მოვძებნოთ ახალი, ჩვენი თეატრის ორგანული რიტმი რუსთაველელები ერთი რიტმის თეატრი როდი ვართ. ყოველ სპექტაკლს, როგორც ყოველ ადამიანს, თავისი რიტმი აქვს“...

აი, საუკეთესო მაგალითი იმ აზრის უარსაყოფად, თითქოს ს. ახმეტელი ცდილობდა ერთგვაროვანი რიტმის გაფეტოვებას და მხოლოდ და მხოლოდ უმძაფრესი რიტმის მეოხებით ქმნიდა სპექტაკლების ემოციურ ტონუსს. შესაძლოა, თეატრალური ილუზიის გასაძლიერებლად იგი მართლაც ახდენდა ამ რიტმის მეტისმეტ ხაზგასმასაც კი, მაგრამ. ცხადია, რომ უკვე დაწყებულია განთავისუფლება ამ მიდრეკილებისაგან, საფუძველი აქვს ჩაყრილი ახალი ფორმების გამოყენების ცდებს. სამწუხაროდ, მას არ დასცალდა ამ სპექტაკლის დადგმა; ჩვენამდე ვერ მოაღწია მისმა შრომამ რიტმის შესახებ. თორემ უეჭველია, ახალი თეატრალური სახეებითა და ხერხებით გამდიდრდებოდა რუსთაველის და, საერთოდ, ქართული თეატრის არსენალი.

ეს მასალა დავიმოწმე, რათა მეჩვენე-

ბინა, თუ რა მიმართულებით აზროვნებდა ს. ახმეტელი შემდგომ მუშაობისას განსაკუთრებულ საშუალებებს ეძებდა ახალი დროის შესატყვისი თეატრის შესაქმნელად. ამრიგად, ჩვენი წერილის დასაწყისში დასმულ კითხვას შემდეგნაირად უნდა ვუპასუხოთ: ს. ახმეტელს ჰქონდა დროის მძაფრი შეგრძნება, ამიტომ არასოდეს არ დარჩებოდა ერთხელ შეთვისებული მეთოდისა და თეატრალური ფორმების ტყვეობაში და თავისი შემოქმედების შემდგომ ეტაპზე შეთვისებდა საბჭოთა და ევროპული თეატრალური კულტურის მონაპოვარს. ამგვარად, ს. ახმეტელის ხელოვნება მედგრად შეხვდებოდა დროის გამოცდას, აიცდენდა ღრმა კრიზისს, რომლის მსხვერპლი მრავალი თეატრალური მიმდინარეობა გახდა. ს. ახმეტელის შემოქმედების კრიტიკოსთა თვალსაზრისით, იგი პეროიკულ-რომანტიკული თეატრის, მისი ესთეტიკისა და სკოლის ფარგლებში დარჩებოდა საშუადაზოდ. თუ ჩვენც ვავიზიარებთ ამ აზრს, მაშინ სიმართლეს მოკლებული არ იქნება დებულება, რომ ს. ახმეტელის მიერ გაკაფული გზა რუსთაველის თეატრის საბოლოო და სრულ გამარჯვებამდე ვერ მიიყვანდა. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ს. ახმეტელი თავის მოწინააღმდეგეებზე უფრო შორს იყურებოდა. მისი თეატრალური მისწრაფებანი ფართო და მრავლისმომცველი იყო, ამიტომ ჰქონდა მის ხელოვნებას დიდი პერსპექტივები.

კვლავ ვიმეორებ: ამ წერილში ყურადღება გამახვილებულია ს. ახმეტელის იმ მისწრაფებებსა და იდეებზე, რომელთაც მომდევნო სეზონებში უნდა შეესხათ ხორცი, მოკლედ არის გადმოცემული თეატრალური ესთეტიკის ძირითადი მომენტები. აქცენტირებულია აგრეთვე რეჟისორის ფხიზელი დამოკიდებულება განვლილი გზისადმი. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, თითქოს გმირულ-რომანტიკული თეატრის ს. ახმეტელის სახელთან დაკავშირებული მიღწევები წარმავალია და ახლანდელ

ვითარებაში არ გამოადგება ქართულ თეატრს. მაშ, რა შეადგენს დღევანდელი ქართული თეატრის არა მხოლოდ მემკვიდრეობას, ან ტრადიციას, არამედ მფეთქავ ნერვს?

მცირე ექსკურსი დაგვირდება, რათა ნათელი გახდეს, თუ რა ვხვით, რა იდეებით, რა რეჟისორული და არტისტული გემოვნებითა და განზრახვებით მოვიდა იგი ქართულ თეატრალურ სამყაროში და რით დაიმკვიდრა იქ მტკიცე ადგილი.

დავიწყებ ს. ახმეტელის მიერ მოსკოვის სამხატვრო თეატრის სპექტაკლებზე დაწერილი კრიტიკული წერილებით.

სტუდენტობისდროინდელ ამ სტატიებში კარგად ჩანს კრიტიკული ალღო, იგრძნობა ნამდვილი თეატრალური ინტუიცია და საკმაო ცოდნა თეატრისა. მთავარი კი ისაა, რომ აქ ნეგატიური სახით, ჯერ კიდევ მკრთალად არის გამოვლენილი ძირითადი მომენტები, რომლებიც შემდგომ ს. ახმეტელის მუშაობის ქვაკუთხედად იქცა. წერილებში კარგად არის შენიშნული სამხატვრო თეატრის იდეური და სტილისტური თავისებურებანი, თეატრალური საშუალებანი, რითაც იქმნებოდა ამ თეატრის განთქმული „განწყობილება“ (თეატრის „დადგმებში ჰარმონიულად შეერწყა ურთიერთს რეალისტური დეტალები განწყობილებათა მუსიკალობას“. შემდეგ: „ყველა თავის დადგმაში სამხატვრო თეატრი — და ეს მთავარია, არ ღალატობს ერთიანი, მთლიანი განცდის კანონებს. ამ კანონით აღწევს დადგმის შემადგენელი ნაწილების ფაქიზ შეხმატვბილებას. რაც ერთადერთი საიმედო პირობაა ავტორის მხატვრული იდეის დრმა და ყოველმხრივ გაშუქებისათვის“). გავრცელებული შეხედულების საპირისპიროდ, რომლის მიხედვითაც სამხატვრო თეატრი ყოფით თეატრად ითვლება, ს. ახმეტელი აღნიშნავს, რომ ამ სპექტაკლებით მიღებული ესთეტიკური სიამოვნება გაპირობებულია ყოველი მხატვრულ-

სცენური სახის, მიზანსცენების პარამონიულობითა და მშვენიერების სისავსებით.

ვინაიდან ყოფითი ტიპის ზუსტი ჩვენება არასოდეს არ ქმნის მშვენიერებას (იგი მხოლოდ მასალაა) და ვერ ხსნის ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის სიღრმეს: „ოპერატორის სიზუსტით შეიჭრა თეატრი ინდივიდის ფსიქოლოგიის ხვეულებში და გახსნა ისეთი ფაქიზი, მოუხელებელი თვისებები, რაც დრამატული პოეზიისათვის მანამდე ხელმიუწვდომელი იყო“.

მაგრამ სამხატვრო თეატრის შემოქმედებითი თავისებურებანი, უკვე განმტკიცებული ჩეხოვის პიესების სტილით, მისი დიდი უნარი განწყობილების, ცხოვრების ატმოსფეროს შექმნისა, თანდათანობით შეიძლება ქცეულიყო ერთგვარ ტრაფარეტად, რომლის თარგზეც გამოიჭრებოდა სხვა დადგმები. ამ საშიშროებას ყველაზე მძაფრად თვით კ. სტანისლავსკი გრძნობდა.

ამგვარი საშიშროების პირველი ნიშანი მაღალმა კომედიამ და პოეტურმა დრამამ მისცა თეატრს. ამიტომ კ. სტანისლავსკი მთელი შინაგანი ტექნიკის, „სულიერი რეალიზმის“ პრინციპების განახლებასა და შევსებას მოითხოვდა.

ამ წერილებში ნათლად ჩანს, როგორ ითვისებდა ს. ახმეტელი ყოველივე ახალ მოვლენას თეატრალურ კულტურაში, რა დასკვნებს აკეთებდა მომავალში მუშაობისა და მოღვაწეობისათვის.

პირველი, რაც მან ამ სპექტაკლიდან მიიღო, იყო: არ შეიძლება ყოველ დრამატულ ნაწარმოებს თავს მოახვიო ერთი სტილი, მოაქციო ერთი განწყობილების ფარგლებში, გამოუნახო ერთი და იგივე რიტმი (ანლა გავისხენოთ, რას ამბობდა ახმეტელი „კაცია-ადამიანი“ რეპეტიციებზე და ნათელი გახდება კავშირი სიჭაბუქის პირველ დაკვირვებასა და უკვე ჩამოყალიბებულ შეხედულებებს შორის). სწორედ ამ მომენტის დასაძლევად გადაწყვიტა სამხატვრო თეატრმა მოეწვია ახალი რეჟისორები, რათა, როგორც კ. სტანისლავსკი ამ-



ბობლა, თეატრი დაეძრათ „მკვდარი წერტილიდან“. ეს რეჟისორები იყვნენ გორდონ კრეგი და კოტე მარჯანიშვილი — ნამდვილი „თეატრალური თეატრის“ მებოტბენი.

მეორე: თეატრი, რომელიც წინ უძღვის საზოგადოებას, მისი სანუკვარი ოცნებისა და ფიქრების გამომხატველია, ყოველთვის უნდა გრძნობდეს დროის ბარომეტრის სულ მცირეოდენ რხევებსაც კი. ეს ენება არა მარტო დროის საჭირბოროტო საკითხებს, არამედ ესთეტიკურ სფეროსაც — თეატრის სტილს, მსახიობთა შესრულების მანერას. სპექტაკლის დეკორაციას, რეჟისორულ იდეებს. რუსეთის ინტელიგენციის მიერ ერთ დროს პირდაპირ გაღმერთებულ სამხატვრო თეატრს კრიტიკამ მძაფრად შეუტია. რა მოხდა, რატომ აღარ დარჩა ეს თეატრი რუსული ცხოვრების ესთეტიკურ-მხატვრული განვითარების ავანგარდში? თვით თეატრი შეიცვალა თუ საზოგადოება? „კი არ შეიცვალა, — პასუხობს ახმეტელი — პირიქით, მოსკოვის თეატრი თავისი განწყობილებით ბოლოს უფრო კონსერვატიული გახდა, უფრო გახევებულ ი თავისი სტილით. ის თითქოსდა უფრო ცალმხრივად ჩაღრმავდა თავის თავში და ხანგრძლივი შრომის შემდეგ განმტკიცდა, ფეხი მოიკიდა ახალი შინაარსით გამდიდრებულ რეალიზმში და შექმნა ძლიერი მექანიზმი მის განსახორციელებლად. რუსმა საზოგადოებამ ინსტიტუტურად გაუსწრო სამხატვრო თეატრს. მისი ოცნებები, შისწრაფებები ახალ ფორმებს, ახალ მიღწევებს ეძებენ სასცენო ხელოვნებაში“.

ეს კონფლიქტი საზოგადოებასა და თეატრს შორის ყოველთვის მწვავედ ვითარდება, აქ კომპრომისი გამორიცხულია. საერთოდ იშვიათია, რომ თეატრი არ ცდილობდეს თავისი რეპერტუარი იდეურად და მხატვრულად თანამედროვეთა გემოვნებისა და საჭირბოროტო საკითხების თანახმიერი გახადოს. მაგრამ რთულია თანამედროვეთა გემოვნებისა და მათი სულიერი მოთხოვნილ-

ბის საუკეთესო მისწრაფებათა <sup>გაგებო</sup> რადგან ცხოვრებაში ზოგჯერ <sup>განსაზღვრება</sup> ბანალთა და ტრივიალური გემოვნება <sup>ისევე</sup> ძლიერია, როგორც მისი ანტიპოდი. ორი ათეული წლის შემდეგ ახმეტელი იტყვის, რომ ძიებათა შორის მთავარია მთელი ერის ცხოვრების სიღრმიდან წამოსული პრობლემების ძიება. თეატრის მუშაობის ლეიტმოტივი უნდა იყოს ის პრობლემა, რომელიც აფორიაქებს და ამოძრავებს თანამედროვეთ.

მესამე — მთავარი, რაც მან სამხატვრო თეატრში შენიშნა და შემდეგ თავისი შემოქმედების, ძიების ძირითად გეზად აქცია, იყო ეროვნული ხასიათის, თეატრის ეროვნული ფორმის საკითხი.

მხოლოდ ამ უპირველესი და ძირითადი პრობლემების გახსნის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ მათუბლებისა და თეატრის შესისხლზორცებაზე. სამხატვრო თეატრმა ჩეხოვისა და გორკის პიესებით შეძლო გადმოეცა არა მარტო რუსეთის ინტელიგენციის სულსკვეთება და სხვადასხვა ფენების განწყობილება, არამედ რუსი ადამიანის ხასიათისა და ფსიქოლოგიის სიღრმე. მოვიტანთ ამონაწერს ს. ახმეტელის ფელეტონიდან „მოსკოვის სამხატვრო თეატრი“, რომელიც ზუსტად გადმოგვცემს ამ თეატრის არსს: „გენიოსმა დოსტოევსკიმ სავსებით განმარტა რუსული ინტელიგენციის სულსკვეთება. ჩეხოვმა ნათელჰყო რუსული ინტელიგენციის საუკეთესო და ძვირფასი რელიგიური ჰანგები. მოსკოვის სამხატვრო თეატრმა საუცხოოდ ჩამოაქანდაკა რუსის სული, მისი გულისცემა. ტირის, სევდით გული ევისება რუს მათუბებელს სამხატვრო თეატრში, როდესაც იგი ჩეხოვის პიესების წარმოდგენას უცქერს“.

ს. ახმეტელს უნდოდა შეექმნა ეროვნული თეატრი, ე. ი. თეატრი გამომხატველი ქართველი კაცის თავისებურების, ხასიათის, ფსიქოლოგიური ცხოვრების, სულსკვეთების; სურდა ქართულ თეატრს ისევე დიდი როლი ეთმაშა ერის სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბებაში, როგორც შეასრულა მოსკოვის სამხატ-

ვრო თეატრმა. აქ (თეატრში) მაყურებელი, ისევე როგორც ეკლესიაში მორწმუნე, უნდა გამსჭვალულიყო ერთიანობისა და მაღალი იდეის სულისკვეთებით, უნდა შესისხლხორცებოდა თეატრის სულს. ამისათვის ქართველ კაცს სცენაზე თავისი თავი უნდა ეცნო, ეგრძნო ისტორიის მანძილზე ტრაგიკულ კოლიზიებში გამოწრთობილი ხასიათი, სულიერი ცხოვრების დრამა. მხოლოდ ამ სტიქიის დაუფლებების შემდეგ შეიძლებოდა გველაპარაკნა თეატრისა და მაყურებლის სულისკვეთების ერთიანობაზე.

„არის თუ არა ქართული თეატრი ქართული?“ ამ თითქოსდა მკრეხელურ კითხვას იმიტომ აყენებს ს. ახმეტელი, რომ უფრო გაამძაფროს პრობლემის აქტუალობა: იგი საკადრის პატივს მიუზღავს რევოლუციამდელი ქართული თეატრის კორიფეებს, იცის მათი დიდი დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე, მაგრამ თვლის, რომ ისინი იყვნენ მხოლოდ ცალკეული სკულპტორები და, გასაგები მიზეზების გამო, ვერ შეძლეს ეროვნული თეატრალური ფორმების მთლიანი ხასიათის შექმნა. მაშინდელი ქართული თეატრის ფორმა შექმნილი იყო რუსული თეატრის, კერძოდ, მისკოვის მცირე თეატრის გავლენის შედეგად და არ იყო დამოუკიდებელი, ორიგინალური სახის მატარებელი. ამგვარად, ფორმის სფეროში (პლასტიკა, რიტმი, სამყაროს აღქმისა და შეფასების თავისებური ბუნება, მოძრაობისა და მოქმედების თავისთავადობა, კილო, ინტონაცია, სტილი, პლასტიკისა და სიტყვის კონტრაპუნქტულობა და სხვ) უნდა გამონახულიყო ახალი ხერხები. „ქართული ეროვნული თეატრი უპირველესად უნდა იყოს ფორმით ქართული: რადგან თეატრი ბუნებით ფორმაა დრამა-მოქმედებისა. მხოლოდ ფორმებით ვისისხლხორცებთ ჩვენ დრამას და დრამა — ჩვენ“.

რა გზით, რა მეთოდებითა და წყაროებით უნდა შექმნილიყო ამგვარი ფორმა და, რაც მთავარია, როგორი სტი-

ლი უნდა ჰქონოდა მას? ს. ახმეტელს თვალწინ ვითარდებოდა მოგონებები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ქართული თეატრის ისტორიაში. ამ მოგონებებმა ასევე დიდი ადგილი დაიკავეს ახმეტელის შემოქმედებით ბიოგრაფიაშიც. ეს არის ხანა, როცა ჩვენს სცენას თავს დასტრიალებს კოტე მარჯანიშვილის გენია. ამ პერიოდში ერთბაშად შეიცვალა ქართველი მსახიობი (ამ სიტყვებს ვხმარობ როგორც ცნებას და მასში კონკრეტულად არავინ იგულისხმება), რომელიც აქამდე მთელი სპექტაკლის მანძილზე სამ-ოთხ პლასტიკურ ხატს თუ იყენებდა, როლი მიჰყავდა დუნედ, ურიტმოდ, რიტორული, ცრუ-კლასიკური სტილით; შეიცვალა ქართული სცენა, რომელიც აქამდე საწყალობელ შთაბეჭდილებას ტოვებდა სპექტაკლის კომპოზიციით, მიზანსცენებით, დეკორატიული გადაწყვეტით (იყო ერთი-ორი გამონაკლისი, მაგრამ აქ პრინციპზეა ლაპარაკი). ამ ახალ ქართულ საბჭოთა თეატრს სათავე დაუდო „ფუნტე ოვენუნამ“. ქართველი მსახიობის რიტმი, პლასტიკურობა, ცეცხლოვანი ტემპერამენტი თითქოს ერთბაშად აღმოსკდა, სცენაზე გამოჩნდა ელვარე თეატრალური ფორმები და ფერები. შესანიშნავად გადაწყვეტილი მასობრივი სცენები, ურთიერთშეწნული ტრაგედია და სანახაობა, ხალხის სული, მისი ცხოვრების, ტანჯვის, ბრძოლის, მზიარულების დინამიკა. ეს იყო ყველაზე დიდი გაკვეთილი, რომელიც ს. ახმეტელმა ქართულ წიაღში, მშობლიურ გარემოცვაში მიღო.

ორივე რეჟისორი — კ. მარჯანიშვილი და ს. ახმეტელი — ქმნიდა ქართულ თეატრს, ორივეს ჰქონდა საკუთარი მეთოდი. კ. მარჯანიშვილი უკვე დაბრძენებული ხელოვანი იყო, როცა სათავეში ჩაუდგა თეატრს, ხოლო ს. ახმეტელს მაშინ პირველი თამამი ცდები და შესანიშნავი ინტუიტიური მიხვედრები



ჰქონდა. კოტე მარჯანიშვილმა განვლო ვრცელი და შესანიშნავი გზა. დიდი ერუდიცია (კ. სტანისლავსკისა და ვლ. ნემიროვიჩი-დანჩენკოს იგი ისეთ კაცად მიაჩნდათ, რომელსაც შეეძლო მსოფლიო რომანისტიკის საუკეთესო ნიმუშები თეატრში გამოეყენებინა), უჩვეულო ნიჭი, ტემპერამენტი, თეატრალური კულტურის ღრმა გაგება მას საშუალებას აძლევდა თამამად მიემართა და ამეტყველებინა ყოველი ჟანრისა და სტილის ნაწარმოები (ტრაგედია, კომედია, პანტომიმა, ოპერა, ოპერეტა, დრამა, კინო, მასობრივი გრანდიოზული სანახაობანი). მან შეითვისა მსოფლიო თეატრის უზარმაზარი გამოცდილება; ახლო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებში მწერლებთან, მსახიობებთან, მხატვრებთან, კომპოზიტორებთან, ნანახი ჰყავდა იმ დროის სახელმწიფოებრივი მსახიობები (ამ შთაბეჭდილებების გამოძახილია მისი მშვენიერი წერილი გენიალურ დუხენზე). შინაგანი სამყაროს ამ სისასებით, ამ შეუღარებლად დიდი ცოდნით დატვირთული კ. მარჯანიშვილი შეუდგა ქართული თეატრის აღორძინების საქმეს. ქართულ თეატრს ძალზე სჭირდებოდა მისი მაღალი კულტურა, ნიჭი, ტემპერამენტი, მომზიბლავი პიროვნული თვისებები, არტისტული და პოეტური ბუნება. კ. მარჯანიშვილს უნდოდა ქართული თეატრი ერთბაშად ეზიარებინა ევროპული თეატრის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევებისათვის. ვადმოეტანა ყველა მეთოდი და თეატრალური ფორმა, რომელიც რუსეთის თეატრებში შექმნა მისმა რეჟისორულმა გენიამ. ამგვარად, მისი სამყარო იყო ვრცელი და ღრმა, ევროპული და რუსული თეატრის საუკეთესო მიღწევებით გამდიდრებული. იგი თავისი სულის უფაქიზესი ზეგულებით გრძობდა ქართველი მსახიობის ბუნებას, მას ეყრდნობოდა და მასზე ამყობდა დიდ, ახალ თეატრალურ კულტურას.

მიუხედავად შთაგონების და წარმოსახვის მასაზრდოებელი წყაროების

მრავალფეროვნებისა, თავისი ბუნებით, ნიჭის თავისებურებებით იგი ვერ შეძლებდა ქართული რეჟისორი იყო.

ყოველივე ამასთან შედარებით ს. ახმეტელის შემოქმედებითი ძიებისა და შთაგონების სათავეთა არე გაცილებით ვიწრო ჩანს. მაგრამ ეს პირველი შთაბეჭდილებაა. პირობითად და ზოგადად რომ ვთქვათ, ქართული თეატრის შექმნის, ქართული მსახიობის სახის ჩამოყალიბების გზები, რომლებიც ჩვენმა დიდმა რეჟისორებმა აირჩიეს, თუმცა საბოლოოდ ერთად იყრიდა თავს, ჰვარამ სხვადასხვა მერიდიანზე გადიოდა. თუ კ. მარჯანიშვილი ევროპული თეატრალური კულტურის საუკეთესო მიღწევებსა და ქართულ სამყაროში ეძიებდა ფორმებს ახალი თეატრისათვის, ს. ახმეტელისათვის მხოლოდ ამ ქართული სამყაროთი იფარგლებოდა ყოველივე. აქ ჩანს მასშტაბების უთანხმოება, მაგრამ, როგორც ვთქვი, ეს პირველი შთაბეჭდილებაა. თვითონ განსაჯეთ: ს. ახმეტელმა ქართულ კულტურაში (რომელსაც მსოფლიო მიღწევები აქვს), მის ყოფაში, თეატრალობაში, სანახაობებში, ქართველი ხალხის ცხოვრების წესში, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ხასიათში, ცხოვრებისადმი მხატვრულ-ესთეტიკურ და ფილოსოფიურ დამოკიდებულებაში, ტემპერამენტში, ცხოვრების მძაფრ რიტმში აღმოაჩინა (და შემდეგ ბრწყინვალედ გამოიყენა) განუყოფელი და ორიგინალური თვისებების მქონე ფორმები.

ახალი რევოლუციური საქართველოს სინამდვილე, ქართველი ადამიანის თანდაყოლილი არტისტულობა, ტემპერამენტი და რიტმულობა, მიდრეკილება მძაფრი ვნებებისაკენ, მე ვიტყვოდი, ტრაგიკულისადმი, სიყვარული ამადლებულისა, ჩვენი პოლიფონიური სიმღერები, პლასტიკური ცეკვები, ქართული ხალხური იმპროვიზებული თეატრი (ბერიკების თეატრი) გახლავთ საფუძველი რეჟისორის შთაგონებისა.

ს. ახმეტელს ჩინებულად ესმოდა, რომ ემოციის სათავე თეატრში არის არა



მხოლოდ სიტყვა, არამედ (და შესაძლოა უფრო მეტადაც) ის ფორმები, სანახაობითი მხარე, რომელშიც უნდა განსხვავდეს იდეა (სწორედ ამ მთავარი მომენტის უგულებელყოფის გამო ზოგიერთი თეატრი ლექტორიუმს უფრო ჰგავს, ვიდრე ნამდვილ თეატრს). ამიტომ მიმართავდა იგი უკიდურესად გამაფრებულ პლასტიკურ ხატებს და რიტმულ მოქმედებას. მასობრივი სცენების (ამგვარ სცენებს თავისთავად გულისხმობს გმირულ-რომანტიკული დრამა) გადაქცევა სპექტაკლის ესთეტიკის ერთ-ერთ პრინციპად, მისი მოქმედების გარკვეულ შინაგან და გარეგან რიტმზე აგება ს. ახმეტელის ერთი ძირითადი მიღწევაა. „რუსთაველის თეატრი გადაჭრით გაემიჯნა ძველ სცენურ სკოლებს, ფორმებსა და მეთოდებს. ავადმყოფურ ინდივიდუალისტურ ფსიქოლოგიზმს, ძველი თეატრის მთელ რუტინას... გულახდილად უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ ვქმნით პეროიკულ თეატრს. რუსთაველის თეატრს არ შეუძლია იყოს ყოფითი თეატრი. გმირულ-რომანტიკული თეატრის ესთეტიკა გულისხმობს მოვლენის „აწვევას“, ამაღლებას, ერთგვარ რიტორიკას თუ არა, პათეტიკურობას — აუცილებლად. სწორედ აქ იმალება ყველაზე დიდი საფრთხე. თუ ბრძად მისდევ ამ პრინციპს, შეიძლება აამაღლო ისეთი მოვლენა, რომელიც ამას არ იმსახურებს, მაშინ პათეტიკურობა გადაიზრდება პათოსში, ზეაწეული ტონი, სპექტაკლის მეტაფორულობა — ცრუ რიტორიკაში, ხოლო მასის რიტმული მოძრაობა („მასის გაინდივიდუალებისას“) ცარიელ, უაზრო ტრიუკში; თუ წლების მანძილზე თეატრი ამ გზას ადგას, მისთვის უკვე ძნელია გაარჩიოს ნამდვილი და ყალბი, ტრივიალიზაცია და გემოვნება, გულის სიღრმიდან წამოსული შემახილი და ყალბი შეყვირება. ყოველივე ეს მსახიობებს ძვალსა და რბილში უჭდებათ, აღარ შეუძლიათ მართალი ფრაზის წარმოთქმა. მისი აზრითა და ემოციით ავსება, რის შედეგადაც გმირული თეატრი

საკუთარი თავის ანტიპოდად იქცევა. როცა ამგვარ რამეს გმირულ-რომანტიკული თეატრის ეტიკეტით გვთავაზობენ, მაშინ ძნელია პროტესტის გრძნობის დაფარვა.

ამ საშიშროებას, როგორც უკვე ვთქვი, გრძნობდა ს. ახმეტელი: „ჩვენ გვჭირდება სიძლიერე იდეისა და სიძლიერე მისწრაფებებისა...“

აი, როგორია თეატრის მიზანდასახულობა. ჩვენ ვამბობთ, რომ სხვაგვარ თეატრს ჩვენ ვერ შევქმნით. როდესაც რუსთაველის თეატრი გადაუხვევს ამ გზიდან, შეწყვეტს მუშაობას როგორც პეროიკული თეატრი, მაშინ იგი შეწყვეტს არსებობას“.

მაგრამ მიუღებოდა თუ არა ეროვნულ ძირებზე, ეროვნულ თავისებურებებზე, ისტორიის მანძილზე გამომუშავებულ ჩვევებზე დაყრდნობილი ფორმები არაქართულ მასალას?! ხელოვნურად ხომ არ მოეხვეოდა თავს სხვა ერის დრამატურგიულ ქმნილებებს?! მთავარი იყო, რომ თეატრი არიდებოდა ნაციონალური კარჩაკეტილობის საშიშროებას და სხვებისთვისაც გასაგები ყოფილიყო.

შილერის „ყაჩაღების“ დადგმამ ამგვარი დილემა თავისთავად მოხსნა. „ჩვენ შილერს ვახორციელებთ ჩვენებურად, ჩვენი ხასიათებით, მაგრამ არ ვცვლით იმ იდეოლოგიურ მიზანდასახულობას, მაღალმხატვრულ კულტურას, რომელიც საფუძვლად აქვს შილერს. ჩვენ ვაყენებთ შემდეგ საკითხს — თუ შევძლებთ ჩვენი საშუალებებით, ჩვენი მეთოდებით, ჩვენი სისტემით ავიყვანოთ იდეოლოგიური ნაწარმოები იმ სიმადლემდე, რომ იგი გახდეს მისაწვდომი არა მარტო ქართველებისათვის, არამედ ყველა იმათთვის, ვინც ქართულად არ ლაპარაკობს, თუ ჩვენ, ჩვენი ფორმით, შევძლებთ კლასიკური ნაწარმოები მივიტანოთ ინტელექტუალურ ათვისებამდე, მაშინ ჩვენი გეზი ნამდვილია და ჭეშმარიტი“.

რა შეადგენს ს. ახმეტელის შემოქმედების მთავარ ძალას, რა არის ის ტრა-

დიცია, რომელიც ქართული თეატრის პრაქტიკაში შემოდის? უპირველესად, მისწრაფება ეპოქის მთავარი ტენდენციების გამოხატვისაკენ. თეატრი უნდა იყოს ის ასპარეზი, რომელიც ხალხის ინტერესების ძირითად სფეროს შეადგენს. საზოგადოებამ თეატრს არ უნდა გაუსწროს იდეების სერიოზულობით და მალალი გემოვნებით. თეატრმა არ უნდა დაჰკარგოს ეს მასშტაბები და ვრცელი არეების დამორჩილებს შესაძლებლობა. პრობლემა, თუკი მასში არის პროგრესის ტენდენცია, თეატრმა უნდა აღიქვას რაც შეიძლება უფრო ფართოდ, ზეაწეულად, უნდა გაიზარდოს მისდამი რეჟისორის, მსახიობის, მხატვრის დამოკიდებულება.

ს. ახმეტელი „კაცია-ადამიანის?!“ რეპეტიციაზე ამბობდა: „მეიერჰოლდს ზშირად აკრიტიკებენ, რომ ის გოგოლს ამახინჯებს თავის დადგმებში, მაგრამ ეს მართალი არ არის. მეიერჰოლდი გოგოლისა და გრიბოედოვის ცალკეული ნაწარმოებებით ხატავს მთელ ეპოქას, რომელშიც ესა თუ ის გმირები ცხოვრობენ“. რაც შეეხება „კაცია-ადამიანს?!“ — „ეს ნაწარმოები უნდა დაიდგას დიდი მასშტაბით, ამ პიესით უნდა გამოიფინოს მთელი იმპერიული ეპოქა“. შემდეგ — თეატრი თავის ძიებებში არსებითად უნდა დაეყრდნოს თავისი ერის შინაგან რესურსებს. ახალი ფორმის უმთავრესი ძიება სწორედ ამ სფეროში უნდა წარმოებდეს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ეროვნული თეატრის სახის შენარჩუნება და განვითარება. ს. ახმეტელი წერდა: „მე, იმთავითვე იმ აზრისა ვიყავი, რომ ნაციონალური თეატრის შესაქმნელად უნდა გამოიხატულიყო სპეციფიკა ჩვენი ხალხური თეატრალური შემოქმედებისა, და მჯეროდა, რომ ხალხური შემოქმედება მოგვეცემდა შესაძლებლობას გამოგვეჩახა მეთოდი ნაციონალური თეატრის შესაქმნელად“. ხალხის შემოქმედებითი გენიის მიერ შექმნილ სხვადასხვა ფორმას ს. ახმეტელი იყენებდა არა პირდაპირი სახით,

არამედ კიდევ უფრო ზრდიდა და აერისტალებდა. ამიტომ ნაციონალური სპეციფიკა ვლინდებოდა სპეციფიკურად არსით, მისი თეატრალური ფორმით და არა ეგზოტიკით და კოლორიტით. ამიტომ ინარჩუნებდა თეატრი ჭეშმარიტად ეროვნულ ფორმას და არ არსებობდა საშიშროება სტილის ეკლეკტიკურობისა. ახალი, სხვადასხვა ფორმის ძიება წარმოებდა არა უცხოური თეატრების გავლენით, არამედ ისევ და ისევ საკუთარი ეროვნული მისწრაფებებით. ს. ახმეტელის შემოქმედების ამ მთავარი მომენტის ღრმად შეთვისება პირდაპირ აუცილებელია ქართული რეჟისურისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა რეჟისორებისათვის, რომლებიც ზშირად თეატრალური შთაბეჭდილებებით იკვებებიან და უკვე ერთბედად შექმნილის ასლს გვთავაზობენ. რა თქმა უნდა, მსოფლიო რეჟისურის მიღწევების უარყოფა არ შეიძლება, ჩვენმა თეატრმა აუცილებლად უნდა შეითვისოს თანამედროვე რეჟისურის ყველა სიახლე, რადგან თეატრის წინსვლა შეუძლებელია რეჟისორული და თეატრალური მიღწევების გაუთვალისწინებლად.

კ. მარჯანიშვილი ყოველთვის იყო თანამედროვე რეჟისორული (რუსული და ევროპული) სიახლეების კურსში, ამიტომ მისი შემოქმედება თავისუფალია შეზღუდულობისა და კარჩაკეტილობისაგან. მაგრამ მას არასდროს მიუმართავს სხვის მიერ გამოიშუავებული ფორმებისათვის.

სანდრო ახმეტელის მიერ ზოგჯერ ძალზე კონდენსირებულად არის ჩამოყალიბებული ესა თუ ის მოსაზრება, ერთ-ორ. თითქოს შემთხვევით ფრაზაში თეატრალური მოვლენის სიღრმეა დანახული. საჭირო ხდება ამგვარი ფრაზების გახსნა და განვრცობა. მაგალითად, ზუსტად არის მინიშნებული თეატრის შემოქმედებითი ძიების სფერო: იგი სამი მიმართულებით უნდა წარმართულიყო: „ძიება არტისტული მა-

ნერისა, თეატრის არქიტექტონიკისა და პრობლემებისა“...

როცა ვლადარაკობ ს. ახმეტელის ინტუიციასა და წინასწარ ჰვრეტაზე, სწორედ ამგვარი მომენტები მაქვს მხედველობაში. საოცარია, რა ადრე დასვა ახმეტელმა თანამედროვე თეატრის ახალი არქიტექტონული ფორმის ძიების საკითხი.

მსოფლიოს ცნობილი რეჟისორები და არქიტექტორები ეძებდნენ თეატრის ტრადიციული დარბაზის (ე. წ. „იტალიური დარბაზი“) დაძლევისა და განახლების გზებს. ამ მუდმივმა, მყარმა დარბაზმა განსაზღვრა თეატრალური ფორმების ტრადიციულობაც, მისი ერთსახეობა. კლოდ ოტან-ლარას აზრით, თანამედროვე ტექნიკას შეუძლია დაძლიოს კუბისა და სფეროს პრობლემა. იტალიური დარბაზი „ახრჩობს“ დრამას, მოქმედებასა და სიტყვას.

ამბობენ, თეატრი ჰკარგავს იმ დიდებულებას, რაც ახასიათებდა ბერძნულ-რომანულ თეატრს. ეს დიდებულება სანახაობისა შენარჩუნებული აქვს იაპონურ თეატრს „ნო“-ს და ესპანურ კორიდებს, ამიტომ ცდილობენ რეჟისორები „გამოანგრიონ“ ტრადიციული კედელი და გარეთ, სივრცეზე ან განსაკუთრებულ შენობაში გამოიტანონ სპექტაკლი. ეს. მეიერჰოლდი აქსესუარებისაგან ანთავისუფლებდა, სრულიად აშიშვლებდა სცენას და მოქმედება დარბაზში გადმოჰქონდა, ონოპკოვი დღემდე ოცნებობს პუშკინის „ბორის გოდუნოვის“ კრემლის კედლებთან დადგმაზე, კ. მარჯანიშვილს უნდოდა მთაწმინდის კალთებზე დაედგა ვ. მაიაკოვსკის „მისტერია ბუფი“, შაიოს უზარმაზარ დარბაზში დგამდა სპექტაკლებს ჟან ვილარი (მას ეკუთვნის გულისტივილით ნათქვამი ფრაზა: „საფრანგეთში თეატრებს აღარ აშენებენ“), მთელ საფრანგეთში ეძებდა შესაფერ დარბაზს დიდი რეჟისორი ჟან ლუი ბარო.

ს. ახმეტელი წერდა: „დღეს... ჩვენ უნდა ავაშენოთ დრამატული თეატრი

იმგვარ არქიტექტორულ პრინციპებზე, რომელიც დრამის უმთავრეს მიზანს ე. ი. მოქმედების საუკეთესო ფორმის გადმოცემას შეეფერება... უმთავრეს საშუალებებს დრამა — თეატრისა სიტყვა და მოძრაობა შეადგენს, ჩვენ ვგებულობთ მსახიობის სულიერ ვითარებას და მდგომარეობას სიტყვით და მოძრაობით. აქედან, თავისთავად ცხადია, მსახიობი იმგვარ მდგომარეობაში უნდა იყოს ჩაყენებული, რომ მისი ხმა, თვით ჩურჩულიც, მისი ოდნავი მოძრაობაც კი ჩვენთვის თვალსაჩინო იყოს. არსებულ თეატრებში კი ყოველივე ეს შეუძლებელია“.

ეს სტრიქონები დაიწერა 1915 წელს, როცა თეატრის ახალი ფორმის შექმნის ერთადერთი ნიმუში იყო ევროპაში პარიზის თეატრი ელისეს მინდვრებზე (1911—1913 წ. არქ. ოგიუსტ პერე). 33 წლის შემდეგ (1948 წელს) თითქმის ზუსტად იმეორებს ს. ახმეტელის სიტყვებს ცნობილი რეჟისორი კლოდ ოტან-ლარა:

„თუ დღემდე თეატრში მიდის ერთი და იგივე სპექტაკლები (რასაც თეატრის დაღუპვამდე მივყავართ), ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ თეატრი ჩაკეტილია იმგვარ მოცულობაში, საიდანაც გამოსვლა მას არ ძალუძს. სცენის ტრადიციული ფორმა სპექტაკლების ტრადიციულ ხასიათს განსაზღვრავს. როცა ჩვენ ამას თავს დავაღწევთ, მოწმენი გავხდებით ახალი, აქამდე არახული დრამატული ხელოვნების ჩასახვისა და აყვავებისა“.

ახალი თეატრის შექმნაზე მუშაობს მსოფლიოს თითქმის ყველა ცნობილი არქიტექტორი. ამ მძლავრი ტალღის შედეგად შეიქმნა თეატრის მრავალგვარი ფორმა, ფორმის ამ მრავალგვარობას ყველაზე ნათლად თვით თეატრის სახელწოდებანი ადასტურებენ. 1937 წელს არქიტექტორმა ტორნოტმა ოტან-ლარას იდეით ააგო „სივრცობრივი თეატრი“, გროპიუსმა — „ტოტალური თეატრი“, ფეინინგენმა — „სფერული თეატრი“, გენიალურმა ლე კორ-





ბუზიემ შექმნა „სპონტანური თეატრი“ (პროექტი), ლიბენმა — „მრგვალი თეატრი“. შევერმა და პარენმა — „თეატრი — მანეჟი“, 1937 წელს კოჟენსკიმ რეჟისორ პოლიერის გეგმით აავო თეატრი, რომელიც წყალში ჩავარდნილი მეტეორის ფორმას მოგვაგონებს. ამავე პრობლემებით არიან დაინტერესებულნი თანამედროვე არქიტექტორები ოსკარ ნიმიეირი და მის ვან დერ როე, ვინაიდან მსახიობისა და მაყურებლის ერთიანობა არის არა მხოლოდ რეჟისორული, თეატრალური პრობლემა, არამედ წმინდა არქიტექტურულიც.

ს. ახმეტელის იდეა („ყოველი მოქმედება, როგორც ჩემს, ისე მსმენელის თვალწინ უნდა იშლებოდეს, იგი უნდა იყოს ახლოს ჩემთან. დრამის რიტმი ჩემს სულს და გულს მწყობრად, ხელშეუშლელად უნდა სწვდებოდეს. რიტმი დრამისა ერთადერთი გზაა, რომელიც მაყურებელსა და თეატრს აერთიანებს“) ახლოა გროპიუსის „ტოტალური თეატრის“ პრინციპებთან: — „...აი, როგორია მომავლის თეატრი და მისი ფორმების ფუნდამენტალური პრინცი-

პები: ყველა არქიტექტორული ელემენტის ერთიანობა — საყოველთაო ერთების შექმნის მიზნით, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვანორციელოთ ჰემარიტი კავშირი მსახიობსა და მაყურებელს შორის; თეატრის გაყოფა სცენად და მაყურებელთა დარბაზად, მაგრამ არა მათი სრული განცალკევება; გამოყენება ყველა სივრცობრივი საშუალებისა, რომელსაც ძალუძს გამოიტაცოს მაყურებელი ინტელექტუალური აბატიიდან, გააოგნოს იგი და აიძულოს მოქმედებაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს“...

მკითხველისათვის, ვგონებ, ნათელი უნდა იყოს, რომ ს. ახმეტელის ეს ცხოველი დაინტერესება განპირობებულია, უპირველესად, თვით დრამის, თეატრალური სპექტაკლის ძველი ფორმების უკუარობით და ახლის ძიების სურვილით. ს. ახმეტელის ძიებათა სფერო, თეატრალური ესთეტიკის ძირითადი მომენტები მოწმობენ, რომ ეს რეჟისორი ყოველთვის იდგა პრობლემათა ცენტრში და ზოგჯერ, თავისი ინტუიციის წყალობით, წინ უსწრებდა კიდეც დროს.



## მოსკოვის ჟურნალები ქართულ მხატვრებზე

### ისტორია და თანადროულობა

(ჟურნალი „ტორჩისტვი“, № 10, 1964 წ.)

ელგუჯა ამაშუკელს იცნობენ როგორც მონუმენტური სკულპტურის „ქართვლის დედის“, საქართველოს ისტორიის მუზეუმის შენობაზე ამოკვეთილი შოთა რუსთაველის ბარელიეფისა და საქართველოს უძველესი დედაქალაქის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი მედალიონების ავტორს.

ღიას, საქართველოს ახალგაზრდა მოქანდაკის სახით ჰყავს ხელოვანი, რომელიც სისხლწორცეულად არის დაკავშირებული თავისი ქვეყნის ეროვნულ და ხალხურ ტრადიციებთან. იგი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი გმირული წარსულის მომდგრალია, მაგრამ არ იქნება სწორი ამაშუკელის შემოქმედება მარტო ამ ასპექტით რომ განვიხილოთ. ახალგაზრდა მოქანდაკეს აღლეგებს ეპიკური მასშტაბის იდეები, ეროვნულის ზოგად-საკაცობრიო მნიშვნელობაში გადაზრდის პრობლემები, ფართო ასოციაციის გამომწვევი სახეები, დიდი ისტორიული ეპოქების კავშირი ჩვენს თანადროულობასთან.

ჩვენ ვიმყოფებით მეექვსე სართულის არცთუ ისე მაღალ მანსარდში, მოქანდაკისათვის უჩვეულო სახელოსნოში. ეს მანსარდი მარტო შემოქმედებითი მუშაობის ადგილი კი არ არის, იგი თითქოს საცხოვრებელი ბინაცაა მხატვრისა, რომლისთვისაც შემოქმედება მთელი ცხოვრების შინაარსი და პათოსია. და აი აქ, ამ სახელოსნოში, თანდათან ვწვდებით, თუ რა მრავალფეროვანია ეს ცხოვრება. მოქანდაკე გატაცებულია არა მარტო ძერწვით, არამედ საერთოდ ხელოვნებით. ამაშუკელის სახელოსნოში ნახავთ ფერწერულ ნამუშევრებსაც, რომლებიც ორიგინალური და მოულოდნელი პლასტიკურ-ხატოვანი მოტივებითაა აღსავსე.

ტილოებზე გამოსახულია ერთმანეთზე გადახლართული უზარმაზარი ფესვები, ბალახები, ტოტები, ფოთლები. მათში საოცრად იგრძნობა ძლიერი დინამიური პლასტიკა. მოძრაობა ნახვასში არაჩვეულებრივი მხატვრული ხერხით—საღებავების ძალიან სქელი ფენა ქმნის

ზედაპირის ნათლად გამოხატულ რელი-  
გეურობას.

ეს ნამუშევრები უახლოვდება ფერწე-  
რასა და რელიეფს, ნატურმოტსა და  
პეიზაჟს — მათი ტრადიციული ვაგებით-  
მაგრამ ხომ არა გვაქვს ჩვენ აქ საქმე  
სახვითი ხელოვნების ახალი სახეებისა  
და ქანრების წარმოქმნის ნიშნებთან,  
რაც ბუნებრივია კომუნისტური საზოგა-  
დოების სინთეტურ-მხატვრული კულ-  
ტურის პირობებში?

ამაშუკელის სეროიზულ კოლორი-  
ტულ ძიებებზე მიუთითებს არა მარტო  
მისი ფერწერული ნამუშევრები და ზღა-  
პრების მეტად გამომსახველი ილუსტრა-  
ციები, რომლებშიც მძლავრად და თავი-  
სებურად არის განსახიერებული სამყა-  
რო, არამედ მისი სკულპტურული ქმნი-  
ლებებიც. და ამიტომ, როდესაც მოქან-  
დაკის სახელოსნოში ათვალიერებთ მის  
ნამუშევრებს, ისინი ხან ადრიანი მზიანი  
შემოდგომის მოყავისფრო-მოწითალო,  
ხანაც გაზაფხულის ნაზი და გულის-  
შემძვრელი სიმწვანის ასოციაციებს იწ-  
ვევენ. ამაშუკელი ფერებს იყენებს. რო-  
გორც აქტიურ კომპონენტს მხატვრული  
სახის შესაქმნელად. ფერი ზოგჯერ  
ხელს უწყობს სახის მონუმენტურობას.  
ასეა მაგალითად, ვახტანგ გორგასალის  
ძეგლში, სადაც იგი ქანდაკებას გარსმო-  
ჯარულ მთიან პეიზაჟს და ნარიყალას  
ციხის ნანგრევებს უახლოვებს. ზოგჯერ  
კი ფერს ქანდაკებაში ლირიკული აქცენ-  
ტი შეაქვს ისე, როგორც ეს „კახეთის“  
მოდელოია.

ამაშუკელის კოლორიტული ძიება  
ჩვენ გვახსენებს, რომ მოქანდაკეთა შე-  
მოქმედებაში მიუტყეველად მივიწყებუ-  
ლია ფერები, რომ გამოუყენებელია ქა-  
ნდაკებაში ხატოვანი გამომსახველობის  
დიდი შესაძლებლობები, რაც განსაკუთ-  
რებით მნიშვნელოვანია სინთეზის ახალ  
ამოცანებთან და ქალაქთმშენებლობის  
დიდ კომპლექსებთან დაკავშირებით.

მაგრამ ამაშუკელის მოდელები მარ-  
ტო კოლორიტული გადაწყვეტით როდი  
გამოირჩევა. თუ მრავალი მოქანდაკის  
მოდელები მიახლოებით ჩანაფიქრებს

წარმოადგენს, ამაშუკელის სკულპტურ-  
რულ კომპოზიციათა პროექტები მრავ-  
ვალი ძეგლის პოეტური სახის ფრამენტუ-  
რძნებას გვაძლევს. მისი მოდელები თი-  
თქმის დასრულებული მხატვრული ნა-  
წარმოებებია, თუმცა აშკარაა, რომ მა-  
თი შინაგანი მონუმენტურობა უფრო  
დიდ ზომებში გადატანას მოითხოვს.

ახალგაზრდა მოქანდაკის შემოქმე-  
დება ქანრობრივად ძალზე მრავალფე-  
როვანია. მის სახელოსნოში ვხედავთ  
ათსანტიმეტრიან მედალიონსაც და მო-  
მავალი უზარმაზარი სკულპტურული  
კომპოზიციების პროექტებსაც. მაგრამ  
ამასთანავე ერთ რამეში ამაშუკელი უც-  
ვლელად ერთგულია თავის თავისა: მი-  
სი აზროვნება ყოველთვის მონუმენ-  
ტურია, რაც ხორცს ესხამს დიდი მხატ-  
ვრული განზოგადების მქონე სახეებში  
და რაც სპეციფიურად ვლინდება სახვი-  
თი ხელოვნების სხვადასხვა ქანრებში.

ჩვენს წინაა რეასანტიმეტრიანი დია-  
მეტრის მედალიონი, მიძღვნილი ქართ-  
ველი ხალხის კულტურის ძეგლებისად-  
მი. მასზე, მცხეთის ტაძრის სილუეტის  
ფონზე, გამოსახულია გაშლილი ხელის  
მტევნები. მკაცრი წარწერა რელიეფთან  
ორგანულადაა დაკავშირებული. მედა-  
ლიონი მომხიბვლელია უწინარეს ყოვ-  
ლისა იმიტომ, რომ მასში მკვეთრადაა  
შეხამებული მხატვრული იდეის ტრადი-  
ციულობა და თანადროულობა. აღამი-  
ანის ეს ხელები, შემოქმედი, მფარვე-  
ლი ხელები — ფართოდ გაშლილი სამ-  
ყაროს შესაგებებლად — განა არ გა-  
მოხატავს იგი ჩვენი დროის, სოციალიზ-  
მის ეპოქის მსოფლშეგრძნების თავისე-  
ბურებებს? ეს პატარა მედალიონი კარ-  
გად გვიჩვენებს ახალგაზრდა მოქანდა-  
კის შემოქმედების განვითარების გზას.  
და ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

...დვას ქართველი დედა თბილისის  
თავზე, ამაყი თავი ოდნავ ძირს დაუხ-  
რია, ერთ ხელში ღვინით სავსე თასი  
უჭირავს, მეორეში — ხმალი, რომელიც  
სამშობლოს მტრებს გზას უღობავს.  
ტრადიციული მონუმენტებიდან იგი  
მკვეთრად გამოირჩევა ამ ქანრისათვის



უჩვეულო ღირებულებით, ვერცხლისფერი ფიგურის საოცარი სიმსუბუქით, დახვეწილი სილუეტით. ქანდაკებას აქვს მრავალი პლასტიკური ღირსება, ჭეშმარიტი მიგნებანი ფორმის მხრივ...

სახელოსნოში ჩვენ ვხედავთ მე-5 საუკუნის მეფისა და მხედართმთავრის ვახტანგ გორგასალის ძეგლის პროექტს. ვახტანგ გორგასალის სახელთან ხომ საქართველოს უძველესი დედაქალაქის — თბილისის დაარსების ლეგენდა დაკავშირებული. ეს ძეგლი დაიდგმება 1965 წელს.

მოქანდაკემ გორგასალი თითქოს იმ დროს გამოსახა, როცა იგი ხელით უჩვენებს ადგილს, სადაც საფუძველი უნდა ჩაეყაროს ქალაქს. არა მარტო ცხენოსანი გორგასალის ეს საზეიმო პოზა მიუთითებს ამ გადაწყვეტილების შეურყევლობას, მოვლენის დიდ მნიშვნელობას, არამედ მკაცრ პერპენდიკულარებზე აგებული კომპოზიციის პლასტიკურ რიტმში გამოხატულია სარდლის შეუღრეკლობა, მისი ნებისყოფის სიმტკიცე. ელგუჯა ამაშუკელი მეფის ისტორიულად მართალი სახის შესაქმნელად კრიზისა და ბოლნისის ტაძრების უძველეს ფრესკებში ეძებდა წყაროებს. მოქანდაკე ღრმად შეიჭრა ისტორიულ წარსულში, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ აღამაზებს გორგასალს, როგორც ეს არაერთხელ მოსვლიათ მოქანდაკეებს შორეული ეპოქების სახელგანთქმული სარდლების მონუმენტთა შექმნისას.

გორგასალის ქანდაკებაში გარკვევით იგრძნობა ჩვენი დროის სუნთქვა.

ღიახ. ვახტანგ გორგასალი საზეიმოდ უძრავია და ეს მთელ კომპოზიციას ხაზგასმული. მაგრამ ამასთან იგი აღსავსეა დიდი შინაგანი დაძაბულობით, ღრმა დინამიკით. ამიტომ მასში არ არის ის ყალბი პათეტური სიდიადე, რაც ასე ხშირად ახლავს მხედრის ქანდაკებებს.

ქაბულისათვის ასაგებ მონუმენტის პროექტთა კონკურსზე მიიღეს ამაშუკელის პროექტი. მასში განსახიერებულია წარსულში ჩამორჩენილი, თითქმის ვე-

ლური ქვეყნის სწრაფვა ფართო, ჩაბნელებული მომავლისკენ. ამაშუკელის ქანდაკება გვირგვინით უნდა დაედგინა ქვეყნის გვირგვინის შესასვლელს, ჰინდიკუმების — ამ ათასწლობით უძრავი და ურყევი მთების სისქე რომ გაარღვია.

მოქანდაკის სახელოსნოში ვხედავთ მომავალი ძეგლის მოდელსაც და იმ ადგილის ფოტოსაც, სადაც ძეგლი დაიდგმება. სურათზე მოჩანს უსასრულო მთიანი ლანდშაფტი. ყველაზე უახლოეს მთაზე თითქოს მისგან უშუალოდ წამოზრდილია თვრამეტმეტრიანი ქანდაკება. განცვიფრებთ ძეგლის ემოციურობა, რაც ამ ქანდაკების უჩვეულო, ჭეშმარიტად მკაცრ მონუმენტურობასთანაა შეხამებული. ამ ქანდაკების კომპოზიცია ავტორის კარგი მიგნებაა. მონუმენტი მეტად დინამიურია. იგი ვაგონებს სწრაფად მქროლავი მხედრის გამოსახულებას. მას ხელში ჩირაღდანი უჭირავს, ჰორიზონტალურად უკან გადახრილი ალი მოძრაობას მეტ დინამიკობას მატებს. კომპოზიცია ისევე მონუმენტური და ურყევი, ვით გარსმომდგარი მთები. სწორედ ამ რთულ, წინააღმდეგობრივ გადაწყვეტაშია თანამედროვე გამომსახველობის დიდი ძალა. „დროის გარეშე“ მდგარი ამ ქანდაკების ერთიან გამოსახულებაში ხელოვნების ძალით თითქოსდა ჩაქსოვილია მომთაბარე ავღანელების წარსული, მოპოვებული თავისუფლებით გამოწვეული სიამაყის გრძნობა და მათი მტკიცე ნება-სურვილი, დაამკვიდრონ ახალი ცხოვრება. ამ პროექტში ალეგორიულობა დაშტამპული ხერხებით როდია გადაწყვეტილი, ამაშუკელის მიერ შექმნილი სახე ფართო და განზოგადებულია. იგი ავღანეთის მხატვრულ ტრადიციებში, მის ეროვნულ თავისებურებებში ისევე ღრმად შეიჭრა, ვით „თავის“ მშობლიურ ქართულ კულტურაში.

მოქანდაკის სახელოსნოში არის კიდევ ერთი მოდელი. უჩვეულო თავისი სახეობრივი პლასტიკური გადაწყვეტით. ეს თექვსმეტმეტრიანი კომპოზიცია კახეთში — საქართველოს ამ თვალ-

მარგალიტში — დასადგმელადაა გათვალისწინებული. ეს ქანდაკება, რომელსაც ავტორმა „კახეთი“ უწოდა, ამ კუთხის ხალხითა და ბუნებით არის შთაგონებული. მამაკაცის ტანი მტკიცედ დგას მიწაზე. მაღლა აწეულ ხელებში საზეიმოდ უჭირავს ღვინით სავსე თასი — როგორც დედამიწის ნაყოფიერების და უშრეტელი წყარო — აღამიანს რომ ემსახურება. აღამიანის კავშირი ბუნებასთან, მასთან შერწყმა — ამ პოეტური ალეგორიის ერთ-ერთი ისეთი წახნაგია, რომელიც ამკვიდრებს თავისუფალი ხალხის ღრმა ოპტიმიზმსა და სიცოცხლისმოყვარეობას.

ე. ამაშუკელის შემოქმედებაში ჩვენ ვხვდებით თანამედროვეობის მრავალ მნიშვნელოვან პრობლემას. ეს არის დიდი იდეების ალეგორიებითა და სიმბოლოებით გამოხატვა, ქანდაკებაში ფერების გამოყენება და ეროვნული მემკვიდრეობის სოციალისტური თანადროულობის სულისკვეთებით გადაქმნილება.

ელგუჯა ამაშუკელი მიეკუთვნება იმ ხელოვანთა რიცხვს, რომელნიც ხელოვნების გაბედულად ეძებენ სწორედ ამიტომ მას ერთი რამ მინდა მოვავლო:

თითოეული ხელოვანის წინაშე, რომელმაც ცხოვრების თუნდაც მნიშვნელოვანი მონაკვეთი განვლო, ყოველთვის დგას ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაც ტრამპლინია ახალი. შემდგომი შემოქმედებითი ზედასვლისათვის. ეს მით უმეტეს ითქმის ახალგაზრდა ხელოვანზე. ამაშუკელი თანამედროვე სახეების შექმნისას ჯერ კიდევ ვერ აღწევს საკმარის თანმიმდევრობას.

ვისურვებდით, რომ თანამედროვეებისადმი მიძღვნილ მის ქმნილებებში იგრძნობოდეს ამაშუკელისათვის დამახასიათებელი დიდი ისტორიული მასშტაბის იდეებით აზროვნების ოსტატობა, რათა კომუნიზმის მშენებელი საზოგადოების დიადი საქმე მისთვის ჩვეული ემოციურობითა და მონუმენტური გაქანებით იყოს გამოხატული.

ბ. ვალერიუსი.

## მუღმიჯ ძივჯაში

(შურნალი „ისტუმბო“, № 6, 1965 წ.)

ახალგაზრდა გრაფიკოსის ალექსანდრე ბანძელაძის პირველი მნიშვნელოვანი ნამუშევრის — ხალხური ეპოსის „არსენას ლექსის“ ილუსტრაციების (ზეთი, 1957 წ.) მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მასზე, როგორც ნიჭიერ მხატვარზე, რომელიც თავისებურად და ახლებურად აღიქვამს სამყაროს. ა. ბანძელაძე — ეს დაუცხრომელი შემოქმედებითი აზრის აღამიანი — თავის ნამუშევრებში შესანიშნავად ათანხმებს ეროვნულ-ხალხურ ტრადიციებს და ახლის შევარძლებას. ა. ბანძელაძემ ქარ-

თული წიგნის გაფორმების ხელოვნებაში შეიტანა ძივების მშფოთვარე სული, რომელიც ნაწარმოების აზრს მხატვრულ სახეებში სხვადასხვანაირად ხსნის...

„არსენას ლექსის“ უჩვეულო ილუსტრაციებმა იმთავითვე მიიპყრო ყურადღება საოცრად თამამი ფერწერული გადაწყვეტის აშკარა დეკორატიულობით და სილუეტის აქტიური გამოყენებით, რომლის მეოხებითაც ა. ბანძელაძემ შესანიშნავად დაგვიხატა ქართველი ხალხის ეროვნული გმირის — არსენას

ცხოვრებისა და ბრძოლის ამაღლებებელი, გმირულ-რომანტიკული ამბავი. გამომსახველობითი საშუალებების ერთიანობა ილუსტრაციებში ქმნიდა ეპოსის გმირის არა განყენებულ და სიმბოლურ, არამედ რეალურ, ფსიქოლოგიურად მრავალმხრივ სახეს. მებრძოლი, ხალხის მოსიყვარულე, ტანჯული არსენას სახის ფსიქოლოგიური მრავალფეროვნება უმეტესად ფერებით იქმნებოდა. ფერის აქტიური ემოციურობა, ზოგჯერ მოულოდნელი კონტრასტულობა და შეხამება დაძაბულ დრამატულობას ანიჭებდა ზოგიერთ თითქოსდა სტატიკურ სცენას.

მაგალითად, იმ სცენაში, სადაც არსენა გაქცეულ ქანდარებს დასცინის, ფერები ცეცხლისფერი და ნათელია. არსენას შინაგან მღელვარებასთან ერთად იზრდება ფერით გამოხატული ემოცია, ფერები მეტ სიცხოვლეს იძენს. გმირის სიკვდილის სცენაში კი ფერები მუქდება, რითაც ძლიერდება ლაკონურად და მონუმენტურად გადაწყვეტილი ილუსტრაციების ემოციური ძალა.

ლოკალური ფერის და ენერგიული კონკრეტული ხაზის გამოყენება არ ყოფილა მხატვრის მხოლოდ „დეკორატიული“ გამოცდილების შედეგი. იგი ნაკარნახევი იყო ხალხური პოეზიის თავისებურებითა და შინაგანი რიტმული წყობით, აგრეთვე უშუალო კავშირით ხალხურ სახვით ხელოვნებასთან. „არსენას ლექსის“ ეპიკურმა ხასიათმა განსაზღვრა ილუსტრაციების მონუმენტურობაც. მხატვარმა ფორმას მიანიჭა სისადავე, ხოლო სილუეტს — ვაჟკაცური ენერგია.

ეპოსისათვის დამახასიათებელი სახოვანი გავრცელება ამ ნახატებში ფერთა სახეიმო უღერადობით გამოისახა.

ა. ბანძელაძე საერთოდ ამ მანერით ხატავს, მაგრამ თავის შემოქმედებაში სრულებით არ ცდილობს მხოლოდ მის დაკანონებას. ლევან ვოთუას „გმირთა ვარამის“, იროდიონ ევდოშვილის „უბედური ქორბუღას“ და რადიარ

კიპლინგის „მაუგლის“ ილუსტრაციებში მხატვრის გრაფიკული ენა ინსერუებს მონუმენტურობას და განსაკუთრებულ დეკორატიულობას, მაგრამ იძენს ახალ იერსა და ინტონაციას.

ამ ილუსტრაციებში ა. ბანძელაძემ მიიღწია ფერწერულ მრავალფეროვნებას, შექმნა სიცოცხლით სავსე ფორმები. წიგნში მოხდენილად გამოყენებული ილუსტრაციებით მან შექმნა მთლიანი მხატვრული ანსამბლი.

ყოველივე ეს ცხადად ჩანს „მაუგლის“ გაფორმებაში.

ამ წიგნის ასამდე ილუსტრაცია ფერებით მოთხრობილი ცოცხალი და მიმზიდველი ამბავია. ნახატები ორგანულად შეერწყმიან ტექსტს და ქმნიან ნაწარმოების ერთ მთლიან სახეს.

ვის არ ნახავთ აქ: მაუგლის, მამამგელს, ძუ-მგელს, ბალუს, ბაგირას, შერ-ხანს — სხვა კეთილსა თუ ბოროტ პერსონაჟებს, რომელთაც მხატვარი კომპოზიციურ ჯგუფებად აერთიანებს.

მაუგლის ცხოვრების სცენები (ტექსტში უშუალოდ ჩართული ან ჩარჩოში ჩასმული) ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზებად, თავსართებად და ბოლოსართებად ენაცვლება დიდ ილუსტრაციებს. იქმნება აქტიური, პლასტიკურად უაღრესად გამომსახველი ფონი, რაც ხელს უწყობს ტექსტის ხატოვან აღქმას. ამ ფონზე კიდევ უფრო ნათლად ჩანს მაუგლის ხასიათის განვითარება — მკვლელის სროვის შვილობილის მამაც ქაბუკად გადაქცევა.

კომპოზიციურად მოხდენილ, მეტყველი ხაზებით შემოწერილ სხეულებს დიდი დეკორატიული ფუნქცია აკისრია. რიტმულად განლაგებული ფერადოვანი ლაქები და მკვეთრად გამოკვეთილი სილუეტები წიგნს გარეგნულად ამიდრებს და ალამაზებს. გველ კას სპირალური სხეული ფაქიზ ორნამენტად აქვს დართული გვერდის ვერტიკალურ კიდეს. ერთ-ერთ თავსართში კაა და მაუგლი ქმნიან მოქნილ სილუეტსა და კომპოზიციას, სათაურთან აზრობრივად შეთანხმებულ დეკორატიულ ჯგუფს.



რ. კიპლინგის წიგნის ღრმა ჰუმანიზმი და პოეტურობა თითქოს არბილებს, თრთოლვას მატებს მხატვრის გრაფიკულ ხელწერას. იზრდება სილუეტის როლიც, თუმცა იგი კარგავს „არსენას ლექსის“ ილუსტრაციებისათვის დამახასიათებელ მკვეთრ, თითქოსდა ნაჰედ სიმტკიცეს.

მხატვარი ელასტიური ხაზებით ენერგიულად შემოსაზღვრავს პატარა მთაგლის სხეულს, ჭაბუკი მთაგლის ძლიერი ფიგურის, ლიანების, გველ კაას, მოუქნელი ბალუს კონტურებს.

ა. ბანძელაძე ხაზს უსვამს მოვლენათა და საგანთა ბუნებრივ ერთიანობას, ამავე დროს გვიჩვენებს მათ მთავარსა და ზოგად დამახასიათებელ თვისებას.

მკვიდრი მოსახლეობის ქოხები, ხეების ჯგუფი ილუსტრაციებში მოცემულია განზოგადებული ფერადი ლაქებით, ადამიანთა და ცხოველთა სხეულები კი დიდი მოცულობით და თითქმის სკულპტურულადაა გამოძერწილი. „არსენას ლექსის“ ილუსტრაციების ლოკალური ფერი „მთაგლში“ ოდნავ იცვლება, იგი ჰარმონიულ ან კონტრასტულ გადასვლებსა და ტონებს ქმნის, რაც ჩინებულად გამოხატავს ტროპიკული სამყაროს პლასტიკურ და დეკორატიულ ნაირსახეობას. ეს გადასვლები და ტონები ამდიდრებენ ერთმანეთს, გამოკვეთენ სხეულთა სკულპტურულ სიციხადეს და ამით ზღაპრულ სამყაროს რეალურს, საგნობრივად ხელშესახებს ხდიან.

მთაგლის მოკანგისფრო-მოწითალო

ტანი, — როცა იგი კაას სხეულს ხელთებში ნებევრობს, ხანაც მოკანგისფერი, — როცა ხის ტოტზე წამოწოლილა, განრისხებული შერ-ხანის ფეხქვეშ მოვარვარე მიწა, კამეჩზე ამხედრებული მთაგლის უკან ცის კიბინ ქარვისფერი ტონი... კარგად გვიჩვენებს კიპლინგის წიგნისათვის დამახასიათებელი გამონაგონისა და სინამდვილის ზომიერ შერწყმას. სწორედ ამან მისცა საშუალება მხატვარს, ნაწარმოების ძირითადად რეალური არსი სურათოვანი ზღაპრული ენით აემეტყველებინა, რის გამოც მას ბავშვებიც ადვილად აღიქვამენ.

ა. ბანძელაძის ილუსტრაციებში ცოცხლდება ჯუნგლების რეალური და ზღაპრული, ახლობელი და ამავე დროს მიუწვდომელი სამყარო.

ა. ბანძელაძის შემოქმედებითი აზრი განუწყვეტელ მოძრაობაშია, იგი რეალისტური გამოხატვის ახალ საშუალებათა და ახალ ფორმათა ძიებით იზრდება და ვაჟკაცდება. მხატვარს უკვე აღარ აკმაყოფილებს „არსენას ლექსის“ ძველი ილუსტრაციები. ამას წინათ მან ხელახლა გააფორმა ეს ეპოსი და ახალი გამომსახველობითი ხერხები გამოიყენა. ახლა წიგნი იბეჭდება, ამიტომ ილუსტრაციების ტექსტიდან განცალკევებით დამოუკიდებლად განხილვა ნაადრევია. ვფიქრობთ, პოეზიისა და ხელოვნების მოყვარულთ ეს ნამუშევრები ადრინდელზე არანაკლებ სიამოვნებას მიანიჭებს.



ნორა კანი

ნათელი სიყვარულისა

აკაკი წერეთელმა მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება მშობელ ერს მიუძღვნა; ერმაც დიდი სიყვარულით უპასუხა. აკაკის სიცოცხლეშივე ზედა უდიდესი ბედნიერება — თავისი თვალთ ენახა და განეცადა ის სიყვარული, რომლითაც ხალხი ჭეშმარიტ შემოქმედს მოსაეს.

აკაკის დიდი თანამედროვე, XIX საუკუნის მერე ნახევრის ქართული აზროვნების კანონმდებელი ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „...საცა წავიდა აკაკი, წინ დახვდა მისგან ფრთაასხმული და გაღონიერებული სიყვარული საქართველოსი და ქართველისა, წინ დახვდა გულწრფელი პატივისცემითა და მადლიერებით აღსავსე გულითა“.

აკაკი მუდამ ხალხში იყო. ბევრს მოგზაურობდა; მან ფეხით მოიარა თითქმის მთელი საქართველო, თავისი თვალთ შეიხედა „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა“ ქოხებში, გაიზიარა მათი სევდა და სიხარული. იგი მშრომელი ხალხის იმედად და ნუგეზად იქცა... მართა-

ლი იყო სოფრომ მგალობლიშვილი, როცა წერდა: „აკაკი ჩვენი ერის მესაიდუმლეა, ერის გულიდან ამოღებული მარგალიტია, იგი თვით საქართველოა, იგი თვით ქართველი ერია. აკაკი ერთადერთი მგოსანია, რომელიც პირდაპირ გაეცნო თავის ხალხს, თავის ერს. ჩაიხედა იმის სევდიან, მაგრამ უმწიკვლო სულსა და გულში“...

თბილისი და ქუთაისი, კახეთი და ქართლი, სამეგრელო და რაჭა-ლეჩხუმი, მოსკოვი და პეტერბურგი, ბაქო და ხარკოვი, ოდესა და პარიზი, ბრიუსელი და რომი, სტამბოლი და ჟენევა. — ალტაცებით ზედებოდა „საქართველოს უგვირგვინო მეფეს“, უმართავდა საღამოებს, მოწიწებით თავს ხრიდა მის წინაშე.

ხალხის ძუძუნაწოვი პოეტი სულითა და გულით ეხმაურებოდა თავისი ქვეყნის ავსა და კარგს. ხალხიც მოუთმენლად ელოდა მის ახალ ნაწარმოებს, უმალ აიტაცებდა, თავის საკუთრებად აქცევდა ხოლმე და „ცხრაკლიტულში“ დატყვევებული სამშობლოს განთავისუ-



ფლებს იმედით მღეროდა: „ჩანგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველა“...

ხალხს აგულოვანებდა პოეტის უბე-რებელი გულის ომახიანი დაძახილი:

არა, აყვავდეს იმედი...  
 გულს ვერ გამიტებს ჭაღარა...  
 გმირებს უძახის... უყვის  
 ჩემი დაფი და ნაღარა.

ქუჩებში, ბაღებში, პროსპექტებზე, ყველგან, სადაც კი მოხუცი პოეტი გამოჩნდებოდა. ხალხი უსაზღვრო პატივისცემით ხვდებოდა. ჩურჩულით ასვენებდა მის სახელს, ზოგჯერ კი აზვირთებულ გრძნობას ვეღარ იოკებდა და გაისმოდა აღტაცებული შეძახილები. მის ყოველ ნაბიჯს თვალ-ყურს ადევნებდნენ, მასზე ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ.

ერთი ასეთი ამბავი:

1908 წლის 25 მაისს აკაკი ლექციას ატარებს შოთა რუსთაველზე. დარბაზი ვერ იტევს მოკლე მოსმენის მსურველებს. ხალხი გარეთ დგას და ელოდება. პოეტი ამთავრებს ლექციას და კითხულობს თავის ახალ ლექსს — „ამირანს“...

ტაში, ოვაციები, აღფრთოვანება. უეცრად ნაავადმყოფარ, დაღლილ მგოსანს „ფეხი გაუსხლტა და კინაღამ წაიქცა“...

გაზეთებს არ გამოჩნიათ ეს ამბავი. უფრო მეტი, ეს ფაქტი სიმბოლურად მიიჩნეეს. მას საგანგებო წერილით გამოეხმაურა ვალერიან გუნიას ჟურნალი. წერილს ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა:

ჩემო სამშობლო! შენი დაცემა  
 არა, არ არის საბედისწერო...

წერილის ავტორი აკაკის მთელ ცხოვრებას საქართველოს ისტორიას ადარებს და ეძებს პარალელებს, ამ უკანასკნელ შემთხვევაზე კი ალევგორიულად წერს: „...მოიღალა. მოიქანცა საქართველო. სისუსტე შეეპარა მუხლსა და მკლავში, მაგრამ ეგ დროებითი მოვლენაა: შეისვენებს და კვლავ განაგრძობს

თავის წინმსვლელობას აბობოქრებულ ცხოვრების ზღვაზე...“

რა ვუყოთ რომ ათასში ერთხელ ფეხს წაჰკრავს მტერთა და შინაურთა მიერ წინ გახირულ დაბრკოლებას. დაბარბაცდება, შეირყევა, მაგრამ არასდროს არ წაიქცევა“.

მთელმა ქართველმა ხალხმა აღნიშნა პოეტის ორმოცდაათი წლის დაულავი შემოქმედებითი შრომის იუბილე. ეს იუბილე იქცა ეროვნულ დღესასწაულად. უამრავი მილოცვა მოვიდა ზეიმის დღეებში პოეტის სახელზე. თავის ყოფილ სტუდენტს დღესასწაულს ულოცავდა პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტი, სალაშს უთვლიდნენ სამხატვრო თეატრის მესვეურები სტანისლავსკი და ნემიროვიჩ-დანჩენკო, ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვოს“ რედაქციის სახელით მწერალი კოროლენკო, პეტერბურგის სალიტერატურო საზოგადოებიდან — ანენსკი, მოსკოვის სალიტერატურო და სამხატვრო წრის დავალებით — ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი. აღმოსავლურ ენათა ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორთა საბჭოს სახელით — დირექტორი პროფ. მილერი და მდივანი ა. ხახანაშვილი, ინგლისელი მწერალი ქალი მარჯორი უორდროპი...

არხანგელსკის გუბერნიის ქ. ხოლომოგორიდან გამოგზავნილ დეპეშაში პოლიტიკური გადასახლებულები წერდნენ: „ჩვენ. პოლიტიკური გადასახლებულები, ვუერთებთ ჩვენს ხმას ქართველთა ზეიმის საერთო ჰანგს — ხალხის საყვარელი, თავისუფლების მომღერალი ზეშთაგონებული პოეტის, პოლიტიკურად დამონებული ხალხის მწუხარების ამსახველის, თავისი სამშობლოს სასიქადულო შვილის აკაკი წერეთლის იუბილეს გამო“.

მხოლოდ ექვსი წელი იცოცხლა ამ დიდი იუბილეს შემდეგ აკაკი წერეთელმა. ერთხელ კიდევ მოინახულა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქალაქები და დაბა-სოფლები, იმოგზაურა რუსეთსა და ევროპაში და ყველგან კვლავ განუ-



ზომელი სიყვარულით შეეგებნენ. აკაკისადმი ერის თაყვანისცემაზე წერდნენ მოსკოვისა და პეტერბურგის, პარიზისა თუ ბრიუსელის გაზეთები და აღიდებდნენ იმ ადამიანს, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ილია ჭავჭავაძესთან ერთად უშიშრად იდგა საქართველოს ნათელი მომავლისათვის მებრძოლთა ავანგარდში.

50 წლის წინათ, 1915 წლის ზამთრის ერთ სუსხიან ღამეს, საჩხერეში სამუდამოდ დახუჭა თვალი აკაკი წერეთელმა. მთელი ქართველი ხალხის გულისნადები გამოხატა კიტა აბაშიძემ, როცა ამ სამწუხარო ამბის გაგებისას წამოიძახა: „აჰა, დაიმსხვრა სასმისი, რომელშიაც საუკეთესო სასმელი ესხა, მაგრამ ნექტარი კი არ დაღვრილა, არამედ წვეთ-წვეთად გაიფანტა ყოველი ქართველის გულში!“

ერთადერთი სადა, უბრალო წარწერიანი გვირგვინი მიუძღოდა კუბოს:

„აკაკის — საქართველო“. ეს იყო გერმარიტად ეროვნული გლოვა და საქართველმა ხალხმა ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი დიდი და გულწრფელი თაყვანისცემა.

აკაკი წერეთლის მდიდარი და მრავალმხრივი მემკვიდრეობა საუკუნოდ შევიდა მშრომელი ხალხის კულტურის დიდ საგანძურში. მის უკვდავ პოეტურ ნაწარმოებებს კითხულობენ და მღერიან ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყოველ კუთხეში. და გალაკტიონის სიტყვებით რომ ვთქვათ:

ჩვენმა წყალმა, ჩვენმა მთებმა,  
დიდებულმა მხარემ მთელმა,  
გულმა საქართველოსამ,  
ღიადმა და შუქნათელმა,  
პოვეს მასში კვლავ თავისი  
უსრულესი, უმთავრესი,  
გენიალურ პარმონის  
გამოსახვა უმძლავრესი.

## დიდი აკაკის ხსოვნას მიუძღვნება

აკაკი წერეთლის დაბადების 125 და გარდაცვალების 50 წლისთავთან დაკავშირებით შეიქმნა რესპუბლიკური საიუბილეო კომისია ირაკლი აბაშიძის თავმჯდომარეობით.

კომისიამ გადაწყვიტა 14 ნოემბერს მოაწყოს მიტინგი პოეტის მშობლიურ სოფელ სხვიტორში. მიტინგს გახსნის საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი პროკოფი ნოზაძე. აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი მოაწყოზს დიდი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიას. ქართველი მწერლები ეწვევიან სახლს სოფელ სავანეში, სადაც გლეხის ოჯახში იზრდებოდა მომავალი პოეტი.

15 ნოემბერს რუსთაველის სახელობის

თეატრში გაიმართება საიუბილეო საღამო, რომელსაც შესავალი სიტყვით გახსნის საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ირაკლი აბაშიძე. მოხსენებას აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთებს გრიგოლ აბაშიძე. ამავე დღეს მწერლები ყვავილებით შეამკობენ აკაკი წერეთლის საფლავს საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ბანთეონში მთაწმინდაზე.

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის. ქუთაისის განყოფილებანი მოაწყოზენ საიუბილეო საღამოებს. ასეთი საღამოები გაიმართება რესპუბლიკის მრავალ ქალაქსა და სოფელში.

## გამოთხოვნა გრიშაშვილთან

...მიდიოდა დრო, მიჰქონდა იოსებ გრიშაშვილის უკანასკნელი ცოცხალი ძალები, ქრებოდა შერჩენილი ნათება ამქვეყნიური პატრუქისა და 3 აგვისტოს ყველაფერი დამთავრდა... პოეტურმა ჭიდილმა უფრო ადრე ამოსწურა თავისი თავი, ვიდრე ფიზიკურმა, და საქართველოს აღარა ჰყავს ერთ-ერთი უსაყვარლესი პოეტური მეუფე, რომლითაც ქართველი ხალხი ყოველთვის აღფრთოვანებული იყო და ყოველთვის კანონიერად ამაყოფდა.

პოეტი იოსებ გრიშაშვილი გარდაიცვალა!

მწარეა ამ სიტყვების გაგონება, ძნელია ამ აზრთან შერიგება, მაგრამ ბუნებას აქვს ერთი კანონი, რომლის წინაშე კაცობრიობა მარად უძლური იქნება — ეს არის სიკვდილ-სიცოცხლის განუყრელი ერთიანობა, რაც ჩვენს პოეტს ასე კარგად ესმოდა:

მიწაში მიტომ ჩადის ფურცელი,  
რომ უკეთესი ხე ამოვიდეს!

გალაკტიონ ტაბიძის შემდეგ იოსებ გრიშაშვილის გარდაცვალება ყველაზე მძიმე დანაკლისია ქართული პოეზიისა, რომელსაც თითქმის სამოცი წელი უანგაროდ ემსახურებოდა თანამედროვეობის ეს მართლაც დიდი მომღერალი.

თუ ვინმეს გულწრფელად უმღერია სიყვარულისა და მეგობრობის უსპეტაკესი გრძნობებისათვის, თუ ვინმეს პოეტურ სახეებში განუდიდებია საბჭოთა საქართველოს დადაფნული გამარჯვებები, ერის მძიმე წარსული, გამირული აწმყო და დიდებული მომავალი, — მათ შორის იოსებ გრიშაშვილს ყოველთვის ერთ-ერთი პირველი ადგილი დაეთმო, როგორც უბრწყინვალესი, უნაზესი, ულამაზესი, ნამდვილად ოსტატური ლექსების ავტორს.

იოსებ გრიშაშვილი არ ყოფილა მართო პოეტი. შალვა დადიანივით სკოლაგაუფლელმა, თითქოს ამ უსწავლელმა, მაგრამ ტალანტით სავსე კაცმა იმდენი იმეცადინა, რომ ნამდვილი სწავლულო-



ბა გამოიჩინა თავის მრავალრიცხოვან, პირველხარისხოვან გამოკვლევებში. მისი არჩევა აკადემიის ნამდვილ წევრად, პოეტური შემოქმედების გარდა, გრიშაშვილის, როგორც მეცნიერი-მკვლევარის დამსახურებათა აღიარებასაც წარმოადგენდა. ეს გამოკვლევები ყოველთვის სანიმუშონი დარჩებიან ქართული კულტურის მეცნიერულ ისტორიაში და ყოველთვის დიდ დახმარებას გაუწევენ, როგორც დღევანდელ, ისე მომავალ მკვლევარებს.

როგორც ადამიანი და მეგობარი, კაცი და მოქალაქე, — გრიშაშვილი თავმდაბალი, სპეტაკი, გულწრფელი, შრომისმოყვარე, პრინციპული იყო. მისი უანგარობა ყველას ხიბლავდა, ვინც პირადად იცნობდა ან ურთიერთობა ჰქონდა მასთან. ფაქიზი და ზუსტი ყოველ საქმეში, ყოველ წვრილმანში, სხვისგანაც ამასვე მოითხოვდა. პოეტად იყო დაბადებული და მეცნიერებასაც ამაღლებული გრძნობით, პოეტური თვალთუყურებდა, თუმცა ბოლომდე კარგად ესმოდა, რომ აქ საჭიროა ფაქტებს ეყრდნობოდე, როგორც საფუძველს, ხოლო ფანტაზიას ისევ ფაქტებით განამტკიცებდე. მას არა აქვს არცერთი გამოკვლევა, რომელიც ამგვარი მიდგომით არ იყოს დაწერილი, იქნება ეს „საინათნოვა“, თუ „ძველი თბილისის ლი-

ტერატურული ბოჰემა“. ცნობილი ლიტერატურული ნარკვევებიც ფაქტების ორიგინალური გააზრებითა და ასევე ორიგინალური დასკვნებით გვიზიდავენ. თუ რა ლამაზი, მონარნარე, ტკბილი ქართულითაა დაწერილი ეს გამოკვლევები, ყველასათვის ცნობილია, ვისაც წაუკითხავს ან თავის მუშაობაში გამოუყენება.

საქართველოს დედაქალაქმა, განახლებულმა თბილისმა დაჰკარგა თავისი დიდი პოეტური ვაგაბუნდი, მაგრამ არ დაუკარგავს მისი სიმღერები, რომლებიც ყოველთვის დაატკბობენ ქართველის გულსა და სულს!

იოსებ გრიშაშვილი უკვდავი ადამიანი იყო და სიკვდილმა ვერაფერი შეიძლო, გარდა იმისა, რომ საბოლოოდ დაადასტურა მარადიულობაში მისი გადასვლა.

ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ყოველთვის დაუვიწყარი იქნება იოსებ გრიშაშვილის სახელი, როგორც მისი ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი — ლამაზი და კარგი, სპეტაკი და პატიოსანი, ძვირფასი და საყვარელი, უშუალო და გულწრფელი!

იოსებ გრიშაშვილი, როგორც პოეტი, თავისი გრძნეული ლექსებით უკვდავი და მარადიულია!

სამარადისო სახელი და დიდება მას!

1965, აგვისტო.





# წიგნაკის საყუჩო

## მეგობრის ღივილი

კ. ჭაღუა — „საგესა“. „ლიბერატურა და ხელოვნება“, 1965.

აფხაზი მწერლის პლატონ ჭკადუას მოთხრობების კრებული „საგესა“, ბევრი რამით არის საყურადღებო. მთავარი, რაც ამ წიგნში გვიზიდავს, ცხოვრების ღრმა ცოდნა გახლავთ. წიგნს ერთვის მწერლის მოკლე ბიოგრაფიული ცნობა: ყოფილა სოფლის სკოლის მასწავლებელიც, კოლმეურნეობის თავმჯდომარეც, გაზეთის რეგითი თანამშრომელიც და... აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიც. სწორედ ცხოვრების ამ რთული გზის გავლისა და დიდი გამოცდილების შედეგია ის მრავალფეროვნება, რაც სარეცენზიო წიგნს ახასიათებს.

ახლა ორიოდ სიტყვა პლატონ ჭკადუას ქართულ ენაზე ამეტყველებულ მოთხრობებზე.

კრებულში მოთავსებულია შვიდი ნაწარმოები, რომელთაგან ყველაზე ვრცელი და საინტერესოა იუმორისტული მოთხრობა „საგესა“.

ცნობილია, რომ ჩვენში ყველა სოფელს თავისი ამოჩემებული ადამიანი ჰყავს, რომელიც გაქილიკების, გაშიჩრებისა და, საერთოდ, სიცილის ობიექ-

ტია. როცა ასეთი ადამიანი ან იმ სოფლიდან მიდის, ანდა, ასე ვთქვათ, გამოსწორდება ხოლმე, მთელი სოფელი, მისდაუნებურად, ახალს ეძებს. მერე თანდათან, შეუმჩნევლად იკვეთება ერთი პიროვნება და... ყველაფერი თავიდან იწყება.

საგესა ყბად აიღო სოფელმა და ეს მისი სიზარმაცის ბრალია, იგი ერთი მუცელმერთა კაცია, მუშაობას ისევ შიმშის ამგობინებს; ხელის განძრევა ეზარება, ამიტომ არც საკუთარ თავს არგია რამეში, არც, მით უმეტეს, სოფელს. სოფელი მაინც ყოველნაირად ცდილობს მის სწორ გზაზე დაყენებას და... აქედან იწყება ნაწარმოების ფსიქოლოგიური განვითარება. მწერლის ჩანაფიქრი ხორციელდება ნელ-ნელა და ბუნებრივად.

მწერალი თავის გმირს მეტყველებითა და მახვილსიტყვაობით კი არ წარმოგვიდგენს სასაცილოდ, თუმცა საგესას ენაც კარგად უჭრის, არამედ მოქმედებით, ყოველი მოფიქრებული თუ დაუფიქრებელი ნაბიჯით.

ჯერ იყო და მეზობელმა ხარ-კამეჩი

ათხოვა საგესას, მიწა გადააბრუნე და სიმინდი დათესეო. ასეც მოიქცა, მაგრამ ყანა აღარ გათოხნა და სარეველამ გაუოხრა ნათესი. მის დარგულ თამბაქოსაც ასე დაემართა. ბოლოს კეთილმა ადამიანებმა იფიქრეს, იფიქრეს და გადაწყვიტეს, მოდი, კოლმეურნეობის წევრად მივიღოთ, ეგებ მაგასაც ეშველოს და ჩვენცაო, მაგრამ... საერთო კრებამ უარი სტკიცა, ასეთი კაცი არ გამოგვადგება, მუშაობას ჩავვიშლისო. ახლა კი კარგად იცის საგესამ, რაც უნდა უპასუხოს: „დარასმან ჩემო, მაშ, შენ იმ აზრზე დგახარ, საგესა მუშაობას ჩავვიშლისო, ხომ? ნუთუ თქვენი კოლექტივი ისეთი სუსტია და საცოდავი... რომ ამდენი ხალხის ნამუშევარს ეს ერთი კაცი ჩაშლის?! მაშინ, მგონი, მართლა არც ღირს თქვენს კოლექტივში შესვლა. მაგაზე დაფიქრდები.“

ასეთი პასუხის მთქმელს ვერც გონების სიჩლუნგეს დავაბრალებთ, ვერც დოცლადობას, მაგრამ ეს სიზარმაცეა რაც არის — მას ყოველთვის თავისი გააქვს.

ასე იყო თუ ისე, საგესა კოლმეურნეობის წევრად მიიღეს, მაგრამ ამოდველით რაიმე სასიკეთოს, არაფერიც არ მოხდა. საგესა ისევ ჩრდილს მიეტანა და ნებივრობა განაგრძო.

ცოლმაც ვერ აიტანა საგესას სიზარმაცე და გაქცა. ახლა კიდევ აპირებს ცოლის შერთვას. მაჰანკალი სულაც არ სჭირდება, თვითონ დადის თავისი თავის სამაჰანკლოდ... ნათხოვარი ტანსაცმლით. დადის უცხო სოფლებში; ყველგან კარგად იღებენ, პურმარილითაც ხვდებიან, მაგრამ საკმარისია საკუთარი ვინაობის გამხელა და „უი, უი, მომიკვდეს თავი! მაშ, ეს შენა ხარ, ღასბა საგესა! აქაც ყველა გიცნობს; შე უზადრუკო!“. ასეთი ცნობილი ვინმეა ჩვენი საგესა.

საგესა ცხვარში გაგზავნეს, მაგრამ არ ივარგა. ტრაქტორისტის თანაშემწედ დანიშნეს და მთელი უბედურება დაატრიალა: ბენზინის ბაჭში წყალი ჩაასხა. რადიატორში — ბენზინი. სანადიროდ წა-

ვიდა და ჯიხვი ვერ გაარჩია ფარების გაცისაგან. მოკლედ: სასიკეთო არ გამოსდის ხელიდან.

მწერალს უფრო და უფრო საინტერესო თავგადასავლების სამყაროში შევყავართ და ნაწარმოებიც სულ უფრო მოქნილი ხდება, გმირის ყველა ამბავი უშუალოდ მოქმედებით იწყება და მკითხველის ყურადღება ერთი წუთითაც არ ნელდება.

სოფელში ვიდაც დედაბერი გარდაიცვალა-საგესა ცხენზე შესვეს და მოპატიყედ გაგზავნეს სხვა სოფელში. საგესა დათვრა და ყველა გზად შემხვედრი მიიპატიჟა, ესა და ეს გარდაგვეცვალაო. ყველას უკვირს, ასეთი და ასეთი ვინმე არც გაგვიგიაო. მოპატიყედ წასულმა საგესამ კი შინ დაბრუნების ნაცვლად მოულოდნელად საავადმყოფოში ამოჰყო თავი, საავადმყოფოდან... ოდესაში. ოდესაში „საშიში დამნაშავე“ ეგონათ და დაიწყო ერთი კვლევა-ძიება. ბოლოს, როგორც იქნა, დაბრუნდა სოფელში. სოფელი სიხარულით შეხვდა, — რაც არ უნდა იყოს, მაინც ჩვენი მიწაწყლის კაციაო, ჩვენი საღმის მომცემიო. სოფელს უხარია მისი მოულოდნელი გამოჩენა და... ისევ გულიანი, ჯანსაღი სიცოლი.

ბოლოს და ბოლოს კაცმა თავის შესაფერ საქმეს ხომ უნდა მოჰკიდოს ხელი? და აი, საგესასაც ეშველა, „გამოსწორების“ გზა გამოჩნდა.

კოლმეურნეობის კრებაზე თქვეს: „ლაყბობის მეტი არაფერი შეუძლია“. „სიარული მაინც ქე უყვარსო“ და სოფლის ფოსტალიონად დანიშნეს. ეს საპატიო საქმე მისთვის ზედგამოჭრილი აღმოჩნდა.

დაიწყო საგესამ კარდაკარ სიარული: არიგებდა სასიხარულო წერილებს, დეპეშებს, ამანათებს, ყურნალ-გაზეთებს. სოფელს ედებოდა ახალი ამბები და საგესას მოსწრებელი ხუმრობანი.

გვჯერა, რომ საგესა ასე დაუსრულებლად ივლის აფხაზეთის გზებზე, ორობებებში, შუკებში. ივლის ფეხით, ცხენით, მოტოციკლეტით და არასოდეს

შეწყდება მისი ეზოდან ეზოში, ორღობიდან ორღობეში, შუკიდან შუკაში გადაძახილი: მასპინძლო!

ამ იუმორისტულ მოთხრობას მშვენიერი დაბოლოება მოუნახა ავტორმა და დაგვანახა, როგორ ღრმად სწვდება თავისი მშობელი ხალხის გულს.

ამგვარი ადამიანები ჩვენც ბევრი შეგვხვედრია ცხოვრების გზაზე. ისინი საოცრად უწყინარი და კაცთმოყვარენი არიან, თავიანთი ფიქრების სამყარო აქვთ და სრულიად უპრეტენზიო ინტერესები. ამიტომ სოფელი მათთვის არც ტყბილ სიტყვას იშურებს და არც ტყბილ კვერს.

ავტორი თავის მოთხრობებში ეხება დიდ სამამულო ომს („ორი შეხვედრა“), ოჯახურ სიტბოს („ერთ დღე-ღამეში“), პატიოსან შრომას („კორესპონდენტის ჩანაწერი“), მომავალი თაობის კეთილშობილურ აღზრდას („ნორჩი აგრონომი“).

ავტორი დამაჯერებლად გვიხატავს აფხაზეთის პეიზაჟებს. ქვა-ლორღში ზმურით გადავარდნილ ჩანჩქერს თუ მოულოდნელად ჩამობარდნილი პირველი თოვლის მშვენიერებას...

პ. ჭკადუა ერთნაირი სიყვარულით გვესაუბრება სამამულო ომის მონაწილეებზე (და ოჯახის მოყვარულ დედაზეც); ჩაის მწონავზეც და, თქვენ წარმოიდგინეთ, საგესაზეც. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გარეგნობითაც და ხასიათითაც, მაგრამ ყველას აერთიანებს კეთილშობილება.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქმის წიგნში ყველაფერი რიგზეა: აქა-იქ გვეხვდება სადავო ადგილებიც, კერძოდ, თხრობა „საგესაში“ არაბუნებრივად გვეჩვენება ამბიდან ამბავზე გადასვლა. უფრო სწორად: თავების უმეტესობა დამოუკიდებელი ნაწარმოებების შთაბეჭდილებას სტოვებს. თუმცა ეს მაინც უმნიშვნელო ნაკლია იმ სიკეთესთან შედარებით, რითაც სავსეა პლატონ ჭკადუას ეს წიგნი.

ნუნუ ზომერიკს მოთხრობები კარგი ქართულით უთარგმნია, მაგრამ ვაოცებას იწვევს აქ გაპარული რამდენიმე სიტყვა. მაგალითად, „ბულიკი“ ან „ჭაპანტრანსპორტი“ რა ქართულია? ან კიდევ: „შემდეგ ერთი ღარიბი გლეხიც გამოვიდა სიტყვაში“, „შრომადღე სამი მანეთი ღირდა, რაც ნატურაში 4 კგ. ხორბლის საფასური იყო“, „...წყობიდან გამოიყვანო ტრაქტორი“?! და სხვ.

ახლა, როცა ჩვენმა დიდი მხატვრული გემოვნებით გაფორმებულმა წიგნებმა საერთო აღიარება მოიპოვეს, წიგნის ასე გაფორმება (მხატვარი გ. ქუთათელაძე), ცოტა უხერხულია. ჩვენი მკითხველისათვის აქამდე უცნობი მწერლის წიგნს უფრო მეტი გულისყურით უნდა მოვეკიდოთ.

აფხაზი მწერლის პლატონ ჭკადუას სახით ქართველმა მკითხველმა გაიცნო საინტერესო ბიოგრაფიისა და თავისებური თვალთახედვის მწერალი.

პარლო კობერიძე.

## ბავშვისა და დიდის თვალით

მ. ფოცხიშვილი — „თოჯინების ფესტივალი“. „ნაკადული“. 1965.

ჩვენს საბავშვო მწერლობას აქვს არც თუ შორეული, მაგრამ დიდი ტრადიციები. ამ ტრადიციების გაგრძელება კი, პირველყოვლისა, ახალგაზრდობის საქ-

მეა. მაგრამ ზოგიერთ ახალგაზრდა მწერალს საბავშვო ნაწარმოებების წერა მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნია.

არსად, არასოდეს მწერლობის არც-



ერთი სახე თუ ჟანრი არ ყოფილა მეორეხარისხოვანი, თუკი ის ნამდვილი, ჭეშმარიტი მწერლობა იყო. მაშ საიდან ჩაენერგათ ეს აზრი? ამის ახსნა ძალიან მარტივად შეიძლება: თუ თვალს გადავავლებთ ჩვენს ლიტერატურულ დღევანდელობას, თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენი კრიტიკა რომელიმე საბავშვო წიგნის გამოსვლას შეხვედროდეს, როგორც წმინდა ლიტერატურულ ფაქტს. იშვიათად თქმულა: ესა და ეს საბავშვო ლექსი თუ ზღაპარი მართო ძილისპირული და ენისგასატეხი ან გასართობი რამ კი არაა, არამედ მხატვრული ნაწარმოებია, რომელსაც აქვს გამოსახვის თავისებური ხერხები და საშუალებები, ხასიათი, ენა, სტილი; რაიმე სიხალე, იუმორი, სიფაქიზე და სხვა.

ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს ამ მიმართებით მივუდგეთ რომელიმე წიგნს, მაგრამ გვინდა ორიოდ სიტყვა ვთქვათ „ნაკადულის“ მიერ ახლახან გამოცემულ წიგნზე „თოჯინების ფესტივალი“, რომელიც სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვისაა განკუთვნილი.

მორის ფოცხიშვილს კარგად იცნობს ქართული მკითხველი, იგი რამდენიმე საინტერესო კრებულის ავტორია და მასზე გარკვეული პროფესიული თუ საზოგადოებრივი აზრიც არსებობს. მახვილი, დაკვირვებული თვალისა და სათუთი გულის პოეტმა საიმედოდ, დამაჯერებლად დაიკავა თავისი ადგილი ჩვენს მწერლობაში. მისასალმებელია, რომ ახალგაზრდა პოეტი ნაყოფიერად მუშაობს საბავშვო მწერლობის დარგში, რაზეც ეს წიგნიც მეტყველებს.

„თოჯინების ფესტივალი“ წარმოადგენს საკმაოდ მოზრდილ პოემა-ზღაპარს, რომელშიც მოთხრობლია ბიჭი-თოჯინას — ცანგალას თავგადასავალი. აქ არ შევეცდებით მთელი შინაარსის გადმოცემას, მხოლოდ სქემატურად ვაგაცნობთ მის სიუჟეტს:

ყველა კარგი ბავშვი (ვინც ცეკვა-სიმღერა და ბევრი ლექსი იცის), ფესტივალზე მიდის პრაღაში. ცანგალას კი,

როგორც ზარმაცს, შინ ტოვებენ. იგი ცდილობს, როგორმე ეშმაკობით ჩააღწიოს პრაღამდე, მაგრამ... სულსწრაფად ყანაში აღმოჩნდა. აქედან იწყება ცანგალას თავგადასავალი. ცანგალა ზარმაცია, მაგრამ ყოჩაღი ბიჭია. გასაჭირში ყოველთვის პოულობს გამოსავალს და ამდენ მოგზაურობასა და ფათერაქში ბევრ რამეს ისე კარგად ისწავლის, რომ ბოლოს, როცა დიდი თავგადასავლები-სა და ჭკვეყნების შემოვლის შემდეგ პრაღას მიაღწევს, ყველას გააკვირვებს ფესტივალზე. ასე გასიჩქვით, ყოფილ ზარმაცს ფესტივალის მედლითაც დააჯილდოებენ.

უნდა ითქვას, რომ ცანგალას ამ არაჩვეულებრივი თავგადასავლის არც ერთ დეტალში არ იგრძნობა სიყალბე და ხელოვნურობა. ამას სხვადასხვა პირობა უწყობს ხელს. პირველყოვლისა ის, რომ პოემაში მოქმედ პირებად პოეტს სახელდახელოდ გამოგონილი გმირები კი არ გამოაჰყავს, არამედ ბავშვებისათვის კარგად ნაცნობი და საყვარელი პერსონაჟები. ისინი ხომ მათთან ერთად მიდიან ფესტივალზე. აქ შეხვდებით ცეროდენას, ჭანჭიკელას, ალხანას და ჩალხანას, და თქვენ წარმოიდგინეთ, ძია მიხოსაც კი. პოემის კითხვისას მარტოოდენ ეს ნაცნობი სახელები კი არ გესმით, არამედ გრძნობთ, ცოცხლად ხედავთ მათ ხასიათებს; ერთი სიტყვით, ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, აქაც თავიანთი ხასიათიდან გამოდიან, აქაც ისეთები არიან, როგორც საერთოდ, როგორც იცნობენ მათ ბავშვები. სწორედ „ყოვლისშემძლე“ ძია მიხომ იხსნა ერთხელ კიდევ ცანგალა გასაჭირიდან.

პოემას დამაჯერებლობას მატებს აგრეთვე თავისებური, ლალი იუმორი, რომელიც „არბილებს“, ფანტასტიკურ ელფერს უკარგავს და სიცოცხლეს ანიჭებს ზღაპრულ ამბავსა თუ ეპიზოდს; ერთი სიტყვით, ამ იუმორის წყალობით, ამბავს, ფაქტს შორდება სიყალბე და ხელოვნურობა:

„შინდის ტყეში ცანგალამ  
მოჭრა დიდი შინდი,

გამოთალა შინდისავან  
ამირანის მშვილდი“.

სწორედ ასეთი ზომიერი იუმორი აძლევს პოემას მხიარულ ხასიათს.

ცნობილია მორის ფოცხიშვილის მიდრეკილება ხალხურობისაკენ. პოეტი ამ პოემაშიც არ „ღალატობს“ საკუთარ თავს, იგი არ ერიდება ხალხური სიტყვიერებიდან „ნასესხებ“ ასოციაციებს და ინტონაციებს, რათა უფრო სხარტი, მიმზიდველი, გასაგები და მხიარული იყოს სათქმელი. დაგვეთანხმებით, რომ ბავშვისათვის, რომელსაც უკვე წაუციტხავს ან მოუსმენია არსენას ლექსი, საკმაოდ იოლია ასეთი სტრიქონების გაგება და ათვისება:

ჩეხებმა თქვეს: — ყოყა თუა,  
ვატყობთ გაშლილ მხრებზე.  
ქართველები იძახიან  
— არსენა ზის ცხენზე!  
ბაშკირები იძახიან:  
— საღავათი არი!  
ფრანგი ამბობს: — როლანდია,  
მოჰქრის, როგორც ქარი!  
ინგლისელმა სიხარულით  
ცას შესტყორცნა ქული:  
— ეს ხომ ჩვენი რობინია,  
მეტსახელად — ჰუდი?!  
სომეხმა თქვა: — სასუნელს ჰგავს,  
გეტყვის გმირთა ამბავს.  
რუსებმა თქვეს: — ჩაპაევი  
არ მომკვდარა ალბათ.

ეს სტრიქონები ცანგალაზეა ნათქვამი. ფორმისა და სტილის ასეთი გახალსურება აქ თვითმიზნური არაა, — ამ სტრიქონებზე ყველას გულლიად გაეღიმება — დიდსაც და პატარასაც.

„თოჯინების ფესტივალს“ აქვს შეგეცნებითი, აღმზრდელობითი მხარეც, რომელიც მოსაბეზრებელ, პერფორმანსული დაქტიკაში კი არ გადადის (რაც ყველაზე მეტად ეჯავრება ბავშვს), არამედ მიმზიდველ და მხიარულ იუმორს ეხამება. პოემის კითხვისას ბავშვს თავისთავად, ბუნებრივად ენერგება აზრი იმისა, რომ შრომა, სიბეჯითე და სწავლა ყოველგვარი გასაჭირიდან გიხსნის. ცანგალაც ხომ ამით გადაურჩა ათასგვარ ხიფათს.

პოემაში, რომელიც ძალდაუტანებლად და ლაღად იკითხება, სამწუხაროდ, არის თითო-ოროლა გაუმართავი და ჩავარდნილი ადგილი, მაგრამ ეს პატარა და საერთო ფონზე უმნიშვნელო ნიუანსებია (როგორც იტყვიან, ზღვაში — წვეთი) და პოეტთან პირადი საუბრისათვის უფრო გამოდგება, ვიდრე საქვეყნოდ სალაპარაკოდ.

ორიოდე სიტყვა წიგნის მხატვრობაზე: ჩვენი აზრით, მხატვარ ვაჟა მელიქიშვილს სწორად აუღია ალლო ნაწარმოებისათვის, როცა გარეგნულად თოჯინებისათვის შესაფერისი გარემო შეუქმნია, თუმცა მხატვარი ყველგან ვერ იცავს სტილს და ეს ნაწილობრივ თვით პოემის ხასიათიდანაც გამოდის — ცანგალა ხომ სხვადასხვა ქვეყანაში მოხვდა, მაშასადამე — სხვადასხვა გარემოშიც.

„თოჯინების ფესტივალი“ მხიარული საკითხავი წიგნია, ცანგალა კი, თქმა არ უნდა, რომ ბავშვების საყვარელი გმირი გახდება.

იორამ ჭემერტალიძე.

## მეჩყველი ბარათუბი

„ლაპარაკობენ ღალატული გმირები“. „ნაპალუი“. 1965.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ოცმა წელიწადმა განვლო. ოცმა გაზაფხულმა პირი შეუტრა მილიონობით ადამიანის ღია ჭრილობას. მაგ-

რამ უამიდან უამზე მაინც გვიხსენებს და გეტყვია ომისაგან მიყენებული იარაღი. ამ მრისხანე ომმა ხომ უამრავი გულმართალი ადამიანის სიცოცხლე

შეიწირა. ისინი იყვნენ ჩვენი მამები, ძმები, ბიძები, დები, რომლებიც სამშობლოს თავისუფლებისათვის და დამოუკიდებლობისათვის დაეცნენ.

ჩვენს ხელთაა წიგნი — „ლაპარაკობენ დაღუპული გმირები“. არ შეიძლება უტყველოდ წაიკითხოთ მისი ფურცლები. ჩვენს ხელთაა წიგნი, რომლის ავტორებიც ცოცხლები აღარ არიან. ვკითხულობთ წიგნის წინასიტყვაობას: „ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა დიდი სამამულო ომი... საუკუნის მეოთხედი საქამოდ შორეულია, ჩვენ კი ვგვონია, თითქოს გუშინ იყო ის დღე, როცა რუსმა მიხეილ ეგოროვმა და ქართველმა მელიტონ ქანთარიაშვილმა გამარჯვების დროს ააფრიალეს ფაშისტურ რაიხსტაგზე. ჩვენი რესპუბლიკის ურიცხვმა შვილმა სიმამაცისა და მხედრული ოსტატობის სასწაული გვიჩვენა სიბნელის ძალებთან სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლაში. წარსულის უკვდავ ტრადიციებზე აღზრდილნი, მშობელი ხალხისა და კომუნისტური პარტიის დიადი საქმის უსაზღვროდ ერთგულნი, ისინი მკერდით იცავდნენ საბჭოთა ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.“

მრავალმა მათგანმა თავისი წმინდა და ლამაზი სიცოცხლე უყოყმანოდ შესწირა საყვარელ სამშობლოს. შინაოუსვლელებს ვეძახით მათ. დიახ, შინ ვერ დაბრუნდნენ, მაგრამ საქართველომდე მოაღწია მათი რაინდული შემართების ამბავმა, მათმა გმირულმა ხმამ და ძახილმა. ხალხის გულში ოქროს ზარივით რეკავს და გუგუნებს ეს მარად ცოცხალი ხმა დიდი ხნის წინათ დაღუპულ მამულიშვილთა...

სამშობლოსათვის დაღუპულ ვაჟაკთა ფიქრებსა და გულისთქმას გამოხატავდნენ ფრონტული წერილები, რომლებიც ამ წიგნში ავკინძეთ. ბრძოლის ცეცხლსა და გრივალში, მიწურსა თუ სანგარში იწერებოდა თითოეული ბარათი, როგორც გულწრფელი აღსარება

ყველაზე ახლობელი ადამიანების წინაშე...  
საქართველო  
გამოცემის

ორმოცდათორმეტი ქართველი გმირის წერილებიდან გამოსკვივის ნათელი რწმენა, დიდი ვაჟაკური შემართება, შეგნება მამულისთვის თავდადებისა. ყოველი წერილი წრფელი ლოცვაა სამშობლოს მშისათვის. ფრონტზე წასულ გმირებს ოდნავადაც არ შეჰპარვიათ პესიმისტური განწყობილება, ისინი ჯანსაღი რწმენით უტევდნენ მტერს, იყო ეს ძნელბედობის ქამი, თუ უკვე ყველასათვის გასაგები და ნათელი დრო, როცა მტერი აშკარა დამარცხების წინაშე იდგა. მათი მაღალი იდეალი ხომ სამშობლო იყო. ისინი სამშობლოს სიყვარულმა შეადუღაბა ერთ მტკიცე არსებად, გადააქცია უძლეველ ძალად, შთაბერა შეგნება მარადიული სიყვარულისა.

აი წერილი, რომელიც 1941 წელს გამოუგზავნა მშობლებს პოეტმა მირზა გელოვანმა: „...ომი დაიწყო. დიდი ხანია ვიცოდი, რომ დაიწყებოდა იგი. ვგრძნობდი. თქვენც, ალბათ, ასევე, მხოლოდ განსხვავება იმამია, რომ თქვენ გეშინიათ ჩემი დაკარგვისა. ჩვენ არაფრის გვეშინია, ოღონდ თქვენ ნუ დაგვიღონდებით. და მინდა ისე უყურებდეთ ამ ომს, როგორც მე ვუტკიერი: უშიშრად, უმწუხაროდ.“

გჯეროდეთ, ჩემო ძვირფასებო: თუ ჩემი ბედი ამ ომში დამთავრდება, თუ მე სიკვდილი მეწერება ამ ომში, ძალიან ძვირად დავუსვამ მტერს სიცოცხლეს ჩემსას. დაე, თქვენ ნუ შეგრცხვებათ, რომ მე თქვენი სისხლი ვარ და ხორცი.

მე მაქვს უდიდესი სიმშვიდე. ჩემში მთიელისა და ადამიანის მოუღლეელი სისხლია. ჩემში ცოტნე დადიანის სულია და ნებისყოფა, და თქვენ შეგიძლიათ ამაყადა თქვათ, რომ მე ვიცავ ჩემს სამშობლოს, რათა მოჰვალი თაობები იყვნენ ჯანსაღნი, ბედნიერნი და ძლიერნი.

ჩემი გზა მილიონების გზას მიჰყვება და არსად თავდება, რადგან მილიონების გზის დამთავრება არ შეიძლება. მე



ის ზღაპრული მოყმე ვარ, ყველგან რომ იპოვნოდა საკუთარ ადგილს, და თუმცა ჩემი ცხოვრება წიგნების გვერდით მიდიოდა, აქ, იარაღისა და მანქანების ახლოს, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს მათთან ვიყო დაბადებული. მე ისეთი ხალისიანი ვიქნები ომში, ისეთი მშვიდი და ხელმოუცარავი, როგორც იხიჭის გორაზე მონადირე ვყოფილვარ მუდამ“.

ასეთმა შეგნებამ და სულისკვეთებამ მოუტანა საბჭოთა ხალხს ძლიერამოსილი გამარჯვება მრისხანე მტერზე. ვანა მარტო ფრონტის ხაზზე სუფევდა ერთიანობისა და გამარჯვების რწმენა? გვირებს ზურგიდანაც ამხნევებდნენ. საბჭოთა კავშირის გმირის ნოე ადამიას მიერ მეუღლისადმი გაგზავნილი პასუხი ამის დადასტურებაა: „დღეს მივიღე შენი წერილი, რამაც მეტისმეტად გამახარა. ყოჩაღ, ქალო, შესანიშნავად წერ, სწორედ ისე, როგორც ნამდვილ საბჭოთა პატრიოტ ქალს შეეფერება. ასეთი წერილები, ჩემო მარო, ძალას გვმატებს ფრონტზე მყოფთ. ეს წერილები ამხანაგებში წავიკითხე და ისინიც შენი დიდი მადლობელი დარჩნენ... სულ ასე იმედიანად მყოლოდე, ჩემი დარდი ნუ გაქვს, ფაშისტებს კუდით ქვას ვასროლინებთ“.

გმირების წერილებიდან აშკარად ჩანს: იყო ერთი დიდი შეგნება, შეგნება მამულის დაცვისა. სულ ერთია რა პროფესიის ადამიანები იყვნენ ისინი. მათი გული სამშობლოს დიდი ტრფობით ერთნაირად ძვებდა.

უფროსმა ლეიტენანტმა ალექსანდრე აბრამიშვილმა ის იყო დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი, ომიც დაიწყო. ჭაბუკი პედაგოგი მაშინვე გამოცხადდა სამხედრო კომისარიატში და ფრონტზე გაგზავნა ითხოვა. 1942 წლის აგვისტოდან მოქმედ არმიასა. 1943 წლის იანვარს საბჭოთა მეზობლები იერიშზე გადავიდნენ. ამ ბრძოლაში გმირის სიკვდილით დაეცა ოცი წლის ჭაბუკი ალექსანდრე აბრამიშვილი. ძმებისადმი გაგზავნილ მის წერილებში

გამოხატულია ჩვენი მეომრების გმირული სულისკვეთება:

„ძმავო ლადო!..“

...მე ძალიან კარგადა ვარ, არაფერი მიჭირს. ჩემზე არაფერი იღარდოთ. თქვენ მხოლოდ კარგად იყავით, იმუშავეთ თავდადებულად, რომ გმირ წითელ არმიას დაეხმაროთ რაც შეიძლება მეტი სურსათითა და სხვა საშუალებებით, რათა დავაჩქაროთ ფაშისტთა განადგურება“...

საბჭოთა კავშირის გმირმა შოთა გამცემლიძემ მატროსოვის გმირობა გაიმეორა. ბატალიონს მტრისაგან განადგურება მოელოდა, შოთამ მიიღო მეტად გაბედული გადაწყვეტილება: მოესპო მტრის ტანკი, რომელიც საბჭოთა მეზობლებს ფეხის მოცვლის საშუალებას არ აძლევდა. გამცემლიძემ დაავლო ხელი ტანკსაწინააღმდეგო გრანატების კონას, მიხობდა ტანკთან, მიეკრა ტანკის ჯავშანს, ააფეთქა იგი და თითონაც დაიღუპა.

შოთა გამცემლიძე თავის საყვარელ დედას პედაგოგ ნინო ალექსანდრეს ასულს ბრძოლის ველიდან ასეთ წერილებს უგზავნიდა:

„...იცო, დედა, მე მინდა ფრონტზე კომუნისტი გავხდე, ხოლო ყოველი კომუნისტი უნდა ფიქრობდეს იმაზე, რომ ყველა ადამიანი კარგად ცხოვრობდეს. ფრონტზე ჩემი მეგობრები რომ კარგად იქნებიან, მეც არაფერი ვამიჭირდება. ასე რომ, ჩემი ნუ გედარდება. ერთი გწამდეს, შენი შვილი, ჩემო საყვარელო დედიკო, სირცხვილს არ გაქმევს. მე ყოველთვის გულში ვატარებ ჩემი სენის ბრძნულ სიტყვებს: „სჯობს სიცოცხლესა ნაძარასსა, სიკვდილი სახელოვანი“. მართალია, შოთა გამცემლიძე ვერ დაბრუნდა ომიდან, მაგრამ მისი ლეგენდარული გმირობის ამბავმა ქართველი ხალხი სიამაყის გრძნობით ადავსო.

ტანკისტმა ელგუჯა ეპიტაშვილმა მშობლებს ასეთი წერილი გამოუგზავნა: „...გიგზავნით სალამს, რომელიც შეიძლება უქანასკნელი იყოს. ჩემო ძვირ-

ფასებო, ამას იმიტომ გწერთ, რომ ჩემი ნაწილიდან სულ რაღაც ათიოდე კაცი დაერჩით. მზად ვარ შურისძიებისათვის, რომ დაუნდობლად ვმუსრო ეს არამზადები, და მეც, როგორც ჩემი ამხანაგები, გმირულად შევეწირო სამშობლოს დაცვას, თქვენს დაცვას“.

იყო ასეთი ძნელი წუთებიც, მაგრამ ჩვენი მეომრები როდი კარგავდნენ გამარჯვების რწმენას. სწორედ დიდმა რწმენამ, გაუტეხავმა ნებამ, მამული-სათვის თავდადებამ მოგვიბოვა გამარჯვება.

ოცი წლის ჰაბუჯი აღექსანდრე შალამბერიძე დედას სწერდა: „ჩემო ძვირფასო და საყვარელო დედა! თითქმის ოცი წელია, დედა, მზრდიდი — სამშობლოსათვის. საშუალო დავამთავრე, მიწოდდა ინსტიტუტში განმეგრძო სწავლა, მაგრამ ცხოვრებამ გზა შემიცვალა, სხვა მხარეს მომცა მიმართულება. წითელ არმიასი წასვლა ჩემი მისწრაფება იყო, გულით წამოვედი, მონალისედ წამოვედი. გწამდეს, დედა, თუ საჭირო გახდა, ჩვენი სამშობლოს მტერს გმირულად დავუხვდები, რომ დაუუყენო თვალები და ჩავუფუშო ბნელი აზრები. დედა, ვფიცავ შეილ-დედობას, რომ მტერს გმირულად შევებრძოლები და მოვტეხავ მკლავსა და მხარსა“.

ეს წერილი დაიწერა ომის დაწყების წინ. მართლაც, რამდენი ოცნება და ფიქრი დარჩათ განუხორციელებელი

სამშობლოსათვის დაცემულ ვაჟაკებს, რამდენმა დედამ ჩაიცვა შავები; რამდენი ქალი დაქვრივდა; რამდენი სიყვარული დაიფრვლა...

კითხულობთ შინმოუსვლელების გრიგოლ გაბრიადის, თინა იოსებიძის, ვლადიმერ კანკავას, ტიტე ჩხაიძის, ბორის სტურუას, ნიჭიერი პოეტის ვლადიმერ უბილაგას და სხვათა წერილებს და აღივსებით ნათელი სევდით იმის გამო, რომ მათი ავტორები ცოცხალთა შორის აღარ არიან. ისინი უშიშარი, მამაცი ადამიანები იყვნენ და თავიანთი ლამაზი სიცოცხლე უყოყმანოდ შესწირეს სამშობლოს.

სამშობლოსათვის დაცემული გმირები ისევ აგრძელებენ სიცოცხლეს; ისინი ჩვენს გვერდით არიან და თავიანთი უკვადავი საქმეებით სამშობლოსათვის თავდადებისა და სიყვარულის მაგალითს იძლევიან.

კეთილი საქმე გააკეთა ამ წიგნის შემდგენელ-რედაქტორმა არჩილ კოკილაშვილმა.

წიგნში მოთავსებულია დაღუპული მეომრების ფრონტული წერილების მხოლოდ მცირე ნაწილი. იმედია, გამომცემლობა შეასრულებს დაპირებას და ომში დაცემულ სხვა გმირებსაც აალაპარაკებს.

თითოეულმა ახალგაზრდა მკითხველმა ყურადღებით უნდა წაიკითხოს ეს წიგნი.

დიდარ ივარდავა.



## სიყვარული და ოსტატიობა

მ. ელიოზიშვილი — „ლიფადები და ზვილიშვილები“. „ნაბაფული“. 1964.

ამ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა მერაბ ელიოზიშვილის მოთხრობა „გივი და გივი“. ეტყობოდა, თვით მწერალს ეს მოთხრობა საბავშვო ნაწარმოებად არ მიაჩნდა. მაგრამ მასში ისეთი ოსტატიობითა და სიყვარულით

იყო დახატული ბავშვის თავისებური შინაგანი სამყარო, რომ ამ მოთხრობის ავტორს, ადრე თუ გვიან, არ შეიძლება პატარებისთვისაც არ ეთქვა თავისი სათქმელი.

და მართლაც, ამას წინათ მერაბ ელი-

ოზიშვილმა მშვენიერი ნობათი მიუძღვნა პატარებს. ქართულ საბავშვო მწერლობას კი ერთი საინტერესო ნაწარმოები შემატა.

„დიდელები და შვილიშვილები“ უწოდა მერაბ ელიოზიშვილმა ახალ წიგნს, რომელსაც ერთნაირი სიამოვნებით კითხულობენ შვილიშვილებიცა და დიდელებიც, პატარებიცა და დიდელებიც, ვინაიდან ჭეშმარიტი საბავშვო ნაწარმოებისათვის მკითხველის წლოვანებას მნიშვნელობა არა აქვს.

მკითხველი ფეხდაფეხ მიჰყვება ცეროდენა ზურას. ზურა ერთი პატარა ქალაქის მკვიდრია. დედა არა ჰყავს, მაგრამ ჰყავს დიდედა. მამაც ჰყავს, მაგრამ ჯერ ომში იყო, შემდეგ მეცხვარედ დადგა და ამიტომ ზურა იშვიათად ხედავს მას. ზურასთვის დიდედაა ყველაფერი. და თუმცა ზურა ონავარი ბიჭია, მაინც ყოველთვის ერიდება დიდედას წყენინებას.

პატარა ონავრების — ზურასა და თენგოს სულში უკვე თვალნათლივ ჩანს სიკეთის მარცვალი და გვჯერა, რომ ზურაცა და თენგოც ქვეყნის კაცებად გაიზრდებიან.

მწერალი თითქოს უბრალოდ გვიამბობს ზურას თავგადასავალს, გვიამბობს თვალშისაცემი მორალური დასკვნების გარეშე, ძალიან ფრთხილად და ზომიერად.

...ზურა მამას ცხვარში გაჰყვა. მწყემსებს ორ მთაზე ეყენათ ცხვარი. ამ ორ მთას შუა ტყიანი ხევი იყო. გაღმა მთას ღორღიანს ეძახდნენ, გამოღმას — შუაცხვირის მთას. პურის საცხობი ფურნე მხოლოდ შუაცხვირის მთაზე იყო. იქაური მეცხვარეები პურს თვითონაც მიირთმევდნენ და ღორღიანელ მწყემსებსაც უგზავნიდნენ.

ერთ დღეს ზურამ განაცხადა — ამერიდან პურს მე გავიტან ღორღიანზეო. დაყაბულდნენ. ზურამ წამოიკიდა პურით სავსე გუდა და გზას გაუდგა. ხევი რომ ჩაათავა და აღმართს შეუდგა, დაიღალა, გუდაც დაუშპიდა. „ნეტა რად უნდათ ამდენი პური“, — გა-

იფიქრა ზურამ, გუდიდან რამდენიმე პური ამოაგდო და ხევში დააგურა. მერე კიდევ მოაკლო გუდას პური, კიდევ როცა მხოლოდ სამი პურიღა დარჩა, მაშინღა დაინახა ღორღიანელი მწყემსების ბინა და შვებით ამოისუნთქა. მაგრამ ამ დროს ვიღაცამ ზურგიდან აპგლიჯა გუდა. თურმე დათვი ზურას გადაყრილ პურს წაწყდომოდა და კვალს გამოჰყოლოდა, ბოლოს დაეწია და გუდაც წაართვა. მეორე დღეს ზურა დარცხვნილი დაბრუნდა ქალაქში. თან მამას ეხვეწებოდა, ეს ამბავი არავის არ უამბოო.

მკითხველი გრძნობს, როგორ მწარედ განიცადა ზურამ თავისი საქციელი, მაგრამ მწერალი ამაზე ერთ სიტყვასაც არ ამბობს.

ძალზე კოლორიტული და განზოგადებულია დიდედას სახე. ზურას ყოველ ონავრობას დიდედა საოცარი ტაქტით ხვდება. მას ბრმად როდი უყვარს ერთადერთი შვილიშვილი, არც მომაბეზრებელი შეგონებებით „უწყალებს გულს“ პატარას. იგი მუდამ კეთილი იუმორით ამხილებს ხოლმე ზურას ამა თუ იმ ოინბაზობაში.

...დიდედამ ჩურჩხელები ამოავლრ და ხარისხზე გაკიდა, თან დათვალა წყვილი, წყვილი, წყვილი... ზურას კითხვაზე, — რატომ ჩვეულებრივად არა თვლიო, დიდედამ მიუგო, თვლა არ ვიციო. ზურამაც დაიჯერა. მერე, დრო რომ იხელთა, ხარისხს ორი ჩურჩხელა ჩამოგლიჯა და თენგოსთან გაიქცა. ზურამ თენგოც დაარწმუნა, დიდედებს თვლა არ შეუძლიათ, მხოლოდ წყვილ-წყვილად ითვლიან, მაგრამ რამდენი წყვილია, არ იციანო. ჰოდა, ჩვენც რომ ყოველთვის თითო წყვილი ჩურჩხელა მოვიპაროთ, დიდედები ვერაფერსაც ვერ გაიგებენო.

ყოველდღე ჰპარავდნენ ბიჭები თავიანთ დიდედებს ორ-ორ ჩურჩხელას. ზურას დიდედა, თითქოს აქ არაფერიაო, კვლავ წყვილ-წყვილად ითვლიდა. ბოლოს ხარისხზე ორად ორი ჩურჩხელა და დარჩა. ზურამ ითმინა, ითმინა, მაგ-



რამ ონავარს მინც წასძლია სულმა და ერთი ჩურჩხელა კიდეე ჩამოგლიჯა. ის იყო ჯიბეში ჩაიდო და გაქცევა დააპირა, რომ დიდედამ შეაჩერა. დიდედამ ზურას თვალწინ დათვალა ხარხებზე შერჩენილი თავდებები: „ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... ზურა მიხვდა, რომ დიდედას სცოდნია ჩვეულებრივი თვლა და საქციელი წაუხდა. ჯიბიდან ამოიღო ჩურჩხელა და დიდედას გაუწოდა.

— მე არ მინდა, შენა გქონდეს, — უთხრა დიდედამ ზურას, აკოცა და მეორე ჩურჩხელაც ჩამოხსნა, — ეს ჩურჩხელა თენგოს წაუღე. ხომ აღარ ჩხუბობთ?

— არა, დიდედ, — გააქნია თავი ზურამ.

— ლექსი რომ გასწავლე, ხომ არ დაგაფიქდა?

— არა, დიდედ. „ქვეყანა გაახარეო“.

— კარგი, წადი! — გაეცინა დიდედას.

ზურა ეზოში გაკუნტრულდა“...

სალამობით, დასაძინებლად რომ წვებიან, დიდედა სახელდახელოდ მოვონილი ზღაპრებით ცდილობს ბავშვის შეგნებაში აღამიანური ნაპერწკლის გაღვივებას, ბოროტის შეძულებას, კეთილის სიყვარულს.

ზურამ ერთ დღეს ძია სოსანას ბაღის გასწვრივ გააგორ-გამოაგორა გორგოლა. ბაღის ღობის იქით წითლად ხასხასებდა მწიფე ხენდრო. ზურამ ერთ ხანს იფიქრა, მერე ხელი ფრთხილად გაყო ღობეში, ხენდრო გამოკრიფა და პირში ჩაიყარა. მეხუთედ რომ შეყო ხელი, ჩასაფრებულმა ძია სოსანამ მაჯა დაუჭირა და ზედ დანა ყუთით გაუსვ-გამოუსვა. ზურას საშინლად შეეშინდა — ეგონა ხელს მაკრიანო. სოსანა დაემუქრა, თუ კიდეე გაგებდნია, მართლა მოგაჭრიო. აღრიალებული ბიჭი ისეე დიდედამ დაამშვიდა. ზურას განწყობაზე მწერალი თითქოს სხვათა შორის მიგვანიშნებს: „—მამა როდის ჩამოვა, დიდედ? — ჰკითხა ზურამ დიდედას იმ ღამით.

— როცა გაიმარჯვებს, შვილო“.

ამ ერთ კითხვაში — „მამა როდის ჩამოვა?“ — შესანიშნავადაა გადმოცემული პატარა ბავშვის სულიერი განწყობილება ასეთი ფათერაკის შემდეგ, ბავშვისა, რომლის მფარველი მამაც შორს არის, ომშია. ჩანს, რომ ეს კითხვა იმდამინდელი ბევრი ფიქრის შედეგია.

კარგადაა დახატული ომისდროისდელი გაჭირვება ამბავში — „ბოთლი და ომი“.

...ზურა რუხე გაიპარებოდა ხოლმე და ქალაღის ნავეებს აცურავებდა. წყალს ათასი რამე მოჰქონდა. ერთხელ მთელი ბოთლიც კი ჩამოატარა. ზურამ ბოთლი დაიჭირა, ლურსმნით მუცელი გაუხვრიტა, წყლით გაავსო და ჩაუბერა. განვრეტილი მუცლიდან წყალი გადმოასხა. კარგა ხანს ერთობოდა ზურა, სანამ დიდედამ არ წაართვა ბოთლი. ბევრი იძახა ზურამ — ჩემია, ჩემიაო, მაგრამ დიდედამ მინც არ დაუბრუნა. განვრეტილი ადვილი ცვილით დაგმანა, ბოთლი კარგად გამორეცხა და წყლით გაავსო, „ზურას ეგონა, დიდედამ ბოთლს უნდა შეუბეროსო, დიდედა კი ყლაპაყლუპით სვამდა წყალს.

— რუმ ჩამოატარა, დიდედ, ჩემია, რუხე ვიპოვე და გავხვრიტე, — აბუზღუნდა ზურა.

— მერე რა, რომ იპოვე, შვილო?! ვიცი. მაგრამ ახლა ომია, ისედაც ბევრი რამ იმტვრევა, შვილო, ყველაფერს უნდა გავუფრთხილდეო, — ჩაილაპარაკა დიდედამ“...

ცოცხლადაა მოთხრობილი სკოლაში ზურას შესვლისა და სწავლის პირველ დღეებზე. ამიერიდან ზურას ცხოვრებაში სრულიად ახალი ხანა იწყება...

თანამედროვე მაღალი გემოვნების მკითხველს ვერ მოხიბლავ მარტოოდენ სიტუეტით, რაგინდ გონებამახვილურად არ უნდა იყოს იგი, „დიდედები და შვილიშვილები“, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური ხასიათის ნაწარმოები. მწერალი გმირის ხასიათს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, ნამდვილად კი—ყველაზე უფრო დამახასიათებელი ფსიქო-

ლოგიური ნიუანსებით ხატავს ზოლმე. ამას იგი აღწევს ადამიანების, საერთოდ, ცხოვრების ღრმა ცოდნით.

ფრიად სიმბოლურია წუთისოფლის ქარ-წვიმაში დაბრძენებული, ბევრის-მნახველი ადამიანისა და სრულიად ნორჩი, ათასი იღუმალებით მოცული სამყაროს კარიბჭესთან მდგარი ყმაწვილის ურთიერთობა. თავიანთი ფიქრებით, განცდებით, ამა თუ იმ ცხოვრებისეული მოვლენის აღქმით ისინი თითქოს ძალზე შორს უნდა იყვნენ ერთმანეთისაგან. სინამდვილეში კი რამდენი უხილავი ძაფით არიან ერთურთს დაკავშირებული, რამდენი რამ აქვთ საერთო! და ეს არის გუშინდელისა და დღევანდელის სისხლბორცეული, ორგანული კავშირი. წარსულის გარეშე არ იქნება აწმყო, ზოლო ორივე ერთად — საძირკველია მომავლისა. ზურას ხვალინდელი ადამიანის ხასიათის ჩამოძვრვაში, მის სულიერ და გონებრივ განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებს კეთილშობილი, გამრჯე, ღრმადმოყვარული დიდება. როგორც ნაოყიერი ნიჟარა კვებავს მცენარეს, ასე ასაზრდოებს დიდებას გამოცდილება და ცხოვ-

რებისეული სიბრძნე ზურას <sup>არსებობს</sup> ამიტომაც არიან ტიპური დიდებულებები და ზურას სახეები.

ასეთი ცოცხალი გამოკვეთილი სახეების შესაქმნელად საჭირო იყო ნწორედ ის დიდი სიყვარული, ის ფაქიზი დამოკიდებულება ადამიანებისადმი, როგორსაც მერაბ ელიოზიშვილი თავის ნაწარმოებებში ამჟღავნებს. ამას ემატება მხატვრის მახვილი თვალი, ხატოვანი ქართული, საოცრად კეთილი იუმორი, ფორმისა და შინაარსის ჰარმონიულობა, სადა, გამჭვირვალე სტილი. „დიდებებსა და შვილიშვილებში“ ყოველი ფრაზა ზუსტია და ტევადი. ოსტატის ხელი განსაკუთრებით დიალოგებში ჩანს. ყოველი დიალოგი ისე ბუნებრივი და უშუალოა, — ერთი სიტყვაც რომ გამოაკლო, სურათის მთლიანობა უსათუოდ დაირღვევა.

„დიდებებსა და შვილიშვილებში“ სულ თვრამეტი ამბავია. თითოეული ამბავი თითქმის დამოუკიდებელი მოთხრობაა. ამ მოთხრობის კომპოზიციური გაერთიანებით მივიღეთ წიგნი, რომელსაც არაერთხელ მიუბრუნდება ჩვენი ახალგაზრდა მკითხველი.

სვიმონ შამფრანი.

## პოეზიის ნაჩილაგი პოეზიება

შ. აფხაიძე — „ადამიანები და წიხნები“. „საბჭოთა საქართველო“. 1964.

შალვა აფხაიძე დიდი ხანია ნაყოფიერად მუშაობს კრიტიკის უნარში. იგი მრავალი წერილის ავტორია და შეიძლება ითქვას, რომ ამ ბოლო დროს ლექსებზე უფრო ხშირად წერილებსა და რეცენზიებს აქვეყნებს. რასაც არ უნდა წერდეს შალვა აფხაიძე, იგი პირველ რიგში პოეტია — მისი თვალი ყველგან და ყველადღერაში ამალღებულს, ნათელსა და პოეტურს ეძებს. ამიტომ გასაგებია მკითხველთა ის დიდი ინტერესი, რასაც ისინი შალვა აფხაიძის წერილებისადმი იჩენენ, განსაკუთრებით კი იმ

წერილებისადმი, რომლებშიც პოეტი თავისი მეგობრებისა და თანამოკალმეების შემოქმედებას არჩევს და აანალიზებს.

შალვა აფხაიძის კრიტიკული წერილების კრებულში ექვსი წერილია — „ირაკლი აბაშიძე“, „ანა კალანდაძე“, „პაოლო იაშვილი“, „ტიციან ტაბიძე“, „სანდრო ცირეკიძე“ და „ლადო ასათიანი“. ავტორი, მართალია, ამ პოეტების შემოქმედებას განიხილავს, მაგრამ წერილებში ნათლად ჩანს მათი ადამიანური პორტრეტებიც.



ირაკლი აბაშიძის უკანასკნელ ხანებში დაწერილმა ლექსებმა, კერძოდ, წიგნმა „რუსთაველის ნაკვალევზე“, საერთო აღიარება ჰპოვა. ამ ლექსებზე ბევრი დაიწერა და მომავალშიც დაიწერება, მაგრამ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ შალვა აფხაიძის წერილში „რუსთაველის ნაკვალევი“ ყველაზე სრული და ამომწურავი ანალიზია მოცემული. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ირაკლი აბაშიძის იშვიათი პოეტური ფანტაზიისა და ნიჭის წყალობით „ჩვენ მოვისმინეთ რუსთაველის ხმა“, რომ პოეტმა ფარდა ახადა „რუსთაველის გულის ცხოვრებას“.

კრიტიკოსმა კარგად იცის აგრეთვე, რომ „ავტორი თანამედროვეობის პოზიციებზე დგას საესებით, შორეული წარსული მას მხოლოდ იმისათვის აქვს გამოყენებული, რომ თავისი მღელვარე ფიქრები ჩააქსოვოს, ახლანდელი სინამდვილის მაჯისცემა გეგარძნობინოს“.

დიდი შინაგანი სითბოთი და სიყვარულით არჩევს პოეტი ანა კალანდაძისა და ლადო ასათიანის შემოქმედებას. ასათიანი მას სამართლიანად მიაჩნია უნიკიერეს პოეტად, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო თავისი დიდი ტალანტის გაფურჩქენასა და დავაქაცებას.

ანა კალანდაძეს სიცოცხლისა და მუდმივი გაზაფხულის მომღერლად თვლის წერილის ავტორი. და თუ ზოგიერთ კრიტიკოსს ეს შესანიშნავი პოეტი ქალი, მარტობისა და რაღაც ხილვების მაძიებლად მიაჩნდა, შალვა აფხაიძე მათ საპირისპიროდ ასკვნის: „ანა კალანდაძის ლექსებში გაბატონებულია აპრილისა და მაისის სუნთქვა, მზის შუქი, ლაყვარდოვანი სივრცეები. ეს ლექსები უმღერაიან ადამიანის სულიერ სიმაღლეს, მის შინაგან სიმდიდრეს“.

და ეს ლიტონი სიტყვები კი არ არის, არამედ პოეტის მთელი შემოქმედების მართებული შეფასება.

წიგნში მოთავსებულია საინტერესო მოგონება უდროოდ გარდაცვლილი ლიტერატორის სანდრო ცირეკიძის შესახებ. შალვა აფხაიძე იხსენებს მივიწყებული პოეტის შემოქმედებას და აღნიშნავს, რომ მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჩვენი უახლესი ლიტერატურის ისტორიისათვის.

ყველა წერილი დიდი გემოვნებითა და საქმის ცოდნით არის დაწერილი. ავტორს არ გამოპარვია არც ერთი საყურადღებო ლექსი, სახე თუ სტრიქონი, რომ არ აღენიშნა, არ შეეფასებინა და თვალსაჩინო არ გაეხადა მკითხველისათვის მათი ღირსება. ყველა სტატია თანაბრად კარგია, მაგრამ „ადამიანებისა და წიგნების“ თავი და თავი მაინც ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილი წერილებია.

ეს ორი ნაწარმოები ერთმანეთს ასეებს და ვლდებულობთ ერთ ღრმა, საინტერესო მოგონების მსგავს წიგნს. რომელსაც თავიდან ბოლომდე შეუწელებელი ყურადღებით ვკითხულობთ.

აღარ შევჩერდებით იმაზე. თუ როგორი გულისყურით აქვს გარჩეული შალვა აფხაიძეს ამ ორი პოეტის შემოქმედება. მთავარი ის არის, რომ ავტორი იშვიათი დამაჯერებლობით აცოცხლებს ტიციანისა და პაოლოს სახეებს. მოგვითხრობს მათს პირად ურთიერთობაზე, პატრიოტიზმაზე. საინტერესოა აღნიშნული წერილების ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია რუს მწერლებთან და პოეტებთან, კერძოდ, პასტერნაკთან, ესენინთან, ანდრეი ბელისთან მეგობრობაზე.

გვინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ „ადამიანები და წიგნები“ სასარგებლო, საინტერესო წიგნია. იგი მკითხველს დაეხმარება უკეთ გაიგოს და უფრო მეტად შეიყვაროს ჩვენი გამოჩენილი პოეტების შემოქმედება.



# თხილავ თხილავ

## აღნიშნავს ბოდი ქვეყანა

მოსკოვში, სსრ კავშირის მწერალთა კავშირში, გაიმართა რუსთაველის საკავშირო საიუბილეო კომიტეტის სხდომა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ტიხონოვმა. იგი შეეხო დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის მნიშვნელობას ჩვენს ქვეყანაში.

— გენიალური პოეტის საიუბილეო ზეიმის მასშტაბი არაჩვეულებრივი იქნება, — თქვა ნ. ტიხონოვმა. ეს იუბილე გადაიქცევა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად და ერთხელ კიდევ დაადასტურებს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურდვე მემკობრობასა და ძმობას. ამ დიდ კულტურულ მოვლენასთან დაკავშირებით მზადდება „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემები ახალი ილუსტრაციებით. გენიალურ ქართველ კლასიკოსზე მოუთხრობენ საბჭოთა კავშირის ხალხებს ჩვენი კინო და რადიო.

რუსთაველის იუბილეს ასეთი ფართო აღნიშვნა ნათლად მეტყველებს ქართველი ხალხის ამ ეროვნული ზეიმის უდიდეს მნიშვნელობაზე. იგი მთელი საბჭოთა კულტურის სახალხო დღესასწაულად გადაიქცევა.

საქართველოში შოთა რუსთაველის იუბილესათვის მზადების შესახებ ილაპარაკა კრიტიკოსმა ბ. ჟღენტამ.

რესპუბლიკაში უკვე ფართოდ გაიშალა მზადება რუსთაველის დღეებისათვის. „ვეფ-

ხისტყაოსნის“ ტექსტზე მუშაობს ლიტერატურათმცოდნეთა და ისტორიკოსთა დიდი ჯგუფი. მზადდება „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა. საქართველოს სსრ მთავრობამ მიიღო დადგენილება თბილისში შოთა რუსთაველის ახალი ძეგლის დადგმის შესახებ. ამ ძეგლს მომავალი წლის შემოდგომაზე ჩაეყრება საფუძველი. გაიხსნება რუსთაველის სახლ-მუზეუმი, რომელიც შემდეგ ლიტერატურულ მუზეუმად გადაკეთდება.

საკავშირო კომიტეტის სხდომამ მიიღო დადგენილება, რუსთაველის საიუბილეო საზეიმო სხდომა მოსკოვში ჩატარდეს 1966 წლის 5 ოქტომბერს, სსრ კავშირის დიდი აკადემიური თეატრის შენობაში. ამ საზეიმო სხდომაზე მოიწვევენ მშვიდობის დაცვის მსოფლიო კომიტეტის წარმომადგენლებს და სხვა საზღვარგარეთელ სტუმრებს.

მოსკოვში, მანქაზე, ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში მოეწყობა გამოფენა „ქართული კულტურა XII საუკუნიდან დღემდე“.

1966 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში მოკავშირე რესპუბლიკებისა და ოლქების საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და სასწავლებლებში ჩატარდება რუსთაველის საღამოები.

თბილისში გაიმართება სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის საიუბილეო საზეიმო სხდომა.

გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში გაიმართება შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი სამეცნიერო

სესია, ხოლო ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში მოეწყობა გამოფენა.

მოსკოვში რუსთაველის ქუჩაზე დაიდგება დიდი ჰუმანისტის ძეგლი-ბიუსტი. ერთ-ერთ სამგზავრო თბომავალს, რომელსაც შავ ზღვაში გაისად ჩაუშვებენ, გენიალური პოეტის სახელი მიეკუთვნება.

მომავალი წლის მეორე კვარტალში მოსკოვის გამომცემლობა „მხატვრული ლიტერატურა“ გამოსცემს „ვეფხისტყაოსნის“ ნ. ზაბოლოცკისეულ თარგმანს.

კავშირგაბმულობის სამინისტრო იუბილესთან დაკავშირებით გამოუშვებს საფოსტო ნიშნებს, რომლებზეც გამოსახული იქნება შ. რუსთაველი და „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ილუსტრაცია.

საიუბილეო კომიტეტმა მოისმინა უკრაინის, ბელორუსიისა და სომხეთის მწერალთა კავშირების წარმომადგენელთა ინფორმაციები აღნიშნულ რესპუბლიკებში რუსთაველის იუბილესათვის მზადების თაობაზე.

## „ვეფხისტყაოსნა“ მოხიბდა პარიზი

როგორც ცნობილია, სერგო წულაძეს რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისათვის მიენიჭა „ლანგლუას პრემია“. ეს პრემია, რომელსაც საფრანგეთის აკადემია ყოველწლიურად ანიჭებს ფრანგულ ენაზე საზღვარგარეთული ლიტერატურის მხატვრულ ნაწარმოებთა საუკეთესო თარგმნისათვის, პირველად გადაეცა საბჭოთა ლიტერატორს. დიდი ქართველი პოეტის ქმნილება საფრანგეთში დაიბეჭდა იუნესკოს ინიციატივითა და მხარდაჭერით.

რუსთაველის ქმნილება პირველად არ ქვეყნდება ფრანგულ ენაზე. წულაძის თარგმანი იმით არის ძვირფასი, რომ იგი ავტორმა უშუალოდ დედნიდან შეასრულა. ძველი მთარგმნელები კი ან ბჭკარედებს იყენებდნენ ანდა რუსულიდან თარგმნიდნენ.

„ეს ნაწარმოები ჩვენს ენაზე პირველად არის გადმოცემული მთელი თავისი აზრობრივი სიზუსტით, — წერს ცნობილი პოეტი რენე ლაკოტი, — და მასთან ერთად

ისეა გადმოცემული, რომ მისი ნამდვილი დედაარსი ჩვენთვის უკვე არ იკარგება. წულაძემ ლექსად თარგმნის ისეთი ფრანგული სალექსო რიტმი აირჩია (თექვსმეტმარცვლიანი), რომელიც ყველაზე უფრო შეეფერება დედნის რიტმს.

— ამოცანა, რომელიც შეგვეძლო საკუთარი თავისათვის დაგვეყენებინა, მოკრძალებული იყო, — განმარტავს მთარგმნელი, — ერთადერთი, რისი პრეტენზიაც გექონდა, ის იყო, რომ შეგვექმნა მართალი თარგმანი, რომელიც მკითხველს საშუალებას მისცემდა, თუნდაც ნაწილობრივ მაინც, ზიარებოდა ქართული ლიტერატურის უდიდესი ქმნილების პოეზიასა და ჰუმანიზმს.

როგორც ვხედავთ, საფრანგეთის ლიტერატურული საზოგადოებრიობის აზრით, ეს ამოცანა მართო კეთილსინდისიერად კი არა, ნიჭიერადაც არის შესრულებული“, — დასძენს დასასრულ რენე ლაკოტი.

## დღე ქართული პოეზიისა

25 სექტემბერი საქართველოში პოეზიის ნამდვილ დღესასწაულად იქცა. ამიერიდან პოეზიის დღე სამუდამოდ დაუკავშირდა დიდი რუსთაველის სახელს.

თ ბ ი ლ ი ს შ ი, მწერალთა კავშირის

კლუბში, ამ დღეს პოეზიის მრავალმა მოყვარულმა მოიყარა თავი. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა სერგი ჭილაიამ. ქართველ პოეტებს მიესალმა საბჭოთა

კავშირის სახალხო არტისტი ალექსი მაჭავარიანი. თანამედროვე ქართულ პოეზიაზე ილაპარაკა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბესარიონ ჟღენტმა.

ახალი ნაწარმოებები წაიკითხეს გრიგოლ აბაშიძემ, მარიკა ბარათაშვილმა, ნოდარ გურუშიძემ, კარლო კალაძემ, მურმან ლებანიძემ, რევაზ მარგიანმა, მუხრან მაჭავარიანმა, მორის ფოცხიშვილმა, ახალგაზრდა პოეტმა-მთარგმნელმა თამარ ერისთავმა.

ქართველი პოეტების ლექსები წაიკითხეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ვასო გოძიაშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მედეა ჯაფარიძემ და რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თამარ თეთრაძემ.

პოეზიის დღე ზეიმით აღინიშნა ქალაქ ბათუმში. მასწავლებელთა სახლში გამართულ საღამოზე შესავალი სიტყვით გამოვიდა კრიტიკოსი შოთა ქურიძე. დამსწრეთ თავიანთი ახალი ლექსები გააცნეს პოეტებმა — მამია ვარშანიძემ, ფრიდონ ხალვაშმა, ჯემალ ჯაყელმა, ლადო სეიდიშვილმა.

ჯერი მსახიობებზე მიდგა. საქართველოს სახალხო არტისტმა მ. ხინიკაძემ, აჭარის დამსახურებულმა არტისტმა ნ. საკანდელიძემ და ლ. ღლონტმა ოსტატური წაკითხვით მსმენელებს აგრძნობინეს ქართული ლექსის ძალა და სიტკბო.

ამ დღეს რუსთავის კულტურის სახალხო ხალხს ვერ იტევდა. აქ იყვნენ ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები, მუშები, მოსწავლე-ახალგაზრდობა.

საღამო, რომელზეც თვითონ პოეტები მასპინძლობდნენ, შესავალი სიტყვით მასპინძლობდა მან რუსთაველის მშრომელებს, ქართული ლექსის ყველა მოყვარულს მიულოცა პოეზიის დღე. სიტყვები წარმოთქვეს კრიტიკოსმა ნოდარ ჩხეიძემ, პროზაიკოსმა კარპე მუმლაძემ. საერთო მოწონება დაიმსახურეს: ალიო მირცხულავამ, ემზარ კვიციანიშვილმა, ლიანა სტურუამ, იორამ ქემერტელიძემ, დილარ ივარდავამ, აგრეთვე ქალაქის ლიტერატურული წრის წევრებმა ი. შავლოხაშვილმა და მ. ტაგჯანიძემ.

ნამდვილი პოეტური განწყობილებით შეხვდა გორი პოეზიის დღეს. ამ ზემისადმი მიძღვნილ საღამოზე პოეტი ალექსანდრე გომიაშვილი დამსწრეთ ელაპარაკა თანამედროვე ქართული პოეზიის მდგომარეობაზე, მის ამოცანებზე. სიტყვა წარმოთქვა მწერალმა ოთარ ჩხეიძემ. შემდეგ ახალი ლექსები წაიკითხეს ოთარ ჭელიძემ, ალექსანდრე გომიაშვილმა, ჯემალ ინჯიამ, ფირუზ ჯანაშვილმა, ალექსანდრე ტაბატაძემ.

ქუთაისში, მწერალთა სახლში, თავი მოეყარა პოეტებს, მწერლებს, მკითხველებს. საღამო გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მდივანმა დავით კვიციანიძემ. მოხსენებით გამოვიდა გიორგი სამხარაძე. შემდეგ სიტყვა მიეცათ არჩილ გურჯიძეს, შალვა ტოგონიძეს, სულხან აბდალაძეს, რომან ვიწვიძაძეს, თეიმურაზ აბულაძეს.

## მხატვრები ენგუჩკისის მხანებლობაზე

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის კომისიამ ენგურჰესის მშენებლობაზე მიავლინა ახალგაზრდა მხატვრები — ნელი კანდელაკი და გიგი კეშელავა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ კი თბილისის

ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიხსნა მათი მხატვრული ნაწარმოებების გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი 70-მდე ფერწერული ტილო და ჩანახატი მხატვრების ნაყოფიერ შემოქმედებით შრომაზე მეტყველებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ფართო ფერწერული ტილო „ყაენი



ჰილა და საბაგირო გზის საყრდენი ენგურზე“ . ამ სურათზე ნათელი ფერებით არის ნაჩვენები ახალი მშენებლობები ძველ ციხეთა ნანგრევების ფონზე.

მხატვრებს დიდი სიყვარულით შეუსრულემათ ენგურპეისის მშენებლების პორტრეტები.

დეკორატიულადაა გადაწყვეტილი ტილო „ენგურის დროებითი გვირაბი“ და ეტიუდი „ახალგაზრდული კაფე“ <sup>ეროვნული გენგლიოთეკა</sup> ახალგაზრდა მხატვრების ნელი კანდელაკისა და გიგი კემელავას ნამუშევრები მნახველთა მოწონებას იმსახურებს.

## ქართული კულტურის გეგმობა

საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, უახლესი ქართული ლიტერატურის მთარგმნელი ვაცლავ ჩერნი.

ქართული ლიტერატურის ჩეხურ ენაზე თარგმნის კარგ ტრადიციას სათავე დაუდო ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორმა იარომირ იედლიჩკამ. ვაცლავ ჩერნიც საფუძვლიანად იცნობს ქართულ კლასიკურსა და თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურას.

ვაცლავ ჩერნიმ ჩეხ მკითხველს გააცნო ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები; თარგმნა თამაზ ჭილაძის მოთხრობა „გასეირნება პონის ეტლით“ და ოტია იოსელიანის რომანი „ვარსკვლავთცვენა“.

მთარგმნელი ამჟამად ამზადებს ახალგაზრდა ქართველი პოეტების ლექსების კრებულს, რომლის გამოცემა მომავალი წლისთვისაა განზრახული. ვაცლავ ჩერნი უკვე თარგმნის შესანიშნავი ბელეტრისტის ნიკოლორთქიფანიძის მოთხრობებს.

ჟურნალ „ცისკრის“ თანამშრომლებთან შეხვედრისას ვაცლავ ჩერნიმ განაცხადა: „საქართველოში მეორედ ჩამოვედი. ამჟამად ლექციები უნდა წავუკითხო უცხო ენების ინსტიტუტში ჩეხური ენების შემსწავლელ ჯგუფს. გარდა ამისა, ჩემი სურვილია უფრო ახლოს გავეცნო ქართველ ხალხს, მის ისტორიასა და კულტურას, დავათვალიერო ღირსშესანიშნაობანი, კიდევ უფრო დავეუმეგობრდე ქართველ მწერლებს.“

## „ჩეხო“ და მისი ნორჩი სოლიდობა

„ჩეხო“ ამასწინანდელმა გასტროლებმა მოსკოვში წარმატებით ჩაიარა. ორკესტრთან ერთად გამოდიოდა 9 წლის ირმა სოხაძეც. ა. ასარკანი „ნედელიაში“ წერს: „ეს მეორე კლასის მოსწავლე ორკესტრის კონცერტებში მონაწილეობს განათლების (და არა კულტურის) მინისტრის ნებართვით. გოგონა, რომელიც ყოველგვარი გაუმბრალოების გარეშე ასრულებს იტალიურ სიმღერას იტალიურ ენაზე, ინდურს — „ინდურად“ და სიმღერას ელაფიცჟერალდის რეპერტუარიდან ინგლისურ ენაზე — სენსაცია...“

ირმა შესანიშნავი გოგონაა: სანდომიანი, ძალზე მშვიდი, ძალზე მუსიკალური, ძალზე ნიჭიერი. მისთვის არ მოუგონიათ არავითარი „რეჟისურა“, არ აიძულებენ მოიქცეს არაბუნებრივად. იგი მეტად სერიოზულად მღერის, ხოლო როცა ტაშს უკრავენ, იღიმება, როგორც ყოველი ბავშვი, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. შემდეგ მას ტანთ აცმევენ და შინ მიჰყავთ...

ამგვარად, გოგონა ცხოვრობს ისე, როგორც ყველა ჩვეულებრივი ბავშვი. უფროსები კი განცვიფრებული არიან. მათი აზრით, ირმა არაჩვეულებრივი ბავშვია, ესე

ოგი, ვუნდერკინდია. ხოლო ეს ვუნდერკინ-  
დები კი... მერე იწყება ირმას მომავალზე  
ფანტასტიკური ამბების თხზვა, რა გამოვა  
მისგან და ა. შ. თვითონ ხომ ბავშვობაში  
ჯაზთან ერთად არ გამოდიოდნენ სცენაზე.  
ირმა კი გამოდის. ექნება ამას კარგი ბო-  
ლო? მერე კი, რა თქმა უნდა, მსჯელობენ  
იმაზე, „სწორად არის თუ არა შერჩეული  
რეპერტუარი“? ხომ არ აჯობებდა ირმას  
საბავშვო სიმღერები შეესრულებინა, აი, ნა-  
ძვისხეზე ან სადღესასწაულო დილაზე რომ  
მღერიან ხოლმე?

არა, არ აჯობებდა. ასე რომ იყოს, ირმა  
თვითონ იმღერებდა მათ. ხოლო აიძულო  
ირმა იმღეროს ის, რაც არ უნდა, ნიშნავს,

ადრე გახადო პროფესიონალი. <sup>ახლა კი</sup>  
იგი ჩვეულებრივი, ნიჭიერი ბავშვი  
ყველა ბავშვი ასეა თუ ისე, ნიჭიერია.  
ირმა გამოირჩევა იმით, რომ მისი ტალანტი  
სცენაზე საჩვენებლად გამოდგა...

ერთნაირად უსიამოვნო გრძნობას იწვევს  
ბავშვის არაბუნებრივი „სიდიდე“ და მის-  
თვის თავსმოსხვეული „ბავშვურობაც“. და  
ორკესტრმა „რერომ“ წარმატება მოიპოვა,  
სხვათა შორის, იმიტომაც, რომ ირმა სოხა-  
ძე და მუსიკოსები სცენაზე თავს თავისუფ-  
ლად გრძნობენ.

„რერომ“ დაიპყრო მოსკოველთა გულე-  
ბი. მოსკოველთა გული დაატყვევა პატარა  
ირმა სოხაძემაც“.



## ბეჩხული თეატრის გასტროლები

თბილისში საგასტროლოდ ჩამოსულმა  
ათენის სამხატვრო თეატრმა ჩვენი საზო-  
გადოებრიობის ცხოველი ინტერესი გამო-  
იწვია.

მართალია, ათენის თანამედროვე სამხა-  
ტვრო თეატრი ამ ოცდახუთი წლის წინათ  
შექმნა, მაგრამ მისმა ხელმძღვანელობამ  
და მთელმა კოლექტივმა ახლებურად გააგ-  
რძელა ის ბრწყინვალე თეატრალური ტრა-  
დიციები, რასაც მრავალი საუკუნის წინათ  
ჩაუყარეს საფუძველი ძველმა ელინებმა.

პირველი პიესა, რომელიც 16 სექტემბერს  
იხილეს თბილისელებმა, ჩვენს წელთაღრი-  
ცხვამდე 427 წელს დაიდგა ათენში. ესაა  
უდიდესი ტრაგიკოსის ესქილეს ტრაგედია  
„სპარსელები“. თუმცა ნაწარმოების შექმ-  
ნიდან ოცდახუთ საუკუნეზე მეტმა ხანმა  
განვლო, ამ პიესისადმი ცხოველი ინტერესი  
ოდნავადაც არ შენელებულა. რეჟისორ კარ-  
ლოს კუნის თითქმის მთელი სისრულით  
აღუდგენია ის შინაგანი და უტყუარი კონ-

ტაქტი მაყურებელთან, რაც მრავალი საუ-  
კუნის წინათ გააჩნდა ელინურ თეატრს. მძა-  
ფრი ექსპრესია, ელასტიურობა, შეუწელებე-  
ლი რიტმი, სურათოვნება, ქოროს ზომიერი  
სცენური მოქმედება, ვნებიანი და ემოციუ-  
რი გზნება სპექტაკლს დიდებულ სანახაო-  
ბად აქცევს.

სპექტაკლი სპარსეთ-საბერძენეთის ომის  
სურათებს ასახავს. ესქილე ამ ომის მონა-  
წილე იყო. თავისი ქვეყნის დიდ პატრიოტს  
ამ ტრაგედიაშიც სამშობლოს სიყვარულს  
იღეა აქვს გატარებული.

შესანიშნავი სცენური სახეები შექმნეს  
მსახიობებმა ნ. ანგელიდუმ (მეფის დედა),  
ს. კაფარიდისმა (სპარსეთის მეფე ქსერ-  
ქსე), დ. ხაჯიმარკომ (დარიოსი) და ბ. ლა-  
ზარიმ (მაცნე).

დიდი წარმატება ხვდა წილად თეატრის  
მეორე სპექტაკლს — არისტოფანეს „ფრი-  
ნველებს“.



# კულტურა

## ახსტრალია

### ორი გამოფენა მელბურნში

მელბურნში ამ ბოლო დროს მოწყობილ გამოფენათა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მაორის ტომის ფერმწერთა ნამუშევრებმა. აქ მონაწილეობდნენ გამოჩენილი ადგილობრივი მხატვრები: მუნგარავაი, ბირიგიკი და მავალანი. მათ შესანიშნავად ასახეს მაორის ტომის ყოფაცხოვრება, ტრადიციული დღესასწაულები და სარიტუალო ციკვები. ამ ტომებმა, მიუხედავად რეზერვაციისა, მძიმე ცხოვრებისა, შეინარჩუნეს ეროვნული სახე.

1964 წელს, არნემ ლენდის დაბა ირკალაში დაარსდა გამოყენებითი ხელოვნების პირველი სკოლა. ეს კარგი წამოწყებაა, მაგრამ ამ სკოლას სათანადო დახმარებას არ უწევს, — გულისტკივლით აღნიშნავდა გაზეთი „ტრიბუნა“.

მელბურნში მოწყობილ მეორე გამოფენაზე სხვადასხვა ასაკის ავსტრალიელ მხატვართა ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. პროგრესული პრესა ქება-დიდებას ასხამდა უფროსი თაობის მხატვრების დიკერსონისა და ვოიდას რეალისტურ ფერწერას. აგრეთვე ოცდაათი წლის მაიკლ მორგანის დიდი სიბოროტი და უშუალოებით შესრულებულ ნამუშევრებს.

### „ამერიკული ტელევიზიის ცოდებები“

ახეთი სათაურით გამოაქვეყნა დენის კევანსის სტატია ავსტრალიის ტელევიზიის მდგომარეობის შემსწავლელი კომისიის ანგარიშის შესახებ ყო-

ველკვირულმა „ტრიბუნამ“. ამ სტატიაში ავტორმა მკაცრად გააკრიტიკა ტელევიზიის კერძო კომპანიები, რომელთაც მიზნად დაისახეს მხოლოდ თავიანთი შემოსავლის გაზრდა. კომერციული ტელევიზიები გადმოცემის საათებს უთმობენ სავაჭრო რეკლამას და ამერიკული ტელევიზიის მესამეხარისხოვან პროგრამებს. ისინი უგულვებელყოფენ სოციალური და ფსიქოლოგიური ხასიათის პეიზებს და ახალგაზრდა ავსტრალიელი დრამატურგების ნაწარმოებებს.

სტატიაში მოყვანილი ფაქტები ნათლად მტკვლებენ კინოსა და იმ ეროვნული თეატრების მძიმე მდგომარეობაზე, რომლებიც სატელევიზიო კომპანიებთან თანამშრომლობენ. სატელევიზიო გადაცემებისათვის საზღვარგარეთის ფილმების იმპორტზე ავსტრალიამ 17 მილიონი ფუნტი სტერლინგი დახარჯა. ავსტრალიური კინოსტუდიები ზოგჯერ მთელი წლის მანძილზე ერთ ფილმსაც არ იღებენ. რიგით მსახიობს მაშინაც კი, როცა იგი რამდენიმე დადგმაში მონაწილეობს შავ მუშაზე ნაკლებ გამარჯვლოს აძლევენ. „არ არის გასაკვირი — წერს კევანსი, — რომ ბევრი მსახიობი და დრამატურგი ცხოვრების სახსარსა და აღიარებას მესუთე კონტინენტის მიღმა ეძებს“.

## ალუბრი

### სახვითი ხელოვნების მუშაუბრი

ალუბრის სახვითი ხელოვნების მუშაუბრი გაიხსნა ოთხი ახალი განყოფილება: „ალუბრის ხელოვნება და რევოლუცია“, „თანამედროვე ალუბრი-

ლი მხატვრები“, „XV-XVIII საუკუნის მხატვრები“ და „ალუბრის ძველბურთი ესტამპები“. „ამგვარად, — წერს გაზეთი „ალუბრი რეპუბლიკის“ — ახლა მუშაუბრის ყველა სტუმარს შეუძლია გაეცნოს ალუბრიელი ხალხის ხელოვნების აწმყოსა და წარსულს“.

ამ მუშაუბრიში წარმოდგენილია თანამედროვე მხატვრების აცუგას, ბაიას, ბენაბურას, ხალდას, ზერუკის და სხვათა ნამუშევრები. დიდ ინტერესს იწვევს რასიმას, რანემას და ტემამას მინიატურები. XVIII საუკუნის ევროპული ხელოვნების განყოფილებაში ვრცლად არის ნაჩვენები იტალიური, ჰოლანდიური და ფრანგული ხელოვნება. აქ თანამოყრილი ძველბურთი ალუბრული ესტამპები ნათლად მტკვლებენ იმაზე, თუ რა სათუთად ინახავს თავის კულტურულ მემკვიდრეობას ალუბრიელი ხალხი.

## აშშ

### მრავალსმებაჰველი ალიბრამანი

ამას წინათ გამოქვეყნდა რიკფელტერის ფონის ექსპერტთა მოხსენება, რომელშიც განაალიზებულია ამერიკის კულტურის დღევანდელი მდგომარეობა. მოხსენებაში ნათქვამია, რომ „ამერიკელების უმეტესობას, მათ შორის ქალაქის მკვიდრთაც, ძალზე იშვიათად უხდება სცენაზე დრამისა და ბალეტის ნახვა, ან ოპერისა და სიმფონიური კონცერტის მოხმენა“.

ჩვენს ქვეყანაში, — აღნიშნავენ ექსპერტები, — არსებობს მხოლოდ ხუთი თუ ექვსი მუდმივი საბალეტო დასი, არა-



ვეყავს არც ერთი პროფესიული მომღერალითა ვუნდი. რაც შეეხება ოპერას, ჩვენ, რასაკვირველია, ვაქვს „მეტროპოლიტენ ოპერა“, ოპერები ჩიკაგოსა და სან-ფრანცისკოსში, აგრეთვე ნიუ-იორკის მეორე საოპერო თეატრი; „ნიუ-იორკ სიტი ოპერა“, მაგრამ მათ გარდა არ არსებობს თითქმის არც ერთი მუდმივი საოპერო თეატრი“.

არ არის სახარბიელო არც სიმფონიური ორკესტრების მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თითქმის ამერიკის დიდი ქალაქების კულტურული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. როგორც მოხსენებიდან ირკვევა, ყველა ორკესტრი დიდ ეკონომიურ კრიზისს განიცდის და ვერ ახერხებს ორკესტრის წევრთა ცხოვრების მინიმალურად უზრუნველყოფას. უფარესად მცირეა სახელმწიფოს დახმარება კულტურის სფეროში. არც „მეცენატები“ იჩენენ დიდ გულუხვობას. კულტურული მიზნებისათვის ფილანთროფთა შემოწირულობების მხოლოდ ორი პროცენტი თუ იხარჯება — ნათქვამია მოხსენებაში.

თვით „თავშეკავებლუმა“ შურნალმა „ნიუსსუიკმა“ კრდაპქარვა მოთმინება და აღიარა: — ამ ქვეყანაში არავის ეხმის ხელოვნების ქემშარბიტი დანიშნულება და მიხანი.

## მენესუელი

### შმრისხული ორფორსი

ვენესუელი მხატვრის პედრო სენტენო ვალენილას სურათმა „ორფოსის სიკვდილი“, რომელიც მეტად რეალისტურად გადმოგვცემს ამ ცნობილ მითოლოგიურ სიუჟეტს, კარაკისის პოლიტიკურ წრებში დიდი მითქმა-მოთქმა და პანკია გამოიწვია. საქმე ისაა, რომ ზოგიერთმა თანამედროვე პოლიტიკურმა მოღვაწემ ამ მომავალში გმირის გარემო დახატულ მრავალრიცხოვან პერსონაჟებს თავისი თავი და აგრეთვე რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი — დიქტატორი რომულო ბეტანკური იცნო.

ერთ-ერთი შურნალისტის შეკითხვაზე, თუ რა არის აშკარა სიხარულის მიზეზი, რომელიც ახე ნათლადა გამოხატული ორფოსის გვერდით მდგომია სახეობა, მხატვარმა უპასუხა: „ჩემთვის ორფოსი

არის სიკეთის, კულტურისა და პროგრესის სიმბოლო, ხოლო ისინი, ვინც მას გარს ახვევია, წყვილიაღის შენიღბული ძაღვია. არ არის ვასკვირი, რომ მათ უხარიათ გმირის სიკვდილი“.

„გსურდათ თუ არა ამ სურათით გამოგებატათ თქვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა?“ — ჰკითხა მხატვარს შურნალ „იფერას“ კორესპონდენტმა. „უფალო“ — მიუგო ვალენილამ.

## ინფორმაცია

### საბრტო-ინფორმაციის შირიფტი

ინფორმაციის პრესის ფურცლებზე ფართოდ განიხილეს საერთო-ინფორმაციის შირიფტის პრობლემა. როგორც შურნალი „ინდიან პენი“ გვაუწყებს, ახლახან თავის გამოსვლაში ამ საკითხს შეეხო ინფორმაციის განათლების მინისტრი მ. კ. ჩავლა. მან აღნიშნა, რომ ინფორმაციის საერთო შირიფტის შექმნა მეტად სერიოზული ეროვნული პრობლემაა.

მინისტრის აზრით, ასეთი საერთო შირიფტი უნდა იყოს ლათინური, რომლითაც მსოფლიოს ბევრი ქვეყანა სარგებლობს. ამდენად, ეს ახალი შირიფტი ხელს შეუწყობს ინფორმაციის კულტურული კავშირის განმტკიცებას სხვა ხალხებთან.

## იტალია

### შმარლბაის პრობლემა

იტალიის ინტელიგენციის 123 წარმომადგენელმა, მათ შორის მწერლებმა: ელიო ვიტორინიმ, იტალიო კალვინომ, ჩეზარე პავატინიმ, ნატალია გინზბურგმა, უგო პირომ, კარლო ლევიმ, ლიბერო ბიჯარტიმ, კარლო ბერნარდომ, ალფონსო გატომ, ვასკო პრატოლინომ, კარლო სალინარომ, ვიტორიო სტრალდამ, ედუარდო დე ფილიპომ და სხვა მრავალმა ხელი მოაწერეს პრეზიდენტ ჯოსოპინის სახელზე გაგზავნილ წერილს. წერილში იტალიური კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები გამოთქვამდნენ „ღრმა შიშსა და წუხილს“ ომის იმ პარალანაური მეთოდების გამო, რომელიც ამერიკის იყენებს „თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ვიტენამეული ხალხის“ წინააღმდეგ. აგრეთვე

მოითხოვდნენ ამერიკული ქარების ვიტენამეიდან გაყვანას.

იტალიელი მოღვაწეებმა და მათმა პრეტორი გამომწვევებმა რეფერატორსებმა ვენესუელას დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ ვენესუელას შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე გაგზავნილ დეკრეტში ისინი მოითხოვდნენ, რომ ვენესუელის მთავრობას დაუყოვნებლივ შეეწყვიტა პროვოკაციული დევესა, დასატორებანი და გაენთავისუფლებინა პოლიტიკური პატიმრები. დეკრეტს ხელს აწერდა ლიტერატურული შურნალის „ნიუოპერა მენტი“ პასუსისმგებელი რედაქტორები: ალბერტო მორავია და ალბერტო კაროჩი, მწერლები: ლიბერო ბიჯარტი, კარლო ლევი, პიერ პაოლო პასოლინი, პოეტი ჯუსეპე უნგარტი, მხატვარი რენატო გუტუსო.

### ხელმწიფება და წინააღმდეგობის მოძრაობა

ორი იტალიური ქალაქის ბოლინიისა და ტურინის თაოსნობით მოეწყო ფაშისზე გამარჯვების ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი მეტად საინტერესო გამოფენა — „ხელოვნება და წინააღმდეგობის მოძრაობა ევროპაში“. მის ექსპონატიში შედიოდა ასობით მხატვრის ნამუშევარი. მათ თავიანთი ფუნჯით, ფანქრით და კალმით გამოხატეს ხალხის რისხვა და გამოაშკარავეს ფაშისმის მხედური ბუნება. დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს ცნობილი მოქანდაკის ჯაკომო მანტუას ბარელიეფები „ჟვარცხანი“, რომლებიც ალფიერიულიად გადმოგვცემენ ფაშისტ ქალათა ნახტობს. რენტო გუტუსოს მხატვების ციკლი — „ღმერთი ჩვენთან არის“, მოგვიხსობს იტალიელი პატრიოტების მასობრივ აღსაზრევ. იტალიურ განყოფილებაში გამოფენილი იყო კარაკატურები პიტლერისა და მუსოლინე. პიტლერიზმის მამხილებელ ვერამანელ ანტიფაშისტ მხატვრათა ნაწარმოებებს შორის გამოირჩეოდა ცნობილი ოსტატების ბარლახისა და კოლოციის ნამუშევრები. ფრანგულ განყოფილებაში მონაწილეობდა პაბლო პიკასო. ამ გამოფენაზე აგრეთვე წარმოადგენილი იყო ცენტრალური ევროპის ქვეყნების — იუგოსლავიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის და რუმინეთის მხატვრთა შემოქმედება. საბჭოთა განყოფილებაში კი — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ქვე-

შირის უკვდავი საგმირო საქმე-  
ებისადმი მიძღვნილი სურათე-  
ბი, გრაფიკული სერები და  
პლაკატები. აქვე ნახავთ ფუნ-  
ჯის გამოჩენილ ოსტატებს ა.  
დვინევას, კუკრინიკსებს, ს.  
გერასიმოვს, ა. პლასტოვს, ბ.  
ეფიმოვს, ლ. სოიფერტის და  
სხვებს.

## პოლონეთი

### პოლონური ფილმები და ამერიკელი ცინეზორები

პოლონური პრესის ცნობით,  
ნიუ-იორკში ტელევიზიით აჩ-  
ვენეს ცნობილი კინოსურათი  
„ოცწლიანების სიყვარული“,  
რომელიც შედგებოდა ოთხი  
ნოველისაგან. ყოველი ნოვე-  
ლა სხვადასხვა რეჟისორს  
ეკუთვნოდა. როგორც ცნობი-  
ლია, ერთი ნოველა გადაიღო  
პოლონელმა რეჟისორმა ანჟეო  
ვაილამ. მაგრამ სატელევიზიო  
გადმოცემაში პოლონური ნო-  
ველა არ აჩვენეს. ფილმის ტი-  
ტრებზე კი რეჟისორ ვაიდასა  
და პოლონელი მსახიობების  
გვარებიც არ ეწერა. ამით გან-  
ცვიფრებულმა პოლონეთის  
პრესის სააგენტოს კორესპონ-  
დენტმა ნიუ-იორკში შეკით-  
ხვით მიმართა კომპანიის დი-  
რექციას. მან შეკითხვაზე მიი-  
ღო ასეთი ოფიციალური პასუ-  
ხი — სურათი „ოცწლიანების

სიყვარული“ შემადგირეს დრო-  
ის უქონლობის გამო.

პოლონური პრესა აღნიშნავს,  
რომ ეს არ არის აოციალისტუ-  
რი ქვეყნების და, კერძოდ, პო-  
ლონური კინოხელოვნების დი-  
სკრიმინაციის პირველი შემთხ-  
ვევა. შარშან ამერიკულმა ტე-  
ლევიზიამ უჩვენა იმავე ვაიდას  
ცნობილი ფილმი „არხი“, შექ-  
მნილი 1944 წლის ვარშავის  
აჯანყებაზე. ფილმის ტიტრებზე  
არ ეწერა რეჟისორის გვარი  
და არც ერთი სიტყვა არ იყო  
ნათქვამი ფილმის მოქმედების  
აღგიღზე. გარდა ამისა, ეს  
სრულმეტრაჟიანი ფილმი შე-  
ცირდა ნა წუთამდე. ამდენად,  
სულაც არ არის საკვირველი,  
რომ ამერიკელმა მაყურებელმა  
ფილმი „არხი“ სათავგადასავ-  
ლო სურათად მიიჩნია.

## საფრანგეთი

### თანამედროვე „ბანკი- სული“

პარიზის ერთ-ერთ სალონ-  
ში გაიხსნა მეტად თავისებური  
გამოფენა — „ფერწერის ზოგი  
ახალი ასპექტი ახალგაზრდა  
მხატვართა შემოქმედებაში“.  
აქ წარმოდგენილი იყო „ახალ-  
გაზრდა მხატვართა სალონის“  
ფიურის მიერ დაწუნებული ნა-  
მუშევრები. ყველასათვის ცნო-  
ბილია, რა დიდი როლი შეას-

რულეს ევროპულ ფერწერაში  
იმ მხატვრებმა, რომელთაც  
თავის დროზე შექმნეს „საკუ-  
თარი „განკიცხულთა სალონი“.  
ახლაც ანალოგიურ ამბებთან  
გვაქვს საქმე. ახალგაზრდათა  
გამოფენაზე არ მიიღეს მრავა-  
ლი მხატვრის ნამუშევარი,  
რადგან მათი შემოქმედებისათ-  
ვის უცხო იყო ყოველგვარი  
ავენგარდისტული მოდური მი-  
მდინარეობა. ასეთი შეუწყნარე-  
ბლობა, — წერს ყოველკვირე-  
ული „ფიგარო ლიტერარი“, —  
მით უფრო აღმაშფოთებელია,  
რომ იგი ახალგაზრდებმა თავისი  
კოლეგებისა და თანატოლების  
სადმი გამოიჩინეს. ნიჟიერი  
მხატვრების მთელ ჯგუფს არ  
გამოაფენინეს თავისი ნამუშევ-  
რები. „აი, ეს არის ხელოვნე-  
ბის სფეროში გამეფებული  
ექსტრემიზმის ნათელი მაგალი-  
თი“ — წერს „ფიგარო ლიტე-  
რერი“.

„ფიგარო ლიტერარი“ შექმ-  
ნილ არაჩანსალ ვითარებაში  
ბრალს სდებს მუზეუმების იმ  
მუშაკებს, რომელთა აზრითაც  
არსებობის უფლება მხოლოდ  
უკიდურესი ავენგარდიზმის მი-  
მდევრებს აქვთ. დიდი ბრალი  
მიუძღვის კრიტიკოსებსაც, რო-  
მელთაც არ შესწევთ ძალა იბ-  
რძლონ ხელოვნებაში, რო-  
გორც „მოდური“, ისე „ოფი-  
ციოზური“ ტენდენციების წი-  
ნააღმდეგ.



# შენათესი

## უიქრები ხეაელა

გიორგი ნატროშვილი — კოეზია, კრიტიკა და... წიგნის გამყიდველი . . . . .	8 გვ.
ალექსი ზინზარაული — ატამან გოლოგოს „მიმზიდველი წერილი“ . . . . .	7 გვ.

## კოეზია

თეიმურაზ ჯანაშვილი — ზღვისა და მიწის ლეგენდა (ლექსი) . . . . .	13 გვ.
უმთა ნიუნიანიძე — ნახევარზღაპარი (ლექსი) . . . . .	34 გვ.
ჯანსუღ ჩარკვიანი — თბილისიდან ვარძიამდე (ლექსები) . . . . .	49 გვ.
ნაზი კილასონია — უენ გაზიგარჯოს, პატარა ზოგო! (ლექსი) . . . . .	66 გვ.
მარი გველესიანი — ლექსები . . . . .	67 გვ.

## პროზა

მამია ასათიანი — ხალდის ყვავილები (მოთხრობა-ლეგენდა) . . . . .	16 გვ.
გურამ ფანჯიკიძე — სამი მოთხრობა . . . . .	37 გვ.
თამაზ გოლაძეშვილი — ზუა (მოთხრობა) . . . . .	54 გვ.

## ახალი თარგმანები

შან ანუი — ტოროლა (თარგმანი გრიგოლ აბაშიძისა) . . . . .	69 გვ.
---	--------

## ღიადი თარიღები

ნუგზარ წიკეთელი — წყარო უთაბონებისა . . . . .	94 გვ.
---	--------

## ჩვენი ახალგაზრდობის მემორები

კონსტანტინე გამსახურდია — სიხლე და გონივრული ძიება . . . . .	103 გვ.
ნიმონ ხეჩინაშვილი — არა მხოლოდ ჰაუის მასწავლებელი . . . . .	108 გვ.
გიორგი მელიქიშვილი — საპროზა მითი სითამამე . . . . .	111 გვ.

## ხელკენება

ნოდარ გურაბანიძე — რეჟისორი ექვთიმე თეატრს . . . . .	114 გვ.
ხ. ვალერიუსი — ისტორია და თანადროულობა . . . . .	128 გვ.
ნ. ვიხარსკაია — მუდმივი ძიებაში . . . . .	131 გვ.



# ჩვენი ქალენდარი

ნოდარ ალანია — ნათელი სიყვარულისა . . . . .  
ვიორგი ჯიჯლაძე — გამოთხოვება ბრძაშვილთან . . . . .



## ნიგნების საყაროები

კარლო კოხარიძე — მებრძოლის ღიმილი . . . . .	139 გვ.
იორამ ჭიჭინაძე — გავრცინა და დიდის თვალით . . . . .	141 გვ.
დიდარ ივარდავა — მებრძოლი ბრძაშვილი . . . . .	143 გვ.
სვიმონ შამგინიაძე — სიყვარული და მსახურება . . . . .	146 გვ.
ვაჟა მისი — კობის წერილები კობიბაზე . . . . .	149 გვ.
<b>თვიან თვეზე . . . . .</b>	<b>151 გვ.</b>
<b>ყოველი მხრიდან . . . . .</b>	<b>156 გვ.</b>



გარეკანი და ტიტული ელგუჯა ამაშუკელისა . . . . . ქურნალი გააფორმა თენგიზ სამსონაძემ

ტექნიკური რედაქტორი მ. შონია

რედაქციაში შემოსული მასალები, მოცულობით ერთ თაბახსმდე, ავტორებს უკან არ დაუბრუნდებათ

რედაქციის მისამართი: თბილისი პლენარის პოსტ. № 91.

ბელაშოვიანი: რედაქტორის — 5-08-85, პ/მ მღვიმის — 5-08-86, განყოფილებაგან: კოეზიისა და კროვის, მენიერებისა და კულტურის — 5-08-75, პრინტირისა და გიგლიორგრაფიის — 5-08-85

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/X-65 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7 შუკვ. № 3100. უე 03441. ქალაქის ზომა 70 X 108. ტირაჟი 8500.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14  
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ფანი 40 კპ



ქართული  
ლიბრერია

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

издательство  
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

ИНДЕКС 76236